ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 3-4, 2016

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанава Н., Чихладзе Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2016

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

თამარ ჩახუნაშვილი - ჯანდაცვის რეფორმის შედეგები
პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებებში ----------7
Мераб Келенджеридзе - ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ ФАКТОРЫ
РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ПРИ ИННОВАЦИОННОЙ
И ФИСКАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ ---------- 23

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნინო მაქაცარია, თამარ ბერიძე, დავით ბიბიჩაძე -
ეკონომიკური ზრდა და სოციალური პროგრესი---------- 38
ნინო სამჭკუაშვილი - უცხოური ინვესტიციების
მსოფლიო ბაზარი და საქართველო ---------- 48
დიანა ვაშაყმაძე - სოციალური პასუხისმგებლობა
და ქართული რეალობა ---------- 59
რევაზ შენგელია - „მორალური გაცვეთისა" და „მორალური
მოძველების" კატეგორიების ვიწრო და ფართო გაგებისათვის ----- 69
ბადრი დავითაია - საწარმოთა ინვესტირების თანამედროვე
ფორმები საბაზრო ეკონომიკის პირობებში---------- 78
ეთერ თაკალანძე - საზოგადოებრივი კულტურის
ზღვრული დონის ეტაპობრივი ამაღლება ისტორიის
შემოქმედება-შენარჩუნების წინაპირობაა (ნაწილი მეორე) ------- 86
მაია სოსელია, თამარ ბერიძე, თამარ როსტიაშვილი -
ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები
და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები ---------- 97

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ოთარი კობახიძე - საქართველოს ფისკალური
და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები ---------- 109
თამარ აბშილავა -კომერციული ბანკების
საფასო-საპროცენტო სტრატეგია ---------- 119

ირაკლი ლაშხი - ინოვაციური პროცესების
მართვა კომერციულ ბანკებში---------- 125
მზევინარ ნოზაძე - საბანკო დაზღვევა,
მისი არსი და დამახასიათებელი თავისებურებები---------- 137
ოთარი კობახიძე - მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის
კოორდინაციის პრობლემების თეორიული ასპექტები ---------- 145

რეგიონული ეკონომიკა

ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა - ნავსადგურების
ფუნქციები და მისი გავლენა რეგიონის ეკონომიკურ აქტივობაზე - 154

დარგობრივი ეკონომიკა

ლელა ბოჭოიძე, მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე -
სატრანსპორტო ლოგისტიკური კლასტერების
წარმოქმნის თავისებურებანი ---------- 162
Мицкевич Андрей, Циклаури Жужуна -
Контролируемые и регулируемые затрати и результаты---------- 168

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

მედეა შენგელია - საავტორო უფლებების მართვა ინტერნეტში -- 174
ანა კატუკია - მოტივაციის მრავალფეროვნება
შედარებით მენეჯმენტში---------- 181
ანა წულაია - კორპორაციული სოციალური
პასუხისმგებლობის მარკეტინგული ასპექტები ---------- 198
ზურაბ ჯორბენაძე, არჩილ გოგრიჭიანი -
სამეწარმეო რისკის პრევენცია, როგორც
სამეწარმეო საქმიანობის განვითარების გზა ---------- 209
ირმა მახარაშვილი - გადაწყვეტილების
მიღება როგორც პროცესი---------- 216
ინგა გიგაური - სტრატეგიული მიმართულებები და
სახელმწიფოს როლი საწარმოთა ანტიკრიზისულ მართვაში------- 230
მედეა შენგელია - პირატული ბაზრის პრობლემა
მუსიკალურ ინდუსტრიაში ---------- 236
მანია გოგიძე - ორგანიზაციაში ტოპ-მენეჯერების
გუნდით მმართველობის მოდელი ---------- 243

ირმა მახარაშვილი - მმართველობითი გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური და სოციალური ჯგუფის ქცევის უნივერსალური ფორმა ---------- 253
ნინო მხეიძე, ციალა ლომაია - ახალი მიდგომები ლიდერობისადმი და ორგანიზაციული კულტურებისადმი გლობალიზაციის პირობებში ქსელური მართვის კონტექსტში ---- 263

მსოფლიო ეკონომიკა

გურამ ჯოლია - გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული ---------- 278
მანია გოგიძე - გუნდური მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პოპულარული საერთაშორისო მოდელები ---------- 311
მიხეილ კიკნაძე - მცირე და საშუალო ბიზნესი სინგაპურში------- 321
ქეთევან შენგელია - გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები ---------- 331

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 343

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Tamar Chakhunashvili - The Results of the Health Care Reform in Primary Health Care Institutions ---------- 7

Merab Kelendjeridze - The Determinants of Economic Development in the Field of Innovation and Fiscal Policy ---------- 23

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Nino Maqatsaria, Tamar Beridze, David Bibichadze - Economic Growth and Social Progress ---------- 38

Nino Samchkuashvili - World Market of Foreign Investments and Georgia---------- 48

Diana Vashakmadze - Social Responsibility and Georgian Reality----- 59

Revaz Shengelia - For the Narrow and Broad Understanding of the Categories: „ Moral Deterioration" and „Moral Obsolescence" -- 69

Badri Davitaia - The Modern Forms of Enterprises Investing in the Conditions of Market Economy ---------- 78

Eter Takalandze - Gradual Raising of the Marginal Level of Public Culture is a Prerequisite for the Creativity and Preservation of the Political - economic History (Part II) ---------- 86

Maia Soselia, Tamar Beridze ,Tamar Rostiashvili - Environmental Policy Instruments and the Issues of their Practical Usage---------- 97

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Otari Kobakhidze – The Coordination Issues of Fiscal and Monetary Policy of Georgia---------- 109

Tamar Abshilava - The Pricing-interest Strategy of Commercial Banks 119

Irakli Lashkhi - Innovative Process Management in Commercial Banks--125

Mzevinar Nozadze - Bank Insurance, its Essence and Characteristics --- 137

Otari Kobakhidze - The Theoretical Aspects of Problems of Coordination of Monetary and Fiscal Policy ---------- 145

REGIONAL ECONOMY

Lali Xarbedia, Mzisadar Bjalava - Harbor Functions and Their Influence on the Regional Economic Activity---------- 154

SECTORAL ECONOMY

Lela Bochoidze, Maia Chinchaladze, Nino Darsavelidze - The Peculiarities of Formation of Clusters of Transport Logistics--------- 162
Andrei Mickevich, Zhuzhuna Tsiklauri - The Controlled and Regulated Expenses and Results ---------- 168

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Medea Shengelia - Internet Copyright Management---------- 174
Ana Katukia - Motivation Diversity in Comparative Management ------ 181
Ann Tsulaia - The Marketing Aspects Of Corporation Social Responsibility---------- 198
Zurab Jorbenadze, Archil Gogritchiani- Business Risk Prevention, as the Way of Development of Business Activities ---------- 209
Irma Makharashvili - Decision-making as a Process ---------- 216
Inga Gigauri - Strategic Directions and the Role of the Government in the Anti-Crisis Management of the Enterprises --- 230
Medea Shengelia - Pirated Market Problems in Musical Industry -------- 236
Mania Gogidze -The Top-management-team Model in the Organization -- 243
Irma Makharashvili - Managerial Decision as the Universal Form of Behavior of Individual and Social Group ---------- 253
Nino Mkheidze, Tsiala Lomaia - The New Approaches to Leadership and Organizational Cultures in the Conditions of Globalization in the Context of Network Management ---------- 263

WORLD ECONOMY

Guram Jolia - Inversion of Globalization Vector and One Hundred Years of Developing Asia---------- 278
Mania Gogidze - The Popular International Models of Team Management and Decision-making---------- 311
Mikheil Kiknadze - Small and Medium Business (SMEs) in Singapore -----321
Ketevan Shengelia - The Influence of Global Companies and the Perspectives for Georgia ---------- 331
PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 343

ჯანდაცვის რეფორმის შედეგები პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებებში

თამარ ჩახუნაშვილი
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ეტაპობრივად განხორციელებული სტრუქტურული და მმართველობითი ტრანსფორმაციები. გასატარებელი რეფორმების მთავარ ამოცანად დაისახა ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეების კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა. ჯანდაცვის სისტემის მმართველობითი ტრანსფორმაციების მთავარი მიზანი -- მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის შემცირება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდაა. ამ თვალსაზრისით ჯანდაცვა მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცების მისიის რეალიზაციაში, რაც მართებულად ითვლება. ნაშრომში ასევე გადმოცემულია ბავშვთა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მიმდინარე ტრანსფორმაციების შედეგები; გამოკვლეულია თბილისის პოლიკლინიკებში გატარებული რეფორმების შედეგები; ჩატარებულია კვლევა პაციენტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით და გამოტანილია შესაბამისი რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიის პრობლემები; პირველადი ჯანდაცვა; საყოველთაო ჯანდაცვა; პაციენტთა კმაყოფილების დონე.

ძირითადი ტექსტი

პირველადი ჯანდაცვა თანამედროვე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.

პირველადი ჯანდაცვის როლის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ტიპი, მოცულობა, საჭირო რაოდენობა, ასევე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა. ყოველივე ეს ხელს უწყობს პოლიკლინიკების ინტეგრაციას სამედიცინო სერვისების ერთიან სისტემაში.

ბავშვთა პოლიკლინიკების განვითარების ყველა ეტაპი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყანაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. საქართველოში ცენტრალურ და რეგიონალურ დონეზე არსებობს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების რესურსებსა და მათი საქმიანობის შედეგებზე ინფორმაციას შორის. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან, გასათვალისწინებელ ფაქტორს ეროვნული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

პირველადი ჯანდაცვის სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს სტრუქტურული (ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება), პროცესის (რესურსების ეფექტური მენეჯმენტი; სამედიცინო დახმარების უსაფრთხოება; ხარისხის უზრუნველყოფა) და საბოლოო შედეგის (ფუნქციონალური ქმედითუნარიანობის პროგრესი; თვითორგანიზაციისა და თვითკონტროლის მიღწევა) ინდიკატორებით. ჯანდაცვის ეკონომიკის თანამედროვე მკვლევარი თ. ვერულავა ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემებისგან გამოყოფს: რესურსების არაადექვატურ განაწილებას (საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვა სამედიცინო მომსახურების ეკონომიკურად არაეფექტური სახეების მიწოდებაზე, როდესაც უფრო გავრცელებული დაავადებების მკურნალობის ეფექტური მეთოდები იგნორირებულია).

ჯანდაცვის სფეროში თანამედროვე პირობებში არსებული გლობალური პრობლემებს წარმოადგენს:

1. სოციალური სამართლიანობის ნაკლებობა;
2. პასუხისმგებლობის დეფიციტი;
3. პრობლემები დანერგვასა და განხორციელებაში;

4. ცოდნასა და ქმედებებს შორის არსებული შუალედი.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

1. დემოგრაფიული მაჩვენებლები;

2. ავადობა; დაინვალიდება (მყარი შრომისუუნარობა);

3. ფიზიკური განვითარება.

აღნიშნული მონაცემების კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს ჯანმრთელობა, დადგინდეს მოსახლეობის ფიზიკური, სოციალური და ფსიქიკური კეთილდღეობის დონე. არსებული მონაცემებისა და სტატისტიკური ინფორმაციის განზოგადებით გამოვყავით ჯანმრთელობისა და სამედიცინო პროცესების დინამიკის შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

1. მოსახლეობის ბუნებრივი კლება;

2. მოსახლეობის მიგრაციული აქტივობა, იძულებით გადაადგილება,ეკომიგრაცია, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

3. მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება. 30 წლამდე მამაკაცების რიცხვის სიმცირე, ასევე 70წელს ზემოთ ქალების სიჭარბე;

4. შობადობის დონის შემცირება, რაც ძირითადად დაკავშირებულია სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისებთან;

5. ავადობის ზრდა, მრავალი ავადმყოფობის „გაახალგაზრდავება“ გარემოს დაბინძურების, იმუნიტეტის დაქვეითების და სხვა მიზეზებით;

6. ინფექციური და ვირუსული დაავადებების ზრდა (დიფტერია, წითელა, სხვადასხვა ვირუსული ჰეპატიტები, ჰერპესი);

7. ტრავმებისა და მოწამვლების ზრდა, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ალერგიული ბუნების, ასევე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები;

8. დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, მიუხედავად შემცირების ტენდენციისა;

9. ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბის ღონისძიებების გატარების აუცილებლობა;

10. ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნარკომანიის და სხვა მავნე ჩვევების არსებული ტენდენციების შეჩერების და გაუმჯობესებისათვის ზრუნვის საჭიროება და სხვ.

მიუხედავად მოსახლეობის ჯანდაცვის სფეროში გადადგმული ნაბიჯებისა, სისტემა კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციების ზრდას.

საქართველოში 2011-2015 წლების მონაცემების შედარება წინა წლების მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ რეგისტრირებული შემთხვევების ზრდამ მიმართვიანობის ზრდაც გამოიწვია 48%-მდე, ბავშვებსა და მოზარდბში 30%. რასაც ხელი შეუწყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ჯანდაცვის სისტემა ვეღარ შეძლებდა ფუნქციონირებას. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმამ დღის წესრიგში დააყენა ჯანდაცვის სისტემის სრული ტრანსფორმაციის საკითხი, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

1. შესაბამისობაში ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასთან;

2. სამუშაოს მოცულობა დაბალანსებული უნდა იყოს მისი შესრულებისათვის აუცილებელი რესურსებით;

3. სისტემა მიმართული უნდა გახდეს რეგულირებადი და გამიზნული რესურსების რაციონალურ ხარჯვაზე.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა 1995 წლიდან მიმდინარეობს. პირველი ნაბიჯები პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების პრივატიზების მიმართულებით 21 საუკუნის დასაწყისში გადაიდგა. სახელმწიფომ პრივატიზაციის პროცესის დასაწყისში სამედიცინო დაწესებულებები კერძო ინვესტორებს მიჰყიდა, თუმცა მიმდინარე პროცესებზე მკაცრი მონიტორინგი არ არსებობდა. ჯანდაცვის რეფორმას საფუძვლად დაედო შემდეგი პოსტულატები:

• პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის შექმნა;

• მოსახლეობაზე ორიენტირებული პირველადი სამედიცინო დახმარება;

• შედეგზე ორიენტირებული მკურნალობა;

• სამედიცინო მომსახურების უკეთესი ხარისხი და ეფექტიანობა;

ამასთანავე, ყურადსაღებია სტარფილდის განსაზღვრა პირველადი ჯანდაცვის რგოლში ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ესენია:

1. პირველი დონის კონტაქტი ორგანიზებულ სამედიცინო მომსახურებასთან;

2. მიმდინარე და უწყვეტი მეთვალყურეობა;

3. ყოვლისმომცველობა;

4. კოორდინირება.

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ, მოსახლეობა ნაკლებად მიმართავდა პირველადი ჯანდაცვის რგოლს მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო და თვითდინებით მიდიოდა მეორე დონის სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების მისაღებად.

1992-1996 წლებში რეალური ეროვნული შემოსავალი 78%-ით შემცირდა 1990 წლის მონაცემებთან შედარებით, წლის განმავლობაში ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 1 აშშ დოლარსაც კი არ უდრიდა. უფასო სამედიცინო მომსახურების გაუქმების შემდეგ, სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სუსტი და არათანმიმდევრული მართვის ფონზე შეიქმნა მომსახურების ფასიანი, უმეტესად დაბალხარისხიანი და მოუწესრიგებელი სისტემა.

1995 წლიდან ძალაში შევიდა კანონი „სამედიცინო გადასახადის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეთა ხელფასიდან დამატებით 3%-ის დაქვითვას მათი სამედიცინო მომსახურებისათვის.

2004-2006 წლებში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო მუშაობა ჯან-

დაცვის სისტემის რეფორმაზე, მაგრამ მისი განხორციელება შეფერხდა გადაწყვეტილების მიმღებთა ერთიანი და ჩამოყალიბებული კონცეფციის უქონლობის გამო.

მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი დაიწყო 2006 წელს. ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა ჯანდაცვისა და სოციალური რეფორმების სამთავრობო კომისია. რეფორმებისათვის გეგმების შემუშავებისა და განხორციელების უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის საკითხებში. ჩამოყალიბდა ჯანდაცვის სექტორში რეფორმების განხორციელების ძირითადი პრინციპები. რეფორმის კონცეპტუალური მოდელი ითვალისწინებდა 4 სტრატეგიულ მიმართულებას:

I. აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის დაცვა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება მოხდა სამ დონედ:

ა. პირველადი ჯანდაცვა;

ბ. სტანდარტული სტაციონარული მომსახურება;

გ. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურება.

II. სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა – შესაფერისი მარეგულირებელი გარემოს შექმნა და ამოქმედება.

III. მოსახლეობისათვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარება და კომპეტენტური კადრების მომზადება.

IV. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება – სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა.

1990 წ. შეიქმნა პირველი სადაზღვევო კომპანია, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, 2006 წლისთვის სადაზღვევო კომპანიების რიცხვმა 14 მიაღწია, თუმცა დაზღვეულთა რა-

ოდენობა, რომელიც ძირითადად კორპორატიულ დაზღვევაზე მოდიოდა 100 000 მოქალაქით შემოიფარგლა. 2006 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სისტემაში ცვლილების შეტანისას ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენდა აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2008 წლის საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ" საფუძველზე მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით.

საქართველოში ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას ჰქონდა თანაბარი უფლება გამხდარიყო პროგრამის მონაწილე და სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებელი. მთავრობამ დაადგინა სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნები და უზრუნველყო სადაზღვევო კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის პირობების დაცვა.

2012 წლის 1 სექტემბრიდან მთავრობის ახალი ინიციატივით ჯანდაცვის სფეროში ყველა პენსიონერისა და 0-5 წლამდე ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის დაზღვევას გულისხმობდა. ეს დაზღვევა მოიცავდა, როგორც ოჯახის ექიმის მომსახურებას, ასევე ყველა სპეციალისტის კონსულტაციას, კვლევას, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას. პჯდ სისტემისთვის დაზღვევის ეს ფორმა თითქმის დამანგრეველი აღმოჩნდა. სახელმწიფოსა და პირველადი ჯანდაცვის ობიექტს შორის იდგა კერძო სადაზღვევო კომპანია, რომელიც პირველადი ჯანდაცვის ობიექტს 1ლ.20თ. ურიცხავდა თითო ბენეფიციარზე. მოხდა ბენეფიციარების უკანონოდ გადანაწილება, არა უბნების მიხედვით, არამედ დირექტორებსა და სადაზღვევო კომპანიის მმართველებს შორის გარიგებების საფუძველზე, რამაც გამოიწვია ისედაც სუსტი მომსახურების ხარისხის გაუარესება. პაციენტები მიმართავდნენ თავიანთ

პოლიკლინიკებს და ადგილზე იგებდნენ. რომ დაზღვეული იყვნენ სხვა პოლიკლინიკაში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

2013 წლიდან განხორციელდა მოსახლეობის დაზღვევით უნივერსალური მოცვა: თებერვლიდან დაიწყო დაზღვევის არმქონე მოსახლეობის დაზღვევა მინიმალური სადაზღვევო პაკეტით (ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება), არამომგებიანი სადაზღვევო ფონდის მეშვეობით, რომელიც ჩამოყალიბდა 2013 წელს; ივლისიდან მოსახლეობის დაზღვევა განხორციელდა უკვე საბაზისო სადაზღვევო პაკეტით. ასეთი პოლიტიკური ინტერვენციების გატარება სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი იყო, რათა ჯანდაცვაზე დანახარჯების ოპტიმიზაციით შეემცირებინა სიღარიბის დონე და განეხორციელებინა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა მომავალში. თუმცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ამ ღონისძიების იძულებით გატარება მოუწია მოსახლეობი უკიდურესი სოციალური მდგომარეობის გამო, რაც ჩვენის აზრით დროებითია და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან ერთად გადაიზრდება კერძო, ნებაყოფლობით დაზღვევაში, რასაც ჩვენი პროგნოზით რამოდენიმე წელიწადი დასჭირდება, ვინაიდა საქართველსო ბიუჯეტს ეს სასარგებლო გადაძყვეტილება მძიმე ტვირთად აწვება.

მნიშვნელოვანი მიღწევებია პირველადი ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო ინფრასტრუქტურის განახლების, რეაბილიტაციისა და ადამიანური რესურსების გადამზადების პროცესში. სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწყობა ეფუძნება რეფერალურ პრინციპს. აუცილებელია პირველადი ჯანდაცვი სექტორში მკაცრი აკრედიტაციის სისტემის შემუშავება და გამართული რეფერალის ჩამოყალიბება დონეებს შორის.

პაციენტთა აზრის შესასწავლად, შემუშავებულია მრავალი ელემენტი. არსებული ლიტერატურის შესწავლამ დაადასტურა, რომ თანამედროვე ეტაპზე ფართოდ გამოიყენება როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევები.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს პაციენტთა კმაყოფილების დონის ზრდა და მათი დამოკიდებულება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების მედ. პერსონალთან. ჩავატარეთ გამოკითხვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში სამედიცინო დაწესებულებების პაციენტებთან და მათ მშობლებთან, ბავშვთა პოლიკლინიკებში მომსახურების ხარისხისა და პაციენტთა კმაყოფილებსი დონის შესასწავლად. ქვემოთ მოცემულია დაკვირვებისა და გამოკითხვის შედეგები თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებში. დაკვირვების ობიექტად შეირჩა

თბილისში არსებული ცხრა პოლიკლინიკა. შედეგები მოცემულია ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვარებსა და ცხრილებში:

1. კითხვა: როგორ შეაფასებთ ზოგადად პირველადი ჯანდაცვის რგოლს საქართველოში?

შეფასება:

ცხრილი 1.

	გამოკითხულ პაციენტთა რაოდენობა	პასუხი	%
ა. კარგი;	1900	1292	68
ბ. საშუალო;	1900	380	20
გ. ცუდი;	1900	95	5
დ. თავს შევიკავებ პასუხისგან.	1900	133	7

პირველი კვლევიდან ჩანს, რომ ზოგადად პირველადი ჯანდაცვის რგოლის მომსახურებას პაციენტთა საშუალოდ 68% დადებითად აფასებს (იხ. სქემა 1).

1. კითხვაზე: რა კრიტერიუმით ირჩევთ სამედიცინო დაწესებულებას?

პოლიკლინიკის კრიტერიუმები:

სქემა 1.

პაციენტთა გამოკითხვის შედეგები



ცხრილი 2

პოლიკლინიკის კრიტერიუმები:	გამოკითხულ პაციენტთა რაოდენობა	პასუხი	%
ა. ტერიტორიული ხელმისაწვდომობა;	1900	551	29
ბ. ექიმების პროფესიონალიზმით;	1900	988	52
გ. ინტერიერით;	1900	95	5
დ. ახლობლების რჩევით;	1900	152	8
ე. თავს შევიკავებ პასუხისგან.	1900	114	6

როგორც ცხრილიდან ჩანს პაციენტთა უმრავლესობამ 1900 გამოკითხულიდან 988, ე.ი. გამოკითხულ პაციენტთა უმრავ-

ლესობამ 52% მიუთითა, რომ სამედიცინო დაწესებულებას ირჩევს ექიმების მაღალი დონით(პროფესიონალიზმი), შემდეგ ადგილს იკავებს ტერიტორიული ხელმისაწვდომობა, გამოკითხულთა 29% პირველ კრიტერიუმს მიანიჭა უპირატესობა. გაოკითხული პაციენტები და მათი მშობლები ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაწესებულების ინტერიერს (5%). კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ უპირატესობას ანიჭებენ ექიმების პროფესიონალიზმსა და ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას.

მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მთელ მსოფლიოში იყენებენ პაციენტთა კმაყოფილების დონის შესწავლას. თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებში ამ მაჩვენებლის შესასწავლად გამოვკითხეთ 900 პაციენტი და მცირეწლოვან ბავშვთა მშობლები, გამოკითხის შედეგების შედეგები შვაფასეთ ათ ბალიანი სისტემით და დავამუშავეთ სტატისტიკურად, რომლის შედეგები მოცემულია ქვევით მოტანილ N3 ცხრილში.

კითხვა 3: რამდენი ქულით შეაფასებთ პაციენტებისა და მათი მშობლების კმაყოფილების დონეს მომსახურების ხარისხის მიმართ?

როგორც ცხრილიდან ჩანს პაციენტები და მათი მშობლები აფასებენ 10 ბალიანი სისტემით სამედიცინო პერსონალის (პედიატრი, ქირურგი, ყელ-ყური, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი) მომსახურების ხარისხს, რომელიც არის მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის გამოსავალი. უნდა აღინიშნოს, რომ 750 გამოკითხულიდან რომელიც დაეთანხმა ანკეტის შევსებას 250 კმაყოფილია პედიატრის, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმის და კარდიოლოგის მომსახურებით. საერთო ჯამში შედარებით დაბალი ქულა მიიღო 2 ქულა ყელ-ყურ-ცხვირის ექიმმა (18) ნევროლოგმა(18) და ოფთალმოლოგმა (23).

ჩვენი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დონე შესამჩნევლად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვუახლოვდებით საერთაშორისო სტანდარტებს ამ მიმართულებით.

ექიმ-სპეციალისტების მიერ პაციენტთა მომსახურების ხარისხის (კმაყოფილების დონის) შეფასების შედეგები.

ცხრილი 3

სპეციალისტი	გამოკითხულ პაციენტთა რაოდენობა	დაეთანხმა გამოკითხვას	შეფასების ქულა							
			2 ქულა	4 ქულა	5 ქულა	6 ქულა	7 ქულა	8 ქულა	9 ქულა	10 ქულა
პედიატრი	900	750	75	25	57	100	95	48	100	250
ქირურგი	900	750	24	18	40	57	115	150	195	151
ყელ-ყურ-ცხვ	900	750	18	33	74	23	70	120	162	250
ოფთალ-მოლ.	900	750	23	0	95	115	76	110	98	233
კარდიოლ.	900	750	34	21	45	73	100	77	150	250
ნევროპა-თოლ	900	750	18	50	72	12	99	119	160	220

სამედიცინო მომსახურების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, აუცილებელია ერთ-ერთ ძირითად სექტორში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში მმართველობითი ინოვაციების დანერგვა და თანამედროვე, მოქნილი სისტემის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ბაზისურ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

დასკვნა: ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამედიცინო დაწესებულებები განიცდიან ევოლუციას. თანდათანობით იკვეთება მომსახურების პროცესში პაციენტთა უფლებამოსილება, ინფორმირებულობის და აკადემიური დონის ამაღლების, ხედვის ჩამო-

ყალიბება სერვისებისა და საჭიროებების გათვალისწინების, მოლოდინის შესაბამისობის, კმაყოფილების შესწავლის აუცილებლობა. პაციენტთა კმაყოფილების შეფასების შედეგები გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ ჩვენს მიერ შესწავლილი პოლიკლინიკების უმრავლესობაში დანერგილია:

1. ხელმისაწვდომობა;
2. კომუნიკაცია;
3. მომსახურების კოორდინაცია;
4. თავაზიანობა, პატივისცემა, მზაობა მხარდაჭერაზე;

მომხმარებელთა მომსახურება.

1. მმართველობითი ინოვაციების დანერგვამ პირველად ჯანდაცვაში განაპირობა ორგანიზაციული სტრუქტურის თანმიმდევრული სრულყოფა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

2. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, მმართველობით-ორგანიზაციული ღონისძიებების და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის რეკომენდაციების გამოყენებით მიღწეულ იქნა დადებითი შედეგები, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ვფიქრობთ შესაძლებელია საინტერესო აღმოჩნდეს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად, ასევე, მისი სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი. 2011;

2. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 1995;

3. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, 2001;

4. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, 2000;

5. საქართველოს კანონი სამედიცინო დაზღვევის შესახებ. 1997;

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013-2014 წლების ანგარიში; თბილისი 2015;

7. 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ. თბილისი. 2013;

8. საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N36. თბილისი 2013;

9. საქართველოს კონტიტუცია. 1995;

10. ბარათაშილი ე. გალახვარიძე ნ. ზარგინავა თ. ინოვაციათა მენეჯმენტი. თბილისი 2015;

11. ურუშაძე რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვა.თბილისი 2002;

12. გერზმავა ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი. თბილისი 2008

13. ურუშაძე რ. თანამედროვე საავადმყოფოს ორგანიზაცია და მენეჯმენტი. საქართველო. 2010;

14. ლომაია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი 2012;

15. http://www.moh.gov.ge/

16. https://matsne.gov.ge/

17. www.ncds.ge

18. www.worldbank.org

REFERENCES:

1. The Ministry of Labor, Health and Social Affairs, 2011-2015 Health Care strategy. Tbilisi. 2011;

2. The Law on Health Care, 1995;

3. The Law on Medical Practice, 2001;

4. The Law on Patients' Rights, 2000;

5. The Law on Medical Insurance. 1997;

6. The Ministry of Labor, Health and Social Affairs 2013-2014 Report; Tbilisi 2015;

7. 2014-2020 of the health care system, the concept of "universal health care and the quality of the management of patients' rights" approval. Tbilisi. 2013;

8. To promote the transition to universal health care in some of the measures. Government of N36. Tbilisi. 2013;

9. The constitution of Georgia. 1995;

10. Baratashvili E., Galakhvaridze M., Zarginava T. Innovation Management. Tbilisi 2015;

11. Urushadze R. Public health care. Tbilisi 2002;

12. Gerzmava N. Public Health and Management. Tbilisi 2008;

13. Urushadze R. Modern Hospital Organization and Management. Georgia. 2010;

14. Lomaia C. Human Resources Management. 2012;

15. http://www.moh.gov.ge/;

16. https://matsne.gov.ge/;

17. www.ncds.ge;

18. www.worldbank.org.

THE RESULTS OF THE HEALTH CARE REFORM IN PRIMARY HEALTH CARE INSTITUTIONS

Tamar Chakhunashvili
PhD Student, Caucasus International University

RESUME

In the work it is described the structural and managerial transformations gradually made through the Georgian Healthcare system in recent years. The main purpose of the reforms which should be provided was to ensure the constitutional guarantees of Citizens at the Health-Care area. The main scope of managerial transformations in Health-Care system is to maintain and to reinforce the health of population, the decrease in morbidity, to increase the average duration of life. From this point of view, the Health-Care is participating in realization of mission of public health reinforcement that is deemed as proper. In this work it is also stated the results of transformations implemented in Children's Primary Health-Care institution; an inspection was conducted to determine the level of satisfaction of patients and the appropriate recommendations were made.

Key words: Demographic Problems; Primary health care; Universal health care; Patient satisfaction levels.

ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ПРИ ИННОВАЦИОННОЙ И ФИСКАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ

Мераб Келенджеридзе
д.э.н., ГТУ-Профессор

« 87% ЧЕЛОВЕЧЕСТВА ИМЕЕТ САМОРОЖДЁННОЕ СВОЙСТВО ЗАПОМИНАНИЯ, А 65% СВОЙСТВО - АНАЛИЗИРОВАНИЯ »

СТАТИСТИКА ООН

В предлогаемой статье рассматриваются решающие и определяющие параметры из существующнго многофакторного анализа при двух деянии экономики ИННОВАЦИОННОЙ и ФИСКАЛЬНОЙ.

Термин «Нововведение» представляется Русским вариантом, Английского термина «Введение новации», т.е. в указанном случае, понятии «Введение новшества». Под новшеством понимается – новый порядок, новый обычай, новый метод, новое изобретение, новое явление и абсолютно всё новое, которого ранее не имелось. Словосочетание «Нововведение» в буквальном смысле означает - процесс использования новшества. Период времени между появлением новшества на рынке , называется процессом – Коммерциализации, а период между появлением новшества и его воплощением - «Нововведение» /ИННОВАЦИЯ/ и называется ***ИННОВАЦИОННЫМ ЛАГОМ.***

Естественно , переход от одной формы к другому требует определённых рессурсов (финансово /материальных, энергетических / человеческих / временных затрат и др.). Процесс перехода Новшества (Новации) в нововведение (Инновации) требует определённых и различных ресурсовых затрат основными из которых являются - *ИНВЕСТИЦИИ и ВРЕМЯ*. В условиях рынка в выде системы экономических отношении (преобретения – распродажи и др.) товарных

параметров в рамках которой формируется - спрос, предложение и ценовая политика – основными факторами инновационной деятельности выступают те новшества, которые и формируют рынок Новшеств (НОВАЦИИ), инвестиционного рынка капитала (ИНВЕСТИЦИИ), нововведении (ИННОВАЦИИ) т.е. рынок чистой конкуренции по Нововведениям. Перечисленные три основные факторы и образуют - сферу ***ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ.***

Под ИННОВАЦИЕЙ в широком масштабе понимается - прибыльное (рентабельное) деяние или его результат. Использование новшеств в виде новых технологии,новых видов производимой продукции и услуг, организационно – технических и социально – экономических решении : производственного, финансового, коммерческого, административного либо иного деяния.

Период времени - от зараждения идей, создания и распростронения новшества до его использования, принято называть - ***ЖИЗНЕНЫМ ЦИКЛОМ ИННОВАЦИИ***.

С учётом проведения последовательности работ жизненного цыкла Иновации, рассматриваются как Инновационный процесс.

В теории и на практике не существует единного подхода к составу производственных этапов жизненного цыкла продукции и услуг. В методологии комплексной системы управления качества продукции, рассматривается четыре этапа жизненного цыкла :

1. *Исследования и разработки т.е. изучение маркетинга потребления и прохождения жизненого цикла инновации (введение необходимой новизны при производственном цыкле)*

2. *Прохождение оптимальных производственных процессов с целью удовлетворения и соответствия желании потребительского спроса на вожделенную продукцию*

3. *Комплексный анализируемый учёт с целью максимума реализации выпускаемой инновационной продукции и получения соответствующих финансовых средств - плюсовым значением.*

4. *Эксплуатация - потребление жизненного цыкла инновационной продукции с целью максимального удовлетворения потребительских требовани.*

В соответствии с международной практикой - жизненый цикл инновационной продукции, разделяется на более мелкие этапы:

· ***МАРКЕТИНГ*** *– поиск и изучение соответствующего рынка, проектирования и разработки технологических требовании при инновационной продукции,*

соответствующее материально – техническому снабжению, подготовке и разработке производственных процессов и само его ИННОВАЦИОННОЕ ПРОИЗВОДСТВО

· ***РЫНОК НОВШЕСТВ / НОВАЦИИ*** *– основным товаром, которого является научный либо научно-технический результат т.е. продукция ИНТЕЛЕКТУАЛЬНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ, на который распространяются авторские и соответствующие права, оформленные в соответствии с действующими международными федеральными, корпоративными и др. законодательными и нормативными актами. По международному требованию оно называется ПАТЕНТ.*

На основе вышесказанного, можно определить предпринимательство, как творческую деятельность деловых людей, направленную на новых сфер вложения капитала, для создания новой, совершённой продукции / производства / услуг / юридических структур а также собственных преимуществ , эффективное использование различных возможностей нацеленных на получение соответствующей прибыли. Необходимо отметить, что всякий персоналий предпринимателя - выступает в качестве делового, т.е. **КРЕАТИВНОГО** человека . Однако не всякий человек может быть отнесен к категории предпринимателя т.к. предпринимательство характеризуется обязательным вовлечением в свою деятельность ИННОВАЦИОННОГО момента - будь то производство нового для рынка продукции, смена профиля деятельности или основание нового предприятия. Причем новая организация управления производством, желаемым качеством продукции , внедрение новых методов организации производства либо новых технологии - также относятся к инновационным моментам.

В экономической науке, выделяются две модели предпринимательства :

1. ***КЛАССИЧЕСКОЕ предпринимательство***

Являясь – Традиционным, Репродуктивным и Рутинным, когда предприниматель стремится организовать свою деятельность с расчётом на максимальную отдачу рессурсов именно в этих рамках и формируется концепция управления производства, выполнение которого требует соответствующего времени для проведения ряда мероприятии , за счёт внешних дел предпринимательства таких как - субсидирования, протекционизма и фискализации со стороны правительства. В этом случае приводятся и начинают функцирнировать внутренние резервы, с целью повышения рентабельности, модернизации производства и обновления ассортимента производимой продукции.

2. ***ИННОВАЦИОННОЕ / Продуктивное предпринимательство*** - предполагающее поиск новых путей развития предпринимательской деятельности, которое нацелена на концепции - управления ростом производства либо инновациями процессами. В этом случае когда предпринимательство в любой его форме, включает в себя инновационный прцесс то результатом такой деятельности выступает - новая продукция либо продукция, принципиально новыми функциональными характеристиками.

В общем плане ИННОВАЦИИ - это обновление основного капитала (производственных капиталов / финансовых , производственных фондов либо производимой продукции на основе внедрения достижений науки, техники, технологии - это закономерный процесс совершенствования общественного производства, нацеленного на усовершенствование / улучшение социально – экономических показателей. Различают следующие виды ИННОВАЦИИ:

1. ***По степени радикальности /новизны/***

· базисные инновации, которые реализуют крупные изобретения и становятся основой формирования новых поколении и направлений развития техники:

· Улучшающие инновации обычно реализующие мелкие и средние изобретения и преобладающие на сказах распространения и стабильного развития научно – технического цикла.

· Псевдоинновации - направленые на частичное улучшение устаревших поколении техники и технологии

2. ***По характеру применения :***

· Продуктивные инновации , ориентированные на производство и использование новых продукции

· Технологические инновации, нацеленные на создание и применение новой технологии, социальные ориентированные на построение и функционирование новых структур.

· Комплексные и представляющие единство нескольких видов изменении

· Рыночные , позволяющее реализовать потребности в продукции, услугах на новых рынках

3. ***По стимулу (появление источника) инновации*****,** вызванное развитием - науки и техники , инновации, вызванные потребностями производства

4. ***По функции*** - *воспроизводственном процессе*

5. ***По масштабу*** - инновации сложные (синтетические) либо инновации простые.

Побудителем развития инновации в первую очередь является- *РЫНОЧНАЯ КОНКУРЕНЦИЯ* . Производители / Поставщики и Потребители в процессе использования устаревшей техники и технологии получают дифференциальный убыток, в результате чего вынуждены сокращать издержки производства на основе инновации.

Предпринимательские компании, первыми освоившие эффективные инновации, имеют возможность - снижать издержки производства и следовательно ценовую политику реализуемой продукции (услуг), в следствии которого появляется - укрепление позыции в конкурентной борьбе с теми компаниями, которые предлогают аналогичные продукции либо услуги.

Сутью ИННОВАЦИИ является - признание новаторства и новизны как неотъемлемой черты предпринимательской деятельности , по поиску - новых идей и методов их реализации , которая и является одной из самых сложных (но решаемых) задач для пред-

принимателя.

От предпринимателя требуется - не только умение креативно мыслить и находить новые решения, но и понимать расклад сил, действующих в сложившейся обстановке.

Необходимость формирования инновационного предпринимательства – обусловлена :

· Усиление интенсивных факторов развития производства, способствующих применению научно –технического прогресса, во всех сферах экономической деятельности

· Определяющая роль науки в повышении эффективности разработки и внедрения новой технологии / техники либо услуги

· Необходимость существенного сокращения сроков создания и освоения новой техники, с повышением технического уровня производства.

· Необходжимость развития массового творчества изобретателей и рационализаторов

· Приемлемость процесса научно – технического производства, имеющего место неопределенности затрат и ярко выраженной вариантности исследовании результатов,

· предворительный анализ рисков и возможность их результатов

· Увеличение затрат и ухудшении экономических показателей, при освоении новой инновационной продукции, при быстром и моральном старении имеюшей техники

и технологии на фоне ускоренного внедрения новой техники и технологии функцией - новызны.

· Использование *ИННОВАЦИОННОЙ ТЕХНИКИ и ТЕХНОЛОГИИ* - обеспечивает структурную единицу , рейтинговое место в той нище мирового рынка где производят весьма востребованную продукцию .

· *ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНИКА и ТЕХНОЛОГИЯ* – в реальности является новизной и первенцем в современном производственном цыкле :

· *Производимая ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНИКА и ТЕХНОЛОГИЯ* - помимо производимой новизны имеет соответственно и со-

циально – экономический эффект т.е. отвечает на востребованность потребительского спроса т.к. удовлетворяет такие факторы как :

Δ создание новых рабочих мест(создание материальных благ,контроль, учёт и др)

Δ освоение - новых сырьевых источников,энергетических рессурсов и др.

Δ активное участие - в конкурентной борьбе.

Δ полное / частичное удовлетворение – потребительского спроса на продукциюю.

Δ определение ценовой политики, направленного на – каличественное увеличение потребительского спроса и экспортных поставок для международных рынков.

· *ИННОВАЦИОННАЯ ТЕХНИКА и ТЕХНОЛОГИЯ* – по постулатам экономики вложенные суммарные рессурсы должны окупатся max за 2,5 лет и только в этом случае оно считается - рентабельным

· Появление таких экономических постулатов как – «*БЛАГОТВОРИТЕЛЬНОСТЬ», «ТВОРЧЕСКИЙ УЧЁТ / CREATIVE ACCAUNTING »* и др. Показатели ФИСКАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ проводимого правительством страны.

· Установление определённых лимитов для ограничении ФИСКАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ :

Δ на фоне адекватных предпосылок либо без соответствующих политических ответственностей, которая отрицательно может повлиять на надёжность фискальной политики госсударства

Δ за период Рецессии т.е. ограничения дефицита кредита принимает характер ***Проциклической формы****

Δ фискальные ограничения - отрицательно влияют на качества фискальной политики госсударства т.к. оно не способна корректировать желаемые фискальные показатели

Δ следовательно оно отрицательно отражается на перспективе долгосрочного экономического роста

Δ следовательно оно вносит соответствующие коррективы - в наметившихся приоритетах развития экономики

Δ следовательно в ряде случаев - выполнение лимита дефицита ,

требует отказ от деянии долгосрочных структурных реформ

Δ *низкий* дефицит вызванные соответствцющими ограничениями для достижения желаемого налогооблажения , часто необходимо для сохранения «желаемого» общего числа расходной части бюджета, что чаше всего происходит на базе уменьшения госсударственных инвестиции

Δ ограничения возможны происходить на базе - «прозрачности» бухгалтерских и бюджетных операции называемых ***«ТВОРЧЕСКИЙ УЧЁТ / CREATIVE ACCAUNTING»*** т.е. установление количественных лимитов , возможно станет соответствующим стимулом для предоставления несоответствующей информации / скрытия информации и его исполнения любой ценой.

· И разные другие открытые и теневые моменты развития экономики , под дирижированием госсударственных структур.

ПРИМЕЧАНИЕ :**При экономическом развитии и положительной корреляции, уменьшается при её рецессии и на оборот увеличивается при росте** ИННОВАЦИОННОЕ Предпринимательство, как процесс включает в себя четыре стадии :

Δ ***ПОИСК НОВЫХ ИДЕЙ И ЕЁ ОЦЕНКА***

Δ ***СОСТАВЛЕНИЕ БИЗНЕС - ПЛАНА***

Δ ***ПОИСК НЕОБХОДИМЫХ РЕССУРСОВ***

Δ ***ОПТИМАЛЬНОЕ УПРАВЛЕНИЕ СОЗДАННОГО ПРЕДПРИЯТИЯ***

Указанные стадии связанные в логическую цепь выглядят следующим образом :

формирование инновационных идей

Δ

отбор наиболее перспективных идей

Δ

детальная разработка замысла и его экспертная оценка

Δ

разработка всех деталей бизнес – плана
в отношении выбранных идей

Δ

экспертная оценка бизнес - плана

Δ

экспериментальное производство продукции и испытание в условиях рынка

Δ

корректировка схемы производства с целью продвижения продукции на рынке

Δ

серрииное производство продукции и его продвижение на рынке при скорректированной схеме

Δ

окончательное согласование с потребительским спросом

Следовательно - ИННОВАЦИОННУЮ идею можно определить в виде реально существующей возможности производства оригинальной продукции / услуг/, либо его улучшенного варианта \ модификации и в лучшем случае - новых инновационных марок.

Для предпринимателя весьма важно выделить для себя - те информационные источники, позволяющие найти - желаемую и соответствующую инновационную идею.

Такими источниками, помимо креативности могут быть конкретные знания : о рынке и его потребностях, о появлении новых технологии, сыря и материалов – по факторам легкости в производственном изготовлении, с учётом их географического расположения. Конкретными источниками инновационных идей могут выступить :

1. ***сами потребители*** *т.е. изучение потребительского спроса как учённые занимающиеся – изобретением, научным поиском новых сырьевых материалов, их свойств и мн.др.*

*2 .**конкуренты ,** деятельность которых направлена на изучение потребительского спроса и ряд идей могут подтолкнуть предпринимателя к формированию персональной инновационной идей.*

*3 **торговые агенты, дилеры, медиаторы** и др. посредники консультанты . Для чего применяются особые методы , стимулирова-*

ния деятельности персонала которая систематический позволяет создавать инновационные идей. В этом отношении весьма богатый опыт имеет Япония, где используются специальные карточки для предложении :

Предложение по разработке продукции (улучшение / увеличение ассотимента) в Японии:

1.Автор предложения

2.Название службы / отдела

3.Наименование предлогаемой продукции

4.Мотивация предложения

5.Содержание предложения

6.Эскиз

7.Мнение автора , по перспективам сбыта улучшенной продукции.

Наукой обоснованны следующие ИННОВАЦИОННЫЕ ИДЕЙ происходящие по :

1.***неожиданное событие*** – успех либо неудача деятельности отрасли/юридической структуры

2.***неконгруентность*** – не соответствие между реальностью и нашим представлением – «такая, какой она должна быть»

3.***нововведение*** – основанные на потребности процесса (подразумеваются «его слабые места», которые должны быть устранены по – внезапности, изменения/ демографические - в структуре отрасли / рынка и т.д.

4.*изменения и восприятия, в настроениях и ценностных установках*

5.*стремление получения новых знании и креативные требования*

Указанные источники ИННОВАЦИОННЫХ ИДЕЙ, доступны для работающих на данном предпрпиятии / юридической структуры. Ряд из указанных источников относятся к внешним источникам ИННОВАЦИОННЫХ ИДЕЙ т.к. они имеют своё происхождение вне данного предпрпиятия / юридической структуры. Однако между факторами ИННОВАЦИОННЫХ ИДЕЙ имеются нечёткие

границы и они могут и пересекатся . следует отметить, что - хотя не одна из предпрпиятия / юридической структуры, не является изначально более важной, чем другие, где они располагаются.

После формирования ИННОВАЦИОННЫХ ИДЕЙ, перед предпрпиятиями / юридическими структурами, стоят задачи - отбора наиболее перспективных идей.

ВИБИРАЯ ИННОВАЦИОННУЮ ИДЕЮ, ПРЕДПРИНИМАТЕЛЬ ДОЛЖЕН УЧИТЫВАТЬ НЕ ТОЛЬКО НЕОБХОДИМОСТЬ ДАННОГО ПРОЕКТА, НО И ТО , НАСКОЛЬКО РЕАЛЬНА ЕГО ОСУЩЕСТВЛЕНИЕ , ПОСКОЛЬКУ ПРИ ОТСУТСТВИИ СРЕДСТВ ЛИБО НЕОБХОДИМЫХ НАВЫК КОГДА ВОЗНИКАЮТ ПРЕПЯТСТВИЯ ТО ХОРОШАЯ ИННОВАЦИОННАЯ ИДЕЯ МОЖЕТ ОКАЗАТСЯ НЕРЕАЛИЗУЕМОЙ ?!

Прежде, чем предпринимательской юридической структуре - принять решение о внедрении Инновации, необходимо выяснить ряд моментов :

- на основе маркетингового рынка / комплексное изучение потребительского рынка / какие шансы имеет инновационная продукция (допускаемый минимизированный 51% либо более, в положительную сторону) на основе существующей фундаментальной базы.

– ИМЕЮТСЯ ЛИ ОСНОВАНИЯ ДЛЯ ПОИСКА ИННОВАЦИОННОЙ ИДЕЙ ?

- КАКАЯ НЕОБХОДИМОСТЬ ДЛЯ ПРОВЕДЕНИЯ КОМПЛЕКСНОЙ ПРОИЗВОДСТВЕННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ДЛЯ СОЗДАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ПРОДУКЦИИ ?

- ЯВЛЯЕТСЯ ЛИ ИННОВАЦИОННАЯ ПРОДУКЦИЯ ОРГАНИЧНЫМ ПРОДОЛЖЕНИЕМ ПРЕДЫДУЩЕЙ / БАЗОВОЙ ПРОДУКЦИИ ?

- В СОСТОЯНИИ ЛИ ЮРИДИЧЕСКАЯ СТРУКТУРА, ОСУЩЕСТВИТЬ КОМПЛЕКСНОЕ ПРОИЗВОДСТВЕННОЕ ДЕЯНИЕ ДЛЯ СОЗДАНИЯ ИННОВАЦИОННОЙ ПРОДУКЦИИ ?

- ЗАПОЛНИТ ЛИ ИННОВАЦИОННАЯ ПРОДУКЦИЯ КАКУЮ ЛИБО НИЩУ НА РЫНКЕ?

- МОЖНО ЛИ ОХАРАКТЕРИЗОВАТЬ ИННОВАЦИОННУЮ ПРОДУКЦИЮ, КАК

ПРОГРЕССИВНЫЙ ЛИБО НОСТАЛГИЧЕСКИЙ т.е. «В СТИЛЕ КЛАССИЧЕСКОГО РЕТРО» ?

- ИМЕЮТСЯ ЛИ СХОЖИЕ ИДЕЙ У КОНКУРЕНТОВ ?

При принятии окончательного решения в связи с ИННОВАЦИОННОЙ идеей, в т.ч. взаимоотношения с конструкторско – исследовательскими работами, необходимо ответить ещё на следующие важнейщие вопросы :

какая реальная ожидаемая прибыль ?!

потенциальный реальный риск в рыночной экономике ?!

ответы на эти вопросы необходимо свести к следующему :

1.Прибыль от инновационного проекта , должна быть значительно больше, чем затраты на его реализацию.

2.Связанный с проектом риск фактор, должен находится в предельно допустимом соотношении с прибылью от его реализации.

Помимо сказанного, даже весьма перспективная инновационный лаг, сама по себе не гарантирует предпринимателю – новатору автоматический успех на рынке. Для достижения намеченных целей (получить - монопольную сверх прибыль от инновационного деяния) – предпринимателью / его юридической структуры / необходимо соблюсти некоторые условия и ответить определённым требованиям :

*Необходимость четкого представления объём спроса потенциальных потребителей на нововведения / новшества , его экономически выраженные преимущества перед существующими способами удовлетворения данной потребительской потребности

*Необходимость выявления рессурсных ограничении, которые возникают при создании - производстве - сбыте инновации т.к. весьма важно составить всесторонний прогноз экономического потенциала желаемой инновации.

*с целью успешного развития инновационного деяния, обязательным условием считается - соответствие персонала предприятия определённым требованиям. Весьма значительную роль в успехе

инновационного деяния, имеет возраст предпринимателя (оптимально 30 – 35 лет +_ 10% допустимо) и также его персональные и личностно – креативные качества, повышенная работоспособность , коммуникабельность, целеустремлённость, компетентность.

*При ограниченности : материально – финансовых и рыночной требовании, значительную роль в успехе инновационного деяния в юридической структуре предпринимателя играет качественно – административно- управленческое деяние структурных единиц. Следовыательно - именно малые инновационные предприятия наиболее эффективны т.к. у них отсутствют строго формализованные структуры управления, что и обеспечивает - оперативность и гибкость принятия решении в процессе инновационного деяния .

***Примеры по ИННОВАЦИОННОЙ политике, которые облегчили человечестчву прогресс* :**

1.В начале истории человечество придумало колесо

2. Менделеев – периодическую систему химических элементов

3.Историческое открытие – автомобиля с двигателем внутреннего сгорания

4. Г.Форд – придумал конвеерную систему производства а/машин

5.XVIII в. Историческое открытие – радио (XIX в появились радио и радиопередачи изобретателями считаются Россиянин Александр Попов и Италянец из США Гульельмо Маркони) телефона (Александр Грехем БЕЛЛ из США)

6. Человечество придумало - самолёт и вертолёт

7. Историческое освоение космоса и многое другое

***Примеры по ФИСКАЛЬНОЙ политике, которые облегчают человечестчву жизнь*:**

Правительства заключают договоры с юридическими / физическими лицами по взаимным и обоюдным интересам :

1.предоставляют новопостроенную квартиру в аренду, на долгий период новой супружеской паре, взамен на появление детей на свет минимум 5 душ, каждому открывается банков-

ский депозитарный р/счёт – т.е. стартовый капитал до совершенолетия и получая процент за весь период для существования.

При появлении 5 – го ребёнка, арендная плата отменяется и передаётся оно в полную собственность.

2.XVI президент США А. ЛИНКОЛЬН (самый высокий президент США – 193 см), использовал свою шляпу не только как предмет моды тех времён, как инновацию - хранилище - денег, писем, и важных документов, и по этому его называли «Дымоходной Шляпой», т.к. она была длиной напоминавшую трубу.

Ключевые слова:

НОВАЦИЯ, ИННОВАЦИОННЫЙ ЛАГ, ИНВЕСТИЦИЯ, МАРКЕТИНГ ,ПАТЕНТ , КРЕАТИВ, ФИСКАЛЬНАЯ ПОЛИТИКА.

REFERANCES :

1.**VARNAVSKY. V.G. "gosudarstvo – chastnoe partniorstvo, teoria I practica" / МЭ и МО. М., 2011, №9, с.4150**

2. PIVOVAROV. S. E., TARASEVICH. L.S. – "International Management", S-Peterburg, 2008,

3.BRANDBURN R. UNDERSTENDING BUSINESS ETHICS . London & NY CONTINIUM. 2007 .P.3.

4. Tavadze. G. Chomahidze. D. " Natural Vonopoly and his regulation" Tbilisi 2008(in Georgian language)

5. forum.msk.ru

6. www.b-seminar.ru

7. www.ludidela.ru

8.www.top-personal.ru

ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები ინოვაციური და ფისკალური პოლიტიკის სფეროში

მერაბ კელენჯერიძე, სტუ პროფესორი

რეზიუმე

ქვეყნის სტაბილური სოციალურ - ეკონომიკური განვითარებისათვის სასურველია შეიქმნას ყველა პირობა რეალური სექტორის მხარდასაჭერად, ფისკალური პოლიტიკის სფეროში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ძირითადი და ინოვაციური პრინციპების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვან როლს ინოვაციური პოლიტიკის მასშტაბურობაში ასრულებს მეწარმის ასაკი (ოპტიპალური 30 — 35 წ +–10%) და მისი პერსონალურ - კრეატიული მახასიათებლები, საქმითიმწარმოებლურობის, კომუნიკაბელობის და მიზანდასახულობითი რეალური კომპეტენციის საფუძველზე.

სტატიაში მოყვანილია რეალური მაგალითები - ინოვაციური და ფისკალური პოლიტიკის სფეროში .

საკვანძო სიტყვები: ნოვაცია, ინოვაციური ლაგი, ინვესტიცია, მარკეტინგი, პატენტი, კრეატივი, ფისკალური პოლიტიკა.

ეკონომიკური ზრდა და სოციალური პროგრესი

ნინო მაქაცარია
ზსსუ დეკანი, პროფესორი
თამარ ბერიძე
სტუ პროფესორი
დავით ბიბიჩაძე
სტუ პროფესორი

რეზიუმე

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე გამოწვევებს შორისაა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის ურთიერთმიმართების კვლევა თანამედროვე პრიზმაში. ეკონომიკური განვითარება და სოციალური პროგრესი მრავალასპექტიანი ცნებაა და შესაბამისად, კომპლექსურ განხილვას საჭიროებს.

საზოგადოების განვითარების ახლებურად გააზრების პროცესი მოითხოვს ყურადღება შევაჩეროთ ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში, მის ღირებულებით ფორმაში ყოველთვის ვერ აისახება საზოგადოების განვითარების რეალური სურათი და თავისთავად ის ვერ მიუთითებს სოციალურ პროგრესზე. ეკონომიკურ ზრდას ცალსახად ვერ ვუწოდებთ წარმატების ინდიკატორს.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, განვითარების თანამედროვე დონეზე, უპირატესობა ენიჭება ეკონომიკური ზრდას, რომელიც სწორედ ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია და არა ერთადერთი. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის თვისებრივ, ხარისხობრივ მხარეზე აკეთებს აქცენტებს და ეკონომიკის და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების ხარისხობრივი

ცვლილებების მაჩვენებელია.

თანამედროვე მიდგომებით, ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა, რომლის შეფასებაშიც უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეკონომიკური განვითარების კომპლექსური მაჩვენებლები. საზოგადოებრივი ღირებულება აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საბოლოოდ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება.

სოციალური პროგრესის ინდექსი - ემსახურება ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა განვითარება დავინახოთ ახალ პრიზმაში, რეალურად დავადგინოთ ქვეყნის კეთილდღეობის შემაფერხებელი მიზეზები და კონკრეტული ფაქტორების გაუმჯობესებით მივაღწიოთ მდგრად და უწყვეტ განვითარებას.

ზემოაღნიშნული მიდგომების რეალიზაციაში უდიდესი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს, სწორედ ის არის პასუხისმგებელი სოციალური პროგრესის მიღწევაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური პროგრესი.

შესავალი

საზოგადოების განვითარებისათვის ძალზე აქტუალურია ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების კვლევა, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა მოხდეს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, კერძოდ, სწორად იქნეს დანახული მისი შუალედური და საბოლოო მიზნები, რომელთა გაიგივებაც პრაქტიკაში ხშირად ხდება.

ეკონომიკური მეცნიერება უკანასკნელ ათწლეულებში ცდილობს დაინახოს და პასუხი გასცეს თანამედროვე გამოწვევებს. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც უკავშირდება დროის მოთხოვნებს, არის კეთილდღეობის ადეკვატური შეფასების და მისი საუკეთესო მაჩვენებლის ძიება.

ეკონომიკური განვითარება და სოციალური პროგრესი მრავალასპექტიანია ცნებაა და შესაბამისად, კომპლექსურ გან-

ხილვას საჭიროებს. საზოგადოების განვითარების ახლებურად გააზრების პროცესი მოითხოვს ყურადღება შევაჩეროთ ორ ისეთ მახასიათებელზე, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება. ეს ორი მაჩვენებელი ხშირად გაიგივებული იყო ერთმანეთთან. ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეკონომიკური ზრდის მიღწევაა.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკურ თეორიაში ქვეყნის კეთილდღეობას მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს უკავშირებენ. მშპ არის ინდიკატორი, რომელსაც მთელი მსოფლიო იყენებს, რამდენადაც ის არის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს ყველა სხვა მაჩვენებელზე სრულად ასახავს, მაგრამ ის არ არის ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების სრულყოფილი მახასიათებელი, ის მხედველობაში არ ღებულობს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა თავისუფალი დრო, სოციალური სამართლიანობა, უსაფრთხო გარემო და სხვ. რასაც ცხოვრების ხარისხს უწოდებენ.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში, კერძოდ, ღირებულების ფორმაში, ასახვას პოულობს ასევე ისეთი ხარისხისა თუ ასორტიმენტის პროდუქციაც, რომელიც შესაძლებელია კეთილდღეობის ზრდას არც კი უკავშირდებოდეს. ის ყოველთვის ვერ ასახავს რეალურ სურათს და არ ნიშნავს სოციალურ პროგრესს და მდგრად განვითარებას.

მეტი შემოსავალი, თავისთავად, არ ნიშნავს მეტ შესაძლებლობებს. ის ადეკვატურად ვერ ასახავს კეთილდღეობის დონეს და, მით უმეტეს, არ გამოდგება განვითარების სწორი ორიენტირების შესარჩევად.

მთლიანი შიდა პროდუქტი წმინდა ეკონომიკური მახასიათებელია, უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე ცხოვრების ხარისხის თუ კეთილდღეობის მაჩვენებელი. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად ძირითადი აქცენტი ეკონომიკურ ზრდაზეა გადატანილი და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პრობლემების თეორიულ კვლევას

ნაკლები ყურადღება ეთმობა, რაც შესაბამის ასახვას პოულობს ეკონომიკურ პოლიტიკაშიც.

ამდენად, ეკონომიკურ ზრდას ცალსახად ვერ ვუწოდებთ წარმატების ინდიკატორს. განვითარების თანამედროვე დონეზე, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურ განვითარების იმ ინდიკატორებს, რომელსაც უფრო მეტი, კერძოდ, ხარისხობრივი დატვირთვა აქვს. ეკონომიკური ზრდა სწორედ ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია და არა ერთადერთი. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის თვისებრივ, ხარისხობრივ მხარეზე აკეთებს აქცენტებს და ეკონომიკის და ზოგადად, საზოგადოების ცხოვრების ხარისხობრივი ცვლილებების მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის სიღრმისეული ურთიერთკავშირი არსებობს. რაოდენობრივი ცვლილებები საბოლოოდ გადადის თვისებრივში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკური ზრდა განვითარების არსებითი ფაქტორია. თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარება ქმნის სასურველ პირობებს ეკონომიკის შემდგომი რაოდენობრივი ზრდისთვის. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მიგვაჩნდეს, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება 90-იანი წლების საქართველოში (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი) მიმდინარეობდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, სისტემური ტრანსფორმაციის შედეგად ეკონომიკის დაცემის პირობებში.

თანამედროვე მიდგომებით, ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა, რომლის შეფასებაშიც უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ ეკონომიკური განვითარების კომპლექსური მაჩვენებლებიც, ამიტომაც კეთილდღეობის და ცხოვრების ხარისხის განხილვისას არსებობს შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც ასახავს განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და თვისებრივ მხარეებს. ესენია: ბუნებრივი რესურსები, ფიზიკური კაპიტალი, ტექნოლოგიური

ცოდნა, უმუშევრობა, სიღარიბე, მოსახლეობის რაოდენობა, მდგრადი განვითარება, კორუფცია, თავისუფლება და სხვ. ეს და სხვა მსგავსი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ პროგრესს.

საზოგადოებრივი ღირებულება აქვს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საბოლოოდ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება. კეთილდღეობის სინთეზური მაჩვენებლის შექმნაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია ე.წ. ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), რომელიც მთელ რიგ სხვა პარამეტებთან ერთად ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და განათლების დონესაც. ასეთმა მიდგომებმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ქვეყნების განვითარების დონეთა კლასიფიკაციაში, მაგალითად, მსოფლიოში უამრავი მაგალითია იმისა, რომ ისეთი ქვეყნებში, რომლებიც ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვით დაახლოებით თანაბარ დონეზე იმყოფებოდნენ, მთლიანმა ეროვნულმა პრდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე ძალიან დიდი განსხვავება შეადგინა. ასე, რომ განყენებულად ეკონომიკური ცვლადები ეკონომიკური განვითარების შესახებ ნათელ სურათს არ იძლევა.

კეთილდღეობის ერთ-ერთი სინთეზური მახასიათებელია სოციალური პროგრესის მაჩვენებელი. ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეკონომიკური განვითარების კვალობაზე გულისხმობს სოციალურ პროგრესს. ჩვენი აზრით, ეს არის თანამედროვე ეკონომიკური განვითარება, ან თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ორიენტირი.

სოციალური საკითხების პრიორიტეტულობას გამოეხმაურა საერთაშორისო პროექტი (2013 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ინსტიტუტი), რომელიც ცნობილია The Social Progress Imperative-ის სახელით. მის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრესის ინდექსი კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების მიღწევებს სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის მიხედვით აფასებს.

აღსანიშნავია 2015 წლის ჟურნალ ,,Forbes''-ში მოყვანილი ინფორმაცია იმ კვლევის შესახებ, რომელიც ჩატარდა 28 ქვეყანაში და რომელშიც მონაწილეობდა 7000-ზე მეტი ადამიანი. მისი მიზანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების გამორკვევა საზოგადოებისათვის, რომელთა წინაშეც ახლო მომავალში დადგება მსოფლიო. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პირველ ათ ადგილზე მოხვედრილი პრობლემებიდან სამი არის ეკონომიკური, ხოლო ხუთეულში კი მხოლოდ ერთია ეკონომიკური შინაარსის პრობლემა. გამოკითხულთა 33% რესურსების შეზღუდულობას, 32% - კლიმატურ ცვლილებებს, 23% კი პიროვნულ უსაფრთხოება ასახელებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სოციალური საკითხების პრიორიტეტულობას ეკონომიკურთან შედარებით.

სოციალური პროგრესის ინდიკატორი ეფუძნება სამ მაჩვენებელს:

1. ადამიანის ბაზისური საჭიროებები /კვება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ჰაერი, წყალი, სანიტარული ნორმები, საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა/
2. კეთილდღეობის საფუძვლები /საბაზო ცოდნის ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის განათლების დონე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებისადმი წვდომა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა/
3. შესაძლებლობები /ადამიანის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მიიღოს გადაწყვეტილება და შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

სოციალური პროგრესის ინდექსი - ემსახურება ცნობიერების ამაღლებას, იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა განვითარება დავინახოთ ახალ პრიზმაში, ზუსტად დავადგინოთ ქვეყნის კეთილდღეობის შემაფერხებელი მიზეზები და კონკრეტული რაოდენობრივი თუ თვისებრივი ფაქტორების გაუმჯობესებით მივაღწიოთ მდგრად და უწყვეტ განვითარებას. ინდექსის გათვალისწინება - სასიკეთო გავლენას მოახდენს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წარმატებებზე.

ზემოაღნიშნული მიდგომების რეალიზაციაში უდიდესი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ის არის პასუხისმგებელი სოციალური პროგრესის მიღწევაზე. მისმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ორიენტაცია სოციალური პროგრესისკენ. მდგრადი განვითარების პოლიტიკისაკენ კურსის აღება, როგორც ვიცით, მსოფლიოში ყველაზე აღიარებულია. მდგრადი განვითარების პოლიტიკის პრინციპებს მიღმა დარჩენა კი ნიშნავს უარის თქმას თანამედროვე გამოწვევებზე და საერთოდ, ამოვარდნას განვითარების პროცესიდან.

XX საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოება არჩევანის წინაშე დადგა - რა გზით უნდა წავიდეს მომავალში კაცობრიობის განვითარება. წარმოიშვა გლობალური პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის აუცილებლობა. აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიოში მდგრადი განვითარების პოლიტიკა.

1990 წელს დაარსებული მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (კანადა) განმარტავს: ,, მდგრადი განვითარება ნიშნავს გარემოს გაერთიანებას, ეკონომიკურ ეფექტურობას და ხალხთა კეთილდღეობას“.

მდგრადი განვითარება – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ის გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. როგორც აკადემიკოსი კომპიუგი აღნიშნავს, მდგრადი განვითარების კონცეფციას, პირველ რიგში სოციალური მნიშვნელობა აქვს და ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

მდგრადი ეკონომიკის შემადგენელი კომპონენტია მწვანე ეკონომიკა, რომელიც თვით საზოგადოების და არა სახელმწიფოს თუ კერძო ბიზნესის არჩევანია. მწვანე ეკონომიკა, ითვალისწინებს რა ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას,

ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას და ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

დასკვნა. ის ტენდენციები, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთება კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებით, მოითხოვს განვითარების სტიქიურიდან მართულ მეთოდებზე გადასვლას. წარმოების ზრდა და მასთან დაკავშირებული რესურსების გამოყენება ისეთ ლეგიტიმურ მექანიზმს ემყარება, როგორიც ღია ბაზარია. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება სწორედ საბაზრო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენებაა. ამასთან აშკარა ხდება, რომ საბაზრო აქტივობის შედეგები მთლიანობაში უნდა დაიგმოს. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ტოტალური კონტროლი გაუწიოს ყოველგვარ ეკონომიკურ აქტივობას, პირიქით, მდგრადი განვითარების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკის რეგულირებით კეთილდღეობის განმსაზღვრელმა ყოველმა ელემენტმა სოციალური ფასი მიიღოს.

თუ ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის მოკლევადიანი რაოდენობრივი მახასიათებელი და კონკრეტული ცვლადია, სოციალური პროგრესი ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი მახასიათებელია, რომელიც გულისხმობს ამ და სხვადასხვა კონკრეტული ცვლადების ერთობლიობას, მდგრადი ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულ, სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ განვითარებას.

ამრიგად, ეკონომიკური ზრდის მიმართულებას თანამედროვე მსოფლიოში განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის საფუძველი თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, არის მდგრადი განვითარება, ეს არის სოციალური პროგრესისაკენ მიმავალი გზა.

ლიტერატურა:

1. ჟურნალი "ეკონომისტი" #12, 1992; #1, 1993
2. ეკონომიკური ზრდა და სოციალური კეთილდღეობა. ლარისა ლიპარტია. /Forbes Georgia. 11 მარტი, 2014/
3. Баброва. Л. Устойчивое развития и экономика природапользования. М. 2002.
4. Бюссель Х. Indicators of Sustainable Development: теория, метод, практические использование, 2001.
5. www.bpn.ge/economika/
6. www.ipress.ge/new
7. hpp://forbes.ge/news/262/

REFERENCES

1. Journal „Economist" # 12, 1992; # 1, 1993.
2. Economic growth and social welfare. Larisa Lipartia. / Forbes Georgia. March 11, 2014 /
3 Bobrova. L. Sustainable development and environmental economics. M. 2002.
4. Byussel H. Pokzateli ustoychevogo Development: Theory, Method, practical use of 2001.
5. www.bpn.ge/economika/
6. www.ipress.ge/new
7. hpp: //forbes.ge/news/262/

ECONOMIC GROWTH AND SOCIAL PROGRESS

Nino Maqatsaria , Dean, ZSTU;
Tamar Beridze, Professor of GTU;
David Bibichadze, Professor of GTU;

RESUME

The study of the relationship between economic growth and social progress in the modern prism is among the challenges of modern economic theory. The rethinking process of community development requires the advertence to the characteristics, such as economic growth and economic development. The indicator of economic growth does not always reflect the real picture of the development of society and doubtless it is not an indicative of social progress. Unambiguously economic growth cannot be called a success indicator. On a modern level of development, in highly developed countries, the priority is given to the economic development which advantageously has a qualitative significance. Economic growth is one of the indicators of economic development, and not the only one. Economic development focuses on the qualitative side of economy and is the index of the qualitative changes of the society wellfare.

According to the modern approach, one of the important features of the economy is a transition to a new qualitative growth and its evaluation should include the complex indicators of economic development. The economic growth, which is ultimately reflected in the improved quality of life, has a social cost. According to all the above mentioned approaches, the state plays a significant role. The government is considerably responsible for social progress. The orientation of economic growth should be directed towards the social progress.

Keywords: Economic Growth, Economic Development, Economic Policy, Social Progress.

უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ბაზარი და საქართველო

ნინო სამჭკუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

გლობალიზაციის აქტიური მომხრეების ერთ-ერთ გავრცელებულ მოსაზრებას წარმოადგენს თეზისი იმის შესახებ, რომ უცხოური ინვესტიციები, და განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანობაში პოზიტიური მოვლენაა, რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის დეფიციტის მქონე ქვეყნებში ფინანსური რესურსების გაზრდას და მათი ტექნოლოგიების და წარმოების დარგობრივი სტრუქტურების ინტენსიური გარდაქმნის სტიმულირებას. რიგ განვითარებად ქვეყანაში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს თავიანთი ეკონომიკის რეფორმირება, აქტიურად და დიდი მოცულობით იქნა მოზიდული უცხოური კაპიტალი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ვერ შესძლეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მთავრობა ახორციელებდა არასწორ საინვესტიციო პოლიტიკას.

მრავალი ეკონომისტის აზრით საქართველო საჭიროებს უცხოური ინვესტიციების ნაკადის მნიშვნელოვან გაზრდას სტრუქტურული რეფორმებისათვის, ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკაში თავისი ადგილის წარმატებით დაკავებისათვის, რომელიც შესაბამისობაში იქნება ჩვენი ქვეყნის რესურსულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ადამიანურ პოტენციალთან.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, უცხოური ინვესტიციები, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ევროკავშირი, განვითარებადი ქვეყნები.

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და განვითარების ტემპის ზრდა მიმდინარეობს იმაზე ნელა, ვიდრე იყო მოსალოდნელი. დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ეკონომიკურ არასტაბილურობას და პოლიტიკურ განუსაზღვრელობას მივყავართ იმ სიტუაციამდე, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები ვერა და ვერ დაუბრუნდა კრიზისამდე არსებულ დონეს.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკისათვის ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების როლი, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება შიდა ინვესტიციებს. ეს განპირობებულია იმით, რომ უცხოური ინვესტიციები შემოდის არა მხოლოდ კაპიტალის, არამედ შესაძლოა წარმოდგენილი იქნას თანამედროვე ტექნოლოგიების, მართვის ახალი მეთოდების და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სახით. მაგრამ მათი მოზიდვისათვის აუცილებელია არსებობდეს კარგად გააზრებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელმაც უცხოური ინვესტორებისათვის უნდა უზრუნველყოს ბიზნესის წარმართვის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ასევე შექმნას ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატი.

ძირითადი ტექსტი

ყველა სახის უცხოურ ინვესტიციას შორის სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია წარმოადგენს ეკონომიკის გლობალიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ყოველწლიურად მათი ნაკადები და მოცულობები, როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში იზრდება. ამას ადასტურებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემები, რომელიც გამოქვეყნდა ყოველწლიურ მოხსენებაში: მსოფლიო ინვესტიციები 2015 წელს [1].

ამ მოხსენებაში მოყვანილი მონაცემების მიხედვით მსოფლიოში ინვესტიციების მოცულობა 2015 წელს გაიზარდა 36%-ით და შეადგინა 1,7 ტრილიონი აშშ დოლარი - რაც წარ-

მოადგენს ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2007 წლის შემდეგ. UNCTAD-ის აზრით საინვესტიციო აქტივობის ასეთი ზრდა განპირობებული იყო უფრო კომპანიების ტრანსსასაზღვრო შერწყმითა და შთანთქმით, ე.ი. აქ იგულისხმება არა საწარმოო აქტივების, არამედ ფინანსური რესურსების მოძრაობა [1].

ამასთან მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი სტრუქტურა, ამჟამად უცხოური ინვესტიციების მიმღებები გახდნენ განვითარებული ქვეყნები. ნამატმა 2015 წლის განმავლობაში შეადგინა 90%. ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში ინვესტიციები



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ UNCTAD-ის 2015 წლის ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით [1]

დიაგრამა 1. ინვესტიციების მთლიანი მოცულობა მსოფლიოში ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2000-2015 წლებში (მილიარდ აშშ $)

გაიზარდა 4-ჯერ ისტორიულად ყველაზე დაბალი 2014 წლის შემდეგ, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ, დოლარის კურსის ზრდამ სხვა ვალუტებთან შედარებით და ნავთობზე ფასების კლებამ, რამაც გა-

ხადა ისინი უფრო მიმზიდველი, ვიდრე განვითარებადი ქვეყნები (დიაგრამა 1).

როგორც 2-ე დიაგრამიდან ჩანს , ინვესტიციების მოცულობამ, რომელიც შევიდა აშშ-ში წლის განმავლობაში შეადგინა 384 მილიარდი დოლარი, რამაც საშუალება მისცა მას მოზიდული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით გადასულიყო პირველ ადგილზე მსოფლიოს მასშტაბით. ჰონკონგსა და ჩინეთში ინვესტიციებმა შეადგინეს შესაბამისად 163 და 136 მილიარდი დოლარი. სწორედ ამ ქვეყნებისათვის უპირატესად დამახასიათებელი იყო საერთაშორისო კორპორაციების რეორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური სახსრების გადაადგილებასთან, ასევე მრავალმილიარდიანი გარიგებები, რომლებიც პრაქტიკულად არ არიან დაკავშირებულნი რეალური სახსრების მოძრაობასთან.



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ UNCTAD-ის 2015 წლის ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით [1]

დიაგრამა 2. ათი ლიდერი ქვეყანა უცხოური ინვესტიციების შემოდინების მხრივ 2015 წელს (მილიარდ $-ში)

ევროკავშირის ქვეყნებში ინვესტიციების საერთო მოცულობა გაიზარდა 60%-ზე მეტად და სამი წელი ჩავარდნის შემდეგ შეადგინა 426 მილიარდი დოლარი. ინვესტიციებმა ნიდერლანდებში 90 მილიარდი დოლარი შეადგინეს (+146%), დიდბრიტანეთში კი 68 მილიარდ დოლარი (+29%). შეინიშნება ინვესტიციების ზრდა საფრანგეთშიც 44 მილიარდ დოლარამდე, რაშიც დიდი როლი ითამაშა შვეიცარული კომპანიის Lafarge SA by Holcim Ltd.-ის შესყიდვამ. მთლიანობაში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევად გაუმჯობესდა რეგიონში ფინანსური და მაკროეკონომიკური მდგომარეობა [3].

აზიის განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების ნამატმა შეადგინა 15%, ხოლო მოცულობა გაიზარდა 548 მილიარდ დოლარამდე. რეგიონზე მოდის მსოფლიოში განხორციელებული ინვესტიციების დაახლოებით მესამედი. მაგრამ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მოხდა ინვესტიციების საგრძნობი კლება, რაც განპირობებული იყო, ნავთობზე და სხვა რიგ რესურსებზე ფასების ვარდნით, რამაც გამოიწვია ის, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ დაკარგა საინვესტიციო მიმზიდველობა. ინვესტიციების ნაკადი აფრიკაში შემცირდა 31%-ით და შეადგინა 38 მილიარდი $. მაგალითად, ნიგერიაში ინვესტიციები შემცირდა 27%-ით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 74%-ით. ანალოგიური სიტუაცია შეიმჩნევა ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც, სადაც მოხდა ინვესტიციების ნაკადის 19%-იანი შემცირება [4].

FDi Markets-ის მონაცემების მიხედვით 154 განვითარებადი ქვეყნიდან 97-მა, წინა წელთან შედარებით, განიცადა ახალ პროექტებში კაპიტალდაბანდებების შემცირება. 97-დან 25 ქვეყანაში, რომლებშიც ინვესტიციების შემცირების ტემპი მაღალი იყო, კაპიტალდაბანდებები ახალ პროექტებში დაეცა ნულამდე. 42 ქვეყანაში კი ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით 50%-ით შემცირდა [5].

თუ ვისაუბრებთ კაპიტალის განვითარებადი ქვეყნებიდან გადინების შესახებ, მაშინ თანამედროვე ეტაპზე ინვესტიციების შემცირება აიხსნება განვითარებადი ბაზრებისადმი (Emerging markets) ინტერესის ბუმის შემცირებით, ამიტომ ნე-

ბისმიერი, არც ისე ცუდი შედეგიც კი გამოიყურება სუსტად წინა წლებთან შედარებით.

პრაქტიკაში, ზოგიერთ ქვეყანაში საწესდებო კაპიტალში 10%-იანი წილი იმ საწარმოში, რომელშიც უნდა მოხდეს ინვესტირება, ითვლება არასაკმარისად მართვაზე ეფექტური კონტროლის ან ინვესტორის ხანგრძლივვადიანი დაინტერესების დემონსტრირებისათვის. ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანობაში უნდა იყოს საკმაოდ მსხვილი და ხანგრძლივვადიანი იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს უცხოელ ინვესტორს განახორციელოს ეფექტური კონტროლი მის მიერ ინვესტირებულ საწარმოს მართვაზე, ასევე უზრუნველყოფილი იქნას მისი გრძელვადიანი დაინტერესება ამ საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებასა და განვითარებაზე.

ამასთან, კაპიტალდაბანდების ხანგრძლივი ვადა ინვესტორს უზღუდავს ბაზრიდან სწრაფად გასვლის შესაძლებლობას და ამით აძლიერებს მისდამი ქვეყანა- იმპორტიორის ინტერესს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ. ბევრ ქვეყანაში საინვესტიციო კაპიტალის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია რეგულირდება კანონმდებლობით, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, როგორც წესი, არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტიციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შერჩევასა და რეალიზაციაზე.

საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტორებისათვის, ქმნის მიმზიდველ პირობებს უცხოური კაპიტალისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 10 972.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1 758,4 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 86,7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის II კვარტალში 355 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 81%-ით აღემატება 2014 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებს [6].

როგორც ვხედავთ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ამ ტენდენციის შენარჩუნებისათვის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატაროს. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2016 წელი საპარლამენტო არჩევნების წელია და როგორც წესი ამ პერიოდში საინვესტიციო აქტივობა იკლებს.

2015 წლის II კვარტალში, უმსხვილესი უცხოური ინვესტორი ქვეყნების მიხედვით პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი (მთლიანის ინვესტიციების - 45.2%), საიდანაც 160.2 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა. 2015 წლის მეორე კვარტალში, აზერბაიჯანიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიცია კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სექტორში განხორციელდა და მან 153 მილიონი დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანიდან ინვესტიციების შემოდინება დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში, საფინანსო სექტორში და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში. კომპანიები, რომლებშიც აზერბაიჯანული ინვესტიციები განხორციელდა შემდეგია: BP Group, სოკარ ენერგი ჯორჯია, ამერიკან ტრეიდინგ კომპანი , შპს ინტი და შპს ახალი სიცოცხლე.

მეორე ადგილზეა ნიდერლანდები (19.1%), საიდანაც 67.7 მლნ აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო მესამე ადგილს თურქეთი იკავებს. აღსანიშნავია რომ თურქეთიდან განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა ბოლო სამი წლის მაქსიმუმზეა და მან 41 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ასევე გაორმაგებული მაჩვენებელია. თურქეთიდან, აზერბაიჯანის მსგავსად, ყველაზე მსხვილი ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა და მან 26 მილიონი დოლარი შეადგინა. თურქული ინვესტიციები მეორე კვარტალში შემდეგ კომპანიებზე მოდიოდა: ჯეოსელი, ტავ ურბან



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [6]

დიაგრამა 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.

საქართველო, აჭარა ტექსტილე, სს მეტრო ავრასია ჯორჯია და სს მინა. [6].

ამჟამად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავარ გამოწვევად რჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონების შესახებ. შექმნილია სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - ფოთში, ქუთაისსა და თბილისში. ეს ზონები ჯერ კიდევ ინვესტორთა მოზიდვის და ძირითადად მრეწველობის დარგში საწარმოების შექმნის პროცესში არიან. ამიტომ მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და უცხოური ინვესტიციების მდგომარეობაზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა.

ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს განვითარებისათვის ჯერ კიდევ არახელსაყრელი პირობებია შექმნილი. ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ფორმირების პროცესში ბევრი პრობლემა და

ნაკლოვანებაა გადასაჭრელი. აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას. ჩვენ ვფიქრობთ საქართველოში არსებული საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია, ამასთან საქართველოში არის საგადასახადო განაკვეთების მაღალი დონე, რაც ინვესტორთა და მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

დასკვნა

ამრიგად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში საქართველოს შესწევს უნარი გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, მაგრამ ამისათვის აუცილებელია გაატაროს აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სტრატეგიული და ფინანსური ინვესტორების მოზიდვაზე, საქართველოს კომპანიების მიმართ ნდობისა და ინტერესის ამაღლებაზე. თანამედროვე სიტუაციაში აუცილებელია არა უბრალოდ ინვესტორებთან მუშაობა, რომლებიც დამოუკიდებ-

ლად შემოვიდნენ ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ უნდა განხორციელდეს ახალი ინვესტორების აქტიური მოძიება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მოქმედი საინვესტიციო მექანიზმები ჯერჯერობით არ იძლევიან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი აძლიერებენ საქართველოში ჩამოყალიბებული საინვესტიციო პროცესის ნეგატიური ფაქტორებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნას. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომლის დროსაც ინვესტორები დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათ მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებები დაცული იქნებიან სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, გაზრდის საქართველოს ეკონომიკისადმი ნდობას და უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Official Site of UNCTAD. WORLD INVESTMENT REPORT 2015. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2015_en.pdf

2.Руйга И. Р. Современные тенденции рынка прямых иностранных инвестиций. https://e-koncept.ru/2015/15082.htm

3.Чайка О. Рейтинг наиболее инвестиционно привлекательных стран и крупнейших стран-инвесторов. World Economic Journal. http://world-economic.com/ru/articles_wej-350.html

4.Топ – 10 стран по обьему иностранных инвестиций. Вести. Экономика. 21.01.2016. http://www.vestifinance.ru/articles/66544

5.Королева А. Инвесторы бегут с развивающихся рынков. Expert Online. http://expert.ru/2015/09/15/investitsionnyij-obval/

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. http://www.geostat.ge

REFERENCES:

1. Official Site of UNCTAD. WORLD INVESTMENT REPORT 2015. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2015_en.pdf

2. Ruyga I. R. Current trends of the market of direct foreign investments. (In Russian Language) https://e-koncept.ru/2015/15082.htm

3. Chaika O. Rating of the most investment attractive countries and largest countries investors. World Economic Journal. (In Russian Language) http://world-economic.com/ru/articles_wej-350.html

4. Top – 10 countries on the volume of foreign investments.Vesti. Economy. 21.01.2016. (In Russian Language) http://www.vestifinance.ru/articles/66544

5. Koroliova A. Investors run from emerging markets. Expert Online. (In Russian Language) http://expert.ru/2015/09/15/investitsionnyij-obval/

6. National Statistics Georgia. Foreign Direct Investment. (In Georgian Language) http://www.geostat.ge

WORLD MARKET OF FOREIGN INVESTMENT AND GEORGIA

Nino Samchkuashvili.
Doctor of Economics,Associate Professor
of Georgian National University

RESUME

One of widespread statements of active supporters of globalization is the thesis about volume, foreign investments, and, in particular, direct foreign investments, in general the positive phenomenon promoting increase in financial and other structures of production. In the last 10-15 years a number of developing countries which were successfully reforming the economy actively attracted the foreign capital. Due to it is possible to assume that inability of other developing countries to provide a stable inflow of direct foreign investments in many respects is explained by the wrong investment policy.

Georgia as many economists consider, needs an essential increase in inflow of foreign investments for a successful completion of structural reforms, large-scale modernization of economy and an exit to positions in world economy, adequate to its resources, scientific and technical and human potentials.

Key Words: Globalization, Foreign Investment, State Investment Policy, Foreign Direct Investment, the EU, Developing Countries.

სოციალური პასუხისმგებლობა და ქართული რეალობა

დიანა ვაშაყმაძე,
ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სოციალურ პასუხისმგებლობა დღეისათვის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა. მსხვილი კომპანიები აქტიურად იყენებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც იარაღს საკუთარი იმიჯის ფორმირებისას. ამ მიმართულებით გამოირჩევა ქართული კომერციული ბანკები. დღეს თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით.

ჩვენს მიერ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში საბანკო სექტორი ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კუთხით აქტიურად იყენებს სოციალურ პასუხისმგებლობას იმიჯის გაძლიერების მიზნით.

დღეისათვის საქართველოში შეინიშნება კომპანიების მცდელობა მოიპოვონ მომხმარებელთა კეთილგანწყობა და აქტიურად იყენებენ სოციალურ პრობლემატიკას თავიანთ სარეკლამო თუ საიმიჯო გზავნილებში. ამგვარი მიდგომა შესაძლოა გამართლებულიც იყოს საქართველოს ტიპის ქვეყნებში, რადგან ქართველი მოსახლეობა ქველმოქმედების მიმართ სენსიტიურია და ის უმეტესად ხელს უწყობს, რომ მომხმარებელი გახდეს ლოიალური ბრენდის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ პასუხისმგებლობა, სოციალურ პასუხისმგებლობის იმიჯი, ქველმოქმედება.

შესავალი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ეს არის ბიზნესის კეთილი ნება გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით“ – ამერიკელი მეცნიერის გორდონ ფიტჩის ეს განმარტება ყველაზე ზუსტად ასახავს მის არსს.

დღეს თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. ანალიტიკოსების შეფასებით მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მათზე „ზეწოლა“ მოთხოვნების თვალსაზრისით სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მზარდია. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ წარმატებულთა რიცხვში ხვდებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემა თითქმის 10 წლისაა. პირველად თემა გააქტიურდა 2005 წელს, როდესაც გაიმართა შეხვედრები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ბიზნეს სექტორს შორის. შეხვდრებს გაცნობითი და საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა, მიღებული იქნა პირველი მემორანდუმი სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ქართული კომპანიების დიდი სოციალური პროგრამების განხორციელებას ძირითადად საკუთარი რესურსების ხარჯზე ცდილობენ, მათ ქმედებას ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი საქმელმოქმედი სახე უფრო აქვს, ვიდრე სისტემური სოციალური პასუხისმგებლობის პროექტს. დასავლეთში სოციალური პროექტების განხორციელება ძირითადად არასამათავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით ხდება.

ძირითადი ნაწილი

სოციალურ პასუხისმგებლობა დღეისათვის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა. მსხვილი კომპანიები აქტიურად იყენებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც იარაღს საკუთარი იმიჯის ფორმირებისას. ამ მიმართულებითაც აქტიურად გამოირჩევა ქართული კომერციული ბანკები: თიბისი ბანკის ვებ გვერდზე ჩამოთვლილია ყველა ის პროექტი რომელსაც თიბისი ბანკი 2014 წლის მანძილზე დააფინანსა სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში: ყოველწლური ლიტერატურული კონკურსი „ საბა“, რომელიც 2003 წლიდან თიბისი ბანკის ინიციატივით ყოველწლიურად იმართება, 2014 წელს მეთორმეტედ ჩატარდა. „საბას“ დაჯილდოების ცერემონია სექტემბერში შედგა და მასზე გასული წლის საუკეთესო წიგნები 10 ნომინაციის მიხედვით გამოვლინდა. ასევე ელექტრონული წიგნები, www.saba.com.ge - ეს არის თიბისი ბანკის მიერ შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიური პროექტის - „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლის ვებმისამართი. მასზე განთავსებულია პრემია „საბას“ სხვადასხვა წლების ლაურეატი და ნომინანტი წიგნების ელექტრონული ვერსიები, ასევე ქართული და უცხოური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, თანამედროვე ბესტსელერები. 2014 წელს დაფინანსებულ პროეტებს შორისაა, თიბისი არტ გალერეაში აქტიურად გაგრძელდა საქართველოს არტპროცესის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და მაღალმხატვრული არტეფაქტების საზოგადოების წინაშე წარდგენა. ოთხი ექსკლუზიური გამოფენა, რომელიც წლის განმავლობაში თიბისი არტ გალერეაში შედგა, მისი სტრატეგიის ერთგვარი გაგრძელება იყო და მიზნად ისახავდა ქართული ვიზუალური ხელოვნების ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების პოპულარიზაციას. ასევე იყო ფროექტები რომელიც ხელს უწყობს, ქართველი ხელოვანების პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ, ასევე თიბისი გალერეა, 2014 წელს აქტიურად აგრძელებდა 2005 წელს დაწყებულ ტრადიციას - თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული

ცენტრის ფუნქციის შესრულებას. თიბისი ბანკის სათაო ოფისში განთავსებულმა თიბისი გალერეამ 2014 წელს 50 კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა.

თიბისი გალერეაში გამართულ ღონისძიებებს ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ესწრება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას.

თიბისი ბანკის მიერ 2014 წელს, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში დაფინანსებული ეს და სხვა პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის შესახებ ვებ გვერდზე საუბარი არ არის.

რაც შეეხება „საქართველოს ბანკს," ის 2014 წლისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 2.3 მილიონი ლარი გამოყო. პრიორიტეტები კი შემდეგნაირად ნაწილდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები - შშმ ბავშვების მხარდასაჭერად ფონდი „სიცოცხლის ხე" მდგრად პროექტებს ახორციელებს. პროექტები პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ხორციელდება. ფონდი „სიცოცხლის ხე" პერიოდულად საგრანტო კონკურსებს აცხადებს. გრანტის მიღება შშმ პირების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, სამეზობლოებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს შეეძლებათ. გრანტის სახით გამოყოფილი თანხები ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და ინტეგრაციაზე მიმართულ პროექტებს ხმარდება.

განათლება - განათლების მიმართულებით ფონდი „სიცოცხლის ხე" რამდენიმე პროგრამას ახორციელებს. დაფინანსების ძირითადი ნაწილი სტუდენტებისთვის სტიპენდიების გამოყოფას ემსახურება. ფონდი აფინანსებს ქართველ სტუდენტებს საქართველოში, ამერიკასა და ბრიტანეთში მაგისტრატურის გასავლელად.

გარემოს დაცვა - „სიცოცხლის ხის" ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს გარემოს დაცვა წარმოადგენს. ამ მიზნით „სიცოცხლის ხემ" ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდაჭერისათვის დაფინანსება გამოყო და სხვა გარემოს დაცვის პროექტები განახორციელა.

საქართველოს ბანკი საჭიროებიდან გამომდინარე პერიოდულად მართავს სხვადასხვა ტიპის საქველმოქმებო ღონისძიებებს, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პროექტი - „მეოცნებე ბავშვები“. პროექტის ფარგლებში, ქ. რუსთავში არსებული ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლის ცხრავე აღსაზრდელის სახელზე, „საქართველოს ბანკმა“ გახსნა საბავშვო ანაბარი და თითოეულზე 1,000 ლარი ჩარიცხა. ამასთან, ბავშვების სრულწლოვანებამდე, ყოველ თვე ბანკი გააკეთებს დამატებით შენატანს 50 ლარის მოცულობით. პროექტში „მეოცნებე ბავშვები“ წვლილის შეტანა, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია. თანხა თანაბრად განაწილდება ცხრავე ბავშვის ანაბარზე. პროექტს „მეოცნებე ბავშვები“, წინ უძღოდა სატელევიზიო რგოლებისა და ბილბორდების სერია, სადაც მზრუნველობამოკლებულმა ბავშვებმა საკუთარი სურვილები წარმოაჩინეს. სატელევიზიო რგოლებისა და ბანერების მიზანი, ზოგადად ბავშვებზე ზრუნვის საკითხზე ყურადღების გამახვილება იყო. „პროექტი „მეოცნებე ბავშვები“ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ნათელი მაგალითია, როდესაც კომპანია ახდენს სოციალურ თუ გარემოსდაცვით საკითხზე ზრუნვის ინტეგრაციას მის ბიზნეს ოპერაციებში და უერთიერთობაში მომხმარებლებთან.

თუ სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით აღნიშნული ორი ბანკის შედარებით ანალიზს გავაკეთებთ, 2014 წლის მონაცემებით თიბისი ბანკისთვის პრიორიტეტია კულტურული ტიპის ღონისძიებების დაფინანსება, საქართველოს ბანკისთვის კი უფრო საგანმანათლებლო პროექტები და შშმპ პირები.

რაც შეეხება სხვა ბანკებს, პროკრედიტ ბანკის ვებ გვერდზე სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ნათქვამია: სოციალური პასუხისმგებლობა პროკრედიტ ბანკის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. მასვე ეფუძნება ბანკის ბიზნეს მოდელი. პროკრედიტ ბანკი, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული და სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ბანკი, ყველა სახის საქმიანობას პასუხისმგებლიან საბანკო საქმიანობის პრინციპებს აფუძნებს.

პროკრედიტ ბანკის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულ რამდენიმე სოციალურ პროექტთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტი ProArt, რომლის მიზანი იყო ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, ProArt ფოტოგრაფია - პროარტ პროექტის გაგრძელება და პროექტი „Help the Children". პროექტი ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის განხორციელდა და მიზნად ისახავდა პოსტ-ტრავმული სტრესის დაძლევაში მათ დახმარებას.

რაც შეეხება ლიბერთი ბანკს, ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ რომ ლიბერთი ბანკსა და „სოლოდარობის ფონდს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ლიბერთი ბანკმა შექმნა ინფრასტრუქტურა, რის მეშვეობითაც ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება გადარიცხონ თანხა სოლიდარობის ფონდში. დამატებით ლიბერთი ბანკი ყოველი თვის ბოლოს სოლიდარობის ფონდში რიცხავს საბანკო ოპერაციებიდან შემოსული თანხის ნაწილს. ვებ ვერდზე მოყვანილი ინფოგრაფიკის მიხედვით კი 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის მარტის თვის მონაცემებით სოლიდარობის ფონდში გადაირიცხა 629,337 ლარი. აქედან ლიბერთი ბანკის მიერ გადარიცხული თანხის მოცულობაა 126,645 ლარი ხოლო მომხმარებლის მიერ გადარიცხული თანხის მოცულობა - 502,693 ლარი.

რაც შეეხება ქართულ ბაზარზე ახალ მოთამაშე - „პაშა ბანკს" ოფიციალურ ვებ გვერდზე ნათქვამია, რომ სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით, პაშა ბანკმა 2014 წლის 8 აპრილს, მისი პარტნიორების სახელით, ფონდში „პირველი ნაბიჯი საქართველო" – 10 000 ლარი გადარიცხა.აღნიშნული თანხა მოხმარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების სწავლა-განათლებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

„პირველი ნაბიჯი საქართველო" – 1998 წელს დაარსდა და მისი მიზანია ინტელექტუალური და ფიზიკური შეზღუდუ-

ლი შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მათი უფლებების დაცვა.

პაშა ბანკი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად, პერიოდულად სხვადასხვა ღონისძიებებს უწევს სპონსორობას. გასული წლის განმავლობაში, პაშა ბანკი გამოირჩეოდა სოციალური და ბიზნეს პროექტების მხარდაჭერით, კერძოდ, მან დაასპონსორა:

- სემინარი „A New Management Paradigm for a New Age of Managers“ და „4D Branding – Surprise Branding.“
- ბიზნეს განვითარების ფორუმი, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმო საქართველოს ეკონომიკის გამოწვევებს, ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებას და ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების განხილვას.
- ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი Business Brilliance Awards, რომლის ორგანიზატორი იყო ბრიტანული კომპანია BOC (Blue Ocean Consultancy) Global Event and Training Group.
- ქართული პანორამა თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი. თბილისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიების სპონსორობისას ბანკისთვის უპირველესი მოტივაცია იყო საქართველოში ფილმის ინდუსტრიის განვითარებაში წვლილის შეტანა.

ასევე შეგახსენებთ, რომ პაშა ბანკი Caspian Energy-ს მხრიდან 2014 წლის ბანკად დასახელდა, „წლის ბანკის“ ნომინაციაში გამარჯვება პაშა ბანკის გენერალურ დირექტორს შაჰინ მამმადოვს, საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა მიულოცა.

ამჯერად, პაშა ბანკი თანადგომას გამოხატავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ და უერთდება სოციალურ პასუხისმგებლობას მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

ჩვენ ვეცადეთ ყველა ბანკის შესახებ მოგვეძია ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რათა ჩვენი ანალიზი

ქართულ საბანკო სექტორში სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ უფრო ეფექტური ყოფილიყო. ბანკი რეპუბლიკის ვებ გვერდზე გვხდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

ბანკ „რესპუბლიკის", როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტის მიზანია, იყოს სანიმუშო ბანკი, რომელიც მთლიანად კლიენტთა საჭიროებებზეა ორიენტირებული, პროფესიონალურ და ეთიკურ გადაწყვეტილებებს იღებს და ხელს უწყობს ეკონომიკის დაფინანსებას.

ბანკის ამ მიმართულებით გატარებული სამუშაოები ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის" მიერ განსაზღვრულ სოციალური პასუხისმგებლობის მთავარ ინდიკატორებს (მმართველობა, ბიზნესი, სოციალური ასპექტი, გარემოსდაცვითი ასპექტი, სპონსორობა) ეფუძნება. ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უფლებების დაცვას, მათთვის უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, თანამშრომელთა სათანადო პირობებით დაზღვევას, სხვადასხვა სახის შეღავათებს, ტრენინგებს, თანამშრომელთა წახალისების პროგრამებს და ა.შ.

ბანკი მუდმივად ცდილობს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანას. იგი ახორციელებს საკუთარ პროექტებს და ეწევა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების სასპონსორო საქმიანობას.

2015 წლის 13 ინისს თბილისში განვითარებულმა სტიქიამ კიდე ერთხელ დააყენა დღის წესრიგში კომერციული ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური პასუხისმგებლობის კლუბმა (CSR) თავი მოუყარა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას , რომელიც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით გავრცელდა. მათ შორის კომერციული ბანკების შესახებაც ვპოულობთ ინფორმაციას: 13 ივნისს მომხდარ სტიქიით გამოწვეულ ტრაგედიას, დაზარალებულთა დახმარებისა და ქალაქის რეაბილიტაციის მიზნით, თიბისი ბანკმა გადარიცხა 50 000 ლარი, საქართველოს ბანკმა კი - 100 000 ლა-

რი, 30 ათასი ლარი იქნა გადარიცხული ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსოეტე ჟენერალი“-ს მიერ, მათი თაოსნობით ასევე დაზარალებული ოჯახებისთვის შეგროვილი პირველადი მოხმარების საგნები საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას გადაეცა ბენეფიციართა დახმარებისთვის. ასევე 30 ათასი ლარი გადარიცხა პროკრედიტ ბანკმა, ხოლო 100 ათასი ლარი იქნა გადარიცხული ლიბერთი ბანკისგან.

დასკვნა:

ჩვენს მიერ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში საბანკო სექტორი ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის კუთხით აქტიურად იყენებს სოციალურ პასუხისმგებლობას იმიჯის გაძლიერების მიზნით.

დღეისათვის საქართველოში შეინიშნება კომპანიების მცდელობა მოიპოვონ მომხმარებელთა კეთილგანწყობა და აქტიურად იყენებენ სოციალურ პრობლემატიკას თავიანთ სარეკლამო თუ საიმიჯო გზავნილებში. ამგვარი მიდგომა შესაძლოა გამართლებულიც იყოს საქართველოს ტიპის ქვეყნებში, რადგან ქართველი მოსახლეობა ქველმოქმედების მიმართ სენსიტიურია და ის უმეტესად ხელს უწყობს, რომ მომხმარებელი გახდეს ლოიალური ბრენდის მიმართ.

ბიბლიოგრაფია:

1. http://24saati.ge/news/story/20133-korporatsiuli-sotsialuri-pasukhismgebloba-da-misi-mnishvneloba-qveynis-ganvitarebisatvis
2. http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr
3. http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr
4. http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr
5. http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr
6. http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr
7. http://www.tree.ge/whatwedo/
8. http://bizideebi.blogspot.com/2010/10/blog-post_4085.html
9. http://www.procreditbank.ge/index.php?item_id=108&component=STATIC_CONTENT&menu_id=16

10. https://libertybank.ge/infographics/view/8
11. http://www.pashabank.ge/ge/about-us/media-center/news?n=9
12. https://www.br.ge/ge/csr
13. http://pirveliradio.ge/?newsid=49493

SOCIAL RESPONSIBILITY AND GEORGIAN REALITY

Diana Vashakmadze,
PhD Student,
Batumi State University

RESUME

The Social responsibility is the most wide-spread trend of integrated marketing communication currently. Large companies actively use the social responsibility as a tool for their own image formation. Georgian commercial banks are outstanding in this direction. Today you cannot imagine a company of normal reputation in the modern world which is not active in terms of social responsibility of business.

On the basis of information gathered by us we can say that the banking sector in Georgia actively uses the social responsibility for the purpose of image enhancement in terms of integrated marketing communication. Currently, the attempt of the companies to gain a good disposition of consumers is observed in Georgia and they actively use the social problematics in their advertising or image messages. Such attitude may be justified in countries like Georgia because the Georgian population is sensitive to charity and mostly contributes to brand loyalty of consumers.

Keywords: Social Responsibility, Image of Social Responsibility ,Charity.

„მორალური გაცვეთისა" და „მორალური მოძველების" კატეგორიების ვიწრო და ფართო გაგებისათვის

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია „მორალური გაცვეთის", „მორალური მოძველების" კატეგორიათა ახლებური გაგება, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ფორმები. დასაბუთებულია, რომ მორალური მოძველება უფრო ფართო, ზოგადი კატეგორიაა, ცნებაა, ვიდრე მორალური გაცვეთა. დასახულია მორალურად მოძველებული ტექნიკის, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გამოყენების შედეგად მიღებული საზოგადოებრივი შრომის დანაკარგების აღმოფხვრის გზები.

საკვანძო სიტყვები: „მორალური გაცვეთა", „მორალური მოძველება", მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ფორმები, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების ფორმები.

შესავალი

მეცნიერული ცოდნის როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგის სწრაფი განვითარება სრულიად ახალი, თვისობრივად განსხვავებული შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების შექმნას იწვევს. მათი ფართო დანერგვის შედეგად მორალური გაცვეთა ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს, რადგან მოითხოვს მორალურად მოძველებული ტექნიკის სრულ გაცვეთამდე მოხსნას. ამიტომ მოქმედ საწარმოებში ტექნიკური რეკონსტრუქციისა და გადაიარაღებისას მორალურად მოძველებული ტექნიკის შეცვლა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელიც მოითხოვს „მორალური გაცვეთისა" და „მორალური მოძველების" კატეგორიების სწორ გააზრებას.

ძირითადი ტექსტი

ნაშრომთა უმრავლესობაში „მორალური მოძველების“ კატეგორია განიხილება ვიწროდ, წარმოების საშუალებებთან მიმართებაში, თანაც ზოგჯერ ადგილი აქვს „მორალური გაცვეთისა“ და „მორალური მოძველების“ კატეგორიების გაიგივებას. ამიტომ ძალიან აქტუალურია და აუცილებელიც ამ ორი, ერთმანეთთან დაახლოებული, მაგრამ განსხვავებული კატეგორიების გამიჯვნა.

ცნობილია, რომ მორალური გაცვეთის დროს (მაგალითად, ტექნიკის გაუფასურებისას) განსხვავებით ფიზიკური გაცვეთისაგან, ადგილი აქვს ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობას. მოცემული ტექნიკის ფორმის შეუცვლელად მისი შინაარსი იცვლება, რამდენადაც იგივე კონსტრუქციის ტექნიკის კვლავწარმოება უფრო იაფი ხდება (პირველი ფორმა), ანდა მასთან კონკურენციას იწყებს- უფრო მწარმოებლური, უკეთესი ტექნიკა (მეორე ფორმა). მორალური გაცვეთის ამ ფორმების ანალიზი კარგად არის გამოკვლეული კაპიტალისტური წარმოების ანალიზისას როგორც კ.მარქსის, ისე სხვა ცნობილი ეკონომისტების მიერ. ამასთან უნდა ითქვას, რომ კ.მარქსი „მორალური გაცვეთის“ ცნებას იყენებდა არა შრომის საშუალებების, არემედ მხოლოდ წარმოების პროცესში გამოყენებული შრომის საშუალებების, ანუ ძირითადი კაპიტალის მიმართ, რომელსაც თავისი ღირებულება გადააქვს პროდუქციაზე ნაწილ-ნაწილ, სახმარი ღირებულების დაკარგვის პროპორციულად. გამომდინარე აქედან, არასწორია მსჯელობა როგორც შრომის საშუალებების, ისე შრომის საგნების „მორალური გაცვეთის“ შესახებ, თუკი ისინი არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში და არ გადააქვთ თავიანთი ღირებულება დამზადებულ პროდუქტზე. რაც შეეხება „მორალური მოძველების“ ცნებას, იგი უფრო გამართლებულია ვიხმაროთ იმ შრომის საშუალებების და შრომის საგნების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან მათი წარმოების, საქონელმიმოქცევის სტადიაზე, რადგან ამ სტადიაზე ისინი წარმოებაში არ მონაწილეობენ შრომის მატერიალური პირობის სახით და, სავსებით ლოგიკურია, ვერც გადაიტანენ თავიანთ ღირებულებას მზა პროდუქციაზე. ე.ი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „მორალური გაცვეთის“ კატეგორია დაკავშირებულია ღირებულების დაკარგვასთან, ხოლო „მორალური მოძველებისა“ სახმარი ღირებულების დაკარგვასთან.

თანამედროვე პირობებში მომხმარებელთა მსყიდველობით უნარიანობისა და მათი კეთილდღეობის მატებასთან (მაგალითად, მოდის ცვლილებასთან) ერთად მორალური მოძველებას ექვედებარება ფართო მოხმარების, თუნდაც ხანგრძლივი გამოყენებისათვის განკუთვნილი საგნებიც, მაგალითად, ამჟამად ძალიან დიდი მოთხოვნაა „სამსუნგის“ ფირმის ელექტრონული და არა მექანიკური მართვის ავტომატურ სარეცხ მანქანებზე. მსგავსი უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება ავეჯის წარმოებაში, მშენებლობის სფეროში და ა.შ.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, განსაკუთრებით კრეატიული ეკონომიკის პირობებში მორალურ მოძველებას შეიძლება დაექვემდებაროს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც. დღეს განვითარება და პროგრესი წარმოუდგენელია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გარეშე მსგავსად შრომის საშუალებების, შრომის საგნების, მოხმარების საგნების მორალური მოძველებისა, ჩვენი აზრით, შესაძლოა პირობითად გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების სამი ფორმა:

პირველი ფორმა დაკავშირებულია კვლევის განმეორებადი ოპერაციების შესრულების მეთოდების გაუმჯობესების შედეგად მეცნიერული შედეგების მიღების გაიაფებასთან. ეს ფორმა დაკავშირებულია ერთიდაიგივე ინფორმაციის მიღების კვლავწარმოების გაიაფებასთან;

მეორე ფორმა დაკავშირებულია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, ან ახალი გადაწყვეტილების გამოჩენასთან, რომელთა გამოყენება იწვევს პრინციპულად ახალ შედეგებს, რის გამოც ძველი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა, შესაბამისად, ტექნიკაც, რომელშიც დაფიქსირებულია ეს ცოდნა, ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტიანი ხდება.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ

ფორმასთან ერთად, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიდ ახალი მესამე ფორმა-სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული შედეგებისა, რომელთა გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეს ფორმა, როგორც ტექნიკის მორალური მოძველების მესამე სოციალური ფორმა, გვევლინება სპეციფიკურდ მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის, ვინაიდან წმინდა კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება მოძველდეს (ე.ი. გახდეს ზედმეტი) მორალურად ის მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელთა გამოყენებას მოაქვს უზარმაზარი მოგება შრომის ინტენსივობის დაჩქარებისა და მისი პირობების გაუარესების გამო(განსაკუთრებით რელიეფურად ეს ვლინდება იმაში, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები კაპიტალიზმის პირობებში ყოველთვის გამოიყენებოდა ისეთ დარგებში, რომლებიც იძლევიან ძალიან დიდ მოგებას. ესაა ,პირველ რიგში, ისეთი დარგები, როგორიცაა სამხედრო მრეწველობა, ნარკოტიკები იატაკქვეშა დამზადება, გასართობი ინდუსტრიის დარგები, რომლებიც ადამიანის ყველაზე მდაბიო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ).

ეკონომიკის მსგავსად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცესები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერებებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ასეთ პირობებში ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან-წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინოვაციების, სიახლეების დანერგვის

უგულვებელყოფა. არადა 21-ე საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა [1.გვ.11.]. **ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განაახლოს ანუ აკვლავწარმოოს** მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. გამომდინარე აქიდან, თანამედროვე, განსაკუთრებით, კრეატიული ეკონომიკის პირობებში ასევე შეძლება გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმაც.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) განახლება-კვლავწარმოების პირველი-არასრული, ნაკლული შეკვეცილი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს (ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ უკვე ამოწურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების“ პროცესს განიცდის), რის გამოც იგი **კონურენტუნარიანი** ვერ იქნება. ეს კი, როგორც **კონკრეტული ადამიანისთვის**, ასევე **ქვეყნისთვისაც** პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მეორე-მარტივი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას (ეს ცოდნა ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე უცვლელია) მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი **კონურენტუნარიანია** მანამ ,სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნა ამოწურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას და „მორალური მოძველების“ პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არ მიაყენებს არც თავის თავს და არც ქვეყანას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არამარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც **აქტიურად** დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად (კრეატიულად) განვითარებასა და დანერგვაში (თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, შეიძლება ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. ამიტომ სპეციალისტს სჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული **აქტიური** და **განვითარებადი** ცოდნა), აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანამედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად **სამუშაო ეძებს მას**. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში[2.გვ.18.]. ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე ფორმის დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება-კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი ოდენობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ. ეს ფორმა უშუალოდ დაკავშირებულია **შემოქმედებითობასთან,** არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებურ აზროვნებასთან, უფრო სწორად **კრეატიულობასთან,** რადგან ასეთი ცოდნის მატარებელი მუშაკი კი არ იმეორებს / ან მოიხმარს სხვის შექმნილს, არამედ უშუალოდ ქმნის რაიმე ახალს, განსხვავებულს [3.გვ.18.].

ვაჯამებთ რა „მორალური გაცვეთისა“ და „მორალური მოძველების“ კატეგორიების ანალიზს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს კატეგორიები გარკვეულწილად დაკავშირებულია ერთმანეთთან და გააჩნიათ საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც (იხ: ნახაზი).

ამრიგად, მორალური მოძველება შინაარსობრივად უფრო ფართო, ზოგადი ცნებაა, როცა საგნის სარგებლიანობის დონე



ნახაზი
------- წარმოების, მიმოქცევის და მოხმარების სტადიაზე
–.–.–.–.–. მწარმოებლური მოხმარების სტადიაზე

არ შეესაბამება მზარდ ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოთხოვნებს ახალი, მაღალი საზოგადოებრივი სარგებლიანობის მქონე შრომის პროდუქტების გამოჩენის გამო.

მორალური გაცვეთის, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების, მისი კვლავწარმოების ფორმების ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკაც, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული ცოდნის, (მაგ.სწავლების მეთოდების, ხერხების) გამოყენების დროს. იმისათვის,რომ საზოგადოების, საწარმოს, კომპანიის დანაკარგი ასეთი ცოდნის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში კიდევ არ გაიზარდოს, საჭიროა არსებული მეცნიერულ-ტეცნიკური ცოდნის ეფექტიანად ფუნქციონირების პერიოდი

შეესაბამებოდეს უახლესი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამოჩენის ტემპებს. ამ გაგებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა მოძველებული ხერხებით, მეთოდებით. ეს საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სუბიექტური ხასიათის პირდაპირ დანაკარგებს. უფრო მეტიც, ეს იგივეა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების უარყოფა, მისი დანერგვის უგულვებელყოფა. მორალური მოძველების საკითხი განსაკუთრებით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში იმიტომ, რომ სწორედ აქ, საწყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს საწარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. ამ გაგებით, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც აწუხებს. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი ამ საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევს, რადგან იგი, ამავე დროს უწინარეს ყოვლისა, ახალი გამოცდილების, ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობს, რაც მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.

დასკვნა

ამრიგად, მორალური გაცვეთა როგორც მოვლენა (როგორც გაუფასურება -ღირებულების დაკარგვის გამო, როგორც მორალური მოძველების ფორმა) მოიცავს მხოლოდ ძირითად კაპიტალს და მისი გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების მიხედვით ვლინდება სამი ფორმით. მორალური მოძველება კი დაკავშირებულია მხოლოდ სახმარი ღირებულების დაკარგვასთან, თანაც, მოძველებული ელემენტების, მისი გამოვლენის სფეროების (ვლინდება რა ასევე სამი ფორმით) და შემადგენლობის (მოცულობის) მიხედვით გვევლინება უფრო ფართო, ზოგად კატეგორიად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015წ.

2. უ. სამადშვილი, რ. შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ.; 2013წ, გვ.11.

3. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014წ.

REFERENCES:

1. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015y.(in Georgian Language).

2. U. Samadashvili, R.Shengelia. Modern Economy. Tb. 2013y, p.11. (in Georgian Language).

3. Journal 'Economics", #5-6, 2014y. (in Georgian Language).

FOR THE NARROW AND BROAD UNDERSTANDING OF THE CATEGORIES: „ MORAL DETERIORATION" AND „MORAL OBSOLESCENCE "

Revaz Shengelia, PHD,
Professor of GTU

RESUME

In the article it is given the new understanding of the following categories: **„moral deterioration" and „ moral obsolescence " ,** the forms of moral obsolescence of the scientific and technological knowledge, also the new forms of the scientific-technical knowledge and of its update-reproduction. There is proved that the "moral obsolescence" is the broader general category, concept, rather than "moral deterioration" . Furthermore, there is highlighted in the field of education, the role of people working on formation of knowledge in the economy in order to improve the current situation and moving the country forward. Moreover there, are set as an object the ways of reduction of public employment losses caused from the usage of the morally outdated scientific-technical knowledge and technics.

საწარმოთა ინვესტირების თანამედროვე ფორმები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

ბადრი დავითაია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

დასაბუთებულია, რომ საწარმოში რეალური და ფინანსური ინვესტირების ფორმებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ხორციელდება მათი მართვა და შესაბამისად მუშავდება საწარმოთა საერთო საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეალური ინვესტირების დაფინანსებისა და ფინანსური ბაზრის სხვადასხვა ინსტრუმენტებში კაპიტალდაბანდების ფორმების ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდების შერჩევას. ასევე ხაზგასმულია, რომ წარმოდგენილი ფაქტორების გათვალისწინებით რეალური და ფინანსური ინვესტიციების ფორმირებული პორტფელი ფასდება ლიკვიდურობის, რისკის და შემოსავლიანობის დონის თანაფარდობის მიხედვით, იმისთვის, რომ თავისი პარამეტრებით ის შეესაბამებოდეს პორტფელის გარკვეულ ტიპს.

საკვანძო საკითხები, ინვესტიცია, ფინანსური ინსტრუმენტები; რეალური ინვესტიციები; აქციები და ობლიგაციები; ფინანსური პორტფელი;

შესავალი

ინვესტიციები, როგორც ცნობილია, წარმოადგენს კაპიტალის დაბანდებას მისი ყველა ფორმით (ფულადი, ქონებრივი, ფინანსური ფასიანი ქაღალდების სახით) კაპიტალის ზრდისა და მიმდინარე შემოსავლის მიღების მიზნით. ამიტომ ინვესტირების სტრატეგიის შემუშავების პოზიციიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ინვესტიციების დაყოფა შემდეგ ფორმებად, კაპიტალის დაბანდების ობიექტების მიხედვით: რეალური ინვესტიციები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებასთან,სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა

ზრდასა და ინოვაციურ არამატერიალურ აქტივებში დაბანდებებთან; ფინანსური ინვესტიციები, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის დაბანდებასთან სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში.ფინანსური აქტივები და ფულადი ინსტრუმენტები,რომლებიც ორიენტირებულია საინვესტიციო მოგების მიღებაზე.

ძირითადი ტექსტი

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი განეკუთვნება რეალურს, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ფინანსური ინვესტიციებით. ფინანსური ინვესტირების ინსტიტუტების ორგანიზაციის მაღალი დონე მნიშვნელივნად ხელს უწყობენ რეალური ინვესტიციების ზრდას და, როგორც წესი, ეს ორი ფორმა წარმოადგენს ურთიერთშემავსებელს.

საწარმოთა უმრავლესობაში რეალური ინვესტირება თანამედროვე პირობებში წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის ერთადერთ მიმართულებასა და სტრატეგიული განვითარების საფუძველს. ის უზრუნველყოფს ფირმის საბაზრო ღირებულების მუდმივ ზრდას, აგრეთვე გაყიდვების მოცულობათა ზრდასა და მდგრად ფულად შემოდინებებს. რეალური ინვესტიციების განხორციელების შედეგად მიიღწევა რენტაბელობის უფრო მაღალი დონე ფინანსურ ინვესტირებასთან შედარებით. უნარი იმისა, რომ მოხდეს მოგების მაღალი ნორმის გენერირება, წარმოადგენს ინვესტირების ეფექტურობის ერთ-ერთ კრიტერიუმს და გამოიყენება დაფინანსების გზების შერჩევისას. რეალური ინვესტიციების პროექტების წესი განისაზღვრება სააქციო საზოგადოების ფინანსური შესაძლებლობებითა და ეკონომიკური სტრუქტურით. ისეთი მსხვილი ფორმირებები, როგორიცაა კორცერნი, ჰოლდინგი, ფინანსური სამრეწველო ჯგუფები, აქვთ დაფინანსების გზების ფართო არჩევანი.

აქციონერული საწარმოების მიერ ფინანსური ინვესტირება ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

– მონაწილეობა ერთობლივ საწარმოში.

– მაღალლიკვიდური საფონდო აქტივების შეძენა

– დაბანდებები ფულად ინსტრუმენტებში.

– საწარმოო-ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებში მონაწილეობა.

1. მონაწილეობა ერთობლივ საწარმოებში კაპიტალის დაბანდების გზით მათ საწესდებო კაპიტალში უშუალოდ დაკავშირებულია საწარმოთა საოპერაციო საქმიანობასთან. ინვესტირების ეს ფორმა ხელს უწყობს სამეურნეო კავშირების გამყარებას ნედლეულისა და მასალების მიმწოდებლებთან საწესდებო კაპიტალში მათი მონაწილეობის დროს, საკუთარი საწარმო ინფრასტრუქტურის განვითარებას სატრანსპორტო საწარმოებში და გასაღების ორგანიზაციებში კაპიტალის დაბანდებისას, გაყიდვების სფეროს გაფართოებას სავაჭრო საწესდებო კაპიტალში მონაწილეობით და ძირითადი საქმიანობის სავაჭრო დივერსიფიკაციის ახალი ფორმების აღმოცენებას. თავისი არსით ფინანსური ინვესტირების ეს ფორმა მნიშვნელოვნად შეესაბამება რეალურ ინვესტირებას, მაგრამ ამასთან ერთად არის ნაკლებად კაპიტალტევადი და სწრაფად რეალიზებადი. ინვესტირების ამ ფორმის მიზანია ფინანსური გავლენის დაწესება სხვა საწარმოებზე მისაღები მოგების დონის სტაბილიზაციისათვის და არა მაღალი საინვესტიციო მოგების მისაღებად.

2. მაღალლიკვიდური საფონდო აქტივების შეძენა არის ფინანსური ინვესტირების ყველაზე უფრო გავრცელებული და პერსპექტიული ფორმა. ის ხასიათდება ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ყიდვა-გაყიდვით, რომლებიც თავისუფლად მიმოიქცევიან მეორად საფონდო ბაზარზე. ამასთან განპირობებულია ალტერნატიულ საინვესტიციო სტრატეგიების ფართო არჩევანით, როგორც ინვესტირების ინსტრუმენტებით, ასევე მისი ვადებით. ინვესტირების დაცულობისა და სახელმწიფო რეგულირების უფრო მაღალი დონით; ინვესტირების ამ ფორმის ძირითადი მიზანია საინვესტიციო მოგების მიღება, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსური გავლენის დასამყარებლად აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის გზითა და ჰოლდინგური კომპანიის ფორმირებისათვის წანამძღვრების შექმნით.

3. კაპიტალის დაბანდება ფულად ინსტრუმენტებში წარმოებს

საწარმოს დროებით თავისუფალი ფულადი აქტივების ეფექტური გამოყენების მიზნით. ინვესტირების ფულადი ინსტრუმენტების ძირითადი სახეა სადეპოზიტო ანაბარი კომერციულ ბანკებში, რომლებიც უზრუნველყოფენ საინვესტიციო მოგების მიღებას მოკლევადიან პერიოდში.

4. საწარმოო-ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებში მონაწილეობა —ეს არის საწარმოთა ზარალის შემცირების ძირითადი საშუალება საქონელზე ფასების არახელსაყრელი რყევის დროს, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების, საპროცენტო განაკვეთისა და ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებისას.

საწარმოში რეალური და ფინანსური ინვესტირების ფორმებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ხორციელდება მათი მართვა და შესაბამისად მუშავდება საწარმოთა საერთო-საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეალური ინვესტირების ფინანსირებისა და ფინანსური ბაზრის სხვადსხვა ინსტრუმენტებში კაპიტალდაბანდების ფორმების ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდების შერჩევას.

1. რეალური და ფინანსური ინვესტირების დონის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს მისი ეფექტურობის, ფორმების, სტრუქტურისა და მოცულობის შეფასების ჩატარებას. ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: ფინანსურ და რეალურ აქტივებში კაპიტალის ინვესტირების საერთო მოცულობის შესწავლა, სტრუქტურულ ასპექტში საერთო მოცულობის ცვლილების დინამიკა, აგრეთვე ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლიანობისა და საინვესტიციო რესურსების ათვისების დონის შეფასება.

2. ინვესტირების საერთო მოცულობის განსაზღვრა დასაგეგმ პერიოდში ხორცილედება საწარმოს ძირითადი საშუალებებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდის საფუძველზე. ამავე ეტაპზე ითვალისწინებენ იმ თავისუფალი ფინანსური საშუალებების ზომებს, რომლებიც მობილიზებულია მომავალი რეალური ინვესტირებისა და სხვა პერსპექტიული ხარჯების დასაფინანსებლად.



3. ფინანსური ინვესტირების ფორმებისა და რეალური ინვესტიციების ფინანსირების მეთოდების შერჩევა ხორციელდება წარმოების დასაგეგმი მოცულობისა და არსებული ფინანსური საშუალებების ფარგლებში. ამასთან ამ უკანასკნელთან მიმართებაში გათვალისწინებულია მათი ტექნიკური პოტენციალი, განვითარების პერსპექტივა და საერთო დავალიანების დონე.

4. ფინანსური ინსტრუმენტების საინვესტიციო მახასიათებლების ეფექტურობის შეფასება ხორციელდება, პირველი, რეალური ინვესტიციების მიხედვით მაჩვენებელთა სპეციალური სისიტემის მიხედვით. მათ შორის – სუფთად აყვანილი შემო-

სავალი, გამოსყიდვის ვადა, დაბანდებათა რენტაბელობა და სხვა. მეორე, ფინანსური ინვესტიციების მიხედვით შეფასება ეფუძნება ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავლიანობის გაანგარიშებას.სააქციო საზოგადოებათა ფინანსური ინვესტიციების შემოსავლიანობის დონე ამ ეტაპზე უნდა შეუდარდეს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონეს და ფინანსურ ბაზრებზე შემოსავლიანობის საშუალო დონეს. ასეთი შეფასება დიფერენცირდება ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეების მიხედვით(აქციები,სადეპოზიტო სერტიფიკატები და აშ.).

აქციების, ობლიგაციების საინვესტიციო მახასიათებლების ინტეგრალური შეფასება ხორციელდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

ა) აქციების, ობლიგაციების სახეების მახასიათებლები (სახელ ობითი,წარმდგენზე,ჩვეულებრივი პრივილეგირებული, კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი);

ბ) იმ დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება, რომელსაც ეკუთვნის ემიტენტი;

გ) ემიტენტის ფინანსური მდგომარეობისა და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები;

დ) საფონდო ბაზრებზე აქციებისა და ობლიგაციების მიმოქცევის ხასიათი. აქციებთან მიმართებაში განსაზღვრულია მათი საბაზრო კოდირების, ლიკვიდურობისა და ლისტინგის მაჩვენებელთა მიხედვით, ხოლო ობლიგაციებთან მიმართებაში შემოსავლიანობის, დაფარვის ვადის, რეალური ღირებულებისა და საბაზრო ფასის თანაფარდობის კოეფიციენტით;

ე) აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პირობების შეფასება, რომელიც მოიცავს პროცენტებისა და დივიდენდების ანაზღაურების პერიოდულობას, აგრეთვე ემისიის პირობებისა და მიზნის შესწავლას.

ვ) რეალური და ფინანსური ინვესტიციების პორტფელის ფორმირება ხორციელდება პრიორიტეტული მიზნებისა და საინვესტიციო ბაზრის მინიმიზაციის მიხედვით ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების საინვესტიციო მახასიათებლების გათვალისწინებით. მათი შერჩევის პროცესში ფორმირებად პორტფელში

გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ფინანსური ინვესტიციების პორტფელის ტიპი; პორტფელის ფინანსური ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის აუცილებლობა. პორტფელის მაღალი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა და სხვა.

წარმოდგენილი ფაქტორების გათვალისწინებით რეალური და ფინანსური ინვესტიციების ფორმირებული პორტფელი ფასდება ლიკვიდურობის, რისკისა და შემოსავლიანობის დონის თანაფარდობის მიხედვით, იმისათვის რომ თავისი პარამეტრებით ის შეესაბამებოდეს პორტფელის გარკვეულ ტიპს.

ზ) ფინანსური ინვესტიციების პორტფელის ოპერატიული მართვისა და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის უზრუნველყოფა ხორციელდება კაპიტალური ბიუჯეტისა და საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის კალენდარული გრაფიკის შემუშავებით. ფინანსური ბაზრის კონიუქტურის ცვლილება განაპირობებს ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების საინვესტიციო მახასიათებლების შემცირებასა და ფინანსური ინვესტიციების პორტფელის ოპერატიული მართვის აუცილებლობას მისი თანამედროვე რესტრუქტურიზაციისა და საბაზრო დონეზე მიზნობრივი პარამეტრების შენარჩუნების საშუალებით.

დასკვნა

ამრიგად საწარმოებში რეალური და ფინანსური ინვესტიციების მართვის სტრატეგია უნდა მოიცავდეს ინვესტირების ძირითად ეტაპს, ანალიტიკური, საპროგნოზო- საგეგმო და საშედეგო გაანგარიშებების ჩათვლით, აგრეთვე, მის ეტაპობრივ რეალიზაციას ოპერატიული დაგეგმვისა და მართვის კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Хорм. Дж. в, основы управления финансамы. М. Финансы и статистика 1999 г.

2.Финансовых менеджмент. учобник /под. ред. Ф. самсонова М Финансы Юнити 1999г

REFERENCES:

1. D.Horm-“Basics of Financial Management” .” Moscow “Finances and Statistics.” 1999 (in Russian language).

2. Financial management-textbook prof. M. Samsonov’s reduction, Moscow. Finances .1999(in Russian language).

THE MODERN FORMS OF ENTERPRISES INVESTING IN THE CONDITIONS OF MARKET ECONOMY

Badri Davitaia,
Assistant-Professor ,
Akaki Tsereteli State University

RESUME

The article proves that in enterprises, the policy of general investment of enterprises is worked out by considering the real and financial investments forms and peculiarities.

Also there is underlined, that considering the factors, introduced in the article, real and financial investments formed portfolio are evaluated according to the liquidation, risk and income equality level, in order to correspond some type of portfolios with its parameters.

So, according to this article, the strategy of ruling the real financial investment in enterprises, should involve the basic stage of investment, including analytical, forecast-planning and resulted calculations in accordance with the calendar schedule of operative planning and ruling and its step-by-step realization.

Key Words: Financial Investments, Real investments, Stocks and bonds, Obligations, Financial Portfolio.

საზოგადოებრივი კულტურის ზღვრული დონის ეტაპობრივი ამაღლება ისტორიის შემოქმედება-შენარჩუნების წინაპირობაა

ნაწილი მ ე ო რ ე[1]
საზოგადოებრივი განვითარების ინდუქციურ- დედუქციური პროცესის ბალანსირება-განახლება ახალი დროის სოციალური მოთხოვნაა

ეთერ თაკალანძე
ეკონომიკის დოქტორი

9) დედამიწაზე ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლით - ზემოთ ჩამოწერილი სოციალურ- ეკონომიკური რეალობებით - აშკარავდება ფიზიკური პროცესები, რომლებიც ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერების (ამ არამიწიერი გ ო ნ ი ს) კეთილი ძალის - ჩვენს პლანეტაზე გადმოსვლას და, მასთან ადამიანის (ერი, კაცობრიობა) ზიარებას უკავშირდება: **ა)** ა ხ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა საარსებოდ აუცილებელი პირობაა დედამიწაზე ყოველი სულიერისათვის; გრძნობითი ორგანოების გზით, ადამიანის ფსიქიკაზე მისი ზეგავლენა ადამიანის აზროვნებას კეთილგონივრულად წარმართავს; გონებაში (სულიერი ენერგია), უარყოფით ძალებთან გაწონასწორების ნიადაგზე, ადამიანის ორგანიზმიდან, დადებითი ძალა უაყოფითს განდევნის. ასრულებს რა ადამიანის (ერი, კაცობრიობა) სულიერ ძალთა წონასწორობაში დადებითი ძალის სალდოს გამოვლინების ფუნქციას, ეს ზეგავლენა ჰქმნის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ამგვარი სალდოს **ზღვრული დონის** 2-ათასწლიან ეტაპობრივ- საფეხურებრივად ამაღლების **პოლიტიკურ-ეკონომოკური ორგანიზაციის** 14 ათასწლიან ციკლში განვითარებისათვის; **ბ)** ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლას დედამიწაზე , ყოველი ახალი 2-ათასწლეულის დამდეგს, გ ო ნ ი ს განვითარების უ ზ ე ნ ა ე ს ი კ ა ნ ო ნ ი ს სოციალური კანონზომიერება-„ლაზარე“ განსაზღვრავს; ამ კანონზომიერების შესაბამისად, ეს პროცესი

1 პირველი ნაწილი იხ. ჟ. „ეკონომიკა” N 1-2, 2016

იწყება საქართველოში და, ვრცელდება ამ ქვეყნის სოციუმზე. როგორც შემეცნების საგანი, ახალი ს ი ტ ყ ვ ა უხილავი ფიზიკურ - ქიმიური რეაქციების „ჯაჭვია“; ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ა კი, არის დედამიწაზე ამ კანონზომიერების მორიგი - მე-6 ორიათასწლიანი ეტაპობრივი გამოვლინება [2, ჟ. N 7-8, 42], რომელიც ხსნის, ამდიდრებს, განაახლებს რელიგიურ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერებას და, რომელიც გასული 2-ათასწლეულის დასაწყისში, ემცნო კაცობრიობას; ქრისტე- ს ი ტ ყ ვ ის მოსვლა დედამიწაზე, წინამორბედის მსგავსად, მწვავე კრიზისული, სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით აღინიშნება. მისი შემეცნების წყაროც, მსგავსად ქრისტე-ხორციელის ცნობიერებისა, შეიქმნა ერთადერთი მამაკაცის მეშვეობით; ადგილობრივი მკვიდრი გვარის შვილის, ქართველი მწერლისა და საზოგადო მიღვაწის, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის საჯარო განაცხადის პრესაში გამოქვეყნებით გავრცელდა ქვეყანაში ინფორმაცია, მის მიერ ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს მიღებისა და, ამასთან, თავად მის მიერვე, სასძლო კაცის ფუნქციის დავალების გათავისების თაობაზე [3]; ანუ; თუ კი, 2-ათასი წლის წინათ მამა-ღმერთის ძ ი ს - ქ რ ი ს ტ ე ს სახელით გამოეცხადა ი ე ს ო იმდროინდელ ადამიანებს და ამცნობდა - უხსნიდა მათ, მაშინდელ ახალ ს ი ტ ყ ვ ა ს, რომელიც კაცობრიობამ, 12 მოციქულის მოღვაწეობის კვალობაზე, მ ო ს ე ს ცნობიერებაზე (ათი მცნება) დაყრდნობით, დღემდე ირწმუნა, - მსგავსი ისტორია დღეს - ქრისტეს (ღმერთ-კაცი) მოსვლიდან ზუსტად 2-ათასი წლის შესრულების ჟამს, მეორდება [4, 50-53]; სასძლო-კაცმა, ბ-მა აკაკი ჯორჯაძემ, აღნიშნული, თავისი განაცხადის შესაბამისად, (რომლის თარიღიც, ბიბლიური ცნობების მიხედვით გათვლებით, მთელი სიზუსტით ემთხვევა იესო- ქრისტეს შ ო ბ ი ს დღესასწაულის თარიღს!), შექმნა ქვეყანაში სათანადო საზოგადოებრივი წარმონაქმნები: - ჩამოყალიბდა სასძლო კაცის ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი (მიგვაჩნია, რომ ამ წარმონაქმნების ერთობლიობა არის ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი); ჩამოყალიბდა პოლიტიკური სუბიექტი, - სრულიად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დამცველი ორგანიზაცია (პგ „მძლეველი,1998 წლიდან და, შემდგომ, სხვა, - მისი სამართალმემკვიდრე ორგანიზაციები; მ.შ. დღეს ფუნქციონირებადი, პ.გ. „ახალი სიტყვა“, რომლებიც წლების მანძილზე, თანმიმდევრულდ მო-

ნაწილეობდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ არჩევნებში). **გ)** სასძლო კაცის ფუნქცია ამ ეტაპზე არა ღ მ ე რ თ ი ს ძეს ანუ რელიგიურ სამსახურს, არამედ, უკვე რიგით ქართველ საზოგადო მოღვაწეს დაეკისრა. ანუ, ერის დონეზე ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს გაზიარება-მიღების ორგანიზება დემოკრატიულობის თვალსაზრისით, ამაღლებული უნდა იყოს; მოითხოვება უკვე, საზოგადოებრივ- მეცნიერული (ისტორია - პოლიტიკა, ლოგიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ტექნიკა დაა.შ.) განვითარების დონე - ადამიანის ეროვნულ-საზოგადოებრივი თვითშეგნების ზ ღ ვ რ უ ლ ი დ ო ნ ი ს ფლობა; გამოკვეთილია ქვეყანაში ერის თვითგანვითარებისუნარიანობის, წარმოჩინების მიზანი; **დ)** შემეცნებადი შეიქმნა თვითონ სასძლო კაცის, ე.ი. ა ხ ა ლ ი ადამიანის (რომლის ბაგედან დაიბადა ახალი ს ი ტ ყ ვ ა), დ ა ბ ა დ ე ბ ის (ფორმირება, მომზადება) პროცესი: ეს პროცესი ახალი ადამიანის ფიზიკურად განვითარება-დაბადების ბუნებრივი პროცესის მსგავსი აღმოჩნდა; - მანაც სამი ძირითადი ეტაპი (სასძლოდ რჩეული კაცის ორგანიზმში ახალი ს ი ტ ყ ვ ი ს შემოსვლის **აქტის** (26, 03, 1894), მისი **ჩასახვისა** (9, 04, 1994) და **განვითარების** ეტაპები) მოიცვა; გაგრძელდა ეს პროცესი 9 თვე (1995 წლის 9 იანვრამდე) . ფიზიკურად ეს პროცესი, მთლიანობაში, გამოხატული იყო თვითონ ამ (რჩეული) კაცის მეტადრე მტკივნეულ, სულიერ და ფიზიკურ განცდებში; გამოირკვა, რომ ამას, ამ კაცის გარემო-სივრცეში იმ დროს კონცენტრირებული არამიწიერი დადებითი სულიერი ძალების მის შინაგან უარყოფით სულიერ ძალებზე ზემოქმედება განაპირობებდა [4,33]; - რომ ეს ყველაფერი ამ ს ი ტ ყ ვ ი ს მშობელი მამა-კაცის სისხლისა და ძვალ-რბილის უარყოფითი სულიერი ძალებისაგან (ჩვევები) განწმენდა იყო; - რომ ამ ფორმით, მის ორგანიზმში, უარყოფითი (ბოროტი) სულიერი ძალების ძ ლ ე ვ ა განხორციელდა. სასძლო კაცის შერჩევა- განვითარება დედანიწაზე, კაცობრიობის ისტორიის ეტაპობრივ- საფეხურებრიბრივი განვითარების მორიგი 2-ათასწლიანი პერიოდით გახანგრძლივების წინაპირობად დაფიქსირდა. **ე)** სასძლო კაცთან ურთიერთობით დაიწყო ქვეყნის მოსახლეობის ზიარება ახალ ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ, რომელიც საქვეყნოდ აღიარების შემდგომ, იქცევა რა ქვეყანაში საყოველთაო შემეცნება- გაცნობიერების საგნად, ხდება საერთო-საკაცობრიო პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული თე-

ორიის შემოქმედების საფუძველი. **ე)** ქართულ ენათმეცნიერებაში ცნობილი, ადამიანის ორგანიზმში დედა-ენის სოციალურ-მეცნიერული ფუნქციური დანიშნულების ცხრა ს ა წ ა რ მ ო თ ქ მ ო ორგანოს [12, 28] აღმოჩენით, წარმოჩინებულია ენა-ლაზარეს კანონის **საერთო-საკაცობრიო ორგანიზაციული** ფუნქციის მეცნიერული საფუძვლიანობა; ლაზარე-ენის კანონით განსაზღვრული, ქართულ ასო-ნიშნებთან მისი ასო-ბგერების სრული შესაბამისობა (ის, - რომ ამ ენაში კონკრეტული ასო-ნიშანი ამ ასოს ბგერითი ნიშანიცაა), უკვე არის დ ე დ ა-ენის კანონის ამ კონკრეტული ნორმის (შესაბამისობა), ყველა ეროვნული ენის კანონში დაცვაზე მინიშნებაც: **ვ)** ზემოხსენებული საწარმთქმო ორგანოების ფუნქციონირება (მოძრაობა, განვითარება) ენა-ლაზარეს კანონის მიხედვით, გამოიხატება რა კონკრეტული ადამიანის (ერი) აზრში, არის ამ აზრის ძალთა დადებითი ან/და უარყოფითი სალდოს გამოვლინების გარდაუვალი პირობა; მათი ფუნქციონირების კვალობაზე, ქართულ-ეროვნული სოციალური ენერგიის ძალთა ურთიერთჩანაცვლების ფიზიკურ-ქიმიური რეაქციების უწყვეტი „ჯაჭვით“, ამ რეაქციების შედეგი ხსენებული სალდოს სახით, სინათლის სიჩქარით გადადის ასტრო-ფიზიკურ სივრცეში; გადადის იგი ასო-ბგერების (ე. ი. სიტყვების, წინადადებების, აზრის) მეშვეობით, იმ კონკრეტულ „ციურ“ სხეულზე (სისტემა, ვარსკლავი), რომლისთვისაც სოციალური კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით, განსაზღვრულია ს ი მ ე ტ რ ი უ ლ ი კავშირი, ერთის მხრივ, ადამიანის (ე რ ი) საწარმოთქმო ორგანოს ფუნქციონირება-განვითარებისა და, მეორეს მხრივ, თვით იმ ასტრო-ფიზიკური სხეულის მოძრაობა-განვითარების პროცესებს შორის, რომელიც, ზუსტად ამ ბგერის (ენერგია) მატარებელია (მფლობელია, ე,ი. მიმზიდველია); ანუ, ამ სხეულის მიზიდულობის ძალის ქმედების (მიზიდულობა-განზიდულობის კანონი!) საპასუხო რეაქციების „ჯაჭვით“, ასევე სინათლის სიჩქარით გადადის ხსენებულ პოლიტიკურ სუბიექტზე - ადამიანების აზროვნებაში უხილავად, არამიწიერი დ ე დ უ ქ ც ი უ რ ი ძალა [1, 4 - 7] . ამგვარი დედუქციური ძალები „კვებავენ“ ადამიანის (ერი, კაცობრიობა) სხეულის სხვა ორგანოებსაც; - ხსენებული სიმეტრიული კავშირის დაცვის სოციალური მოთხოვნის [6, გვ. 2-5] შემეცნებით ხდება ახსნადი რელიგიური მცნებაც, რომლითაც ა დ ა მ ი ა ნ ი, ასევე, ს ა მ

შ ო ბ ლ ო-ქვეყანა ღმერთის ხატადაა ჩაგონებული . **ზ)** მჟღავნდება, ბერი ზ ო ს ი მ ე ს მიერ მრავალი საუკუნის წინ ლაზარე- ენასთან დაკავშირებით გაკეთებული, რელიგიური მინიშნებების მეცნიერული საფუძვლიანობა; იქმნება მეცნიერულ-ლოგიკური საფუძველი „ლ ა ზ ა რ ე ს ა ღ დ გ ი ნ ე ბ ი ს ა „, თუ სხვა, იმ მითებისა და მცნებების არსის შემეცნებისათვის, რომლებიც თევზების ერაში, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური მოძღვრებით არის მორწმუნეთათვის ჩაგონებული. **ზ)** საწარმოთქმო ორგანოების ლაზარე-ენის კანონების შესაბამისად ფუნქციონირებით იქმნება დანარჩენი სოციუმისაგან (ფლორა, ფაუნა) ადამიანთა საზოგადოების განმასხვავებელი ძ ი რ ი თ ა დ ი, ადამიანური ნიშან-თვისებები (აზროვნება-მეტყველება); უკანასკნელი განაპირობებს ადამიანებში, საკუთარი საცხოვრებელი ადგილის (ქვეყანა) ს ო ც ი ა ლ უ რ- ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი გარემო-სივრცის (სოციალური ბუნება) დაცვის ერთიან (საზოგადოებრივ) მოთხოვნილებას; ეს კი, ცხადია, ამ ბუნების დაცვისუნარიანობის (ეროვნული ე რ თ ს ლ ო ვ ნ ე ბ ა) დაცვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ნ ე ბ ი ს (ე რ ო ვ ნ უ ლ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა) დაფიქირების სოციალური მოთხოვნითაა განპირობებული; **თ)** ეს გარემო-სივრცე, რომელიც, თავისთავად, ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ბუნებრივი და საყოველთაო პირობებია, ბუნებრივადაა ამ ქვეყნის მკვიდრი ერის განმგებლობაში და, ეს ბუნებრივი პირობაა დაცული ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებით; ანუ, ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური პირობების კონკრეტული კომპლექსია, რომელიც განკერძოებულია ერთი, კონკრეტული ეროვნული საზოგადოებრიობისათვის (ოჯახები, გვარები, ტომები); ანუ, **ი)** ამგვარი განკერძოება არის უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი სოციალური პირობა საზოგადოებრივი თვითშეგნების დონის, გენში მშობლიური სიყვარულის გრძნობის თანმიმდევრული ამაღლებისა და, მაშასადამე. - ქვეყანაში ადამიანური თუ, ზოგადად, სოციალური მოდგმის და, შესაბამისად, დედამიწის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. **კ)** ლაზარე-ენის საერთო-საკაცობრიო ფუნქციური დანიშნულება დადასტურებულია თავად ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი თ; მასში ხსენებული უ ზ ე ნ ა ე ს ი კანონი და, შესაბამისად, სოციალური კანონზომიერება- „ლაზარე“ ქართულ ასო-ნიშნებზე, ასო-ბგერებზე და, ზოგადად, ქართული ენის კანონებზე დაყრდნობითაა

ახსნილი [4,44, ნახაზი 1[25]] . **ლ)** ქვეყნის (მიკრო-სამყარო) ადამიანური, სოციალური და გეოგრაფიული გარემოს ერთიანობის სახელმწიფოებრივად დაცვა ქვეყანაში სისხლის სამართლის კოდექსთან სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისობის სოციალური მოთხოვნაა; ადამიანი (ერი) თვითგანვითარების ნიადგზე შეიქმნის სულიერ-მატერიალური და, უპირველესად, ფიზიოლოგიურ-ორგანული საფუძვლი, ეროვნულ-კაცობრიული ერთიანობის, ე.ი. - ეროვნულ სოციალურ ენერგიაში დადებითი ძალის სალდოს, იგივე, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის.

10) კანონზომიერება-„ლაზარე“, ძირითადად, ფიზიკის მეცნიერულ კანონებზე, მ.შ. დროისა და სივრცის ერთიანობის კანონზეა დაფუძნებული: **ა)** *ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსლვლავედიდან*, თითოეულის გარემო-სივრცეში დედამიწის ბრუნვის ხანგრძლივობა (2-ათასწლეული) არის უსასრულო დროის 24-ათასწლიან ციკლში მისი *ბრუნვის ის დრო (ე რ ა) , რომელშიაც თვითგანვითარებადი ერების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბების კვალობაზე, იცავს გ ო ნ ი ს ასტრო- ფიზიკური კანონი სასიცოცხლო პირობებს დედამიწაზე.* **ბ)** *მოცემულ 2-ათასწლეულში ე რ ა, განსაზღვრავს რა კაცობრიობის ყოველი სოციალური ერთეულის თვითშენარჩუნების ვ ა დ ა ს, განსაზღვრავს თავად, ე რ ა ს ა და, , ზოგადად, დ რ ო ს არის განმსაზღვრელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი საზოგადობრივ განვითარებაში.* **გ)** *ქვეყანაში ქრისტე-ს ი ტ ყ ვ ი ს მოსვლის დრო ასეთი მორიგი ვ ა დ ი ს დაწყების, - ახალი ე რ ა ს წელთააღრიცხვის ათვლის - დაწყების დროა; ახალი ს ი ტ ყ ვ ა კი, ამხელს რა სოციალურ-მეცნიერული საფუძვლებს თვით კანონზომიერება-„ლაზარეს“ დასაბუთებისათვის, არის ახალი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო-ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო წყარო საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში [1, 44* **]. დ)** *ერთიდან მეორე თანავარსკვლავედის გარემო-სივრცაში დედამიწის გადასვლა - სოციალური მოვლენა-პროცესი, ფიზიკის კანონის (მიზიდულობა-განზიდულობა), შესაბამისად რომ განხორციელდება, იწყება დედამიწაზე ზღვის დონიდან 5068 კმ - ზე მდბარე* **წყალგამყოფის** *[7, 58], კავკასიის მთიანეთის კალთებზე, - საქართველოში, - ლ ა ზ ა რ ე-ე ნ ი ს სამშობლოში . ამ ქვეყანიდან ვრცელდება (გავრცელდება) ახალი ს ი ტ ყ ვ ა სხვა ქვეყნებში; საქართველოდან იგი გადადის ჩრდილოეთით (რუსეთი) და,*

თანმიდევრულობით - დედამიწის მოძრაობის ზემოხსენებული, ს ტ ა ბ ი ლ უ რ ი სიჩქარისა და რ ი ტ მ ი ს პირობების შესაბამისად - დროში ვრცელდება პლანეტის დანარჩენ ტერიტორიაზე; **ე)** *2-ათასწლეულის დაწყების ჟამის, სახელისუფლო საარჩევნო პერიოდში, ქვეყანაში თვითგანვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიის ა რ ჩ ე ვ ა ნ ი, ეროვნული დემოკრატიის პირობებში, ახლიდან, - თითოეული ამომრჩევლის ხელმოწერით გამოხატულ პირად ნ ე ბ ა ზ ე დაყრდნობით მოითხოვება. მამაკაცთა და დედაკაცთა საზოგადოებებს შორის ჰარმონიის პოლიტიკურ-ეკონომიკურად ორგანიზება ეფუძნება ერის თითგანითარების საქმიანობაში ადამიანის ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი სოციალური ბუნების დაცვას; ეს ბუნება ჰქმნის ქვეყანაში სახელმწიფოებრივი პრიორიტეტის მამაკაცისა და დედაკაცის (ვაჟი და ქალიშვილი) საზოგადოებრივი თვითშეგნების განვითარებაზე გადატანის - მათი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს კეთილგონივრულად წარმართვის - მოთხოვნას; - ჰქმის პატრიოტული სულიერების ამაღლების თვალსაზრისით, შრომის ბუნებრივი დანაწილების (საზოგადოებრივ წარმოებითს ურთიერთობებში უპირატესად მამაკაცების ჩართვა) ნიადაგზე, ამ ორ ადამიანში პატრიოტული სულის თანმიმდევრულად ამაღლების სოციალურ მოთხოვნას; მათი აზროვნების ერთი (პატრიოტული) მიმართულებით ორიენტირება ახალ 2-ათასწლეულში, - გ ო ნ ი ს ევოლუციური განვითარების ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში, შექმნის ჯანსაღ სულიერ ბაზას ქორწინებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებში შეცდომებისაგან, მექორწინე ვაჟისა (მააკაცი) და ქალიშვილის (ქალი) დაზღვევისათვის; -იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილება ცოლ-ქმრული სიყვარულის მუდმივობაზე, - საკუთარი სიცოცხლის მანძილზე ერთსულოვნური ოჯახური სიყვარულის შენარჩუნებაზე იყოს ორიენტირებული.* **ვ)** *დ რ ო ი ს ხარჯვასთან შესაბამისად შრომითი და მატერიალური რესურსების დანახარჯების სისტემური აღრიცხვის ორგანიზაცია ამოსავალი პირობაა ქვეყნის .ეროვნული თვითგანვითარების* **პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემური** *(კეთილგონივრული)* **შედეგების** *ფორმირებისათვის;* **ზ)** *გამოიკვეთება დ რ ო ი ს ა თუ შრომითი რესურსების ხარჯვაში ოპერატიული, მიმდინარე და სტატისტიკური აღრიცხვის სისტემურობა, როგორც სოციალური მოთხოვნა, - ქვე-*

ყანაში ამ მოთხოვნის, როგორც ადამიანის უფლება-მოვალეობის ბალანსირებისა და, შესაბამისად, - როგორც **სამართლიანობის** *დაცვის საფუძვლის,* **კონსტიტუციურად** *დაკანონონების გარდაუვალობა.* **თ)** *საზოგადოებრივ ურთიერთობებში კ ე თ ი ლ გ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს პრიორიტეტის მოტივაცია ოჯახში მამაკაცისა და დედაკაცის ცოლ-ქმრული და მეუღლეობრივი ერთგულებისა და გულწრფელობის სიცოცხლის მანძილზე დაცვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი (შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური) ორგანიზაცია, ასევე, ფ ი ზ ი კ ი ს კანონს ეფუძნება; ადამიანის სხეულში ს უ ლ ი ს კ ე თ ი ლ ი ძ ა ლ ი ს მატერიალიზება (აღზრდა- განათლება, ქორწინება) ამ კანონის დაცვას მოითხოვს. ქორწინება ეფუძნება ძლიერის (მამაკაცი) მხრიდან სუსტის (ქალი) დაცვისა და, სუსტის მხრიდან ძლიერის მიმართ მინდობის - ამგვარი სამართლის (მორალი, ზნეობრიობა, პატიოსნება) - პრინციპს; უკანასკნელი, ნიშნავს რა ქართული ტრადიციული, იგივე, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზნეობრივ-მორალური პრინციპების სოციალურ კანონზომიერება- „ლაზარე"-სთან შესაბამისობას, ა მ ხ ე ლ ს, თვითონ ამ რელიგიური ზნეობრივ-მორალური პრინციპების მეცნიერულ საფუძვლიანობას. ეს სოციალური რეალობა (მხილება) , თავისი არსით, დამოწმებაა, მაგალითად, იმისი, რომ* **ი)***სოციალურ-მეცნიერული კანონზომიერი მოთხოვნაა ქვეყანაში, ოჯახის მამაკაცის (მამასახლისი) პასუხისმგებლობის ქვეშ და, თავისი მეუღლის (ოჯახის დიასახლისი) ერგულებისა და თ ა ნ ა დ გ ო მ ი ს ნიადაგზე, ოჯახის მამისეული გვარის გ ე ნ ი ს 2-ათასწლიანი დაცვა-შენარჩუნება; - შენარჩუნება ისე, რომ ოჯახურ მოდგმაში, სავარაუდოდ, 20 თაობისათვის ეროვნული გ ე ნ ი ს ა და გ ო ნ ი ს კეთილგონიერების დაცვა-შენარჩუნებაზე პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ოჯახის (გვარის, ტომის, ერის) წინაშე, არის რა ქვეყნის მამაკაცთა საზოგადოების სოციალური მოვალეობა, გულისხმობს ამგვარი მოვალეობის სისტემურ პოლიტიკურ- ეკონომიკურ უზრუნველყოფას; ანუ, ამ მოთხოვნაში გამოკვეთილია საზოგადოებრივ შრომაში მამაკაცების პ რ ი ო რ ი ტ ე ტ უ ლ ა დ დასაქმების ეკონომიკური პოლიტიკის დაცვის გარდაუვალობა* **კ)** *საზოგადოებრივი თვითშეგნების ევოლუციური განვითარება, როგორც ი ნ დ უ ქ ც ი უ რ- დ ე დ უ ქ ც ი უ რ ი პროცესის განახლების ინიცირება საზოგადოებრივ აზროვნებაში ახალი ს ი ტ*

ყ ვ ი ს ბაზაზე განხორციელდება; ამისათვის ადამიანს (ერი, კაცობრიობა) უკვე უნდა ჰქონდეს გათავისებული საზოგადოებრივი თვითშეგნების განვითარების ის ზღვრული დონე, რომელიც მისთვის ამ დროისათვის იყო ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული; ამ ეტაპზე ამგვარი დონის ნიშნული კოეფიციენტი - 0,5, ქვეყანაში სულიერი ენერგიის ძალთა (+,-) თანასწორობის გამომხატველია; ამიტომ, დადებითი ძალის სალდოს მისაღებად, ამომრჩეველთა მთელ რიცხვში დადებითი სულიერი ძალის მატარებელთა უმრავლესობის წილის, თუნდაც, ერთი კაცით, მეტობა (50% + 1 კაცი) სოციალური მოითხოვნაა; ანუ, სადღეისო სოცილური მოთხოვნაა დედამიწაზე, ამჯერად, საქართველოში, საზოგადოებრივი გ ო ნ ი ს **ინდქციურ-დედუქციური პროცესების ბალანსირება - განახლების დრო , -** *, ქრისტე - ს ი ტ ყ ვ ი ს შესაბამისად განახლებული ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიის* **ადამიანის აზროვნებაში ინიცირების დრო. მ)** *ამგვარი სოციალური მოთხოვნის საპასუხო საქმიანობა, რომელიც საქართველოში 20 წილია თანმიმდევრულად და აქტიურად მიმდინარეობს, დ ა ფ ა რ უ ლ ი ა ოფიციალურ ქართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში; ეს ანტიეროვნულ-დემოკრატიული ქმედება, როგორც ქვეყნის ხელისუფლებაში ბოლო ოთხი მოწვევის ხელისუფალთა გ ა ნ ა ზ რ ა ხ ი (კორუფცია!?), გამოვლინებულია ჩვენს ამ კვლევაში [1, 44]; ამ ქმედების გამო დღეს* **თვითგანადგურების საფრთხე** *ქართველ ერს აშკარად დაუდგა;* **ნ)** *ეს გ ა ნ ა ზ რ ა ხ ი, გამოიხატება რა ქართველი ერის ისტორიის დასრულბაში, არის ახალ დროში* **ენა-ლაზარეს** *საკაცობრიო ფუნქციური დანიშნულების არ შესრულების, ადამიანის ფიზიოლოგიური განვითარების ერთიანი - საკაცობრიო კანონის არდაცვის, დედამიწის მხრიდან, ადამიანსა (ერი, კაცობრიობა) და ასტრო-ფიზიკურ სხეულებს შორის მიმართებაში ზემოხსენებული სიმეტრიულობის დარღვეის წინაპირობა; იგი დიდი საფრთხეა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის, შენარჩუნების, თვალსაზრისით.* **ო)** *წინამდებარე გამოკვლევა, რომლითაც გაცნობიერებულია ქვეყნაში საზოადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლის თაობაზე, სრულიად საქართველოს 2014 წლის* **ეროვნული ყრილობის** *2014 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების [8], მეცნიერული საფუძვლიანობა, რეაგირების საგანია მეცნიერებათა ეროვნული*

აკადემიისათვის; ამას ამ გადწყვეტილებასთან ქვეყნის სახელმწიფო ხელისულების არა ეროვნულ--დემოკრატიული დამოკიდებულების მხილებისა და მისი შეცვლის გარდაუვალობა განაპირობებს; - გარდაუალია ქართველი ერის თვითგადარჩენის ამ ერთადერთი გ ზ ი ს ათვისების საკითხის საართვველოს პარლმნტის ღ ი ა სხდომაზე განხილვისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ ორგანიზება, - ე რ ო ვ ნ უ ლ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს დაცვაში დაშვებული შეცდომების გასწორება და, ხსენებული ყრილობის დადგენილების (26,11,2014) შესაბამისად ამ იდეოლოგიის განახლების ორგანიზება; ეს არის ქართული ენა - ლაზარეს საერთო-საკაცობრიო სოციალური დანიშნულების ანუ დედა-ენის ფუნქციის შესრულების, შესაბამისად, კაცობრიობის თვითშენარჩუნების წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. თაკალანძე ე., სოციალურ-ეკონომიკური თეორიის პრობლემებზე მრავალწლიანო კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ, ჟ. „ეკონომიკა“ , N 7-9, 2015 წ.

2. თაკალანძე ე. , საქართველო - მორალისტურ საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის შექმნისა და ქრისტიანული წელთააღრიცხვის დაზუსტების ინიციატორი, ჟ. „ეკონომიკა“ N 9 -10, 2004 წ.

3. გაზ. „ასავალ - დასავალი“, N 1, 1995 წ. ,სარედაქციო წერილი - „წიგნი, რომელიც არავის წაუკითხავს“.

4. თაკალანძე ე., ნანუაშვილი თ., 2000-წლიანი თვითგანვითარების ძირითადი ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებების განსაზღვრისათვის, ჟ. „ეკონომოკა“ , N11-12, 2008 წ..

5. შანიძე აკაკი, კვაჭაძე ლეო, ქართული ენა, მე-5 კლასის სახელმძღვანელო, „განათლება“, თბილისი, 2005წ.

6. ჯორჯაძე აკაკი, მოვლენისა და საკუთარი თავის შესაცნობად, გაზეთი-„მეტი სინათლე“ N49, გვ. 2-5, 1999 წ.

7. საქართველოს ატლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2008წ.

8. გაზეთი „ძველი-ახალი ს ი ტ ყ ვ ა“, N16 (173), 2014.

REFERENCES :

1. Takaladze E. Socio - economic problems in the theory of many research findings, Journal „Economics“ N7-9, 2015y.

2. Takaladze E. , Georgia - moralistic social - economic formation, the creation of the Christian BC, and to specify initiator, Journal „Economics“ N9-10, 2004y.

3. Newspaper „Asaval – Dasavali „, N1, 1995, editorial - „a book that no one ever read“.

4. Takaladze E. , Nanuashvili T. , In 2000 years of major national self - Democratic political - economic determination, J. „Economics“ , N11-12, 2008y.

5. Shanidze Akaki , Kvachadze Leo, Georgian Language, 5th grade textbook, „Education“, Tbilisi, 2005y.

6. Jorjadze Akaki, to get to know the events and themselves, the newspaper - „More Light“ N49, page. 2-5, 1999y.

7. Georgian Atlas , Bakur Sulakauri Publishing House , 2008y.

8. Magazine „Old –new Word“ N16 (173), 2014y.

ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხები

მაია სოსელია
სტუ პროფესორი
თამარ ბერიძე
სტუ პროფესორი
თამარ როსტიაშვილი
სტუ პროფესორი

რეზიუმე

ბუნებრივი გარემოს ხარისხის მართვის სისტემის რეგულირებისათვის სხვადასხვა ქვეყანებში განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, რომელთა ტიპოლოგიზაციისა და პრაქტიკული გამოყენების არჩევანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მსოფლიო გამოცდილების ანალიზი. გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: ადმინისტრაციული რეგულირება, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და საბაზრო მეთოდები. ადმინისტრაციული რეგულირება გულისხმობს შესაბამისი ნორმატივების, სტანდარტებისა და შეზღუდვების დაწესებას. აგრეთვე ბუნებათსარგებლობის პროცესების ლიცენზირებისა და პირდაპირი კონტროლის საკითხებს, მ.შ. ეკოლოგიურ აუდიტს, ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ეკოლოგიურ დაზღვევასა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მონიტორინგს.

ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხების გადასაწყვეტად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ინსტრუმენტების ეფექტურობას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა - გადასაწყვეტი პრობლემის სფეციფიკა; ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური და სოციალურ–კულტურული თავისებურება; დაბინძურების ტიპი; რეგიონის ეკოლოგიური სიტუაცია და ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: ბუნებისდაცვითი პოლიტიკა, ეკოლ-

ოგიური აუდიტი, ეკოლოგიური ექსპერტიზა, ეკოლოგიური დაზღვევა.

შესავალი

ბუნებრივი გარემოს ხარისხის მართვის სისტემა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდებოდა, ამიტომ მისი რეგულირებისათვის სხვადასხვა ქვეყანებში განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ. ამ მეთოდების ტიპოლოგიზაციისა და მათი პრაქტიკული გამოყენების არჩევანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მსოფლიო გამოცდილების ანალიზი. შესაძლებელია ბუნებრივი გარემოს ხარისხის რეგულირების სამი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა: ადმინისტრაციული რეგულირება, ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება და საბაზრო მეთოდები.

ეკოლოგიური დაზღვევის სახეებს თითქმის არ იყენებდნენ, თუმცა, ამჟამად შემოღებულია ნებაყოფლობითი და აუცილებელი სახელმწიფო ეკოლოგიური დაზღვევა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, მოქალაქეებისა და მათი საკუთრების (მოძრავი და უძრავი).

ეკოლოგიური დაზღვევა (ბუნებისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე დაზღვევა) გულისხმობს პოტენციურად საშიში ობიექტების მესაკუთრის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომელიც ზარალს აანაზღაურებს მესამე პირის მეშვეობით ავარიისა და კატასტროფის შემთხვევაში.

ეკოლოგიური დაზღვევის ძირითადი ფუნქციებია:

1. პასუხისმგებლობის დაზღვევა ბუნების ავარიულ დაბინძურებაზე. ე.ი. ზარალის დაზღვევა, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ეკოლოგიური ავარიის შემთხვევაში.

2. ანტიავარიული ღონისძიებების სტიმულირება, რომელიც სადაზღვევო ეკოლოგიური ფონდის სპეციალური რეზერვების მეშვეობით ხორციელდება. აქ ადგილი აქვს ეკონომიკური ინტერესების დამთხვევას დამზღვევსა და კომპანიას შორის: პირველი დაინტერესებულია სადაზღვევო გადასახადების, მე-

ორე კი სადაზღვევო პრემიების შემცირებით - ეკოლოგიური ავარიის რისკის შემთხვევაში.

მითითებული ფუნქციების შესრულებისთვის შექმნილია სპეციალური დაზღვევის სისტემა (ექტრა), რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს სადაზღვევო ეკოლოგიური ფონდები, რომლებიც აუნაზღაურებენ დანაკარგს მესამე პირებს, ან დამზღვევს ავარიული ან გარემოს დაბინძურების საშიშროების შემთხვევაში და ასევე ავარიის ამღკვეთი სტიმულირება.

ძირითადი ნაწილი

ეკოლოგიური რისკის დაზღვევა მიმდინარეობს ნებაყოფლობითი და აუცილებელი თანმიმდევრობით. აუცილებელი დაზღვევა მოიცავს ყველა ფირმას და წარმოებას, რომლებიც წარმოადგენენ ეკოლოგიური საშიშროების საფრთხეს. ნებაყოფლობითი ეკოლოგიური რისკის დაზღვევას აუცილებლობისგან განსხვავებით არ გააჩნია შეზღუდვები, მაგრამ რაც უფრო მეტია სადაზღვევო პრემია, მით უფრო მეტია ავარიის რისკი. აღსანიშნავია, რომ დამზღვევის წარმოებას შეიძლება ჩამოერთვას ეკოლოგიური დაზღვევის ანაზღაურების უფლება თუ იგი რამდენჯერმე იქნა გაფრთხლებული მოსალოდნელი ავარიის თაობაზე და არ გაითვალისწინა გაფრთხილება. ამ შემთხვევაში ეკოლოგიური დაზღვევა ასრულებს მასტიმულირებლის ფუნქციას, რომელიც იცავს გარშემომყოფთ და ბუნების რესურსებს.

სხვადასხვა პროექტების (განსაკუთრებით, დიდი მასშტაბის) განხორციელების დროს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ყველა შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა სამეურნეო საქმიანობასა და ეკოლოგიურ გარემოზე, ტექნოსფერული სამყაროს ელემენტებზე და რა თქმა უნდა - ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამიტომ თითქმის ერთდროულად, რისკის შეფასების ქვეშ, ცალკეული საინჟინრო სისტემებისა და ნაგებობებისათვის (მაგ. ხიდები) ჩამოყალიბდა მექანიზმი, რომელმაც მიიღო სახელი „ზეგავლენა გარემოზე“, ან როგორც ხშირად ამბობენ **„ეკოლოგიური ექსპერტიზა“.**

ეკოლოგიური ექსპერტიზა არის ყველაზე აუცილებელი ინსტრუმენტი სახელმწიფო პოლიტიკაში - ბუნებისდაცვისა და ბუნებათსარგებლობის მართვაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია განსაზღვროს მისი მთავარი ფუნქციების ეკოლოგიური დასაბუთება, როგორც გათვალსიწინებული, ასევე მიღებული გადაწყვეტილებებისა (კორექტირების ან გაუქმების შესაძლებლობა, თუ მათ რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ან ბუნებაზე).

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პრინციპებია:

• პრევენცია პოტენციური ეკოლოგიური საფრთხისა ნებისმიერ მოსალოდნელ სამეურნეო თუ სხვა საქმიანობაში (ინიციატორმა წინასწარ უნდა იცოდეს და დაამტკიცოს მისი ეკოლოგიური უსაფრთხოება), პირველ რიგში, სახელმწიფოს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება (მხოლოდ განხილვის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებებს სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის ობიექტების რეალიზაციის შესახებ);

• ბუნებრივი გარემოს კომპლექსური შეფასება და გათვალისწინებული რესურსები სამეურნეო თუ სხვა სქმიანობისა, სამეცნიერო დასაბუთება, დასკვნების ობიექტურობა და კანონიერება;

• ექსპერტების დამოუკიდებლობა და ექსპერტიზის ჩატარების დროს მიუკერძოებლობა;

• დოკუმენტაციის სიზუსტე, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა წარდგენილ ეკოლოგიური ექსპერტიზაზე, საექსპერტო ობიექტის დამკვეთის პასუხისმგებლობა მის ჩატარებაზე;

• ეკოლოგიური ექსპერტიზის საჯაროდ, ხალხის აზრის გათვალსწინებით, ჩატარება.

გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალსიწინებელია ორი პრინციპი:

1. ეკოლოგიურ ექსპერტიზას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნლობა იმ შემთხევაში, თუ დამტიცდა პროექტის უსაფრთხოება.

2. უსაფრთოების ყველა ზომებიდან უპირატესობა ენიჭება სამედიცინო ბიოლოგიურ უსაფრთოებას. ე.ი ადამიანის ჯანმრთელობას. ძირითადი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო არსებობას.

ბოლო წლებში ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი ყალიბდება ასეთი მიდგომა: მისი ძირითადი კრიტერიუმი (მიყენებული ზარალის რისკის ხარისხი) დაკავშირებულია ეკოლოგიური უსაფრთხოების წინა კონცეფციასთან (იგი დაფუძნებული იყო მავნე ქიმიური ელემენტების კრიტერიუმების შეზღუდვაზე) და ადგილი ეთმობა ეკოლოგიური რისკის კონცეფციას. ამ კონცეფციის თანახმად, უარყოფითი ზეგავლენა დაგეგმილი ობიქტების ეკოსისტემებსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შეუძლებელია ბოლომდე აიცილო თავიდან, ამიტომ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება (ბუნების დაცვის თალსაზრისით) ნიშნავს ეკონომიურად და სოციალურად ჩამოყალიბებულ უაყოფით გავლენას.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტებად დადგენილია:

1. პროექტები, სამშენებლო და სამეურნეო ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური დამკვიდრება, ასევე, მოქმედი წარმოება და კომპლექსები.

2. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, მასალებისა და ასევე სამუშაო მოწოყობლობის შექმნაში.

3. ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტების პროექტები, ასევე, მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, დადგენილია 15 ყველაზე საშიში (განსაკუთრებული ყურადღებისა და სპეციფიკური გამოკვლევების მქონე) სამეურნეო საქმიანობა. მ. შ. ატომური მრეწველობა, ენერგეტიკა, ნავთობ და გაზმომარაგება; ქიმიური მრწეველობა, ნავთობის და გაზის ტრანსპორტირება და მათი გადამუშავების პროდუქტები; ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა, შენახვა, ტრანსპორტირება და საომარი იარაღის განადგურება; ასაფეთქებელი ნივთიერებისა და კოსმოსური ხომალდის საწვავის წარმოება, ტრანსპორტირება, შენახვა, უტოლიზაცია; ტექნიკური და შხამიანი ნარჩენების ჩამარხვა;

მეცხოველეობის კომპლექსი; ნავთობის, ქიმიური პროდუქტებისა და საწამლავ ქიმიკატების ბაზრები.

გაფრთხილების მიზნით, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბუნების გარემო მავნებლობის შესახებ ყალიბდება ეკოლოგიური მოთხოვნები ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, მასალების, ნივთიერებებისა და სახალხო მოთხოვნილებების პროდუქციაზე. ეკოლოგიური ექსტერტიზის ამოცანაა - ობიექტების შესაბამისობის შემოწმება ეკოლოგიური მოთხოვნილებებისადმი.

თანამედროვე პერიოდში, მსხვილი კომპანიები მასშტაბური და ხანგრძლივი ინვესტიციების, საკრედიტო და მსგავსი რისკის შემცველი ოპერაციების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებულია გაფართოებასთან, მოდერნიზაციასთან, პრივატიზაციასა და სამრეწველო ორგანიზაციების რეორგანიზაციასთან, თავად ატარებენ ან მოითხოვენ ბიზნეს პარტნიორებთან ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებას.

ეკოლოგიური აუდიტი - ეს არის ობიექტური, სისტემური, დოკუმენტირებული და რეგულარულად განმეორებადი გამოკვლევა გარემოს დამცავი სისტემების მდგომარეობის დაწესებულებებში.

ეკოლოგიური აუდიტი წარმოიშვა აშშ-ში 70-იანი წლების შუა პერიოდში. მისი წარმოქმნა განაპირობა ეკოლოგიური კატასტროფებისა და ავარიების მაღალმა მაჩვენებელმა და ასევე ქიმიური წარმოების ობიექტებზე ეკოლოგიური დანახარჯების გაზრდამ. 80-იანი წლებში ეკოლოგიური აუდიტი პრაქტიკაში დაინერგა დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, შვედეთსა და ევროპის სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში. საზოგადოებრივი შეგნების გაზრდა ამ ქვეყნებში გამოიწვია ევროსაბჭოს სპეციალურმა დადგენილებამ „დადგენილება ეკოაუდიტზე“.

ობიექტები	საკუთრება
	საგნები სიტუაციებში დაწესებულების მართვის გეგმა
	მიმდინარე ოპერაციები

ფუნქციები	დაწესებულების მიმდინარე მოქმედების შფასება ეკოლოგიური კანონმდებლობიდან გამომდინარე.
	დაგეგმარებისა და მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციათა მმართველობის უზრუნველყოფა.
	მმართველობის გადაწყვეტილების გადამოწმება, რომლებიც გარემოს დაცვასთან არის კავშირში.
	საზოგადოების, აქციონერებისა და მთავრობის ნდობის კომპანიის მიმართ.

ეკოლოგიური აუდიტის ობიექტებია:

• საკუთრება (მიწის ნაკვეთები, ბუნებრივი ობიექტები, შენობები და აღჭურვილობა, მანქანები და სხვ.)

• ფირმის მიმდინარე ოპერაციები (საწარმოო, კომერციული)

• დაწესებულებების მართვის სისტემა საგანგებო სიტუაციებში

• გარემოს დამცავი პროგრამები და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

როგორც წესი, ეკოაუდიტის პროცედურა ნებაყოფლობითია, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების ფუნქციონირება აშკარად საფრთხეს უქმნის გარემოს მდგომარეობას და მოსახლეობას - საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იძულებითი ეკოლოგიური აუდიტის განხორციელება,.

ეკოლოგიური აუდიტის ძირითადი ფუნქციებია:

1. კომპანიის მიმდინარე მოქმედების შეფასება - ეკოლოგიური კანონმდებლობიდან გამომდინარე

2. ინფორმაციული მართვის უზრუნველყოფა - აუცილებელი დაგეგმარებისა და მართვისათვის

3. მმართველობის გადაწყვეტილებების გადამოწმება - გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კითხვების მიხედვით

4. დაწესებულების მიმართ ნდობის განმტკიცება საზოგადოებისა და აქციონერების მხრიდან - ამ გზით სახელმწიფო კონტროლი თანდათან უთმობს ადგილს თვითკონტროლს, რო-

მელიც გამოიხატება ეკოლოგიური აუდტის გავრცელებაში.

ეკოლოგიური აუდიტის პროცედურა მოიცავს ოთხ ეტაპს:

I - პირველადი პროცედურების ჩატარება. ეკოლოგიური სურათების საფუძველზე პირველადი ობიექტების განსაზღვრა. ეკოლოგიური აუდიტის ჩატარების გრაფიკების შედგენა. ეკოაუდიტის განხორციელების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება.

II - კონკრეტული აუდიტირება. ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან საუბარი, დოკუმენტებთან მუშაობა, ობიექტის ფიზიკური და ინსტრუმენტული გამოკვლევა, ლაბორატორიული ანალიზი.

III - ეკოლოგიური აუდიტის მოხსენების მომზადება. მოხსენებაში ვლინდება ობიექტის ეკოლოგიური მაჩვენებლების შესაბამისობა (შეუსაბამობა) საერთაშორისო ნორმებთან და ადგილობრივ კანონებსა და სტანდარტებთან. მოხსენების ბოლოს მოცემულია რეკომენდაცია დარღვევების გამოსწორებისა და ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

IV - ეკოლოგიური აუდიტის შედეგების რეალიზაცია. შედეგების მიტანა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, თანამშრომლებთან, აუქციონერებსა და ბიზნეს პარტნიორებთან.

საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, ეკოლოგიური აუდიტის გატარების, რამდენიმე ტიპს გამოყოფენ.

ეკოლოგიური დაზღვევა მოიცავს ეკოლოგიურ აუდიტს, როგორც დაზღვევის მოლაპარაკებისათვის აუცილებელ პირობას. წარმოდგენილია ეკოლოგიური აუდიტის სამი ტიპი: ტერიტორიული, განშტოებრივი და შინაგანი. აუცილებელია აღინიშნოს, განსხვავება ეკოლოგიურ აუდიტსა და ეკოლოგიურ შეფასებას შორის. ეკოაუდიტი გულისხმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მოცემულ მომენტში და ასევე წარსულში განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიური შედეგების განხილვას. ეკოლოგიური შეფასება მიმართულია მომავალზე, იგი ახდენს სავარაუდო ობიექტის განხორციელების შემთხვევაში ზემოქმედების აღწერას.



ბუნებრივი რესურსების დაცვის **მონიტორინგი** არის ხანგრძლივი მეთვალყურეობა ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე, მის დაბინძურებასა და მასში მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებზე. განასხვავებენ მონიტორინგის რამდენიმე სახეს.

ტერიტორიების მიხედვით არსებობს: ლოკალური, რეგიონული და ბიოფერული ანუ გლობალური მონიტორინგი.

გამოყენების მიხედვით არსებობს: მიწიერი; ავიაციული და კოსმოსური.

გამოკვლევის მეთოდის მიხედვით კი - ქიმური, ფიზიკური და სხვ.

ლოკალურ მონიტორინგის საბოლოო მიზანია უზრუნველყოს ისეთი მეურნეობის შექმნა, რომელშიც ანთროპოგენური მოქმდების წარმომშობი ნივთიერებები დადგენილ ნორმებს არ აჭარბებს. ლოკალური მონიტორინგის სახეობაა ინფაქტური მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება განსაკუთრებით საშიშ ზონებში.

რეგიონული მონიტორინგი თვალს ადევნებს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც განსხვავდებიან მეზობელი რეგიონების ბუნებრივი მოვლენებისგან. მაგ. ბუნებრივი ზონები, ლანდშაფტური ზონები, რეკრეაციული

ტერიტორიები ქალაქის ირგვლივ და სხვ.

გლობალურ მონიტორინგს ახორციელებენ იმ მიზნით, რომ მიიღონ ინფორმაცია მთლიანად ბიოსფეროზე ან ბიოსფეროს ცალკეულ პროცესებზე. მაგ. კლიმატის ცვლილება, ოზონის ხვრელის მდგომარეობა და სხვ.

ცნობილია, რომ ანთროპოგენური მოვლენები ვითარდება ბუნებრივისაგან განსხვავებით უფრო სწრაფად და შედეგიც საკმაოდ საშიშია, რადგანაც მათ შეიძლება გამოიწვიონ გამოუსწორებელი შედეგები და ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ - გამოვლევის ობიექტის მდგომარეობა ანთროპოგენური მოვლენების დაწყებამდე. იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია არის მიუწვდომელი, ის შეიძლება რეკონსტრუქცირებული იქნას მოცემული მონაცემებით, რომლებიც მოპოვებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მაგ. ყინულის იმ მდგომარეობაზე დაკვირვებით, რომელიც მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც დაიწყო პირველად ანთროპოგენური მოქმედება. ან კიდევ მონაცემებზე დაყრდნობით იმ ადგილიდან, რომელიც მოშორებულია დაბინძურების წყაროს. ამ დროს გამოიყენება ფონური მონიტორინგი ანუ ფონური დაბინძურების მონიტორინგი.

მიწიერი (მიწის) მონიტორინგი ტარდება, უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ დაზუსტდეს კოსმიური და ავიაციური აპარატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მეორე მხრივ, თვალყურის დევნაა გათვალისწინებული იმ მოვლენებზე, რომლებიც სხვა მეთოდებით ვერ მიიღწევა. მაგ. ქიმიური და ფიზიური პარამეტრები მიწის ზემოთ არსებული ჰაერის გამოსაკვლევად - ამისათვის ძირითადად გამოიყენება ცოცხალი ორგანიზმები ანუ ბიოინდიკატორები.

ავიაციური მონიტორინგი ორიენტირებულია რეგიონულ ან ლოკალურ მოვლენებზე. მაგ. ის ფართოდ გამოიყენება ტყის ინტერვენციისთვის; მოცულობის დასადგენად; დაბინძურებისა და ზიანის მიმყენებლების გამოსავლენად.

კოსმიური მონიტორინგი საშუალებას იძლევა წარმოდგენა გვქონდეს ცალკეულ ბიოსფერულ მოვლენებზე, რომელიც

სხვა მეთოდებით არ ჩანს.

პირველი ეკოლოგიური თანამგზავრი „კოსმოსი-1906“ გაშვებული იქნა 1987 წელს. ასეთი ფრენები უზრუნველყოფდა დედამიწის დისტანციური ზონდირებით მნიშვნელოვანი მონაცემების მოპოვებას. აგრეთვე სურათების გადაღებას ანტარქტიდასა და მსოფლიო ოკეანისათვის. კოსმიური ინფორმაციის საფუძველზე ხდება ბუნებრივი რესურსების გამოკვლევა ფართო და დიდი მასშტაბებით. იკვლევენ მათზე მოქმედი მეურნეობების საქმიანობასაც.

ასეთ თანამგზავრს შეუძლია ერთ წუთში გადაიღოს სურათი 8-დან 40 ათასი კვ.კმ. დაშორებული დედამიწის ზედაპირიდან. ამ მონაცემებით სწავლობენ ტუნდრისა და ტყე ტუნდრის საზღვრებს, დინამიკასა და მდგომარეობას. აგრეთვე გამოითვლება სოფლის მეურნეობაზე ცუდად მოქმედი ფაქტორები და სხვ.

დასკვნა. ბუნებისდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების საკითხების გადაწყვეტისას, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ამ ინსტრუმენტების ეფექტურობას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა - გადასაწყვეტი პრობლემის სფეციფიკა; ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური და სოციალურ–კულტურული თავისებურება; დაბინძურების ტიპი; რეგიონის ეკოლოგიური სიტუაცია; ბუნებისდაცვითი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

ლიტერატურა:

1. Бахтаирова Е.А. Управление качеством окружающей среды, Издательство БГУЭП 2009

http://otherreferats.allbest.ru/ecology/00033756_0.html

http://www.murman.ru/ecology/comitet/report99/part7_1.html

http://bibliofond.ru/view.aspx?id=485236

http://ecsocman.hse.ru/text/19167458/

REFERENCES:

1. Bakhtairova E. A. Quality management of environment, BGUEP 2009 publishing house
2. http://otherreferats.allbest.ru/ecology/00033756_0.html
3. http://www.murman.ru/ecology/comitet/report99/part7_1.html
4. http://bibliofond.ru/view.aspx?id=485236
5. http://ecsocman.hse.ru/text/19167458/.

ENVIRONMENTAL POLICY INSTRUMENTS AND THE ISSUES OF THEIR PRACTICAL USAGE

Maia Soselia, Professor of GTU;
Tamar Beridze, Professor of GTU;
Tamar Rostiashvili, Professor of GTU

RESUME

The control systems of quality of environment in the different countries have been created under the influence of historical, political, social and many other factors. Therefore in various states various regulation of tools are used.

The mechanisms of influence of various tools of policy of the conservation given above have been understood in practice in the majority of the countries of the world. The efficiency of use of various instruments of environmental policy depends in a number of factors from which it is possible to distinguish: type of pollutants, an ecological situation in the region, opportunities of use of technologies of conservation, etc.

Keywords: Environmental Policy, Environmental Auditing, Environmental Assessment, Environmental Insurance.

საქართველოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები

ოთარი კობახიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა და ორგანული კანონმდებლობის ფარგლებში არსებული კოორდინაციის დონე საქართველოს ცენტრალურ ბანკსა და საქართველოს ადმინისტრაციულ მთავრობას შორის. მოყვანილია, ავტორისეული რამდენიმე ვარიანტი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ავამაღლოთ კოორდინაციის დონე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შორის, რაც რეკომენდაციის სახით შეიძლება გაითვალისწინონ აღნიშნული პოლიტიკის გამტარებლებმა. აღნიშნულია, რომ სებ-ის პოლიტიკა ძირითადად რეფინანსირების სესხის განაკვეთებით მოკლევადიან საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე გავლენის მოხდენაა. ნაჩვენებია თუ როგორ რეაგირებენ მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე გამოწვევებზე, მათი მიზნებიდან და ეკონომიკური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკის კოორდინაცია, ფინანსთა სამინისტრო, საბანკო სისტემა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.

შესავალი

საქართველოს ადმინისტრაციული მთავრობა მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია საკუთარ ანალიზში და პროგნოზებში და ახდენს ძლიერი სპეციალისტების მობილიზებას ფინანსთა

სამინისტროს დეპარტამენტებში, ასევე დამოუკიებელი ერთეულების კვლევების გათვალისწინებას საკუთარ საქმიანობაში. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბიუჯეტი სოციალურ პროგრამებზე ორიენტირებულია და ვინაიდან საარჩევნო წელია, მთავრობისგან შემაკავებელი პოლიტიკის გატარებას არ უნდა ველოდოთ, რაც დეფიციტური ბიუჯეტის ვალით დაფინანსებას ნიშნავს. ასევე, საგადასახადო ტვირთის გაზრდაც ნავარაუდევია 25,7%- ამდე, რაც დიდი ზრდა ნამდვილად არ არის, თუმცა მიმდინრე ეკონომიკურ ფონზე ასეთი ტენდენცია ნამდვილად არასახარბიელო პროგნოზების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ძირითადი ტექსტი

იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტის შესრულებაში მიმდინარე პერიოდში პრობლემები არ იკვეთება, თითქოს ლოგიკურია მთავრობის ეს გათვლები. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადასახადების დიდი ნაწილი (57%) არაპირდაპირი გადასახადებია და უფრო მჭიდრო კავშირშია ბრუნვასთან. ეს გულისხმობს, რომ ლარის გაუფასურების და მზარდი ინფლაციის ფონზე არაპირდაპირი გადასახადების საგადასახდო ბაზა გაიზარდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ იმპორტი დაახლოებით 10%-ით შემცირებულია 2015 წლის იანვარ-აგვისტოში, ლარებში დაანგარიშებისას მივიღებთ, რომ იმპორტი ამ პერიოდში 13%-ით გაიზარდა. სწორედ ლარებში და არა დოლარებში დაანგარიშებული იმპორტი არის დაბეგვრის ობიექტი. მაგალითად, თუ 2014 წელს ვახდენდით რაიმე ნივთის იმპორტს, რომლის ღირებულებაც არის $100, მაშინ შარშან აგვისტოში გადავიხდიდით იმპორტის გადასახადის სახით 12 ლარს, ხოლო შარშანწინ ამავე სახის ნივთზე გადავიხდიდით 8.7 ლარს. თუმცა, გადასახადების გეგმის ამ ფორმით შესრულება სულაც არ მიუთითებს დადებითი ტენდენციების არსებობაზე ეკონომიკაში. მეტიც, ეს მიუთითებს იმაზე, რომ რეალურ ეკონომიკას გაცილებით მეტად უმძიმდება საგადასახდო ტვირთი ვიდრე

ამას უბრალოდ გადასახადებისა და ნომინალური მშპ-ის თანაფარდობა აჩვენებს.

შემოსავლების მობილიზების კუთხით კვლავ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ვალდებულებების ზრდის ხარჯზე ბიუჯეტის დაფინანსების პრაქტიკა. მთავრობას 2016 წლისათვის ვალდებულებები 914 მლნ. ლარით ეზრდება, რაც მშპ-ის 3.8%-ს გადააჭარბებს (ხოლო ვალი მშპ-ის 38.8%-ს მიაღწევს). ვალის აღების ხარჯზე ხარჯების დაფინანსების პრაქტიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2014 წლიდან, როდესაც ვალდებულებები ერთბაშად 785 მლნ. ლარით გაიზარდა 2013 წელთან შედარებით. მნიშვნელოვანწილად ეს ზრდა განპირობებული იყო საშინაო ვალდებულებების ზრდით. 2013 წლიდან 2014 წლამდე მთავრობამ კერძო სექტორთან დავალიანება დაახლოებით 420 მლნ. ლარით გაზარდა. მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის ის, რომ შიდა ვალის ზრდა ემსახურება ეკონომიკისათვის „გრძელი ფულის“ მიწოდებას და ამავე დროს ვალთან დაკავშირებული სავალუტო რისკების შემცირებას. თუმცა, რეალობა არის ის, რომ საპროცენტო განკვეთები სახაზინო ობლიგაციებზე გაიზარდა. მაგალითად, 5 წლიან ობლიგაციებზე 14%-ს გადააჭარბა, მაშინ როცა გასულ წელს 8-9%-ის ფარგლებში მერყეობდა. ეს ნიშნავს, რომ შიდა ვალის აღება „იაფი ლუკმა“ აღარ არის. რაც შეეხება თავად საპროცენტო განაკვეთის მომატებას, ის სულ მცირე ორ ფაქტორს უკავშირდება. პირველი, სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ჭარბი მიწოდება, და მეორე გაზრდილი ინფლაციური მოლოდინები, რაც საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება გრძელი ფულის მიწოდებას უნდა აღინიშნოს რომ მიმდინარე წელს სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული თანხების მხოლოდ 125 მლნ. უკავშირდება 2 წელზე მეტი ვადიანობის ფასიანი ქაღალდების განთავსებას (მაშინ როდესაც 409 მლნ. ლარი უკავშირდება 12 თვიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განთავსებას). გრძელი ფულის მიწოდების საბაბით შეიძლება აიხსნას მაქსიმუმ 18% ვალის აღებისა (1,გვ.1)

მთავრობის არჩეული პოლიტიკა, სერიოზულ ანალიზს სა-

ჭიროებს, რადგან იმ მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც ქვეყანა ეხლა იმყოფება არანაირად არ შეიძლება სოც. პროგრამებზე ორიენტირებით. გასაგებია რომ ეკონომიკური ფონი მძიმეა და უკვე მეორე წელიწადია სავალუტო კრიზისის პირობებში ვიმყოფებით, მაგრამ, არ ჩანს არავითარი მუშაობა ექსპორტის ხელშეწყობისა თუ ეკონომიკის მნიშვნელოვანი სტიმულირების მიმართულებით. ინფლაციის ტემპები პროგნოზულზე უფრო მაღალია, ხოლო გაიაფებული ვალუტა ვერ უწყობს ექსპორტს ხელს, რადგანაც წარმოების დონე ძალიან დაბალია და საექსპორტო ნომეკლატურა ერთობ მწირია. სახელმწიფოს მიზანი ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის (BDD) მიხედვით 3% ეკონომიკური ზრდაა, რაც განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მაჩვენებლის მსგავსია. ეს კი ძალიან ცუდია, ჩვენ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური რეალობის ფონზე, რადგან საქართველოში არათუ ინდუსტრიული, არამედ აგრარული მხარეც მოიკოჭლებს და მიუხედავად იმისა, რომ ეს სფერო პრიორიტეტულად ცხადდებოდა ახალი პოლიტიკური ძალის მიერ, რომელიც მთავრობაში 2012 წელს მოვიდა, გაწეული ფულადი ხარჯების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პროგრესი სახეზე არ არის. თემის საკითხიდან გამომდიანრე, ვეცდები არ ჩავუღრმავდე ბიუჯეტის ანალიზს, რაც ცალკეული კვლევის საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ ბიუჯეტის საბაზო ანალიზის გარეშე ძნელია განსაზღვრო ადმინისტრაციული მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მიმართულებები, რადგან ღიად და მაკფიოდ გამოკვეთილად ამ საკითხზე ცალკე არსად საუბრობენ.

ზემოაღნიშნულის ფონზე ახლა გადავხედოთ თუ რა სიტაუცია გვაქვს საქართველოს ეროვნული ბანკშის. პირველი, რაც თვალში გვეცემა ეს არის, სავალუტო კრიზისის ფონზე ინფლაციის თარგეთირება და შესბამისად მაღალი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემოღება. უნდა აღნიშნოს, რომ ძირითადი ურთიერთკავშირი მთავრობასა და სებ-ს შორის მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის საშუალებით მყარდება, რამდენადაც ის განსაზღვრავს სამთავრობო ფასი-

ანი ქაღლდების უკუგების პროცენტულ მაჩვენებელს. მთავრობის მხრიდან ეროვნულ ბანკს წინა წელს მნიშვნელოვანი კრიტიკა შეხვდა, რადგან სავალუტო კრიზისის ფონზე, ლარი უფასურდებოდა, რამაც ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა და უცხოურ ტექნოლოგიებზე მომუშავე ფირმებს პირდაპირ 30% ამდე გაუძვირა საქონელი. მთავრობის მოთხოვნა, რომ ეროვნულ ბანკს რეზერვები გაეყიდა, ერთი მხრივ აბსოლუტურად გასაგებია, რადგან მოსახლეობისთვის კურსის ვარდნას კატასტროფული შედეგები მოჰქონდა. არადა კვლევები აჩვენებს, რომ კურსის გაუფასურება დოლართან, მიმდიანრე დოლარიზაციის პირობებში საკმაოდ სწრაფად და მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გადაეცემა სამომხმარებლო საქონლის ფასებზე. მიუხედავად ამისა სებ-ის პოზიცია ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია, რადგანაც როდესაც საქმე გრძელვადიან სავალუტო შოკთან გვაქვს და დოლარი ისედაც ყოველთვის ძვირდება ნავთობის ფასების დაცემისას, აზრი არ ქონდა სავალუტო რეზერვების ჩაყრას დიდი რაოდენობით, რადგანაც ის ამოწურვადი რესურსია და მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აქვს გავლენა, ასე რომ უცხოური სავალუტო რეზერვის გაყიდვა, მხოლოდ კურსის ვარდნის შერბილებისთვის თუ გამოდგებოდა.

მეორე კუთხით დაპირისპირება მთავრობასა და სებ-ს შორის ეხებოდა რეფინანსირების განაკვეთებს და ერთკვირიანი სესხების გაცემას. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ჩანს, რომ 2014 წლის სავალუტო კრიზისს თან მოყვა მიზანმიმართული მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა, რაც ეროვნული ბანკისავე განცხადებით, ბაზარზე ინტერვენციის უპირველესი ინსტრუმენტია (იხ ნახაზი).

მთავრობის პოზიცია იყო რეფინანსირების სესხების გაცემის ინტენსივობის შემცირება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკას ისედაც უჭირდა და კაპიტალის გადინება და ლარიდან დოალრში გადაცვლა მიმდიანრეობდა, ლიკვიდურობის სერიოზული პრობლემების წინაშე არათუ კერძო ბიზნესი, არამედ თვითონ მთავრობაც აღმოჩნდებოდა და წარმოიქმნე-



ნახაზი. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლების განმავლობაში

ბოდა ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებული საფრთხეები. მიუხედავად ეკონომიკის მდგომარეობისა, როგორც მთავრობა ასევე ეროვნული ბანკი მკვეთრად ექსპანსიურ პოლიტიკას არ გაატარებენ, სავალუტო კურსით გამოწვეული ინფლაცია, რთული მოსათოკია და უნდა ვივარაუდოთ, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ოდნავ კიდევ გაიზრდება, რაც მთავრობის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, ეროვნული ბანკი კი მხოლოდ მაშინ გაატარებს იაფი ფულის პოლიტიკას, როცა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი უფრო მეტი იქნება ფაქტობრივზე, რისი ვარაუდიც მომდევნო წელს ნამდვილად შეუძლებელია. ერთწლიანი პერიოდის შემდეგ მთავრობამ მეტნაკლებად აღიარა, რომ რეფინანსირების პოლიტიკა ლარის გაუფასურების მიზეზი არ არის. საგულისხმო ფაქტორია, რომ მთავრიბის ფასიან ქაღალდებზე პროცენტმა რეფინანსირების პოლიტიკის უცვლელადაც მოიმატა, რაც იმის ნიშანია, რომ ბაზარზე გარკვეული უნდობლობა ჩნდებოდა მთავრობის მიმართ, რაც შეგვიძლია მისი ლიკვიდურობის პოტენციალს დავუკავშიროთ. თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცენტრალური ბანკი თავის პოლიტიკაში დამოუკიდებელია და მხედველობაში იღებს ადმინისტრაციული მთავრობის გადაწყვეტილებებს, თუმცა აშკარად საკუთარი ეკონომიკური მოდელით ხელმძღვანელობს. სებ-ის პოლიტიკა ძირითადად რეფინანსირების სესხის განაკვეთებით მოკლევადიან საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე გავლენის მოხდენაა და ამ

მიზნის მისაღწევად იყენებს ოპერაციებს ღია ბაზრებზე, ერთდღიან სესხებს და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცედურებს. რაც შეეხება სავალუტო რეზერვებს, ამ მხრივ მოთხოვნების ცვლილება არაპოპულარული ინსტრუმენტია და იშვიათად გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით.

თუ ზემოთ გაწეული თეორიული მსჯელობის პრაქტიკაში გადმოტანას ვეცდებით, დავინახავთ, რომ გარკვეულ წილად წონასწორობა მყარდება სებ-სა და ადმინისტრაციულ მთავრობას შორის. კერძოდ მთავრობა ირჩევს ექსპანსიურ პოლიტიკას, ხოლო ეროვნული ბანკი კი ცდილობს ფულის მასის ამოღებითა და მაღალი მონეტარული განაკვეთით ინფლაციასთან ბრძოლას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალურ ბანკს თავის მოქმედებებში ყოველთვის ურჩევნია სრულაიდ დამოუკიდებელი იყოს და მათი გატარებული პოლიტიკა ამას ცხადყოფს. უნდა დავსვათ კითხვა- არის კი არაკოორდინირებული მიმდინარე პოლიტიკა, რომელსაც თითოეული მოთამაშე ეწევა და თუ ასეა, არის თუ არა ეს ცუდი ქვეყნის სოციალური კეთილდღეობისათვის? ჩვენი მოსაზრებით, სები-სა და ადმინსიტრაციული მთავრობის ურთიერთკოორდინაცია, შორსაა იდეალურისგან, თუმცა სრული არაკოორდინირებულობაც არ გვაქვს სახეზე.

ზემოაღნიშნულ ორ პოლიტიკის გამტარებელს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის პირველი შესაძლო შემოთავაზება იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნული ბანკი გახდეს სახელმწიფო ქვედანაყოფი და ადმინისტრაციული მთავრობის, ერთ-ერთი შტო და აღარ იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა ბანკმა. ასეთ შემთხვევაში მივიღებდით სრულ კოორდინაციას და უკეთეს ეკონომიკურ შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული მთავრობის, ეკონომიკური მოდელები და პროგნოზები მოწოდების სიმაღლეზე იქნებოდა. მეორე მხრივ, ადმინისტრაციის ხელში თავს მოიყრიდა ყველა ფისკალური და მონეტარული ბერკეტი, რაც შექმნიდა რისკს არასწორი პოლიტიკის აგრესულად გატარების შემთხვევაში, ქვეყნის ეკნომიკის ფატალურ შედეგამდე მიყვანისთვის, ამ უკანასკნელის

აღსაკვეთათ კი კონტროლი საზოგადოების ხელში აღმოჩნდებოდა, რაც ყველაზე სახარბიელო სიტუაცია ნამდვილად არ არის. აქციებით და პროტესტებით არჩეული არასწორი კურსის კორექტირება, სადებატო და ამასთანავე დროში გაწელილი და არაფექტური მეთოდი იქნებოდა. მეორე მხრივ, როდესაც ხალხი დემოკრატიული გზით ირჩევს მთავრობას, მხარდაჭერას უცხადებს მის ეკონომიკურ კურსს, არასახარბიელოა ცენტრალურმა ბანკმა მის განხორციელებას ხელი შეუშალოს, მითუმეტეს თუკი ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა პოლიტიკურად მოტივირებულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალური ბანკის მმართველი პირები უფრო დიდი ვადით აირჩევიან, ვიდრე ადმინისტრაციული მთავრობები.

მეორე შესაძლო გადაწყვეტა კოორდინაციის კოეფიციენტის ამაღლებისათვის, მდგომარეობს ვიცე პრემიერის, კომპეტენციების გაზრდასა თუ შეცვლაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვიცე პრემიერი უნდა იყოს უმაღლესი ეკონომიკური განათლების და გამოცდილების მქონე პირი, რომელიც გამოვა ფინანსთა სამინისტროსა და სები-ს მაკონტროლებლის, როლში. ასეთ სიტუაციაში ვიცე პრემიერს, ექნებოდა საშუალება, გარკვეულ წილად მეტი გავლენა მოეხდინა ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე და უფრო მეტად შეეთანხმებინა იგი ადმინისტრაციული მთავრობის ფისკალურ გადაწყვეტილებებთან. იგი გამოვიდოდა არა როგორც კურსის განმსაზღვრელი, არამედ კურატორი კოორდინაციისა ორ დამოუკიდებელ უწყებას შორის, ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესების კუთხით. როდესაც საქმე მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციას ეხება, გამოთქმა „მედალს ორი მხარე აქვს» ძლიერ რელევანტური ხდება, რადგან ყოველი ცვლილება, იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და რომელიმე მხარის უფლებების გაძლიერებას, ამიტომ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს, ესაჭიროებათ კონტროლიორი, რომელიც ყურადღებას მიაქცევს, რომ კოორდინაცია იყოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დონეზე და საჭირო შემთხვევაში, უფრო მაღალ დონეზეც, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესები

პირად და პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა დგას. აღიშნული შემოთავაზება, რაღა თქმა უნდა საკამათოა, რადგან ჩნდება კითხვები: რამდენად სანდოა ვიცე პრემიერის გამოცდილება? რამდენად აპოლიტიკური შეიძლება იყოს ქვეყნის ვიცე პრემიერი? რატომ არა სხვა დამოუკიდებელი საკონტროლო კომისია? და ასე შემდეგ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ სებ-ის პოლიტიკა ძირითადად რეფინანსირების სესხის განაკვეთებით მოკლევადიან საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე გავლენის მოხდენაა და ამ მიზნის მისაღწევად იყენებს ოპერაციებს ღია ბაზრებზე, ერთდღიან სესხებს და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცედურებს.
2. შეთავაზებულია ორი შესაძლო გადაწყვეტა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და მოკლედ განხილულია მათი დადებითი და უარყოითი მხარეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. BDD დოკუმენტი, 2016-2019 წლები, მცირე ნამცხვრის გადანაწილება- ლაშა არევაძე.
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555
3. Mof.gov.ge
4. Nbg.ge

REFERENCES:

1. BDD Document, 2016-2019YY, Distribution of „small cake“- Lasha arevadze (In Georgian).
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=555
3. Mof.gov.ge
4. Nbg.ge

THE COORDINATION ISSUES OF FISCAL AND MONETARY POLICY OF GEORGIA

Otari Kobakhidze,
PhD Student of GTU

RESUME

The central bank's policy is mainly concentrated on controlling the short-term interest rates by adjusting the interest rates on refinancing loans. The central bank uses operations on open markets, as well as, one-day loans and selling/buying operations on markets of securities, to achieve its goals.

We propose two possible solutions for better coordination between the ministry of finances and central bank and briefly discuss the pros and cons of each solution.

Key words: Coordinaton of Policy, Ministry of Finances, Banking System, Monetary Policy Rate.

კომერციული ბანკების საფასო-საპროცენტო სტრატეგია

თამარ აბშილავა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კომერციული ბანკები მუდმივად გამოდიან, როგორც კრედიტორის, ასევე მსესხებლის როლში, ამიტომ რაციონალური საფასო-საპროცენტო სტრატეგიის შერჩევა არის მათი უდანაკარგო მუშაობის აუცილებელი პირობა და წარმოადგენს კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი მოწმობს, რომ ინფლაციის სიდიდის არასრულად შეფასება პროცენტის საკრედიტო განაკვეთში, ისევე როგორც გადაჭარბებულად შეფასება სადეპოზიტო განაკვეთში, არ არის ბანკისთვის სასურველი. სტატიაში განხილულია ფიშერის ეფექტის გამოვლინების მაგალითები გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა ეტაპზე და მოცემულია მათი რეტროსკოპიული ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რეალური საპროცენტო განაკვეთი, სტრატეგია, ინფლაცია, აქტივების გადაფასება.

ძირითადი ნაწილი

ცვალებადი ინფლაციის პირობებში, შეუძლებელია ინფლაციური რისკის ზუსტი შეფასება. ფინანსურ მენეჯმენტში აღნიშნული მოვლენა ცნობილია, როგორც ფიშერის ეფექტი.

კომერციული ბანკების საკრედიტო-საინვესტიციო და სადეპოზიტო-აკუმულაციური სტრატეგიის თავისებურებას, ცვალებადი ინფლაციის პირობებში, წარმოადგენს საფასო-საპროცენტო სტრატეგია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ინფლაციური რისკის სათანადოდ ვერშეფასება ან პირიქით - გადაჭარბებით შეფასება, რაც განპირობებულია შემდეგი სიტუაციებით:

- საფასო-საპროცენტო სტრატეგიის ფორმირება ხდება იმგვარად, რომ მოგებული რჩება კომერციული ბანკი;

- საფასო-საპროცენტო სტრატეგია ხელსაყრელია ბანკის კლიენტებისთვის.

ზემოთმოყვანილი ორივე სიტუაცია აუარესებს ბანკის მდგომარეობას. პირველ შემთხვევაში ხდება ბანკის კლიენტურის გადინება და იგი კარგავს მომხმარებლების ბაზას, როგორც მეანაბრეების, ისე მსესსხებელთა შორის. მეორე შემთხვევაში ბანკი კარგავს თავის შემოსავლებს, რაც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაძლებელია დამთავრდეს ფინანსური მდგრადობის დაკარგვით და საბოლოო ჯამში კი გაკოტრებით.

ამგვარად, ბანკის ყველაზე მომგებიან საფასო-საპროცენტო სტრატეგიას, სხვა ეკონომიკურ აგენტებთან (მათ შორის, როგორც მოსახლეობასთან, ისე სამრეწველო სექტორის საწარმოებთან) მისი ხანგრძლივი და მდგრადი ურთიერთქმედების პოზიციიდან, შეადგენს გაწონასწორების სტრატეგია. ეს ისეთი სტრატეგიაა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთქმედების პროცესის ყველა მონაწილის ეკონომიკური ინტერესების ბალანსურ მდგომარეობას.

პროცესები, რომლის დროსაც ხდება ანაბრებისა და კრედიტების გაუფასურება პროცენტულ განაკვეთებში ინფლაციური რისკების უზუსტო აღრიცხვის შედეგად, ფინანსურ მენეჯმენტში ცნობილია როგორც ფიშერის ეფექტი.

ცნობილია,რომ დამოკიდებულება ნომინალურ საბაზრო-საპროცენტო განაკვეთს (k), ინფლაციის ტემპსა (x) და რეალურ საპროცენტო განაკვეთს (r) შორის, გამოისახება შესაბამისი ინდექსების დამოკიდებულებით:

$$1 + k = (1 + r)(1 + x) = 1 + r + x + rx \qquad (1)$$

სადაც,

r – რეალური განაკვეთია ან პრემია მოხმარებაზე უარისთვის;

x - ინფლაციის დონე

თუ x და r –ის მნიშვნელობები არაა დიდი, მაშინ შესაძლებელია ვისარგებლოთ მიახლოებითი ფორმულით:

$$k = r + x \qquad (2)$$

აღნიშნული ფორმულის ცდომილება მით უფრო არსებითია, რაც უფრო დიდია r და x სიდიდეების მნიშვნელობა. პრაქტიკულ გაანგარიშებებში ჩვეულებრივად გამოიყენება მიახლოებითი ფორმულა, რომელშიც, თავის მხრივ, გამოყენებულია რისკების აღრიცხვის დამატებითი მეთოდი, ანუ სხვადასხვა რისკების აღრიცხვა ხდება მათი დაჯამების გზით:

$$k = r + x^* + p + t \qquad (3)$$

სადაც

x^* - მოსალოდნელი (საპროგნოზო) ინფლაციის სიდიდეა;

p - დანამატი (პრემია) დაუფარავი ვალდებულების რისკისთვის;

t - დანამატი (პრემია) მოულოდნელი ინფლაციის რისკისთვის.

ამგვარად, რისკიდან თავისუფალი პროცენტის განაკვეთის სიდიდეს r^* - ს, აქვს შემდეგი სახე:

$$r^* = r + x^* \qquad (4)$$

საპროცენტო განაკეთის მართვა, მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, სწორად იქნას შეფასებული პარამეტრები r, x^*, p და t და ყველა მათგანი ჩართულ იქნას პროცენტის საერთო საბაზრო განაკვეთის (k) სიდიდეში, ხოლო მეორეს მხრივ, მიღებული სიდიდე, შეთანხმებულ იქნას ბაზარზე ფულის მოთხოვნებსა და მიწოდებაზე.

აღნიშნული პარამეტრების არასწორ შეფასებას მივყავართ შემოსავლების დაკარგვასთან და ამ პრობლემის წინაშე შესაძლოა დადგეს, როგორც სესხის გამცემი, ისე მსესხებელი. ამასთანავე, ერთ-ერთი მხარე, ყოველთვის რჩება მოგებული და იღებს დამატებით შემოსავალს იმ რაოდენობით, რომელიც ამ ოპერაციაში მონაწილე მხარის მიერ ვერ მიღებული შემოსავლის ტოლია.

საპროცენტო განაკვეთის სწორი დანიშნულება არის ბანკის უდანაკარგო მუშაობის აუცილებელი პირობა.

ინფლაციის სიდიდის არასრულად შეფასება, პროცენტის საკრედიტო განაკვეთში, ისევე, როგორც გადაჭარბებულად შეფასება სადეპოზიტო განაკვეთში არ არის ბანკისთვის სა-

სურველი, ამიტომ კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს რაციონალური საფასო-საპროცენტო სტრატეგიის შერჩევა. ამ უკანასკნელს გააჩნია 2 ასპექტი: საკრედიტო-საინვესტიციო და სადეპოზიტო-სააკუმულაციო სტრატეგიებთან მიმართებაში. იგი განაპირობებს ბანკის მდგომარეობას, როგორც საკრედიტო, ისე სადეპოზიტო ბაზარზე. პრაქტიკაში, ინფლაციის დინამიკაში არსებითი უთანაბრობის არსებობა, მნიშვნელოვანი ხარისხით აძნელებს ინფლაციური რისკების შეფასებას, განხილული სტრატეგიების რაციონალურ ფორმირებას და რეალიზაციას.

როგორც ცდები მოწმობენ, ბანკები არც თუ ყოველთვის ახერხებენ საფასო-საპროცენტო სტრატეგიის წონასწორულ ჩარჩოებში ყოფნას.

განვიხილოთ ფიშერის ეფექტის გავლენა ბანკების სადეპოზიტო-სააკუმულაციო და საკრედიტო-საინვესტიციო სტრატეგიებზე სხვადასხვა ეტაპებისთვის.

როგორც გამოდის მოყვანილი ფორმულებიდან, ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში, რეალური საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გახდეს უარყოფითი:

$$\kappa = k - inf < 0 \quad \text{თუ} \quad k < inf \qquad (5)$$

მართლაც, გარდამავალი ეტაპის პირველი პერიოდის პირობებში უარყოფითი რეალური საპროცენტო განაკვეთი, პრაქტიკულად საყოველთაო მოვლენა იყო, რადგან x $(x < inf)$ სიდიდის შეუფასებლობა პრაქტიკულად წარმოადგენდა „მზერას ვარდისფერი სათვალეებით“ და ინფლაციაზე არაადეკვატური რეაქციის არარსებობას. ასეთ სიტუაციას ნამდვილად შეეძლო არასასურველი გავლენის მოხდენა ბანკების მდგომარეობაზე. ამ პერიოდში, კომერციული ბანკების არსებობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო ზემოკლე კრედიტებით, x სიდიდის მუდმივი გადაფასებით და მიღებული შემოსავლების უწყვეტი კაპიტალიზაციით. მოცემული პროცესისათვის შესაბამისი ე.წ. პროცენტის საკრედიტო-ეფექტური განაკვეთი ინფლაციაზე მნიშვნელოვნად მაღალი იყო, რამაც ბანკებს არამარტო გადარჩენის, არამედ შემოსავლების მიღების საშუალება მისცა.

გარდამავალი პერიოდის მეორე ეტაპზე საბანკო სტრატეგია შეიცვალა. საბანკო საქმის თეორია მოწმობს იმას, რომ საბანკო სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს აქტივების მრავალჯერად გადაფასებას, მანამ სანამ გადაფასებული იქნება პასივები (სტიგუმ-ბრენჩის ეფექტი) მიზანშეწონილია ინფლაციის ზრდის პერიოდში. ინფლაციის დონის შემცირების პერიოდში საჭიროა საწინააღმდეგო სტრატეგიის განხორციელება, რაც ითვალისწინებს პასივების უფრო დინამიურ გადაფასებას აქტივების გადაფასებასთან შედარებით. აღვნიშნავთ, რომ მეორე და მესამე ეტაპის დასაწყისისთვის დამახასიათებელი იყო აქტივებისა და პასივების ზუსტად ასეთი სტრუქტურა: მოკლევადიანი პასივები, რომელიც უშვებდა სწრაფი გადაფასების შესაძლებლობას და შედარებით გრძელვადიანი აქტივები-სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მათი გადაფასების უფრო ხანგრძლივი ვადებით. მესამე ეტაპზე, განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში x სიდიდის მომეტებული შეფასება არ იყო მიზანშეწონილი: იმ პირობებში, როცა პრაქტიკულად არ არსებობდა საკრედიტო-სანვესტიციო რესურსების განთავსების ალტერნატიული ბაზრები, იგი წინააღმდეგობას გაუწევდა მრეწველობის დაკრედიტების პროცესებს, ხელმიუწვდომელს გახდიდა ინვესტიციებს და კრედიტებს, ამასთან გაზრდიდა საკრედიტო რისკებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგი სახის მოკლე **დასკვნის** გაკეთება არის შესაძლებელი:

პრაქტიკაში, ინფლაციის დინამიკაში არსებითი უთანაბრობის არსებობა, მნიშვნელოვანი ხარისხით აძნელებს ინფლაციური რისკების შეფასებას, განხილული სტრატეგიების რაციონალურ ფორმირებას და რეალიზაციას. მოსალოდნელი ინფლაციის სიდიდის შეფასების ადეკვატურობის საკითხი ითხოვს სპეციალურ სტატისტიკურ კვლევებს, ხოლო ზემოთმოყვანილი ხარისხობრივი მოსაზრებები მიეკუთვნება საექსპერტო შეფასებების სფეროს (მათი დამტკიცება, ისევე, როგორც უარყოფა, შეუძლებელია) ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენს განსახილველი პროცესების რაოდენობრივი ანალიზი ფაქტიური მასალების ბაზაზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა: „დანი“, 2014.

2 ხანთაძე გ., ცაავა გ. - საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო). - თბილისი, გამომცემლობა შპს „წიგნის სახელოსნო“, 2012

3. ი. კოვზანაძე - საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე - თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001წ.

REFERENCES:

1. Tsaava G., Khantadze G. –Banking (Theory, Methods and Practice),Guide, Tbilisi, Publisher “Dani”, 2014.

2. Khantadze G., Tsaava G. –Banking Operations, Guide, Tbilisi, Publisher LTD “The Workshop”, 2012.

3. Kovzanadze I. – Georgian Commercial Banks Operating Problems at the Present Stage, Tbilisi, Publisher – Tbilisi State University, 2001y.

THE PRICING-INTEREST STRATEGY OF COMMERCIAL BANKS

Tamar Abshilava,
PhD student of GTU

RESUME

The commercial banks permanently play the role of both the creditor and the debtor, therefore, the formation of rational pricing-interest strategy is essential and required for the bank’s zero-loss operation.

The analysis reviewed in the article, approves that an incomplete estimation of inflation value in credit interest rates, as well as overestimation in deposit rates, is not favorable for banks;

The article also reviews the examples for detecting the Fischer effect at different stages of transitional economy and gives their retrospective analysis.

Keywords: Nominal Interest Rate, Real Interest Rate, Strategy, Inflation, Revaluation of Assets.

ინოვაციური პროცესების მართვა კომერციულ ბანკებში

ლაშხი ირაკლი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კომერციული ბანკი მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ სიტუაციაში ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სახის რესურსების გამოყენებას. როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი ძირეული მიმართულებები ინოვაციათა დანერგვისა საკადრო საქმიანობაში: კორპორატიული კულტურის ფორმირება და საყოველთაო განვითარება, პერსონალის კარიერის მართვა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პროცესი, საქმიანობის სრულყოფა, ინოვაციების დანერგვა.

შესავალი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო შევიდა სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარების ფაზაში. ასეთ პირობებში პერსონალის პროფესიული და შემოქმედებითი განვითარება, მისი პოტენციალის ეფექტური გამოყენება წარმოადგენს იმ საძირკველს, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობა და მიღწეულ იქნას ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.ახალი, ბაზარზე ორიენტირებული საფინანსო-საკრედიტო სისტემის ფორმირებას წინ უსწრებდა სხვა დარგები. ეს გასაგებიცაა: პოსტ-რეფორმულ პერიოდში კაპიტალმა კონცენტრირება იწყო იმ დროისათვის ყველაზე უფრო მომგებიან სექტორში, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენდა საბანკო ბაზარი. კაპიტალის კონცენტრირებასთან ერთად საბანკო სფეროში აქტიურად „ჩაედინებოდა“ და დიდი დროით „დამკვიდრდნენ“ საუკეთესო „თავები“. ხუთ

წელიწადში სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. ფინანსური ბაზარი ზემომგებიანი კატეგორიიდან გადავიდა ზომიერად მომგებიანში, დაუთმო რა თანდათან აღორძინებად სავაჭრო-სამრეწველო სექტორს, რომლის მომსახურებაც იქცა საბანკო შემოსავლების ძირითად მუხლად. წარმოიქმნა უფრო მომგებიანი სფეროები ფინანსური კაპიტალის დაბანდებისა, რის შედეგადაც დაიწყო ადამიანური კაპიტალის გადანაწილებაც. ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაიზარდა კონკურენცია თავად საბანკო სექტორშიც. ცნობილია, რომ წარმატებული და უწყვეტი ინოვაციური მართვისთვის საჭიროა სამეწარმეო კულტურა, კონტაქტურობა, რისკისადმი ზომირი დამოკიდებულება, მოქნილობა, კრეატიულობა, იდეებისა და მაღალპროფესიული სტანდარტების მიღება. ის, ვინც ფლობს მაღალ სამეწარმეო კულტურას, ასე თუ ისე მონაწილეობს კოორდინირებისა და ფორმირების უწყვეტ ნაკადში. ინოვაციებისადმი მზაობა საუკეთესო ორგანიზაციისა საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ორგანიზაცია ისწრაფვის რეფორმებისკენ. ვერავის ვერ აიძულებ ინოვაციურობას.

ძირითადი ნაწილი

სიახლეებისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარება რთული მოსაწესრიგებელია.აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობის უმთავრესი ამოცანაა, შექმნას „რაციონალიზატორული ატმოსფეროს“ შექმნა კოლექტივში. განვითარების იდეა მეტად მიმზიდველია, მაგრამ რთულად განსახორციელებელი. როგორც წესი, უჩვეულო სიახლეს ადამიანები უენთუზიაზმოდ ხვდებიან. ამ მხრივ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში სიახლის დანერგვას გებულობდნენ, როგორც რაღაცას, რაც გარედან, შორიდან უნდა მოსულიყო. ამიტომ პროექტები, რომლებსაც ქმნიდნენ მეცნიერები და ხელმძღვანელები, თითქმის ძალით ინერგებოდა საწარმოებში.

განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებული აზრია გავრცელებული ამასთან დაკავშირებით. ცნობილი ამერიკიელი მეცნიერი პ. დრაკერი თვლის, რომ სიახლე არ უნდა დაინერგოს

კოლექტივში გარედან, თუნდაც იგი მოწონებული იყოს პროგრესული მეცნიერების მიერ. სიახლე უნდა წარმოიშვას თავად კოლექტივის წიაღში, მაშინ მას არ უარყოფენ, არამედ მიიღებენ როგორც ბუნებრივსა და ჩვეულებრივს.მაგრამ ეს პირობა არაა საკმარისი. უმთავრესია, არსებობდეს ძლიერი სტიმული, რომელიც უბიძგებს კოლექტივს სიახლისა და ექსპერიმენტისაკენ. ასეთი სტიმულები უნდა შეიქმნას კოლექტივის ცხოვრების ყოველ სფეროში: მატერიალურში, მორალურ-ფსიქოლოგიურში, საორგანიზაციოში.

პირველ რიგში, თანამშრომელი, რომელიც ცდილობს, აღმოაჩინოს და შესთავაზოს ჭეშმარიტად სასარგებლო სიახლე ბანკის ან საკუთარი განყოფილების საქმიანობაში, უნდა წახალისდეს, დაწინაურდეს, გაიგზავნოს ტრენინგებზე. მეორე რიგში, ბანკის ყოველ განყოფილებაში, მმართველობის ყველა დონეზე უნდა ხდებოდეს კოლექტიური განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემებისა ხელმძღვანელების, მეცნიერთა, ანალიტიკოსთა მონაწილეობით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სხვათა გამოცდილების გაზიარება-გათვალისწინებას. მაშინ კოლექტივის შეგნებასა და ქცევაში ნოვატორის იმიჯი დადებითად იქნება შეფასებული. ბანკში სიახლის შემოტანა არაა ერთჯერადი აქტი. ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანად იქცევა ის ბანკი, რომელსაც საკუთარ დევიზადაა აქვს ქცეული სიახლისა და ინოვაციების დანერგვა.

ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს, გადაურჩეს სასტიკ კონკურენციას, მუდმივად უნდა ისწრაფვოდეს სრულყოფისაკენ. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიის განკარგულებაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამ დროს უმთავრესი რესურსია კოლექტივი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, კვალიფიკაციით, იდეებით.

სადღეისოდ პერსონალი განიხილება როგორც ძირითადი რესურსი, რომელიც განაპირობებს წარმატებულ საქმიანობას. იმ თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც კოლექტივს მიიჩნევდა ზედმეტ ხარჯად, რომელიც პირველ რიგში უნდა შეკვეცი-

ლიყო, მოვიდა ახალი თეორია ადამიანური რესურსების სწორად მართვისა, რის მიხედვითაც, კოლექტივი ითვლება მთავარ სიმდიდრედ და რესურსად. აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი სწორად მართვა, მისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა და საჭირო თანხების ჩადება. სწორედ ესაა ბანკის კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის გრძელვადიანი ფაქტორი.

პერსონალის მართვის თანამედროვე სახე - ესაა იდეების სისტემა და ორგანიზაციის ეფექტურად აგების ხერხი. იგი განვითარებული ქვეყნების საქმიანი ცხოვრების რეალიებზეა აგებული. ეს თეორია გვეუბნება, რომ ჩვენ ცვალებად, ურთულეს სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც თვით კანონზომიერებებიც კი იცვლება, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ეს სამაყარო. ამიტომაც, საქართველოს ბანკების პერსონალის მართვის თანამედროვე სისტემა უფრო ახალი „მართვის ფილოსოფიაა“, ვიდრე მზა რეცეპტების ნაკრები.

პერსონალი არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ქმნის სისტემას „კომერციული ბანკი“. სწორედ პერსონალს უნდა უმადლოდეს ნებისმიერი ორგანიზაცია თავის არსებობას. სწორედ პერსონალია კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, სხვა შემადგენლები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების ინტელექტუალური და მატერიალური ფორმით განსახიერება. თანამდეროვე წარმატებული ბანკების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადარჩენისა და სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭიროა სწორედ სისტემის შემქმნელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება. თუ ბაზარი ხელიდან გვეცლება, ბიუჯეტი ირღვევა, ბანკი ამოვარდა მაღალრეიტინგული და პრესტიჟული დაწესებულებების სიიდან, შეიძლება შემცირდეს დანახარჯები, რეორგანიზდეს სისტემა და შემცირდეს პერსონალი, ჩავიძიროთ რეკლამაში და, საერთოდ, ჯვარი დავასვათ მენეჯერის საკუთარ კარიერას. ან სხვაგვარად მოვიქცეთ: გავიხსენოთ, რომ ყველა ამ პრობლემის უკან ადამიანები დგანან - ბანკის თანამშრომლები, სწორედ მათ უნდა „უმადლოდეს“ ბანკი თა-

ვის სირთულეებს, მაგრამ თავის ხსნასა და გადარჩენასაც მათშივე იპოვის! ბევრმა კორპორაციამ ამ შეგნებით დააღწია თავი კრიზისს და გადარჩა, აღორძინდა იმ გუნდისა და ადამიანების წყალობით, რომელთაც კრიტიკულ წუთებში სასწაულების მოხდენა შეუძლიათ.

ბოლო დროს შეინიშნება პროგრესი ორგანიზაციაში პერსონალისადმი დამოკიდებულების საკითხში: დაქირავებული მუშახელიდან იგი იქცა ახალ ფასეულ კატეგორიად-„ადამიანურ კაპიტალად“.სწორედ ადამიანი უზრუნველჰყოფს საერთო კაპიტალის ნამატს (მის ნებისმიერ ფორმაში). ადამიანს გააჩნია სრულიად უნიკალური თვისებები, რომლებსაც ხშირად ივიწყებენ, ე. ი. ვერ აფასებენ მის პოტენციალს. კრიზისულ სიტუაციაში „შემოქმედებითი ადამიანის“ პოტენციალი იზრდება. სულერთია, მენეჯერია იგი, თუ რიგითი სპეციალისტი, მთავარია, რომ აკეთებს თავის საქმეს. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას აქვს სურვილი თვითრეალიზაციისა, პიროვნული სრულყოფისა.

როგორ უნდა შეძლოს ორგანიზაციამ სიახლეების ადვილად დანერგვა? თუ კოლექტივი თვლის, რომ სიახლე ეწინააღმდეგება პროცესების ბუნებრივ მიმდინარებას, მაშინ იგი ვერასოდეს დანერგავს მათ. სიახლეების შემოტანა უნდა იქცეს ყოველდღიური ცხოვრებისა და მუშაობის განუყოფელ ნაწილად. პერსონალის ყოვედღიური განვითარება, მისი მართვის ახალ-ახალი მიდგომების ძიება წარმოადგენს სადღეისოდ ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების საფუძველს. იმისათვის, რომ ეფექტურად და წარმატებით დაინერგოს სიახლეები, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:

• კოლექტივში უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ პერსონალს მუდმივად უნდოდეს განახლება;

• ხელმძვანელობის მზაობა სიახლეების მისაღებად;

• კომუნიკაციის მაღალი დონის უძრუნველყოფა და მუდმივი სრულყოფა, რისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლებისა და ხელმძღვანელობის ინფორმირებულობის ზრდას;

• ხელმძღვანელობამ უნდა შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ კოლექტივმა გადალახოს ნებისმიერი წინააღმდეგობა ინოვაციების დანერგვის გზაზე;

• ინოვაციების დანერგვის საგანგებო მხარდაჭერა.

რას წარმოადგენს ინოვაცია საკადრო სამსახურში სადღეისოდ? პირველ რიგში, სიახლეა თავად პერსონალისადმი დამოკიდებულებაში. პერსონალს უკვე აღარ აღიქვამენ როგორც ნაცრისფერ უსახურ მასას. ყოველ მუშაკში ეძებენ და ამჩნევენ ინდივიდუალურ უნარებს. ასეთ მიდგომებს ითხოვს ბაზარი. ძნელია იმის თქმა, რომ ყველა საკრედიტო ორგანიზაციის საკადრო სამსახური უკვე გარდაიქმნა და მუშაობს ამ კალაპოტში, მაგრამ გარკვეული წინსვლა აშკარაა.

ყოველ თანამშრომელში ინდივიდუალური უნარების დანახვა ბიძგს აძლევს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა პერსონალის ატესტაციის ეფექტური სისტემის შემუშავება, თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის განვითარება, მათი საქმიანი კარიერის მართვა და სხვა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ იქმნება განსაკუთრებული ინოვაციური ატმოსფერო კომერციულ ბანკში. ინოვაციური ატმოსფერო - ისეთი გარემოა, რომელშიც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს, სრულად მოტივირებულია, შემოქმედებითი საქმიანობისადმი მზადყოფნაშია და ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს სრული მხარდაჭერა ინოვაციურ საქმიანობაში.

ამაზე ბევრს საუბრობენ უცხოელი მმართველობის დარგის სპეციალისტები, ამჟამად კი ამ აზრამდე მივიდნენ ქართველი მენეჯერებიც.კომპანიაში ინოვაციური ატმოსფეროს შექმნის მაგალითად მოვიყვანთ CITYBANK-ს, რომლის წარმატებებიც მეტწილად განსაზღვრა იმან, რომ მმართველებს აღმოაჩნდათ უნარი თანამშრომლობისა. ბანკში პატივს სცემენ სხვადასხვა ადამიანთა აზრს, ხოლო ბევრი აზრის შეჯერებით პოულობენ ჭშმარიტებას, რაც ავითარებს კომპანიას. თანამშრომლები მუდამ ცდილობენ რაციონალური წინადადებები შესთავაზონ უფროსობას, რომელიც ყველანაირად წაახალისებს მათ წამოწყებებს. თანაც, პრემიებს ურიგებენ იმ თანამშრომლებსაც,

რომელთა იდეები უარყოფილ იქნა. ბანკში წლიურად საშუალოდ ერთ თანამშრომელზე ათამდე რაციონალიზატორული წინადადება და იდეა მოდის.

ნოვატორობის მხარდამჭერ ფაქტორებად ითვლება:

• საჭირო თავისუფლების მინიჭება სიახლის შემუშავებისას;

• ნოვატორთა უზრუნველყოფა საჭირო რესურსებითა და მოწყობილობებით;

• უმაღლესი ხელმძღვანელობისაგან სრული მხარდაჭერა;

• დისკუსია და იდეების გაცვლა;

• ეფექტური კომუნიკაცია კოლეგებთან, სხვა ქვეგანყოფილებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან;

• თანამშრომელთა შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესება.

ნოვატორობის გამაძლიერებელ ფაქტორებს განეკუთვნება:

• თანამშრომელთა სურვილის - მუდმივად გაიღრმავონ ცოდნა და აიმაღლონ კვალიფიკაცია - სრული მხარდაჭერა;

• საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით;

• სხვადასხვა სამსახურებსა და საქმიანობას შორის, სხვადასხვა ფუნქიონალურ ვალდებულებებს შორის ბარიერების დაძლევა, პროფესიების შეთავსების წახალისება;

• შინაარსიანი, საქმიანი ინფორმაციის, თუნდაც ნეგატიურის წარმოდგენა;

• სამუშაო ჯგუფებთან თათბირების ჩატარება;

• ცვლილებათა და რეორგანიზებათა აუცილებლობის ლოგიკურად დასაბუთება;

• ნდობის ატმოსფეროს მუდმივი მხარდაჭერა და ცვლილებათა მიღების მუდმივი მზაობა;

ნოვატორობის ბლოკირებას იწვევს შემდეგი ფაქტორები:

• მენეჯერთა უნდობლობა თანამშრომელთა მხრიდან წამოსული იდეებისა და სიახლეებისადმი; ხანგრძლივი შეთანხმება მათი დანერგვისათვის;

• დაუყოვნებელი კრიტიკა და სამსახურიდან დათხოვნის მუქარა შეცდომების დაშვების შემთხვევაში;

• სხვა განყოფილებების ჩარევა ნოვატორული წინადადებების შეფასებაში და გადაწყვეტილებათა კულუარული მიღება;

• ნოვატორის ყოველ ნაბიჯზე კონტროლი;

• ქვემდგომ ხელმძღვანელთათვის მუქარების შემცველი მითითებების გადაცემა;

• „ყოვლისმცოდნე ექსპერტის» სინდრომის ჩამოყალიბება მაღლჩინოსნებში.

კორპორატიული კულტურის ფორმირება და ყოველმხრივი განვითარება: თანამედროვე მენეჯმენტი გულისხმობს, რომ მართველობითი საქმიანობის ობიექტს წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოო პროცესები, არამედ კორპორატიული კულტურა, ადამიანები, მათი სამუშაო. ამიტომ უახლესი მმართველობითი ტექნოლოგიების დაუფლება შეუძლებელია ორგანიზაციულ-კულტურული მიდგომის გარეშე, რომლებიც იძლევა სხვადსახვა ორგანიზაციების ევოლუციისა და ფუნქციონირების პროცესების კომპლექსურ გაგებას ადამიანთა ქმედებების გათვალისწინებით მოქნილ დინამიურად ადაპტირებულ სრტუქტურებში. კორპორატიული კულტურა - ესაა ფილოსოფია, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის არსებობის არსს და მის ურთიერთობას თანამშრომლებათან და კლიენტებთან, მორალურ და სოციალურ კლიმატს ორგანიზაციაში, რომელიც მჟღავნდება ორგანიზაციაში არსებული ატმოსფეროთი, გარე სამყაროსთან მიმართებით; პრიორიტეტული ორიენტირები ორგანიზაციის მიზნების ფორმირების საფუძველია და მათი მიღწევის საშუალებებისა; ადამიანთა ურთიერთობისა ორგანიზაციის შიგნით.

„კლასიკური“ გაგებით, კორპორატიული კულტურა განიხილება, როგორც კომპანიის სტრატეგიული განვითარების საშუალება ინოვაციათა სტიმულირებისა და ცვლილებათა მართვის გზით. კორპორატიული კულტურა არსებობს ნებისმიერ კომპანიაში - დაარსებიდან ბოლო წუთამდე - მიუხედავად იმისა, იქმნება თუ არა საგანგებო სამსახური მასთან მუშაობით, თუ არა. კორპორატიული კულტურის ეფექტური მართვა დადებით გავლენას ახდენს კომერციული ბანკის ბიზნესზე. ბანკი,

რომელშიც სწორადაა განვითარებული კორპორაციული კულტურა, ბაზარზე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს და მიმზიდველად გამოიყურება როგორც პოტენციური თანამშრომლების, ასევე პოტენციური კლიენტებისა და აქციონერების თვალშიც.

კორპორატიული კულტურა იქმნება და ვითარდება კომპანიის მისიისა და სტრატეგიის გავლენით, მათი რეალიზაციის საშუალებათა გავლენით, დაგეგმვისა და შესრულების შეთანხმებაში ორგანიზაციისა და მენეჯერების სასარგებლოდ; ასევე ორგანიზაციული სტრუქტურისა და კონტროლის მეთოდების ქმედების, როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ასევე ცალკეული პირების გავლენით; კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების მეთოდების შექმნის მიზნით.

პერსონალის კარიერის მართვა: საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემაა კადრების დეფიციტი. უკვე დადგა იმის დრო, რომ გეგმაზომიერად მოხდეს სპეციალისტების მომზადება და გადამზადება. სადღეისოდ კომერციული ბანკების უმრალესობამ საკუთარ თავზე აიღო ძირითადი ფუნქციები საკუთარი თანამშრომლების მომზადებისა. უმრავლესობამ საკუთარ ბაზაზე შექმნეს მუდმივმოქმედი საგანმანათლებლო ცენტრები ან გრძელვადიანი ხელშეკრულებები გააფორმეს სხვადასხვა სასწავლებლებთან. პერსონალის განათლება განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც უძუალოდ ზემოქმედებს საორგანიზაციო მიზნების მიღწევაზე. სწავლების ციკლი იწყება მოთხოვნათა განსაზღვრით, თუ რამდენად განსხვავდება პერსონალის რეალური კომპეტენცია საჭირო კვალიფიკაციისაგან. მოთხოვნათა შესაბამისად თანამშრომელთა სწავლებისთვის ყალიბდება საგანგებო ბიუჯეტი. გარდა ამისა, საჭიროა დადგინდეს სწავლების ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. ვინაიდან სწავლებაზე დახარჯული თანხა ითვლება თნამშრომელთა კვალიფიცირებაში ჩდებულ კაპიტალდაბანდებად, საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ელოდება უკუგებას მათი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის სახით. შემოაქვთ

სწავლების ინტეგრალური შეფასება, ასევე აფასებენ ცალკეული პროგრამის ეფექტურობასაც.სასწავლო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია შეიძლება მოხდეს როგორც თავად ბანკის მიერ, ასევე სპეციალური დაწესებულებების მიერაც. გარდა ამისა, ბევრი კომერციული ბანკი იზიდავენ სატრენინგო კომპანიებსაც საკუთარი თანამშრომლების სწავლებისათვის. საქართველოში მოღვაწეობის ეს სახე ბოლო ათი წლის მანძილზე განვითარდა და სადღეისოდ წარმოადგენს საკმაოდ განვითარებულ მიმართულებას. ქართულ ბაზარზე არსებობს საკმაო რაოდენობა სატრენინგო კომპანიებისა, რომლებიც მზად არიან შეასწავლონ პერსონალს, ფაქტობრივად, ნებისმიერი საკითხი: IT-კონსულტირებიდან დაწყებული, პირადი განვითარებით დამთავრებული.

კონკრეტული კომერციული ბანკისთვის ადაპტირებული კომპეტენციის მოდელის შემუშავება: მოვიყვანთ მაგალითს: ახალგაზრდა ბანკი სპეციალურად შექმნეს კომპანიათა გარკვეული ჯგუფის მომსახურებისთვის. სამ წელიწადში იგი თხუთმეტკაციანი კოლექტივიდან იქცა უნივერსალურ მსხვილ კომერციულ ბანკად, რომელიც უკვე ემსახურება არა მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებს, არამედ კერძო პირებსაც. ასეთი ბობოქარი განვითარების დანახარჯებს წარმოადგენს სამუშაო პროცესების უკიდურესად დაბალი რეგლამენტაცია, მასში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის ჩამორჩენა მისი რეალური მოთხოვნებისაგან, პერსონალის ქრონიკული გადატვირთულობა, შეფერხებებით მუშობა, ემოციური გარემოს და კორპორატიული დისციპლინის მკვეთრი ბანკის მმართველობამ მოიწვია კონსულტანტები, რომლებმაც მისთვის შეიმუშავეს კომპეტენციის ისეთი მოდელი, რომელიც გულისხმობდა შემდეგ პუნქტებს: პოლიფუნქციურობა, ტექნოლოგიური ჯაჭვების ორგანიზება, კონფლიქტების მოგვარება, ქვეშევრდომთა განვითარება, ორიენტაცია ინოვაციათა ოპერატიულად და ხარისხიანად დანერგვაზე

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია **დავასკვნათ:**

1. ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს, გადარჩეს თნამედროვე მკაცრი კონკურენციის პირობებში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ სიტუაციაში ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სახის რესურსების გამოყენებას, რომელიც გააჩნია კომპანიას თავის განკარგულებაში. ერთ-ერთ უმთავრეს რესურსს წარმოადგენს ორგანიზაციის პერსონალი. წარმატებული საქმიანობის საწინდარს წარმოადგენს პერსონალი თავისი უნარ-ჩვევებით, ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

2. როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდეგი ძირეული მიმართულებები ინოვაციათა დანერგვისა საკადრო საქმიანობაში: კორპორატიული კულტურის ფორმირება და საყოველთაო განვითარება, პერსონალის კარიერის მართვა, ტრადიციული და არატრადიციული კომპენსაციის სისტემების ჩმოყალიბება, კომპეტენციის მოდელის შემუშავება კონკრეტული ბანკისთვის, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება პერსონალის მართვის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kovzanadze I. – Commercial banks in the functioning of the issues. Magazine. „Social economy“ N1, Tb. 2001

2. Tsaava G. Khantadze G. - Banking; Guide - Tbilisi, published by „Dan“, 2014 – 600.

3. P. Globalnaya competition in the era of the mixed economy. Ovchinnikov V.V.

Institute for Economic Strategies; The International Academy of Future Studies • 2011 • 153 pages

4. William L, Miller, Langdom Morris 4 th Generation R & D, Managing Knowledge, Technology and Innovation. John Wiley & Sons, Inc. 2003.

INNOVATIVE PROCESS MANAGEMENT IN COMMERCIAL BANKS

Irakli Lashkhi,
PhD Student of GTU

RESUME

1. Each organization, which is trying to survive in tough modern competitive conditions, should constantly be seeking the ways to improve their activities. In this situation, much attention should be paid to all kinds of resources that a company has at its disposal. One of the main resources of the organization is staff, as successful business source is its staff with their skills, knowledge, qualifications and ideas.

2. As the practice of analysis shows, it is appropriate to distinguish the following major areas in innovative human activity introduction. They are: corporate culture formation and universal development, staff career management, traditional and non-traditional compensation systems, the competency model for a particular bank and using the computer technology in staff management.

Key words: Innovative Process, Improvement Activities, Establishment of Innovation.

საბანკო დაზღვევა, მისი არსი და დამახასიათებელი თავისებურებები

მზევინარ ნოზაძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საბანკო დაზღვევა საკმაოდ ახალი და დელიკატური პროდუქტია სადაზღვევო ბაზარზე. საბანკო დაზღვევის მოდელი 90-იანი წლებიდან არსებობს, მას შემდეგ რაც ორმა სფერომ, ბანკებმა და სადაზღვევო კომპანიებმა მოახდინეს კომბინირებული პროდუქტის „საბანკო დაზღვევის" გამოშვება და რეალიზაცია.

საბანკო დაზღვევის ელემენტები შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი- მოიცავს დაზღვევის ობიექტსა და რისკს, რომელიც ერთია თითქმის ყველა ორგანიზაციისათვის. ხოლო მეორე ჯგუფში- რჩება ის ობიექტები და რისკები, რომელიც თავისი სპეციფიკით მხოლოდ საბანკო საქმიანობაში ვლინდება. ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე საბანკო დაზღვევაში ასევე შედის: ბანკის ქონებისა და სიმდიდრის დაზღვევა; იმ ტექნიკის დაზღვევა, რომელშიც საბანკო ინფორმაცია ინახება; საბანკო კრედიტების დაზღვევა; იმ რისკების დაზღვევა, რომელიც საბანკო სფეროში გამოყენებულ პლასტიკურ ბარათებს ეხება; საბანკო დეპოზიტების დაზღვევა.

რაც შეეხება საკრედიტო დაზღვევას, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა საქართველოში 2008 წლიდან იწყება. საბანკო სექტორისადმი ნდობის გაზრდის შემთხვევაში გაიზრდება საქართველოში საბანკო დაზღვევის როლი და მისი პოპულარობა.

საკვანძო სიტყვები: საბანკო დაზღვევა; დეპოზიტების დაზღვევა; ბარათების დაზღვევა; აქტივების დივერსიფიკაცია; კრედიტების დაზღვევა; საბანკო პროდუქტები; სადაზღვევო პროდუქტები.

შესავალი

ტერმინი ,,Bancassurance"პირველად გამოჩნდა საფრანგეთში 1970-იან წლებში, როგორც სადაზღვევო მომსახურება საბანკო ქსელების მეშვეობით. საბანკო დაზღვევის სისტემა ასეთია: ბანკი–კლიენტი (მომხმარებელი)–სადაზღვევო კომპანია. ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია საბანკო დაზღვევის განვითარების დონე. ეს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ასევე დემოგრაფიულ, იურიდიულ სიტუაციასა და ტრადიციებზე.

როგორი ვითარებაა საქართველოში საბანკო დაზღვევის მხრივ? საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების, და შესაბამისად, დეპოზიტების სიმცირის გამო მაინც აუცილებლად მიგვაჩნია დეპოზიტების დაზღვევა. ევროდირექტივის მიხედვით გაწევრიანების კანდიდატ ქვეყანას უნდა ჰქონდეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. განხორციელდება თუ არა საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და რა მოდელს აირჩევს საქრთველოს მთავრობა, ეს უახლოეს მომავლში გახდება ცნობილი.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სისტემის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საბანკო დაზღვევაა. ბანკები დაინტერესებულნი არიან მათი ფილიალების მომსახურების მაქსიმალურად გამოყენებით, აგრეთვე თავიანთი ტრადიციული ბიზნეს-მიმართულებების დივერსიფიკაციის გზით კლიენტებს შესთავაზონ ფინანსური, და მათ შორის, სადაზღვევო მომსახურების ფართო სპექტრი. შედეგად კი, მიიღონ დამატებითი საკომისიო „ჯილდო" ამ მომსახურების კლიენტებისათვის შეთავაზების გზით.

ყველა ქვეყანას არა აქვს საბანკო დაზღვევის საერთო გამოცდილება, თუმცა ბანკის მეშვეობით სადაზღვევო პოლისების გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სადაზღვევო კომპანიების შემოსავლების მოცულობის ზრდას. განსაკუთრებული ადგილი პოლისებში უკავია სიცოცხლის დაზღვევას,

ევროპულ ქვეყნებში დაზღვევის ამ სახეობას უჭირავს მთლიანი მოცულობის 70 %. მაგალითისთვის დიდი ბრიტანეთის სადაზღვევო კომპანიების სიცოცხლის დაზღვევის მოცულობა მთლიან დაზღვევაში არის: HBOS- 6.7; Loyds TSB- 3.0 % ; Barclays – 2.5 % ; HSBC -1.9 %; RBS -0.8 %;

საბანკო დაზღვევა საკმაოდ დელიკატური პროდუქტია, რომელიც მოიცავს ორ სფეროს და ორივე მათგანი რასაკვირველია ცდილობს ნახოს სარგებელი. ამისათვის იგი იყენებს კლიენტთა საერთო ბაზას და იყენებს ბანკის ბრენდსა და რეპუტაციას, როგორც ,,bancassurance"-ის პროექტის ლიდერი. ამავდროულად სადაზღვევო კომპანიას მნიშვნელოვნად უმცირდება სარეკლამო ხარჯები და კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო კომპანიებისა და ბანკების ურთიერთანამშრომლობა უფრო მომგებიანია ორივესათვის, ვიდრე მათი თანამშრომლობა სხვა სფეროებთან.

საბანკო დაზღვევის პროდუქტები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: მარტივი და რთული. მარტივია საბანკო პროდუქტები, რომლებიც ინტეგრირებულია უშუალოდ საბანკო პროდუქტში. ეს შეიძლება იყოს ავტომატური დაზღვევა ან/და დამატებითი ოფცია კლიენტის შერჩევისას და ეს პროდუქტი ჩვეულებრივად იყიდება ბანკის თანამშრომლების მიერ. რთულია საბანკო პროდუქტები, რომლებიც იყიდებ ხშირად საბანკო პროდუქტებისაგან დამოუკიდებლად სადაზღვევო კომპანიების თანამშრომლების ან ბანკის სპეციალურად მომზადებული თანამშრომელბის მიერ.

განვიხილოთ საბანკო დაზღვევის ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: საბანკო კრედიტების დაზღვევა, პლასტიკური ბარათების დაზღვევა, საბანკო დეპოზიტების დაზღვევა.

საბანკო კრედიტების დაზღვევა - აქტიური საბანკო ოპერაციაა და პირველ რიგში იგი ხასიათდება გაცემული საკრედიტო რესურსების დაუბრუნებლობის რისკის მაღალი ხარისხით, რაც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელი შეიქმნა ჩამოყალიბებულიყო დიდი და ეფექტური სისტემა საკრედიტო რისკების მართვისათვის. ასე რომ, საბანკო კრედიტების დაზღვე-

ვა არის დაზღვევის საერთო სახეობა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელ თანხას, რომლის გადახდაც მოუწევს მას მოვალის მიერ კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ანუ ასეთი დაზღვევის ძირითადი მოტივი არის საკრედიტო რისკის შემცირება ან გაქრობა და კრედიტორის ინტერესების დაცვა მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

პრობლემურ მიმართულებად გვევლინება სამომხმარებლო კრედიტის სახეობა. სადაზღვევო კომპანიები ნახულობენ ზარალის ყველაზე მეტ ოდენობას მომსახურების გაწევისას. ამის მიზეზად კი ასახელებენ იმას, რომ რთულია ამ სფეროში რისკების განსაზღვრა, ანუ მომხმარებლის გადახდისუნარიანობის გაკონტროლება, ასევე ანდერრაიტერის შეცდომები რისკების მიღებისას და ა.შ.

რაც შეეხება საკრედიტო დაზღვევას საქართველოში, ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა საქართველოში 2008 წლიდან იწყება. პირველი სადაზღვევო კომპანია, რომელმაც განახორციელა საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა იყო შპს დაზღვევის კომპანია „ქართუ“. 2009 წლიდან საკრედიტო ვადებულებათა მზღვეველი ორი კომპანია არის წარმოდგენილი „ქართუ“ და „იმედი L International“. თუმცა, ამის მიუხედავად, მცირდება მოზიდული და გადაზღვევის პრემიის ჯამური ოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. 2010 წლიდან ბაზარზე მხოლოდ ერთი კომპანია „იმედი L International“ წარმოადგენს საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევას, მაგრამ იზრდება მოზიდულილ პრემიების ოდენობა. 2011 წელს საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის წილი შეადგენს 0, 28 %-ს, ხოლო რაც შეეხება 2012 წელს საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის ბაზრის გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება, რადგან პროდუქტს უკვე სამი სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“ „ტაო“ და „არდი ჯგუფი“ იკავებს, თუმცა ამის მიუხედავად შემცირებულია მოზიდული პრემიების ჯამური ოდენობა.

რაც შეეხება **პლასტიკური ბარათების დაზღვევას,** „საქარ-

თველოს ბანკი“ წარმოგვიდგენს ბარათის დაცვის მექანიზმებს, რომლის მიზანია დაიცვას კლიენტები და ბარათის მფლობელები როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში ბანკომატების, პოსტ-ტერმინალების და ინტერნეტის მეშვეობით მესამე პირის მიერ ბარათის არალეგალურად გამოყენებისგან. მომსახურების ფარგლებში ბანკი კლიენტს უნაზღაურებს ბარათის არალეგალურად გამოყენებით განკარგულ თანხებს წინამდებარე პირობებითა და განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. მომსახურება ვრცელდება ერთ კონკრეტულ ბარათზე და მასზე მიბმულ ანგარიშზე.

ასევე ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ბანკს ბარათის არალეგალური გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის შესახებ და შემთხვევის დადგომიდან მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის განმავლობაში დამატებით მიმართოს ბანკს წერილობითი განცხადებით, რომელშიც აღწერილი იქნება ბარათის არალეგალური გამოყენების ფაქტები და გარემოებები.

საბანკო დეპოზიტების დაზღვევა - ფიზიკური პირები თავიანთი დეპოზიტების უსაფრთხოებაზე ზრუნვას დაზღვევით ახორციელებენ. ძირითადი იდეა მდგომარეობს გადახდების სისწრაფეში, მიუხედავად გადამხდელის წყაროსი. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუუქმდა ლიცენზია, დეპოზიტების მფლობელებს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიუწვდებათ ხელი თავიანთ სახსრებზე.

მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს რომ, საბანკო დეპოზიტების დაზღვევა გვევლინება ეფექტურ ინსტრუმენტად სოციალური და მაკროეკონომიკური დავალებების კომპლექსურად შესრულებისათვის. პირველ რიგში, იგი უზრუნველყოფს, თავიდან აიცილოს მეანაბრეების პანიკა და ამავდროულად უზრუნველყოს საბანკო სისტემის სტაბილურობა. ამას გარდა, საბანკო დეპოზიტების დაზღვევის ხელმისაწვდომობა ზრდის ნდობას საბანკო სისტემის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, სადაც გამოჩნდა საბანკო დეპოზიტების დაზღვევა, მოცემუ-

ლი სისტემის შექმნის აუცილებლობა განაპირობა ეკონომიკურმა კრიზისმა სახელად „დიდი დეპრესია“. შედეგად 1933 წელს გლას-სტიგალის აქტით შეიქმნა საბანკო დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია. თავდაპირველად სადაზღვევო ლიმიტი შეადგენდა 50000 $-ს. 2008 წლამდე სტანდარტული დაზღვევა, რომელსაც აშშ ანაზღაურებდა იყო 100000 $, თუმცა შემდეგ გაიზარდა 250000 $- მდე. ეს ზღვარი კი ევროკავშირის ქვეყნებში 20 000 ევროდან 50 000 ევრომდე გაიზარდა. ბოლო წლების განმავლობაში კი საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ბევრ ქვეყანაში შეიქმნა. თუმცა, დეპოზიტების დაზღვევის კონცეფცია ნათელი და თეორიულად მსგავსია, პრაქტიკაში მისი განხორციელება საკმაოდ რთულია. უმრავლეს შემთხვევაში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის პროცესი განიხილება როგორც დამატებითი ღონისძიება, რომლებიც შექმნილია დანაკარგების რისკის შესამცირებლად, ან მთლიანად რისკის გასაქრობად, რომელიც შეიძლება ზარალთან იყოს კავშირში.

როგორი ვითარებაა საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის მხრივ? საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების, და შესაბამისად, დეპოზიტების სიმცირის გამო მაინც აუცილებლად მიგვაჩნია დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმის ამოქმედება. ევროდირექტივის მიხედვით გაწევრიანების კანდიდატ ქვეყანას უნდა ჰქონდეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

დანაზოგების მოცულობა საქართველოში მზარდია. 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2015 წლის პირველი იანვრისთვის 11,6 მლრდ ლარს გადააჭარბა. დეპოზიტები, უმეტესწილად, მოკლევადიანია. კერძოდ, მთლიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა დაახლოებით 9 თვეა, ხოლო ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა - 11,4 თვე. რაც შეეხება დეპოზიტების რაოდენობას ერთეულის მიხედვით, 2014 წლის ბოლოსთვის გაფორმებული იყო 151,592 სადეპოზიტო ხელშეკრულება. მაღალი იყო დეპოზიტებში დოლარიზაციის კოეფიციენტი და 60,15 პროცენტი შეადგინა, რაც,

2014 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით, მცირედი - 0.31-პროცენტიანი - მატებაა.

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 2004 წელს გამოაცხადა, რომ საბანკო სისტემის მიმართ მეანაბრეთა ნდობისა და ფულადი მასის საბანკო სისტემაში მოქცევის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი იყო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საკანონმდებლო ბაზის შექმნა. თუმცა, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. საბანკო სექტორის საიმედოობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად, დეპოზიტების დაზღვევის ინიციატივა პირველად გერმანული განვითარების ბანკ KFW-ს ჰქონდა. ბანკი მზად იყო 2006 წელს საქართველოსთვის 3.5 მილიონევროიანი დაბალპროცენტიანი კრედიტი გამოეყო ამ სისტემის შესაქმნელად, მაგრამ იმ ხანებში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა საქართველოს მთავრობასა და პროექტის ინიციატორებს შორის და პროექტი ვერ განხორციელდა.

საბანკო სექტორისადმი ნდობის გაზრდის შემთხვევაში გაიზრდება დეპოზიტების მოცულობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომერციული ბანკის საკრედიტო რესურსების გაიაფებას და შესაბამისად დეპოზიტების დაზღვევის სისტემის განვითარებას. განხორციელდება თუ არა საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და რა მოდელს აირჩევს საქრთველოს მთავრობა, ეს უახლოეს მომავლში გახდება ცნობილი. მიღებული შედეგების შეფასება კი ამ მექანიზმის ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შათირიშვილი ჯ; კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. 2012. 436 გვ.

2. გიგოლაშვილი გ. სადაზღვევო საქმე. 2010.

3. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ (02. 05. 1997).

4. საქართველოს კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“. 2009.

5. დაზღვევის სამართალი. ნორმატიული აქტების კრებული. 2007.

REFERENCES:

1. Shatirishvili J; Kakashvili N. Insurance Case. 2012. 436 p.
2. Gigolashvili G. Insurance Case 2010.
3. Georgian law about Insurance (02.05.1977).
4. Georgian law about National Bank 2009.
5. Insurance Law. Collection of Normative Acts 2007 .

BANK INSURANCE, ITS ESSENCE AND CHARACTERISTICS

Nozadze Mzevinar,
Associated Professor, GTU

RESUME

Bank insurance is rather a new and delicate product at the insurance market. The bank insurance model exists since 90ies after two fields, banks and insurance companies produced the "Bank Insurance" of combined product and sold it.

The elements of bank insurance may be divided into two parts. First part includes the insurance object and risk, which is one for all the organizations. The second group remains with the objects and risks which due to its specification is revealed only in bank activity. Due to the bank specification, bank insurance also includes: bank property and wealth insurance; insurance of those techniques in which the bank information is kept; insurance of bank credits; insurance of those risks which are related to the plastic cards used in bank field; insurance of bank deposits.

As for the credit insurance, according to the data of National Bank of Georgia, the insurance of credit liabilities begin since 2008. In case of increasing the trust towards bank sector the role of bank insurance in Georgia and its popularity has increased.

Keywords: Bank Insurance; Insurance of deposits; Insurance of cards; Diversification of net assets; Insurance of credits; Bank products; Insurance products.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემების თეორიული ასპექტები

ოთარი კობახიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის თეორიული პრობლემები. წარმოდგენილია გრაფიკული ანალიზი შესაძლო სახის კონფლიქტებს შორის-ცენტრალური ბანკისა და ადმინისტრაციული მთავრობის პოლიტიკას შორის. განხილულია სხავდასხვა თვისობრივი სახის კონფლიქტები და მათი შესაძლო გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე. აღნიშნულია, რომ კოორდინაციას ხელს შეიძლება უშლიდეს ეკონომიკური ხედვის სხვადასხავაობა. მითითებულია, რომ არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ვდგებით წამყვანი პოლიტიკის გამტარებლის არჩევანის წინაშე. წარმოჩენილია სიძნელეები, რომლებიც ჩნდება რეალობაში, არჩევანის წინაშე მყოფ მხარეებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკა, კოორდინაციის პრობლემები, თეორიული ასპექტები.

შესავალი

მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, საქართველის ეკონომიკური ცხოვრება ძალიან წააგავს 70-იანი წლების ევროპული კაპიტალისტური სამყაროს მდგომარეობას (გაუარესებულ ვარიანტში). ამიტომ ალან ბლაინდერის, ჰოლის და მიშკინის და სხვა მეცნიერთა ნაშრომები დღემდე რელევანტურია. თუ დავფიქრდებით კითხვაზე არის თუ არა მეტი კოორდინაცია საჭირო მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებს შორის, თავდაპირველად თითქოსდა ერთადერთი ჭეშამარიტი პასუხი არის: დიახ. როგორ შეიძლება ეს ცუდი იყოს? მაგრამ

რეალობაში, შესაძლოა ძალზედ მჭირდრო კოორდინაცია სულაც არ იყოს იმდენად ეფექტური, რამენადაც ერთი შეხედვით ჩანს. მაგალითად, შესაძლოა ცენტრაულრი ბანკი და მთავრობა თანხმდებოდნენ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ კოორდინაცია ვერ ხერხდებოდეს რომელიმე მხარის სიჯიუტის ან თავნებობის გამო.

ძირითადი ტექსტი

როდესაც პოლიტიკის გამტარებლები თანხმდებიან მიზნებზე და პრობლემის გადაწყვეტის გზებზე, რა თქმა უნდა, კოორდიანციის გაუმჯობესება გადაწყვეტდა პრობლემებს იმ მხრივ, რომ უფრო დალაგებული და აზრიანი პოლიტიკის გამტარებელს დაეჭირა დომინანტური როლი და პრობლემა მარტივად მოგვარდებოდა. მაგრამ რეალობაში ეს ასე მარტივი არ არის. რატომ უნდა იყოს კოორდინაციის ნაკლებობა ორ ისეთ პოლიტიკის გამტარებელს შორის, როგორებიც სახელმწიფოს ფინანსთა სამსახური და ეროვნული ბანკია? ლაპრაკი არ არის იმაზე, რომ ორივე მხარე გააზრებულად და რაციონალურად მოქმედებს და კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. არსებობს სამი შესაძლო მიზეზი ან რამდენიმე მათგანის კომბინაცია, თუ რატომაც შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის არასასურველი დონე:

1. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მიზნები. მაგალითად, განსხვავებული ხედვა იმაზე, თუ რა არის უკეთესი საზოგადოების კეთილდღეობისათვის;
2. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული შეხედულება იმ ეფექტებზე, რომლებსაც გამოიღებს გატარებული ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა;
3. პოლიტიკის გამტარებლებს შეიძლება ჰქონდეთ სხავდასხვა პროგნოზი ეკონომიკის მდგომარეობაზე ჩაურევლობის პოლიტიკის შემთხვევაში. ასეთი განსხვავება შეიძლება მომდიანრეობდეს როგორც განსხვავებული ეკონომიკური თეორიებიდან, ასევე განსხვავებული პროგნოზებიდან ეგზოგე-

ნური ცვლადების მნიშვნელობების შესახებ.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რომ ვიცოდეთ რომელ პოლიტიკის გამტარებელს აქვს უფრო ზუსტი ინფორმაცია, ადვილად გადავწვყვეტდით კოორდინაციის პრობლემებს იმ მხარის პრიორიტეტებზე მუშაობით, რომელსაც უფრო აკურატული პროგნოზი აქვს, მაგრამ რეალობაში იშვიათად შეიძლება მსგავსი ტიპის ცოდნა გვქონდეს და დარწმუნებული ვიყოთ ამა თუ იმ პოლიტიკისა და პროგნოზის სისწორეში. შესაბამისად არ შეიძლება გავწეროთ რამე კონსტიტუციური წესი, რომლის მიხედვითაც ან ერთი ან მეორე მხარე ყოველთვის მართალი იქნება და, შესაბამისად, საუკეთესო გადაწყვეტილებად ამ შემთხვევაში გვევლინება ორივე პოლიტიკის გამტარებლისთვის გარკვეული ძალაუფლების დელეგირება, რათა მათ შეეძლოთ ერთმანეთის მოქმედებების გაბათილება. იმის სადემონსტრაციოდ თუ რატომ შეიძლება მივიღოთ კოორდინაციის დაბალი დონე, სიმარტივისთვის, ვთქვათ, არსებობს ორი მიზეზი და ორი ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

ქვემოთ მოყვანილ სურათზე, გვაქვს ორი პოლიტიკა, ფისკალური და მონეტარული:



სურათი 1. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა იდეალური კოორდინაციისას.

Y-Y* არის სხვაობა, მიმდინარე და პოტენციურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის. ეს პუნქტი ასევე სიმარტივისთვის ასახავს უმუშევრობის და ინფლაციის დონეებსაც, ხოლო I/Y–(I/Y)* არის ინვესტიციების წილი მშპ-ში. პუნქტი A წარმოადგენს საპროგნოზო წერტილს, რომელსაც ეკონომიკა დაიჭერს, თუკი არცერთი მხრიდან ჩარევა არ მოხდება. ვექტორები m და f წარამოდგენენ, ექსპანსიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შედეგებს შესებამისად. ორივე პოლიტიკა ზრდის y-ს მაგრამ ასევე ინფლაციას, ხოლო უმუშევრობის დონე კი მცირდება. მონეტარული ექსპანსია ზრდის ინვესტიციებს, მაგრამ ფისკალური პირიქით ამცირებს მას. ვექტორი $\overrightarrow{AO}$ ასახავს სრულად კოორდინირებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მიერ მიღწეულ გლობალურ ოპტიმუმს. გზები $\overrightarrow{AB}$ $\overrightarrow{BO}$ ასახავს მონოტარული და ფისკალური პოლიტიკის გეგმებს ცალ-ცალკე, რის ხარჯზეც ხდება ოპტიმუმის მიღწევა. ახლა კი განვიხილოთ, თუ რა შეიძლება იყოს შედეგი, როდესაც ყველაფერი იდეალურად არ არის.



სურათი 2. მონეტარულ იდა ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული მიზნების შემთხვევაში.

სურათზე დაშვებულია, რომ პოლიტიკის გამტარებლები თანხმდებიან ეგზოგენური ცვლადების რაოდენობრივი გამოხატულებების სისწორეზე და ეკონომიკურ პროგნოზზე, მაგრამ მათ განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკური ხედვა და მიზნები აქვთ. ფისკალური პოლიტიკა ცდილობს ეკონომიკა მოახვედროს F-წერტილში, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მიმართულია M-წერტილისაკენ. ამ წერტილში ეკონომიკური აქტივობის დონე ოპტიმალურზე დაბალია, თუკი მთავრობას ექნებოდა საშუალება, ორივე ინსტრუმენტი თავის მიზნებისთვის გამოეყენებინა. $\overrightarrow{ABF}$ იქნებოდა გზა რომლითც იგი ამ მიზანს მიაღწევდა. ცენტრალური ბანკის დომინანტური პოლიტიკა კი $\overrightarrow{ADM}$ ვექტორზე გამოიხატებოდა. მონეტარული პოლიტიკა ნაკლებ ექსპანსიური იქნებოდა, ხოლო ფისკალური კი ნაკლებ შემზღუდველი. საინტერესოა, რა ხდება, როდესაც არცერთ მხარეს სრული კონტროლი არ აქვს, ისევე როგორც ჩვენს რეალობაში. შედეგი ძნელი განსასაზღვრია. ერთი შესაძლო შედეგია, რომ ფისკალური პოლიტიკა თავის ოპტიმალურ $\overrightarrow{AB}$ ვექტორს დაადგებოდა, ხოლოდ მონეტარული კი $\overrightarrow{DM}$-ს. ეს, რაღა თქმა უნდა, არაკოორდინირებული პოლიტიკის შედეგამდე - C წერტილამდე მიგვიყვანს, მაგრამ რამდენად ცუდია ასეთი შედეგი? C წერტილი არის გარკვეული კომპრომისი F და M წერტილებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, მთავრობისა და ეროვნული ბანკის დასახულ მიზნებს წარამოდგენს. თუ კი O წინა შემთხვევაში ოპტიმუმს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ძნელი განსასაზღვრი ცნებაა, მაშინ წერტილი C არც თუ უარესი შედეგია ვიდრე მთავრობის ან ეროვნული ბანკის დომინანტური „კოორდინირებული“ პოლიტიკა იქნებოდა. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ O-წერტილის მიღწევა მხარეების მხრიდან უკეთესი იქნებოდა, თავისთავად გასაგებია, მაგრამ ეს არ ასახავს რეალობას, რომელშიც ინტერესთა სხვადასხვაობა იჩენს თავს იმის თაობაზე, თუ რა არის სოციალური კეთილდღეობა. როგორ შეიძლება მივაღწიოთ კონსენსუსს პოლიტიკური კომპრომისის გარეშე? არაფერი გვაძლევს იმის წინასწარმეტყველების საშუალებას, რომ ასეთი კომპრომისი ეკონომიკას C-წერტილზე უფრო უკეთეს მდგომარეობამდე მიიყვანს.

ფაქტობრივად გვიწევს იმის აღიარება, რომ იდეალური შედეგის მიღწევა რეალური პირობებში შეუძლებელია. ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკის გამტარებლები ჭეშმარიტად ოპტიმალურ გეგმაზე შეჯერდნენ და სრული კოორდიანციის პირობებში მაოხდინონ მისი განხორციელება, მაგრამ შეიძლება პოლიტკის გამტარებლები სულაც არასწორ მიზნებზე შეჩერდნენ და თუნდაც იდეალურად კოორდინირებულმა პოლიტიკამ, არასასურველ სოციალურ ფონამდე მიგვიყვანოს.

მორიგი მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც შეიძლება კოორდინაციას ხელს უშლიდეს არის ეკონომიკური ხედვის სხვადასხვაობა. შეიძლება მთავრობა და სებ-ი თანხმდებოდნენ პროგნოზებზე და მიზნებზე, მაგრამ განსხვავებული ხედვა ქონდეთ იმაზე, თუ როგორ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში მათ მიერ გატარებული პოლიტიკა. მაგალითად წარმოვიდგინოთ, რომ მიწოდების ზრდაზე ორიენტირებული მთავრობა თვლის, რომ გადასახადების შემცირებით მიაღწევს ექსპანსიურ ეფექტს და ინვესტიციებს არ დააზარალებს, ხოლო მონეტარისტული მიდგომის მქონე ცენტრალური ბანკი, თვლის რომ დეფიციტი კერძო ინვესტიციებს საგრძნობლად შეამცირებს.

სურათი 3. ასახავს გრაფიკულად თუ რა შეიძლება მოხდეს ასეთ შემთხვევაში. კერძოდ მთავრობას სჯერა, რომ ორივე ინსტრუმენტის ექსპანსიური პოლიტიკისკენ მიმართვა, გამოიხატება $\vec{m}$ და $\vec{t}$ ვექტორებში (ფულის ზრდა, საგადასახადო პოლიტიკა) და შესაბამისად ოპტიმალური გზა იქნება $\overrightarrow{ADO}$, რომელიც მიიღწევა ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის $\overrightarrow{DO}$ და საგადასახადო პოლიტიკის $\overrightarrow{AD}$-ს შეჯამებით, მაგრამ ცენტრალური ბანკის თვალთახედვით გატარებული პოლიტიკის მულტიპლიკატორები, არის $\vec{m}$ და $\vec{t}$ ვექტორები და გზა ოპტიმუმისკენ მიიღწევა $\overrightarrow{ABO}$ ვექტორით, სადაც ფისკალური პოლიტიკა ნაკლებ შემბოჭველია, ხოლო ფულად საკრედიტო პოლიტიკა - ნაკლებად ექსპანსიური, ვიდრე მთავრობის ნავარაუდევ $\overrightarrow{ADO}$. ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ სად აღმოჩნდება ეკონომიკა ასეთ სიტუაციაში. ბევრი რამე შეიძლება მოხდეს, მაგალითად, თუ მთავრობის გეგმა საჯაროდ გაცხა-



სურათი 3. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, განსხვავებული ეკონომიკური ხედვის პირობებში

დებული სტრატეგიაა და სწორია, ოპტიმალურ წერტილში მოვხვდებით, მაგრამ თუ ცენტრალური ბანკის მოდელია სწორი, მაშინ ეკონომიკა F წერტილში აღოჩნდება. ანალოგიურად, თუკი ადმინისტრაცია ცენტრალური ბანკის გეგმას მიყვება და იგი გამრთლდება, ოპტიმუმს მივაღწევთ, მაგრამ თუ იგი მცდარია ეკონომიკა M წერტილში აღმოჩნდება. ასევე განვიხილოთ, თუ ორივე პოლიტიკის გამტარებელი საკუთარ ოპტიმალურ სტრატეგიას მიყვება, მაშინ ეკონომიკა C წერტილში აღმოჩნდება თუ ცენტრალური ბანკის ხედვაა სწორი, ხოლო G-ში - თუ ადმინისტრაციის ეკონომიკური მოდელი უფრო სწორია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოორდინაცია ეფექტური იქნება თუკი O სა M-ს ან O-სა F-ს (რომლებიც შესაბამისად ცენტარლური ბანკის დომინანტური პოლიტიკა და ადმინისტრაციის დომინანტური პოლიტიკის ნაჯვარებია) შორის მიღწეული წონასწორობები უკეთესია C და G წერტილებზე.

სხვადასხვა პროგნოზის არსებობის შემთხვევაში, კვლავ სურათი 3. შეგვიძლია გამოვიყენოთ, ოღნდ ამ შემთხვევაში როდესაც ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა თანხმდება ორივეზე – ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და ეკონომიკურ მოდელზე (რაც, უნდა ვაღიაროთ, ნაკლებ სავარაუდო სიტუაციაა) – აღარ საჭიროებს მეტ ანალიზს. რადგან თარგეთირებულ მიზნებს შორის სხვაობა და ეკონომიკის მდგომარეობა, რომელიც მიიღწეოდა პოლიტიკის უცვლელობის შემთხვევაში, არის რეალურად ინტერესის საგანი, განსხვავებული თარგეთირების მაგალითის ფორმალური ანალიზი ამ სიტუაციას პირდაპირ უდგება. საჭიროა მხოლოდ სურათ 3-ს შევხედოთ პირიქით და ვნახოთ $\overrightarrow{ABF}$ და $\overrightarrow{ADM}$, როგორც ორი ვექტორი, რომელიც სხვადასხვა წერტილში იღებს სათავეს, მაგრამ საერთო ბოლო წერტილი აქვთ.

ზემოთ გაწეული ანალიზიდან ჩანს, რომ არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ვდგებით არჩევანის წინაშე, რომელი პოლიტიკის გამტარებელია სწორი? თუ ამ კითხვაზე პასუხი გვაქვს, სწორედ მან უნდა წარამრთოს დომინანტურად პოლიტიკა, ხოლო მეორე მხარე კი მის გეგმას მიყვეს. მაგრამ თუკი არ ვიცით, რომელი მხარეა მართალი, შეუძლებელია იმაზე მსჯელობაც კი საერთოდ ღირს თუ არა კოორდინირება და ხომ არ ჯობია დამოუკიდებლად წარიმართოს ორივე ფისკალურიც და მონეტარული პოლიტიკაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდიანრე, შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ კოორდინაციას ხელს შეიძლება უშლიდეს ეკონომიკური ხედვის სხვადასხავაობა. შეიძლება მთავრობა და სებ-ი თანხმდებოდნენ პროგნოზებზე და მიზნებზე, მაგრამ განსხვავებული ხედვა ჰქონდეთ იმაზე, თუ როგორ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში მათ მიერ გატარებული პოლიტიკა.

2. მითითებულია, რომ არაკოორდინირებული პოლიტიკის პირობებში ვდგებით არჩევანის წინაშე, რომელი პოლიტიკის გამტარებელია სწორი? თუ ამ კითხვაზე პასუხი გვაქვს, სწორედ მან უნდა წარამრთოს დომინანტურად პოლიტიკა, ხოლო მეორე მახრე კი მის გეგმას მიყვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალან ბლინდერი, „მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები“.1998.
2. ბერნარდ ლორენსი და ენრიკე დელაპეირა, „მონერატრული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაცია“ 1998.
3. კარლო პანიცო, მარტა ვასკს სუარესი, „მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდიანციის სქემა ევროკავშირში“.

REFERENCES:

1. Alan blinder, “Issues in the coordination of monetary and fiscal Policy,” 1998.

2.Bernard laurens and Enrique De la Piera “coordination of monetary and fiscal policies”, 1998.

3.Carlo Panico and Marta Vazquez Suarez “ ,a scheme to coordinate monetary and fiscal policies in euro era”.

THE THEORETICAL ASPECTS OF PROBLEMS OF COORDINATION OF MONETARY AND FISCAL POLICY

Otari Kobakhidze,
PhD Student of GTU

RESUME

We mention that coordination can be interrupted by the different economic views. The government and the central bank can agree on the forecasts and goals, but they can have the different views on how their respective policy changes the country’s economy.

We note that in case of non-coordinated policy we have to ask ourselves, which policymaker is correct? If we have clear answer to that, said policy maker should provide a dominant policy, while other side shall follow up on his plan.

Key words: Monetary Policy, Fiscal Policy, Problems of Coordination , Theoretical Aspects.

ნავსადგურების ფუნქციები და მისი გავლენა რეგიონის ეკონომიკურ აქტივობაზე

ლალი ხარბედია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
მზისადარ ბჟალავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საზღვაო ნავსადგურების ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: ტვირთები გადაზიდვებისა და დასაწყობების მომსახურების შეთავაზება, სამეწველო ფუნქცია, მიმდებარე რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ფუნქცია; პოლიტიკური ფუნქცია, სამხედრო ფუნქცია და სხვ. აღნიშნულია, რომ ნავსადგურების გენერაცია UNCTAD-ის მიხედვით ეფუძნება სამ კრიტერიუმს:

- ნავსადგურის განვითარების სტრატეგია და პოლიტიკა;
- სანავსადგურო მომსახურების სიღრმესა და სივრცეს, განსაკუთრებით საინფორმაციო მომსახურების სფეროში;
- სანავსადგურო ბიზნესისა და ადმინისტრაციის ინტეგრაციას.

ხაზგასმულია, რომ თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით და ნავსადგურები გვევლინება გადაზიდვების დინამიური პროცესების მარეგულირებელ ცენტრად.

გაკეთებულია დასკვნა, რომ დღეს მნიშვნელოვანი ამოცანაა ნავსადგურების გარდაქმნა კომპლექსურ სატრანსპორტო ცენტრებად, სადაც ტრადიციული სანავსადგურო მომსახურების

გარდა, შესთავაზებენ საბანკო, სადაზღვევო და იურიდიულ მომსახურებას, ასევე მომსახურებას საერთაშორისო კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სფეროში, სავაჭრო ცენტრებთან და უცხოეთის ქვეყნებთან.

საკვანძო სიტყვები:

მსოფლიო ლოგისტიკური სისტემა; ნავსადგურის სატრანსპორტო ფუნქცია; ნავსადგურის სამრეწველო ფუნქცია, ნავსადგურის პოლიტიკური ფუნქცია, ნავსადგურის მიმდებარე რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ფუნქცია; ნავსადგურების გენერაცია UNCTAD-ის მიხედვით; ეკონომიკაზე ნავსადგურების საქმიანობის ზემოქმედების პირდაპირი, ირიბი და ინდუქციური ეფექტი.

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკაში ისეთი ტენდენციების გაძლიერებამ, როგორიცაა: სპეციალიზაცია, ინტეგრაცია და გლობალიზაცია, გარკვეული გავლენა იქონია ლოგისტიკურ კონცეფციებზე და შესძინა მათ საერთაშორისო ხასიათი, რაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო ინტეგრირებული ლოგისტიკური ქსელის აღმოცენებას.

ინტეგრალური ლოგისტიკური ქსელის მნიშვნელოვანი შემადგენელია საზღვაო ტრანსპორტი. თუ ადრე საზღვაო ტრანსპორტი განიხილებოდა დარგად, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო ვაჭრობას, დღეს ის წარმოადგენს საერთაშორისო წარმოების ქვესისტემას როგორც ინტეგრირებული ლოგისტიკური ქსელის შემადგენელი. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზრდის საზღვაო ნავსადგურების როლსა და მნიშვნელობას მსოფლიო ლოგისტიკურ სისტემაში.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ათწლეულებში საზღვაო ნავსადგურების ფუნქციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით და ნავსადგურები გვევლინება გადაზიდვების

დინამიური პროცესების მარეგულირებელ ცენტრად. თანამედროვე პირობებში საზღვაო ნავსადგურების მიერ ხორციელდება შემდეგი ფუნქციები:

- ტვირთების ტრანსპორტირების, გადაზიდვებისა და დასაწყობების მომსახურების შეთავაზება;

- მიმდებარე რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ცენტრის ფუნქცია;

- პოლიტიკური ფუნქცია — ქვეყნის საზღვაო-სავაჭრო ბრუნვის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. როდესაც ქვეყნის ყველა ტვირთი, რომლის გადაზიდვა შესაძლებელია საზღვაო ტრანსპორტით, გადის ამ ქვეყნის ნავსადგურებიდან. აქვე მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების ეკონომიკის დამოკიდებულება მოცემული ქვეყნის ნავსადგურებზე.

- სამხედრო ფუნქცია;

- საფინანსო-სავალუტო ფუნქცია – ნავსადგურები წარმოადგენს სავალუტო შემოსულობათა მნიშვნელოვან წყაროს ქვეყნისათვის. მშპ-ს ფორმირებაში ნავსადგურების წილი სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველა სხვა საქმიანობის სახეების გათვალისწინებით, მისი როლი საკმაოდ დიდია.

- სატრანსპორტო ფუნქცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რამდენადაც ტვირთბრუნვის სტრუქტურაში საზღვაო სატრანსპორტო ტვირთები 40% -ს შეადგენს.

- მომსახურების ფუნქცია — სანავსადგურო მომსახურების გაწევა სატრანსპორტო საშუალებების, ტვირთების, გემების ეკიპაჟებისა და ტრანსპორტის სხვა სახეების თანამშრომლებისათვის;

- ტვირთების ტრანსფორმაციის ფუნქცია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტვირთნაკადების ტრანსფორმირებას ერთგვაროვნად და პირიქით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინიგზით მარშრუტირებისას;

- სარემონტო ფუნქცია — გემებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის რემონტის ტექნიკური საშუალებებისა და ადგილის უზრუნველყოფა;

- სამრეწველო ფუნქცია. ვლინდება ნავსადგურების გარშემო სამრეწველო ზონის ჩამოყალიბებით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დარგის საწარმოებს, რომლებიც იყენებენ საზღვაო ტრანსპორტს ნედლეულისა და მზა პროდუქციის მისაწოდებლად;

- სავაჭრო ფუნქცია მდგომარეობს საქონლის აკუმულაციისა და განაწილების საქმიანობაში.

ყველა ნავსადგურს არ შეუძლია ზემოთჩამოთვლილი ფუნქციების შესრულება. სწორედ ფუნქციათა ნაკრები უდევს საფუძვლად ნავსადგურების კლასიფიკაციას, რომელიც მოცემულია UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) -ის სამდივნოს მოხსენებაში 1992 წ.

ნავსადგურების გენერაცია UNCTAD-ის მიხედვით ეფუძნება არა ორგანიზაციულ სტრუქტურას, არამედ ნავსადგურების მდებარეობას და სიდიდეს. ის ემყარება სამ კრიტერიუმს:

- ნავსადგურის განვითარების სტრატეგია და პოლიტიკა;

- სანავსადგურო მომსახურების სიღრმესა და სივრცეს, განსაკუთრებით საინფორმაციო მომსახურების სფეროში;

- სანავსადგურო ბიზნესისა და ადმინისტრაციის ინტეგრაციას.

პირველ გენერაციას ეკუთვნის ნავსადგურები, რომელთა ფუნქციონირება შემოსაზღვრულია ტრადიციული ჩარჩოებით, დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ოპერაციებით.

მეორე გენერაციას მიეკუთვნება ფართო დიაპაზონის ფუნქციების მქონე ნავსადგურები, რომლებიც სთავაზობენ კომერციულ და სამრეწველო მომსახურებას, რაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული გადაზიდვის პროცესებთან.

მესამე გენერაციის ნავსადგურებში სტრატეგიული პოლიტიკის შემმუშავებლები, მენეჯერები და ოპერატორები გვევლინებიან საერთაშორისო საწარმოო-სადისტრიბუციო კომპლექსური ქსელის დინამიურ ცენტრებად. ასეთი სახის ნავსადგურების საქმიანობა ატარებს სპეციალიზირებულ, ცვალებად და ინტეგრირებულ ხასიათს, რომელიც თავისთავში მოიცავს ტრადიციულ ფუნქციებს, სამრეწველო, კომერციულ, ბუნებისდამცავ, ადმინისტრაციულ და კომერციულ მომსახურებასა და ასევე ლოგისტიკას.

აღნიშნული სახის ნავსადგურების საქმიანობის მართვა ანუ მენეჯმენტი უკავშირდება გადაწყვეტილებათა მიღებას.

სანავსადგურო მენეჯმენტში განასხვავებენ გადაწყვეტილების 3 სახეს:

- მიმდინარე გადაწყვეტილებები;
- ინოვაციური გადაწყვეტილებები;
- სტრატეგიული გადაწყვეტილებები.

მიმდინარე გადაწყვეტილებები მიიღება ყოველდღე ნავსადგურის როგორც საშინაო (ეკონომიკა, ფინანსები და სხვა), ისე საგარეო ფუნქციების (ტვირთის გადამუშავება, მომსახურება, ბუქსირება და სხვა) განხორციელებისას. მიმდინარე გადაწყვეტილებებს აშკარა გადაწყვეტილებებსაც უწოდებენ, რადგან მთლიანობაში მათი შედეგები ცხადია მაღალი ალბათობით ამ გადაწყვეტილების მიღებამდეც კი. მაგ; ყველამ იცის, რომ განსაზღვრულ სანაპირო მისადგომთან განსაზღვრული ტიპის გემის შესაყვანად საჭიროა ბუქსირების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ამ ამოცანას გადაწყვეტენ განსაზღვრულ დროში.

მიმდინარე გადაწყვეტილებები მიიღება სისტემატურად და ითვლება დაპროგრამებულ გადაწყვეტილებად. ბევრი მათგანს ადგილი აქვს იერარქიის დაბალ საფეხურებზე და შესაძლებელია ადამიანების ჩანაცვლება მაღალი ტექნოლოგიებით (მაგ; კომპიუტერებითა და ავტომატიზირებული სისტემებით).

ინოვაციური გადაწყვეტილებები არა არის ყოველდღიური გადაწყვეტილება, მათი შედეგები წინასწარ არასოდეს არ არის ცნობილი. ისინი დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღების გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე. სანავსადგურო მენეჯმენტში ეს გადაწყვეტილებები მიიღება კომერციულ და მარკეტინგულ განყოფილებებში, ტექნიკურ და ფინანსურ სამსახურებში და, რა თქმა უნდა, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ინოვაციურ გადაწყვეტილებათა ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღების შესაძლებლობებსა და გამოცდილებაზე, არამედ მოქმედების თავისუფლბაზეც, რომლის უფლებას მას აძლევს იერარქიის მაღალ დონეზე მყოფი ხელმძღვანელი.

სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. ისინი გრძელვადიანია, დაკავშირებულია ნავსადგურის პოლიტიკასა და განვითარებასთან, რეორგანიზაციასთან, მსხვილ ინვესტიციებთან, ნავსადგურისა და სახელისუფლებო შტოების კოორდინაციასთან და ა.შ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ისინი მიიღება, პირველ რიგში კი საზღვაო ნავსაგდურების ფუნქციონირების სამართლებრივ-ორგანიზაციულ პირობებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნავსადგურის ფუნქციონირება გავლენას ახდენს მიმდებარე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვიტარების დონეზე. უნდა ათინიშნოს, რომ ნავსადგურებისა და და რეგიონის ურთიერთდამოკიდებულება მრავალმხრივი და ძლიერია.

აშშ-ს საზღვაო ადმინისტრაციამ შეიმუშავა ნავსადგურების საქმიანობის ზეგავლენის განსაზღვრის მეთოდიკა მიმდებარე რეგიონის ეკონომიკურ აქტივობაზე, რომლის თანახმად რეგიონის ეკონომიკაზე მოქმედი ყველა ფაქტორი დაყოფილია სამ ძირით ჯგუფად:

• პირდაპირი. პირდაპირი ეფექტი გამოიხატება მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებაში, რაც იწვევს მათი შემოსავლების ზრდას და შესაბამისად იმ საქონლისა და მომსახურების შეძენას, რაც ნავსადგურის საქმიანობას უკავშირდება.

• ირიბი — დანახარჯები თანამშრომლების ხელფასზე, მასალებზე და ხარჯების სხვა მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირდაპირი ფაქტორების მოქმედებას.

• ინდუქციური ეფექტი ვლინდება პირდაპირი და ირიბი ფაქტორების ზემოქმედებით მოსახლეობის შემოსავლების ზრდის შედეგად შესყიდვათა მოცულობის ზრდაში.

ამასთან დაკავშირებით, ნავსადგურების წინაშე დგას ამოცანა მოძებნოს სახსრები სამეწარმეო საქმიანობისა და განვითარების პროექტების დამოუკიდებლად დაფინანსებისათვის. აშშ-ს მაგალითის მიხედვით ასეთი დაფინანსების წყაროები შემდეგია: კერძო ფირმებისათვის ძირითადი წყაროა სამეწარმეო შემოსავა-

ლი და სესხები. საერთო სარგებლობის ნავსადგურები იყენებენ: კომერციული ბაზრის ინსტრუმენტებს (ობლიგაციების ემისიას; ობლიგაციებს, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და ობლიგაციებს, რომლებიც უზრუნველყოფილია განსაზღვრული ობიექტების შემოსავლებით); ერთობლივი (სახელმწიფო და კერძო) საწარმოთა შემოსავლები, რომლებიც შექმნილია თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მიღებული მოგება და სხვა. თანამედროვე ტენდენციაა — ორი მთავარი წყარო: საშემოსავლო ობლიგაციები და მიღებული მოგება.

დასკვნა

დღეს მნიშვნელოვანი ამოცანაა ნავსადგურების გარდაქმნა კომპლექსურ სატრანსპორტო ცენტრებად, სადაც ტრადიციული სანავსადგურო მომსახურების გარდა, შესთავაზებენ საბანკო, სადაზღვევო და იურიდიულ მომსახურებას, ასევე მომსახურებას საერთაშორისო კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სფეროში, სავაჭრო ცენტრებთან და უცხოეთის ქვეყნებთან.

HARBOR FUNCTIONS AND THEIR INFLUENCE ON THE REGIONAL ECONOMICAL ACTIVITY

Lali Xarbedia,
Associate Professor of ATSU
Mzisadar BJalava,
Assistant-Professor of ATSU

RESUME

In the article are discussed some functions of sea harbors, as: offering of cargo forwarding and their storage services, production functions, the function of the center of economical development; Political function, military function and etc. It's mentioned that according to UNCTAD harbor generation it is based on three criteria:

1) The Strategy and policies of harbor development.

2) Depth and space of harbor service, especially in the sphere of information.

3) Harbor business and integration of administration. It's underlined that over 90% of modern world trading is effected by the sea transports and sea transportation appears as a regulation center of the dynamic processes. It's concluded that today the main problem is transforming of seaports into complex transport centers, where besides traditional harbor services will be offered bank, insurance and juridical services. Also services in the sphere of international communication and information, with trading centers and foreign countries.

Keywords: World logistical system; Transport Function of harbor, Harbor regional, Social and economical development center's function; Generation of the harbor according to UNCTAD; Direct and indirect effects on the economy of harbor activities.

სატრანსპორტო ლოგისტიკური კლასტერების წარმოქმნის თავისებურებანი

ლელა ბოჭოიძე
ემდ, სტუ ასოცირებული პროფესორი
მაია ჩინჩალაძე
ემდ, სტუ ასოცირებული პროფესორი
ნინო დარსაველიძე
ემდ, სტუ ასისტენტ-პროფესორი.

რეზიუმე

საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის მოდერნიზებისა და განვითარების ამოცანები მოითხოვს რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ინფრასტრუქტურულ და ინოვაციურ განვითარებას. ამ მიმართულებით, ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფორმირება და განვითარება. სტატია ეძღვნება კლასტერული წარმონაქმნების სპეციფიკასა და თავისებურებებს, რომლებიც თავის მხრივ, აყალიბებენ დარგობრივი ნიშნის მიხედვით, საწარმოთა და მომსახურების სინერგიულ ურთიერთკავშირებს, კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და ამგვარად ხელს უწყობენ რეგიონული ეკონომიკური კავშირების გაღრმავებასა და ტრანსპორტის დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების ფომირებისას, სისტემის თითოეული ელემენტი ინდივიდუალური მიზნის მისაღწევად არის ორიენტირებული, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საერთო მიზნის მიღწევას. ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის საჭიროა სისტემის ელემენტებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირების დამყარება და „ძლიერი ბირთვის» ფორმირება. ლოგისტიკური კლასტერების

ფორმირების საკითხები ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გაშუქებული და შესწავლილი. რაც გამოწვეულია საკვლევი თემის სპეციფიკით.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემა; სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ტრანსპორტი საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და განსაზღვრავს საქართველოს, სხვა სახელმწიფოებთან, ურთიერთობის ინტენსივობასა და ხარისხს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, აქტუალურია, სატრანსპორტო მაკროლოგისტიკური სისტემის შექმნის ამოცანა. ტრანსპორტის მოდერნიზაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ერთ - ერთი ეფექტური მექანიზმია სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფორმირება. რაც გაზრდის რეგიონის კონკურენტუნარიანობას,ხელს შეუწყობს მეურნე სუბიექტებისა და სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების შეთანხმებულ საქმიანობას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

თანამედროვე მეცნიერებმა საწარმოო კლასტერების ფორმირების საკითხები სრულყოფილად შეისწავლეს. მაგრამ ლოგისტიკური კლასტერების ფორმირების საკითხები ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გაშუქებული და შესწავლილი. რაც გამოწვეულია საკვლევი თემის სპეციფიკით.

გასული საუკუნის 90 იანი წლებიდან, განვითარებული ქვეყნები მაიკლ პორტერის მიერ შემოთავაზებული იდეის მიხედვით შექმნილი სტრატეგიის რეალიზებას ახდენენ. რომლის მიხედვით, კლასტერი-გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით კონცენტრირებული დაერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიათა ჯგუფია.სატრანსპორტო- ლოგისტიკური კლასტერების არსის ფორმულირება და ანალიზი აგრეთვე წარმოგვიდგინა ბევრმა მეცნიერმა. უნდა გამოვყოთ რამოდენიმე მათგანი:

1. **ი.მენშენინის და ლ.კაპუსტინის**[1]აზრით, სატრანსპორ-

ტო-ლოგისტიკური კლასტერი გეოგრაფიულად ლოკალიზებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიათა ჯგუფია, რომელთა სპეციალიზაციას წარმოადგენს ტვირთის ტრანსპორტირება, ადგილზე მიტანა და დასაწყობება, აგრეთვე-მგზავრთა გადაყვანა. ორგანიზაციები, რომლებიც ინფრასტრუქტურის ობიექტებს ემსახურებიან, აძლიერებენ ერთმანეთს და ახდენენ ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობის რეალიზებას.

2. ტ. ევდოტიევა;[2] ლოგისტიკურიკლასტერი-გეოგრაფიული ნიშნით დაკავშირებული, დამოუკიდებელი, საბაზრო სუბიექტების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაა, ისინი ლოგისტიკურ ფუნქციებს ასრულებენ და მათი ძალისხმევა მიმართულია სრულყოფილი ციკლის შემადგენელი ძირითადი და დამხმარე ნაკადებისა და რესურსების ოპტიმიზაციისაკენ, მიმწოდებლიდან - მომხმარებლამდე.

3. მ. პიატაევი;[3].მისი განმარტებით, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი, ცალკეული რეგიონალური, ფუნქციონალურად და ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული ლოგიტიკური ჯაჭვია. რომლის რგოლებია: საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნები; მაგისტრალური ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო კვანძები; სატრანსპორტო განმანაწილებელი ლოგისტიკური ცენტრები; მაგისტრალური, რეგიონალური და ლოკალური გადაზიდვები;

ზემოთჩამოთვლილი ელემენტები ქმნიან გადაზიდვების პროცესების ერთიან სისტემას, რომლებიც, მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფს ხარისხიან ლოგისტიკურ მომსახურებას. საკვანძო კომპონენტად მეცნიერს მიაჩნია სარკინიგზო გადაზიდვებზე დანახარჯების მინიმალიზირება.

4. **ი. სმირნოვი;**[4]სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები - დარგობრივი კლასტერებია რომლის საბოლოო პროდუქტი სატრანსპორტო-ლოგისტიკური მომსახურებაა სატვირთო სექტორში, სამგზავრო სექტორში ან ორივეში ერთად.

ამგვარი განმარტების ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას - ავტორები წინ წამოსწევენ სატრანსპორტო-ლო-

გისტიკური კლასტერევის ფუნქციონირების შემდეგ მხარეს: ინფრასტრუქტურას, ურთიერთდაკავშირებულ ლოგისტიკურ და მის თანმდევ პროცესებს, გეოგრაფიულ და დარგობრივ მახასიათებლებს. ანალიზის საფუძველზე კი შესაძლებელია გამოვავლინოთსინერგიული ეფექტი, რომლებიც ტიპიურია სატრანსპორტო კლასტერისათვის.

მნიშვნელოვანია კლასტერის ტერიტორიისა და მისი ლოკალიზაციის საზღვრების გამოყოფა. მისი აუცილებლობა გამოწვეულია:

სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, კონტროლის განხორციელების, დაფინანსების და ინვესტიციის ოდენობის განსაზღვრისას;

კლასტერებში მეურნე სუბიექტების მონაწილეობისას, ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ობიექტების დაბეგვრის და კონტროლის უზრუნველსაყოფად.

ლოგისტიკური კლატერის თავისებურებაა მისი ორმაგი ბუნება. იგი განიხილება, როგორც: საწარმოო კლასტერის ინფრასტრუქტურული ელემენტი და კლასტერული ინტეგრაციის დამოუკიდებელიფორმა.

სხვადასხვა კლასიფიკაციასთან შედარებით, ევროპული კლასიფიკაციაა სრულყოფილი. მას ახასიათებს გარკვეულითავისებურებანი, რომლებიც გამოწვეულია საზღვაო პორტების განვითარებით და საერთო გადაზიდვებში, საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვების მნიშვნელოვანი წილით.

დასკვნა

ამრიგად, სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერები სპეციფიკური კლასტერული წარმონაქმნია, იგი აერთიანებს ლოგისტიკური ბაზრების მონაწილეებს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რეგიონის ეკონომიკის დამხმარე დარგებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და უზრუნველყოფს რეგიონულ, ნაციონალურ და საერთაშორისო გადაზიდვებს. კლასტერის განმარტების,მათი ტიპოლოგიისა და ფორმირების მეთოდიკისადმი მიდგომის ბევრი განსხვავებული ხედვა არსე-

ბობს, რაც შეუძლებელს ხდის ერთიანი კლასიფიკაციის შემუშავებას.

სტატიაში გაშუქებულია სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების ფორმირების ამოცანები. გაანალიზებულია მათი განსხვავება საწარმოო ტექნიკური კლასტერებისაგან. სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერების სპეციფიურობის გათვალისწინება, ზრდის კლასტერების ფორმირების ეფექტურობას. ბუნებრივია, ტერიტორიის სპეციფიკა ხელს შეუწყობს მათ შემდგომ განვითარებას, კლასტერული კონცეფციის საფუძველზე, ეკონომიკის მოდერნიზაციის განხორციელებას.

REFERENCES:

1. Menshenina I.G. Kapustina L.M. Clustering in the regional economy: a monograph / IG Menshenina, Kapustin LM; Feder. Agency for Education, Ural. state. ehkon. Univ. - Ekaterinburg: Publishing House of the Ural Mountains. gos.ekon. University Press, 2008. - 154 p.

2. Evtodieva T. Logistic Clusters: the nature and types / Economics. - 4 (77). - 2011. c. 78-81

3. Pyataev MV Evaluating the effectiveness of the formation of transport and logistics clusters (on the example of Novosibirsk area): Dis. cand. ehkon. Sciences. -Novosibirsk 2010.

4. Smirnov IG processes transport and logistics cluster in the European Union and Ukraine: regional aspect

ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ ТРАНСПОРТНО-ЛОГИСТИЧЕСКИХ КЛАСТЕРОВ

Лела Бочоидзе, дэн, Ассоц. Профессор ГТУ,
Маиа Чинчаладзе, дэн, Ассоц. Профессор ГТУ,
Нино Дарсавелидзе, дэн, Ассистент Профессор, ГТУ.

РЕЗЮМЕ

Задачи модернизации и развития транспортного потенциала актуализируют необходимость повышения конкурентоспособности регионов в рамках усиления их инфраструктурного и инновационного развития. Одним из наиболее эффективных инструментов в данном направлении является формирование и развитие региональных транспортно-логистических кластеров. В статье исследуются специфические особенности кластерных образований, представляющих собой синергию отраслевого взаимодействия предприятий и оказания услуг на определенной географической территории, служит основой усиления экономических связей и развития транспорта.

Ключевые слова: Транспортно-логистическая система, Транспортно-логистический кластер.

КОНТРОЛИРУЕМЫЕ И РЕГУЛИРУЕМЫЕ ЗАТРАТИ И РЕЗУЛЬТАТЫ

Мицкевич Андрей Алексеевич
к.э.н., Высшая школа финансов и менеджмента
РАНХиГС (Российской академии народного хозяйства
и государственной службы)

Циклаури Жужуна Николаевна
д.э.н, профессор ГТУ

«Карфаген должен быть разрушен»
- всю жизнь твердил Катон старший.
«Контролируемые затраты должны быть отделены от неконтролируемых» - всю жизнь повторял Хиггинс (середина XX века).
Все в руках менеджера, а менеджер в руках топ-менеджера. Можно ли разделить ответственность?

АННОТАЦИЯ

Теоретические основы учета контролируемых затрат и его применению в оценке и мотивации работников центров финансовой ответственности. Авторский подход иллюстрирован примерами из производства и торговли.

Ключевые слова. Управленческий учет, Контролируемые затраты.

ОСНОВНОЙ ТЕКСТ

Общепринятая теория затрат нас не удовлетворяет в части темы настоящей работы. В хорошей теории доминируют полные, прямые и переменные затраты подразделений, а в практике только полные и прямые. Нас же будут интересовать не контролируемые и не регулируемые затраты. Термины эти необходимо уточнить.

Контролируемые и неконтролируемые затраты следует выделить отдельно, хотя бы по тому, что эта классификация очень

важна и редко используется. А зря, потому что управлять можно только контролируемыми затратами. Поэтому казалось бы с позиций управления затратами эта классификация самая важная и на ней надо сфокусироваться. Но дело это относительно трудное, неблагодарное и, к тому же, не описанное детально в учебниках. Почему? Частично это невнимание к контролируемым затратам объясняется теоретическими и практическими сложностями. Хотя есть примеры ее использования. Самый ярко выраженный акцент на контролируемость затрат и результатов есть в бюджетировании и в Standard Costing. Хотя в явном виде она и не упоминается. Но все в бюджетировании держится на понятии контроля затрат.

Что означает контроль? Полный контроль над прибылью означает, что ты сам закупаешь, сам производишь и сам продаешь. Но такой рецидив натурального хозяйства в современном мире практически невозможен. Одно подразделение закупает сырье и материалы, другое производит, а третье продает. В действительности десятки людей влияют на результат, контролируют его. Некоторые важные решения топ-менеджмента в течение планового периода меняют расклад контроля над затратами. Все это резко затрудняет применение Controlling Costing. Поэтому он стал не всеобщим методом управленческого учета, а частным, неочевидным и практически неизвестным из учебников. Но все же задаваться проблемой «кто виноват» иногда полезно. Хотя бы для того, чтобы «вины» было меньше.

Принцип выделения контролируемых факторов. Масса затрат и результатов *частично* контролируется. Но в учете есть смысл точно определить, что контролируется, а что нет. Например, закупает отдел снабжения, а продает отдел продаж. Спрашивается: за прибыль кто отвечает? Ясно дело, что оба отдела. Но лучше в учете сделать так:

- отдел снабжения отвечает за себестоимость закупок;
- отдел продаж отвечает за прибыль, ибо уже купили и важно дороже продать (показатель выручки не столь ярок, ибо +5% выручки может означать +80% прибыли).

Сформулируем общий принцип выделения контролируемых факторов:

Принцип контролируемых факторов: если менеджер работает в основном с некоторым пулом затрат и влияет на их размер и состав, то надо объявлять данный пул затрат контролируемым, даже если степень контроля неполная.

Получилось не строго, но такова наша предметная область. Хотя можно уточнить базу Controlling Costing, разделив контролируемость и регулируемость.

Контролируемые и регулируемые затраты можно разделить. Термины эти авторские и потому нуждаются в детальной разработке.

Контролируемость. Статью (хорошо если есть такая статья) или просто затраты, связанные с неким фактором, называю контролируемыми, если менеджмент может влиять на сам факт ее возникновения. Соответственно, если затраты приходят извне (новый налог, например) или сверху (начальник так решил, например, он пригласил вам консультанта или решил купить еще один станок, - подобных решений масса), то такие затраты я называю неконтролируемыми.

Регулируемость. Планы изменились или действие свершилось. Контролируемо или нет – неважно. Статья появилась. Возникает следующий вопрос: а на реализацию менеджмент влияет. Например, поступил приказ «купить». Вы покупаете, значит, скорее всего, влияете на цену. Регулируемая затрата, если так можно сказать. Если вам покупают, то нерегулируемая.

Как отделить контролируемость и регулируемость количественно? Иногда этого делать нет нужды, иногда это сделать просто, иногда никак невозможно этого достичь однозначно.

Ответственные (учитываемые) затраты и результаты в нашей концепции это, безусловно, и контролируемые, и регулируемые затраты и результаты. Но есть важные детали и учитываются

Таблица 1. Контролируемые и регулируемые затраты: возможные сочетания.

Контролируемые затраты	**Регулируемые затраты**	**Примеры**
Затраты контролируются	Затраты регулируются	Зарплата зам. директора подразделения. Если введение этой должности в пределах компетенции директора подразделения, то он *контролирует*. Если размер оплаты и премии зам. директора подразделения определяет директор, то он *регулирует*.
Затраты контролируются	Затраты не регулируются	Ситуация контролируемости, но нерегулируемости встречается редко. Например, менеджмент подразделения решает купить на рынке что-то и на этом рынке он ценополучатель. Потому эти затраты он контролирует, но не регулирует.
Затраты не контролируются	Затраты регулируются	2-х недельных бычков по плану должны были продавать, но начальство (не фермы, а холдинга) решило иначе. Начался откорм бычков (см. ниже пример мясомолочной фермы). Сам факт новых затрат на откорм не контролируется. Но сами затраты регулируются.
Затраты не контролируются	Затраты не регулируются	Менеджмент магазина, входящего в сеть, как правило, не нанимает охрану. Чтобы не провоцировать ситуацию: «сам охраняешь, сам и воруешь». Потому со стороны менеджмента магазина эти затраты не контролируются и не регулируются.

для *оценки и мотивации* они по-разному:

1. контролируемые и регулируемые затраты и результаты учитываются полностью;
2. контролируемые, но не регулируемые затраты и результаты учитываются полностью;
3. не контролируемые, но регулируемые затраты и результаты учитываются в части регулирования;
4. не контролируемые и не регулируемые затраты и результаты не учитываются.

Только случай 3 - не контролируемые, но регулируемые затраты и результаты – интересен. Что значит, учитываются в части регулирования? Один фактор учитывается, другой нет. Примером одного из методов служит Standard Costing. Отклонение по цене (материалов, например) и отклонение по количеству (использованных материалов) разведены в Standard Costing: отклонение по количеству идет на счет производственного подразделения, а отклонение по цене – на счет отдела снабжения. Конечно, это не исчерпывающий пример. Но в качестве старта для исследований подойдет.

კონტროლირებადი და რეგულირებადი ხარჯები და შედეგები

ანდრეი მიცკევიჩი,
ემკ, რუსეთის სახალხო მეურნეობისა
და სახელმწიფო სამსახურის აკადემიის
ფინანსებისა და მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა
ჟუჟუნა წიკლაური,
ემდ, სტუ პროფესორი

რეზიუმე

თეორიაში ძირითადად მეცნიერულ ბრუნვაში იხმარება ორგანიზაციის სრული, პირდაპირი და ცვლადი ხარჯები, პრაქტიკაში კი მხოლოდ სრული და პირდაპირი ხარჯები. ამ კუთხით საინტერესოა არაკონტროლირებადი და არარეგულირებადი ხარჯების არსის გარკვევა, ამ ტერმინების შინაარსის დაზუსტება ხარჯების მართვის პოზიციებიდან. კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი ხარჯების ცალკე გამოყოფა იმითაც არის აუცილებელი, რომ: ასეთი კლასიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია და იშვიათად გამოიყენება:მართვა შეიძლება მხოლოდ კონტროლირებადი ხარჯებით.სტატიაში მოცემულია კონტროლის ეკონომიკური შინაარსი, კონტროლირებადი ფაქტორების გამოყოფის პრინციპები, კონტროლირებადი და რეგულირებადი ხარჯების ავტორისეული დახასიათება, მოყვანილია შესაბამისი მაგალითები ცხრილის სახით.

საავტორო უფლებების მართვა ინტერნეტში

მედეა შენგელია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში საავტორო უფლებების მართვა ინტერნეტში ძალიან პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან ქართული ინტერნეტ სივრცის 95% არალეგალურია. ქართველი ინტერნეტ ოპერატორები საავტორო უფლებით დაცული (ფოტოგრაფიულ, მუსიკალურ, ლიტერატურულ და აშ) ნაწარმოებ(ებ)ს ინტერნეტ გვერდებზე ისე ათავსებენ, რომ ამის თაობაზე არავის არაფერს ეკითხებიან, მათ შორის ასეთ ნაწარმოებებზე უფლების მფლობელებს (მესაკუთრეებს). ასევე საყურადღებოია ის ფაქტიც, რომ უმეტეს შემთხვევაში ინტერნეტ ოპერატორები სხვისი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების არალეგლური განთავსებით ეწევიან სხვადსხვა ბიზნეს საქმიანობას. მაგალითად, თუ საიტს განთავსებული აქვს კარგი მუსიკალური ნაწარმოებები, სადაც შეიძლება მათი მოსმენა ან გადმოწერა, ლოგიკურია ასეთ საიტს ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ხოლო, რაც უფრო ბევრი მომხარებელი შევა საიტზე და ნახავს სხვადსახვა ინფორმაციას, ასეთი საიტის რეიტინგიც მაღლა იწევა და სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებისათვის დაინტერესების საგანი ხდება, რათა ასეთ საიტებზე განათავსონ მათი პროდუქციის ან მომსახურების რეკლამა. ამ მიმართულებით საინტერესოა ინტერნეტში საავტორო უფლებების მართვის თავისებურებების განხილვა, პრობლემების წარმოჩენა და მათი გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა.

საკვანაძო სიტყვები: ინტერნეტ სივრცე, ინტერნეტ ოპერატორი, ლეგალური და არალეგალური ბაზარი, კონტრაფაქციული ასლები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის “ვაჭრობასთან

დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების ასპექტების შესახებ” (TRIPS) შეთანხმება.

შესავალი

საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” (1999 წელი). გარდა ამისა “ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ” ბერნის კონვენცია (საქართველო წევრია 1995 წლის 16 მაისიდან), “შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ” რომის კონვენცია (საქართველო წევრია 2004 წლის 14 აგვისტოდან), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის “ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების ასპექტების შესახებ” (TRIPS) შეთანხმება (საქართველო წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან).

რაც შეეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისინი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლები: 157[1], 157[2],157[3] და 239); სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 189); საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 59-ე).

დღესდღეობით ინტერნეტი არის ღია სივრცე ინფორმაციის, გართობის და სხვადასახვა სახის კომუნიკაციისათვის. შესაბამისად ლოგიკურია ამ სივრცეში თავს იყრის სხვადახვა ადამიანის ინტელექტუალური ნაწარმოებები, რომლებიც დაცულია საავტორო უფლებით, ასევე ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებზეც საავტორო უფლებები არ ვრცელდება.

ძალიან დიდი შეცდმაა, როდესაც ადამიანები მიიჩნევენ, რომ ინტერნეტ სივრცეში არსებულ ნაწარმოებებზე არ სჭირდებათ საავტორო უფლებების დაცვა იმ შემთხვევაში თუ ნაწარმოებზე არ არის მითითება, რომ ეკუთვნის კონკრეტულ ავტორს ან „საავტორო უფლებები დაცულია“. მიუხედავად ასეთი მითითების

არარსებობისა, ნაწარმოებზე საავტორო უფლება მაინც უნდა იყოს დაცული.

თანამდროვე ტექნოლოგიების განვითარების თანხლები პროცესია საავტორო უფლებებით დაცული ობიექტების მეტად რეალიზაცია სხვადასხვა ტექნოლოგიურ სივრცეში და მათ შორის ინტერნეტში. საქართველოში ამ მიმართულებით არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორები გამოთქვამენ პრეტენზიას მათი ნაწარმოებების სხვადასხვა ვებ გვერდზე აბსოლიტურად ნებართვის გარეშე განთავსებაზე, გავრცელებაზე (ჩამოტვირთვა, სტრიმინგი). აღნიშნულ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს აქვს აბსოლიტურად სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი რეაგირების საშუალებები, მაგრამ არ არის მათი აღსრულების პრეცდენტები.

ძირითადი ტექსტი

„საავტორო და მოიმიჯანევე ულებების შესახებ“ საქართველოს კანონი საავტორო უფლებას ნაწარმოებზე წარმოშობილად მიიჩნევს მისი შექმნის მომენტიდან და მას იცავს ავტორის გარდაცავალებიდან 70 წლის გასვლამდე. შესაბამისად ასეთი ნაწარმოები მიუხედავად იმისა სად, რა ფორმით, ან რა სახით იქნება გამოყენებული, მოსარგებლე ვალდებულია დაიცვას ავტორის, როგორც ქონებრივი ასევე პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებები[1].

დღესდღეობით ძალიან ბევრი ნაწარმოებია ხელმისაწვდომი ინტერნეტში, რაც ძალიან დიდი გამოწვევაა საავტორო უფლებიბის სრულყოფილად დაცვისათვის, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მიმართულებით საინტერესოა განვსაზღვროთ ვის ეკისრება პასუხიმგებლობა დაიცვას საავტორო უფლება ინტერნეტში? კონტენტ პროვაიდერი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელსაც მლობელობის ან საკუთრების წესით აღებული აქვს გარკვეული ინტერნეტ პლატფორმა ge დომენზე და com დომენზე, თუ სერვის პროვაიდერს, რომელიც ინტერნეტ სერვისით ემსახურება კონტენტ პროვაიდ-

ერებს. ჩვენი აზრით, საერთაშორისო გამოცდილების გავითვალ-ისწინებით კონტენტ პროვაიდერს ეკისრება ვალდებულება დაიცვას საავტორო უფლება ნაწარმოებებზე. ამ აღნიშნული მიზნით საავტორო უფლების დაცვა დაიყოფა ორ ნაწილად: პირველი ეს არის ნაწარმოების კანონიერად მოპოვება - პროდუქტის ინტერ-ნეტ პლატფორმაზე წარმოშობის ლეგალური წყარო და საავ-ტორო უფლებით დაცული ობიექტის კანონიერად გავრცელება (ჩამოტვირთვა, სტრიმინგი).

რაც შეეხება ინტენეტ მომხმარებლებს, მათ ევალებათ იცოდნენ, რომ ყველა ნაწარმოები რაც ხელმისაწვდომია მათ-თვის ინტერნეტიდან, არ ნიშნავს იმას, რომ მათ უფლება აქვთ გამოიყენონ იგი ნებიმიერი მიზნით. ინტერნეტში განთავსებული მასალა უმეტეს შემთხვევაში არის პირადი მოხამარებისათვის და არ გვაქვს გამოვიყენოთ კომერციული დანიშნულებით. თუმცა ამავდროულად არსებობენ ისეთი ვებ გვერდები, რომლებიც ყიდ-იან ნაწარმოებებს კომერციული გამოყენებისათვის. თუმცა, მიუხედავად ამის, რომ ნაწარმოები ნაყიდი გვაქვს კომერციული გამოყენებისათვის მაინც არ გავაქვს მისი ყველაგან გამოყენების უფლება, რადგან ასეთი შემთხვევაში შეძენილ ნაწარმოებზეც არსებობს დათქმა, რომ ისინი გამოყენებული იქნას კონკრეტული მიზნისათვის რა მიზნითაც მოხდა მათი შეძენა [2].

ჩგარდა აღნიშნულისა ასევე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ინტერნეტ მომხმარებელს უფლება აქვს გამოიყენოს ინტერ-ნეტიდან საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოები პირადი მოხმარების მიზნით და ასევე ციტირება ილუტრაციისათვის, მხ-ოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია დასახული მიზნით[3].

ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტიც რომ ინტერნეტში საა-ვტორო უფლებების მართვა უნდა განხორციელდეს ეფექტუ-რად. ამ მხრივ საქართველოში არსებობს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია რომელიც ნებართვას გასცემს მუსიკალური ნაწარმოებების ინტერნეტში გავრცელებაზე. თუმცა ჯერ-ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ყველა ნაწარმოების ინტერ-ნეტ სივრცეში განთავსებაზე გასცემს ნებართვას. უცხოეთის

ქვეყნებში ასეთ ნებართვას გასცემენ სხვადასხვა გამომცემლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზდებელი ორგანიზაციების უფლებების წარმომადგენელი გაერთიანებები. შესაბამისად, სხვა ქვეყნების ინტერნეტ სივრეცში განთავსებული ნაწარმოებზე მოპოვების წყაროს კანონიერების საკითხი (რეპროდუცირების უფლებაზე ნებართვა) მეტ ნაკლებად მოწესრიგებულია.

ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით მოაწესრიგებს ზემოაღნიშნულ პრობლემას და საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ინტერნეტში რეპროდუცირების უფლებაზე გასცემს ნებართვას მოსარგებლეებისათვის ხელმისაწვდომ ფასად ქვეყნის საბაზრო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია კანონით მოწესრიგებული გარემოს შექმნა და ჯანსაღი კონკურენცია. საქართველოს ინტერნეტ სივრცეში საავტორო უფლებების მართვის კუთხით აუცილებელია ორივე ფაქტორის გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებების მართვას/დაცვას არეგულირებს სრულყოფილად "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, ამასთანავე აუცილებელია მიღებული იქნას კანონი ინტერნეტში კონტენტ პროვაიდერებისა და მომხმარებლების ქცევის წესების შესახებ. შესაბამისად ქვეყანაში ინტერნეტ სივრცის მოსაწესრიგებლად გაჩნდება სამართლებრივი საფუძველი. დასახელებული წესების შემუშავებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ თუ კონტენტ პროვაიდერი - საიტის მესაკუთრე დაარღვევს საავტორო უფლებას, უფლების მფლობელს ან მის წარმომადგენელი ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე სერვის პროვაიდერმა მოახდინოს გარკვეული ქმედება, რომლის თანახმად, თუ კონტენტ პროვაიდერი დაარღვევს საავტორო უფლებას, გაუთიშოს ინტერნეტ სერვისი ასეთ საიტებს.

აღნიშნული მოქმედებით ქვეყანაში დაინერგება ინტერნეტში საავტორო უფლებების დაცვის პატივისცემა. ყველა საიტი, რო-

მელიც იგრძნობს ამ პასუხიმგებლობას, ყუარდღებით მეკიდეება საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენებას. შედეგად კი თავიდან ავიცილებთ დღევანდელ რეალობას, ანუ არაკეთილსინდისერ კონკურენციას. დღევანდელ რეალობაში ის ხუთი პროცენტი საიტებისა, რომლებიც კეთილსინდისიერად იცავენ საავტორო უფლებებს, როგორც ბიზნესს, ხარჯად აწევთ საავტორო ჰონორარი, განსხვავებით სხვა საიტებისაგან, რომლებიც ასეთ ©ჰონორარებს არ იხდიან. შესაბამისად, ასეთი საიტები ხარჯების შემცირების გზით მოგებაზე ადვილად გადიან.ჩგამომდინარე აქედან, ასეთი საიტები დომინირებულ მდგომარეობას იკავებენ ქართულ ბიზნესში, რაც არასამართლიანია და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცოცხალი მაგალითია.

დასკვნა

იმისათვის რათა საავტორო უფლებები შედარებით უკეთ იყოს დაცული ინტერნეტში, მთავარია საქართველოში თითეული საზოგადოების წევრის ცნობიერება ამაღლდეს და ისევე მოვეკიდოთ სხვისი ინტელექტუალურ საკუთრების უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამეტურ უფლებათაგანს. Aამავდროულად აუცილებელია ჩამოყალიბდეს სრულყოფილი სამართლებრივი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს არკეთილსინდისიერი კონკურენციის ალაგმვას და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ბიზნესურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი — “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, 22 ივლისი, 1999 წ.პარლამენტი, №21121 კანონი.

2. The Mystery Behind the copyright” author - Christopher B. Skvarka, published by Chris Skvarka ,1999 y.

3. Getting Permission – author- Richard Stim published by NOLO, October 2010y.

REFERENCES:

1.Georgian law "copyright and neighboring right",22 July 1999 y, parliament N2112 act. (In Georgian Language).

2.The Mystery Behind the copyright" author - Christopher B. Skvarka, published by Chris Skvarka ,1999 y.

3.Getting Permission – author- Richard Stim published by NOLO, October 2010

INTERNET COPYRIGHT MANAGEMENT ON THE

Medea Shengelia
PHD Student of GTU

RESUME

In Georgia, management of copyrights on the Internet is a very problematic issue. 95% of the Georgian Internet space is illegal. The Internet operators have placed the copyrighted (photography, music, literature, etc.) work (s) on their pages without any permission of the rights holder or authors. Also it is important that most of the operators do the business with illegal placed copyright-protected works on their network. For example, if the site has a good musical compositions, which can listen to or download them, it is logical that the site is too high statistic. As more and more customers enter the site and see the different information, such as the site goes above. There is various businesses interest to place their product or service advertised on this site. It is very interesting to discuss the Internet problems and their solution.

Keywords: Space of Internet, Internet Operators, Legal and Illegal Market , Counterfeited Copies, TRIPS Agreement**.**

მოტივაციის მრავალფეროვნება შედარებით მენეჯმენტში

ანა კატუკია
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია კულტურული განსხვავებების ზემოქმედება მოტივაციაზე და მმართველის მიერ კულტურათაშორისი განსხვავებების გათვალისწინებით მოტივაციის სწორი ფორმის შერჩევის პრინციპები.

ნაშრომში აღწერილია კროსკულტურულ გარემოში და გაზრდილი გლობალიზაციის პირობებში მართვისათვის აუცილებელი კომპეტენციები. წარმოდგენილია განზომილებები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან შედარება. შემდგომ კი, ამ განმასხვავებელი, თუ საერთო ნიშნების გათვალისწინებით, ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა სწორი, ეფექტიანი მართვა (მოტივაცია). 62 ქვეყანაში ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე ჩამოთვლილი კულტურული განზომილებები წარმოადგენენ კვლევის ბაზას, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იცვლება მენეჯერთა მიდგომა სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით განხილულია ის მნიშვნელოვანი კულტურული თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ქართულ საქმიან კულტურაზე, ორგანიზაციული მართვის სტილზე.

საკვანძო სიტყვები: კულტურული განსხვავებები, მოტივაცია, კროსკულტურული გარემო, ეთნოცენტრიზმი.

შესავალი

გაზრდილმა გლობალიზაციამ ჩვენი ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელიც ეფექტური მულტინაციონალური ორგანიზაციების შექმნას, მათთვის შესაფერისი მმართველების შერჩევას და მრავალფეროვანი კულტურული

შემადგენლობის მქონე სამუშაო ჯგუფების მართვას გულისხმობს. გლობალიზაციამ მოგვცა საშუალება გაგვერკვია, თუ რამდენად ახდენს გავლენას კულტურული განსხვავებები მოტივაციის პროცესზე.გლობალიზაციიდან გამომდინარე, მენეჯერებს მოტივაციის სწორი ფორმის შესარჩევად მოეთხოვებათ კულტურათშორისი ურთიერთობის შესახებ ინფორმირებულობა და პრაქტიკაში გამოყენების შესაბამისი კომპეტენციები.

ძირითადი ტექსტი

მოტივაციის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარი Ting-Toomey[1] (1999) აღნიშნავდა, რომ გლობალიზაციის პირობებში მენეჯერებს კულტურათშორისი ხედვის უნარის ჩამოყალიბებაც ესაჭიროებათ. ჩვენ ვეთანხმებით ამ ავტორს და, ჩვენის აზრით, საქართველოში ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, მენეჯერებისათვის საერთაშორისოდ აღიარებულ საჭირო კომპეტენციებს შეგვიძლია დავამატოთ ერთი, რომელიც უნდა გააჩნდეს მენეჯერებს კულტურათაშორისი ხედვიდან გამომდინარე. ეს გახლავთ მოტივაციის განსხვავებული საშუალებების მკაფიოდ გამოყენების კომპეტენცია[2]. მხოლოდ მოტივაციის თანამედროვე მიდგომებით და განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანებთან ადაპტირებული სტიმულირების მეთოდების გამოყენებით მივაღწევთ, მენეჯერებმა შემოიღონ კომპეტენციების მრავალფეროვანი სპექტრი, რათა მენეჯერი გახდეს ეფექტიანი, შედეგებზე ორიენტირებული ლიდერი.

თითოეული კულტურა გავლენას ახდენს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე. განსაზღვრავს ამა თუ იმ ორგანიზაციის ფილოსოფიას და ბიზნესის პრინციპებს, მოტივაციის სახეებს, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების გზებს, სამუშაო ატმოსფეროს, „ფოლკლორი“[3] (ისტორია, რომელიც ახდენს კომპანიის ფასეულობების ილუსტრაციას),

1 პ.ნორთჰაუზი, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი. თბილისი 2010, გვ.311

2 ჩვენი მოსაზრებებით

3 ტომპსონი. სტრატეგიული მენეჯმენტი, თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 2011, გვ.561

ტაბუს და მიუღებელი გადაწყვეტილებების სისტემას, საკუთარ ფასეულობათა სისტემას, მოქმედებასა და სტანდარტებს. განაპირობებს ორგანიზაციისათვის „საკუთარი სახე“-ს. მთლიანობაში ეს ყველაფერი განსაზღვრავს მის კორპორაციულ კულტურას. კულტურა განაპირობებს ხედვას მომსახურების მაღალი სტანდარტების, სამომხმარებლო ფასეულობების, მოტივაციის გზების, შედეგებზე ორიენტაციის მიმართ და სხვა.

განვიხილოთ როგორ იცვლებოდა თანდათანობით მენეჯერების მიერ მოტივაციის ფაქტორების გამოყენება სხვადასხვა კულტურასთან მიმართებაში. გამოვყოთ აგრეთვე, რომელი დამახასიათებელი თვისება მიესადაგება ზოგადად, ყველა კულტურას და რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული კულტურა.

ზოგადად, ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, რომ საკუთარი რწმენა, დამოკიდებულება და ფასეულობები პრიორიტეტული გახადონ და სხვა ადამიანების ჯგუფების ღირებულებებზე მაღლა დააყენონ. ეთნოცენტრიზმი იზიარებს შეხედულებას, რომ ერთი კონკრეტული კულტურა შეიძლება უფრო უკეთესი, ან ბუნებრივი იყოს, ვიდრე სხვა კულტურა. ეს მოიცავს იმის რისკს, რომ სხვათა უნიკალური ხედვები ვერ შევამჩნიოთ. თითოეული ჩვენგანი ეთნოცენტრიულია გარკვეულ დონეზე. იგი ჰგავს „აღქმის ფანჯარას“, რომლიდანაც ერთი კულტურის ადამიანები სხვა კულტურის ადამიანებს სუბიექტურად და კრიტიკულად აფასებენ. მხარეებს წარმოადგენენ მენეჯერები, დაქირავებულნი და დაქირავებულთა წარმომადგენლები. მათ საქმიანობაში შედის ინდივიდის კარიერა, ორგანიზაციის ურთიერთობები და კულტურა, რამდენადაც ის მასზე მოქმედებს. მაგალითად: ზოგიერთი ამერიკელი ფიქრობს, რომ შეერთებული შტატების დემოკრატიული პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა კულტურების პოლიტიკური შეხედულებები. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი ხშირად კარგად ვერ ერკვევიან სხვა კულტურების სპეციფიკის კომპლექსურობაში. ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ მათი კულტურული ფასეულობები და ქცევის წესები ყველაზე სწორი და

ბუნებრივია. თუმცა ეთნოცენტრიზმი შეიძლება ეფექტური მართვის უმთავრეს დაბრკოლებადაც იქცეს, რადგან იგი ხელს გვიშლის სხვა ადამიანების შეხედულებების სრულად მიღებასა და პატივისცემაში.

მეიერსონის და მარტინის განმარტებით კულტურა განიხილება,[1] „როგორც ორგანიზაციული ცხოვრების სუბიექტური მხარის სიტყვა-„კოდი“.

ფასეულობა და ნორმები, რომელიც კულტურის საფუძველია, პირველ რიგში ორგანიზაციაში ყალიბდება მმართველის მიერ, რომელიც არის იმ კულტურის მატარებელი და წარმომადგენელი, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა და რომელიც ახდენს მის ხედვაზე, თვისებებზე და ფასეულობებზე გავლენას. შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს გარემო, რომელშიც მას უწევს მუშაობა. მმართველის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს გუნდის შეხედულებები ამა თუ იმ პროცესზე, მათი მენტალური და კულტურული მახასიათებლები, რათა მან მოახერხოს ორგანიზაციის წევრებს შორის ეფექტური სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნება. შინაგანი ფასეულობა ანუ იმის ცოდნა, თუ რა არის ორგანიზაციისათვის საუკეთესო, გამოიხატება ბიზნესის სფეროში შესრულებაში, კონკურენციაში, კომპეტენტურობაში, სიახლის შემოტანაში, ხარისხში, მომხმარებლის მომსახურებაში, ჯგუფურ მუშაობაში, ადამიანზე ზრუნვასა და პატივისცემაში.

ჩვენის აზრით, გამოცდილმა მენეჯერებმა უნდა მოახერხონ საკუთარი ქმედებები მოაქციონ ეგოცენტრიზმსა და საკუთარ კულტურულ ფასეულობებს შორის არსებულ ვიწრო ზოლში, როგორც პ.ნორტჰაუსი აცხადებს - „ბეწვის ხიდზე გაატარონ“[2]. ცრურწმენა უშუალო კავშირშია ეთნოცენტრიზმთან, რომელიც გადაუმოწმებელ ინფორმაციას ემყარება. ცრურწმენით გაჯერებული დამოკიდებულება ამცირებს სხვა ადამიანების გაგების უნარს და ხელს უშლის, რადგან სხვების თვალსაზრი-

1 ც.ლომაია. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2014.

2 პ. ნორტჰაუსი, ლიდერშიპი თბილისი, 2011-თარგმანი ინგლისურიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სის და თვისების დანახვის შესაძლებლობას ზღუდავს და ფილტრავს.

საინტერესოა, შევეხოთ კულტურის კვლევის ფარგლებში, GLOBE-ის მიერ შემუშავებული კულტურული განზომილებების კლასიფიკატორს. მათ 9 მკვლევარის შრომებზე დაყრდნობით განსაზღვრეს ცხრა კულტურული განზომილება:

1. გაურკვევლობის არიდება;
2. ძალაუფლების უთანასწორობა;
3. ინსტიტუციური კოლექტივიზმი;
4. ჯგუფის კოლექტივიზმი;
5. გენდერული ეგალიტარიზმი;
6. ასეტიულობა (თვითდაჯერებულობა);
7. მომავალზე ორიენტაცია;
8. საქმიანობაზე ორიენტირებულობა;
9. ადამიანზე ორიენტაცია.

გ.ჰოფსტედეს მიხედვით[1] განზომილება კულტურის ის ნაწილია, რომელიც შეიძლება გაიზომოს სხვა კულტურებთან მიმართებაში. ამ დებულების გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას ჩამოგვეყალიბებინა ქართული კულტურისათვის მეტად დამახასიათებელი განზომილებები და შეგვექმნა ასე ვთქვათ ეროვნულ ღირებულებათა სისტემა. მიღებული შედეგების გათვალისწინება დაგვეხმარება ქართული კულტურის შეცნობაში და ამ განზომილებებზე დაყრდნობით თანამშრომელთა სწორი მოტივაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში. კვლევა ჩავატარეთ კ. ერისთავის სახ.ექსპერიმენტალური და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში(200 თანამშრომელი). ასევე, რადგან ვეხებით ისეთ ფართო მცნებას, როგორიც არის კულტურული განზომილება, გადავწყვიტეთ, რომ არ ჩავკეტილიყავით ერთი ორგანიზაციის ფარგლებში და ინტერნეტის საშუალებით გამოვკითხეთ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა

1 გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოპსტედე, კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2011 წელი

ორგანიზაციის 200 თანამშრომელი. შედეგები შევაჯამეთ და გავაანალიზეთ. 62 ქვეყანაში ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე ჩამოთვლილი კულტურული განზომილებები წარმოადგენენ კვლევის ბაზას.

კულტურული განზომილებების კვლევის შედეგები საქართველოში. ცხრილი 1.

კულტურის განზომილებები	გამოკითხულთა რაოდენობა	პასუხი		
		დიახ %	ნაწილობრივ %	არა %
გაურკვევლობის არიდება იყენებენ თუ არა მენეჯერები გაურკვევლობის ასარიდებლად სოციალურ ნორმებს, პროცედურებს, წესებს და კანონებს?	200	60	30	10
ძალაუფლების უთანასწორობა ეთანხმებით თუ არა ჯგუფის წევრებს შორის სტატუსის, სიმდიდრის, ავტორიტეტის და სხვა სახის ძალაუფლების არათანაბრად გადანაწილებას?	200	20	30	50
ჯგუფის კოლექტივიზმი არიან თუ არა თანამშრომლები მზად საკუთარი თავი მიუძღვნან ორგანიზაციას?	200	30	40	70
გენდერული ეგალიტარიზმი განასხვავებენ თუ არა მენეჯერები, გუნდის წევრის როლის განსაზღვრისას ბიოლოგიურ სქესს?	200	36	40	24
ასერტიულობა (თავდა-ჯერებულობა). ახალისებს თუ არა ხელმძღვანელობა თანამშრომელთა ასერტიულობას?	200	40	30	30

მომავალზე ორიენტაცია ორგანიზაციაში ხორციელდება თუ არა მომავალზე ორიენტირებული ქმედებების წახალისება?	200	24	34	42
ადამიანზე ორიენტაცია. რამდენად არის ჩართული ორგანიზაცია სოციალური მხარდაჭერის(ერთიანობის, სხვების მიმართ თანადგომის) პროექტებში?	200	60	31	9

ასევე განვახორციელეთ კვლევა ინსტიტუციური კოლექტივიზმის და მოტივაციის მიმართულებით. გთავაზობთ გამოკითხვის შედეგებს და მათ გრაფიკულ გამოსახვას.

რომელ ინსტიტუციურ ინტერესს უჭერთ მხარს?

ინდივიდულიზმი 42%;

კოლექტივიზმი 58%.

ახორციელებს თუ არა ორგანიზაცია თანამშრომელთა მუდმივ, სწორ მოტივაციას სამუშაოს გაუმჯობესების კუთხით?

დიახ 38%, ნაწილობრივ, 53% არა 9%.

თანამშრომლები ერიდებიან და ეშინიათ თუ არა მენეჯერთან საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის?

ხშირად 46%; იშვიათად 35%; ძალიანხშირად 11%; არასდროს 8%.

თქვენი დახარჯული შრომისთვის კომპანიის მხრიდან მიღებული სარგებელი რამდენად სამართლიანია?

დიაგრამა 1



როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ქართული საქმიანი კულტურისათვის დამახასიათებელი რამოდენიმე თავისებურების გათვალისწინებით, როგორიც არის მაგ: კოლექტივიზმი, იერარქიულობა, კანო-

ნებისა და ნორმების უპატივცემულობა, დროსთან პოლიაქტიური დამოკიდებულება, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ მართვის პროცესებზე დადებითი და უარყოფითი გავლენის მქონე კულტურული მახასიათებლები.

განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი კულტურული თავისებურებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ქართულ საქმიან კულტურაზე და ორგანიზაციული მართვის სტილზე.

დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ (სოციალური უთანასწორობა ჰოფსტედეს მიხედვით). ამ მახასიათებლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ ყველა ქვეყნის დამოკიდებულება სიმდიდრის, ფულის, მოგების მიმართ. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სწრაფვა მოგებისა და ფულის შეგროვებისაკენ არასდროს ყოფილა ქართული კულტურისათვის განმსაზღვრელი. ქართული კულტურა ორიენტირებულია ადამიანის ღირსებებზე. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ მატერიალური სიკეთე ამ კულტურისათვის სუსტი მოტივატორია. შრომის სტიმულირებისას მენეჯერმა ამ კუთხით უნდა იმუშაოს და ეფექტური მოტივატორები გამოიყენოს. ჩვენი ისტორიიდან ბევრი გმირობის მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, როცა სამშობლოს კეთილდღეობისა და რწმენის დასაცავად ქართველმა ხალხმა უპრეცენდენტო ძალისხმევა და ზემობილიზაცია გამოავლინა. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ „სამასი არაგველი“-ს მაგალითი, რომელიც საუკეთესო მოტივაციის პროდუქტია. ქართულ კულტურაში „მისიონერული“ ელემენტები აღწერილი აქვთ უცხოელ მკვლევარებსაც. ორგანიზაციაში ეს კულტურული ხედვა შეიძლება გამოვლინდეს თანამშრომლის მოთხოვნილებაში იმუშაოს არა მხოლოდ თავისი კეთილდღეობისათვის, არამედ უფრო მასშტაბური ამოცანებისათვის და მაღალი იდეებისათვის, როგორიც არის ქვეყნის ინტერესი, ორგანიზაციის ინტერესი. ამას მოწმობს ჩვენი კვლევაც. კერძოდ, მაღალი მაჩვენებლები ინსტიტუციური კოლექტივიზმის და ჯგუფის კოლექტივიზმის კონტექსტში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით დასტურდება.

ძალაუფლებრივი დისტანციის (PDI) მაღალი მაჩვენებელი. (ჰოფსტედეს მიხედვით ეს კრიტერიუმი არის ერთერთი მთავარი კულტურის მახასიათებლებს შორის) ეს აიხსნება ორგანიზაციებში არსებული მაღალი იერარქიულობით, მმართველი სტრუქტურისა და უფროსების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ქართული ისტორია ხასიათდება რეჟიმების ავტორიტარიზმით.[1] ამან საზოგადოებას უბიძგა პასიურობის ჩამოყალიბებისაკენ და წარმოქმნა ხელისუფლებისადმი შინაგანი უკმაყოფილება.

იგი უკავშირდება სხვადასხვა დამპყრობლების ხანგრძლივ ბატონობას, როდესაც ხორციელდებოდა დისტანციური მმართველობა. ძალაუფლებრივი დისტანცია მაღალ მაჩვენებელს ასახავს უმრავლესად აზიურ ქვეყნებში(როგორიცაა მალაიზია, ფილიპინები), აღმოსავლეთ ევროპისთვის (სლოვაკეთი, რუსეთი) იმ ქვეყნებში სადაც ძალაუფლებრივი დისტანცია მცირეა, თანამშრომლები უფროსზე ნაკლებად არიან დამოკიდებულები და უპირატესობა კონსულტაციებს ენიჭება. ემოციური მანძილი ასეთ დროს მცირეა და თანამშრომლები უფრო ხშირად ეწინააღმდეგებიან მათ. ჩვენს მიერ ამ საკითხის კვლევის შედეგიდან გამომდინარე ემოციური მანძილი საკმაოდ დიდია. საქართველოში ჯერ კიდევ უმეტესწილად ერიდებიან მენეჯერთან საპირისპირო აზრის დაფიქსირებას. იერარქიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვნი პრობლემა ჩვენის აზრით არის ბიუროკრატიზაცია, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შეუძლებლობა. გარდა გამონაკლისებისა არის შემთხვევები, როდესაც პროგრესულად მოაზროვნე მმართველის მიერ ხდება გუნდისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება, ხოლო ისინი თავიანთი მენტალური თვისებებიდან გამომდინარე გაურბიან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და იწყებენ არაფორმალური ლიდერის მოძიებას. ვფიქრობთ მენეჯერების მიერ უნდა მოხდეს ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება და მართვის ამ საფეხურზე მიზანმიმართული მო-

1 ზარათაშვილი ე. ჩეჩელაშვილი მ. მარიდაშვილი მ. მახარაშვილი ნ. ზარანდია ჯ.შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია თბ. 2015წ

ტივაციის განხორციელება, რათა მენეჯერების მიერ სწორად მოტივირებულმა და შეგულიანებულმა თანამშრომელმა მოახერხოს ყველა შინაგანი რეზერვის ამოქმედება. ეს განზომილება კორელაციაშია **კოლექტივიზმთან**. ქართულ კულტურაში როგორც მრავალ იმ ქვეყანაში, რომლებსაც ძალაუფლებრივი დისტანციის მაღალი ინდექსი აღენიშნებათ, ინდივიდუალიზმის ინდექსი დაბალია.

საქართველოში დირექტიული მართვის სტილი სათავეს იღებს არა მხოლოდ 70 წლიანი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკიდან, არამედ როგორც უკვე ავღნიშნეთ უფრო ადრინდელი წარსულიდან(სხვადასხვა დამპყრობლის მიერ მრავალსაუკუნოვანი დირექტიული მმართველობიდან).

ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთობა: როგორც კვლევებით დასტურდება ქართული კულტურისთვის ჯერ კიდევ უფრო მისაღებია კოლექტივისტური მისწრაფებები. ამ მახასიათებელს შეიძლება გააჩნდეს დადებითი და უარყოფითი გავლენა როგორც საზოგადოებისთვის, ისე ორგანიზაციის დონეზე. ერთი მხრივ, კოლექტივისტურ საზოგადოებაში ყველა ეხმარება და ზრუნავს ერთმანეთზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ახასიათებთ განსხვავებული ნიშნების მქონე ადამიანის მიუღებლობა. თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ მართალია საქართველო კოლექტივისტური ქვეყანაა, მაგრამ ბოლო მონაცემებით ამჟამად მას უკავია შუალედური მდებარეობა კოლექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს შორის. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, წინ წამოიწია ქართული კულტურის ცნობიერებამ, გლობალიზაციის პირობებში მეტად იკვეთება ისეთი ღირებულებები, რომლებიც ახლოს არის ევროპულ კულტურასთან.

კანონებისა და ნორმების უპატივცემულობა-ანუ, მისწრაფება „კანონის გვერდის ავლისკენ“. ჩრდილოვანი სექტორის დიდი პროცენტით არსებობა. ეს უკავშირდება საბჭოური მენტალიტეტის გავლენას, სადაც ნორმად ითვლებოდა“სახელმწიფოსათვის მოპარვა“. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ბიზნესის ნაკლები გამჭვირვალობა, რაც, თავის მხრივ, თანამშრომლებს შორის

ბადებს ნიჰილიზმს, უსამართლობის განცდას, რაც აქვეითებს თანამშრომელთა მოტივაციას.

გაურკვევლობის თავიდან არიდების მაღალი დონე: (UAI)- შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ის, თუ რამდენად გრძნობენ საფრთხეს უცნობი ან გაურკვეველი სიტუაციების მხრიდან ამა თუ იმ კულტურის წევრები. ამ კუთხით საქართველოზე შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში მოსახლეობა ზრუნავს და წუხს თავის მომავალზე. ეს მაჩვენებელი დიდ როლს თამაშობს თანამშრომელთა მოტივაციაზე. მაშინ როცა მაგ.:აშშ-ში მუშაკისთვის დაბალი მაჩვენებელი არის მაქსიმალური დამოუკიდებლობის ტოლფასი, ხოლო საქართველოში მაღალი მაჩვენებელი მუშაკისათვის მეტი გარკვეულობის აუცილებლობას გულისხმობს. სოციოლოგიური კვლევების მიხედვით ქართველებს არ ახასიათებთ გრძელვადიანი გეგმების დასახვა და აქვთ, ასე ვთქვათ, მოკლევადიანი ორიენტაცია, რაც ნაწილობრივ მენტალობიდანაც გამომდინარეობს, კერძოდ, ისეთი მახასიათებლისგან, როგორიც არის „მზერა წარსულისკენ“[1], ტრადიციების პატივისცემა, სოციალური ვალდებულებების შესრულება.

ქართული კულტურის დახასიათებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარმოადგენს ურთიერთობით საქმიან კულტურას. ამ მონაცემებით ქართული კულტურა უახლოვდება ისეთ საზოგადოებებს, როგორიც არის ესპანური, იტალიური, ლათინოამერიკული კულტურები. ასეთი კულტურის წარმომადგენლებს ნაკლებად იზიდავთ ფული, ორიენტირებულნი არიან ადამიანებზე რაც მოტივაციისას განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული მენეჯერის მიერ. მათ სწორად უნდა გამოიყენონ ეს კულტურული მახასიათებელი და ამ ნიშნის მიხედვით მოახდინონ შრომითი საქმიანობის მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად. პირადი კონტაქტები დიდ როლს თამაშობს საქმიანი ურთიერთობებისას(რაც ძირითადად დამახასიათებელია აზიური ქვეყნებისათვის, იაპონიისათვის). საქ-

1 ზარათაშვილი ე. ჩეჩელაშვილი მ. მარიდაშვილი მ. მახარაშვილი ნ. ზარანდია ჯ.შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია თბ. 2015წ

მიანობისას მთავარი ორიენტირები მიმართულია პირად ურთიერთობებზე, რაც ხელს უშლის ადამიანებს სამუშაოზე იყვნენ კონცენტრირებულნი. კრიტიკას არაადექვატურად აღიქვამენ, არიან გადაჭარბებულად ემოციურნი და გადაწყვეტილებას სამუშაოზე მიღების, ან განთავისუფლებისას უპირატესობას პირად ნაცნობობას ანიჭებენ.

კვლევის შედეგების მიხედვით, შედარებით მაღალი მაჩვენებელია ადამიანზე ორიენტაციის მიმართულება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საქართველოში ორგანიზაციები ჩაბმული არიან სხვადასხვა სოციალური მხარდაჭერის აქციებში, თანამშრომელთათვის უფასო, ან იაფი სამედიცინო დაზღვევის, ორგანიზაციების მიერ საპენსიო ფონდების შექმნის მიზნით. ჩვენს საკვლევ ობიექტში, ქირურგიის ეროვნულ ცენტრში(წარმოადგენს ავერსის კლასტერს, რომელიც შედგება სადაზღვევო, სააფთიაქო და ჰოსპიტალური ქსელებისგან) აქტიურად მიმდინარეობს რამოდენიმე სოციალური მხარდაჭერის პროექტი. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ყველა ავერსელისათვის“, რაშიც ჩართულია ყველა ქსელში გაერთიანებული კომპანია, საიდანაც ხდება ფინანსური მხარდაჭერა თანამშრომელთათვის ან მათი ოჯახის წევრებისათვის, ჯანმრთელობის (შედის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯებიც საჭიროების შემთხვევაში) ან სხვა ტიპის პრობლემების შემთხვევაში. ასევე, სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი, ტრენინგებისა და სხვადასხვა სემინარების საშუალებით.

სწორი აქცენტების დასმისა და თანამშრომელთა სწორი მოტივაციის მიზნით აუცილებელია ამ განზომილებების ცოდნა და გათვალისწინება. მენეჯერი უნდა ფლობდეს ინფორმაციას პარტნიორი ქვეყნის ბიზნეს - ქცევის, ეროვნული და კულტურული თავისებურებების შესახებ და თავის ქცევებს მიუსადაგებდეს მათ. ასეთი ინფორმაცია სპეციალისტს დაეხმარება დაიმსახუროს პატივისცემა და ნდობა ამ კომპანიებისა, უზრუნველყოს თავისი კომპანიის კონკურენტული უპირატესობა, მათთან პაექრობისა და თანამშრომელთა მოტივირების პროცესში.

გლობალიზაციის ეპოქაში ნებისმიერი ფირმის ეფექტიანი სტრატეგია უნდა ითავსებდეს ყველგან ეროვნულის მაქსიმალურ გამოყენებას, სადაც ეს შესაძლებელია და ინტერნაციონალურს, სადაც ამის საჭიროებაა.

მოტივაციასთან მჭიდრო კავშირშია ისეთი ცნებები, როგორიც არის - მუშაკების მორალური სული, რომელშიც მჟღავნდება ადამიანის დამოკიდებულება ორგანიზაციისა და სამუშაოსადმი.

მოტივაციის, როგორც შრომისადმი განწყობის პროცესის გაბატონებული ტიპი, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია კონკრეტულ მუშაკთა მოტივაცია ეკონომიკური და არამატერიალური სტიმულებით. იაპონიაში - ფირმისადმი ერთგულების მოტივაციის სისტემა მუშაობს, რაც გამოიხატება კორპორატიული ცნობიერების ფორმირებაში. საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეინიშნება კონკრეტულ მუშაკთა მოტივაცია ხელმძღვანელთა პირად შეხედულებებზე დაყრდნობით, რაც ჩვენს ქვეყანაში იძულებით მოტივაციაზე, ან მოტივაციის არარსებობაზე მიუთითებს.

შევეცადეთ გაგვერკვია, კვლევის ობიექტში, თუ რომელი მენეჯერული ინსტრუმენტი იწვევდა მოტივაციის მეტ ძალისხმევას.

მოტივაციის მართვა „ქირურგიის ეროვნული ცენტრი“

ცხრილი 2

მატერიალური დაინტერესება
ზრდა - განვითარების მოტივაცია(კარიერული ზრდა)
გარანტირებული სამსახური
კეთილსასურველი სამუშაო გარემო
ინდივიდუალიზმი

რაც შეეხება მოტივაციის მართვას იგივე ქართულ ფირმებში, აქ შემდეგი სურათია: პირველი ადგილი ჯერ კიდევ უკავია სწრაფვას მატერიალური დაინტერესებისკენ. თუმცა ოდნავ ჩამორჩება კარიერაში წინსვლის და თანამშრომელთა ზრდა-განვითარებისადმი ინტერესი. ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს გარანტირებულ სამუშაოს. ჯერ კიდევ დაბალია დაწესებულების წინსვლაში თანამშრომელთა მონაწილეობის მოტივირება. საშუალოზე ოდნავ დაბალი მოტივაციური მნიშვნელობა ენიჭება ადამიანზე და გუნდზე ორიენტირებულ ლიდერს. „ადამიანი კუნძული არ არის“[1] - ეს ცნობილი გამონათქვამი ნიშნავს, რომ ადამიანები იზოლირებულად ვერ იქნებიან, ისინი ურთიერთდამოკიდებულნი არიან. ჩვენი დიდი წინაპარი ი. ჭავჭავაძე სწორედ ამიტომ შეგვაგონებს: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი და რომ შენს გარშემო ადამიანები არიან. აგრეთვე ისიც, რომ ადამიანთა გარეშე არა თუ რაიმე სასიკეთოს გაკეთება, არამედ არსებობაც კი თითქმის შეუძლებელია“.

დასკვნა

უცხოური მკვლევარების გამოცდილებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ: მულტინაციონალური პერსონალის ეთნიკური, კულტურული, ეროვნული განსხვავებების შემთხვევაში ეს პრობლემა დეფინიცირებულია, როგორც ძალზე რთული და მრავალფაქტორიანი. მაგრამ შედარებით მენეჯმენტში მოტივაციის პრობლემა განიხილება, როგორც კულტურულ, ისე ინსტიტუციურ ასპექტში. კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს და პროგნოზირებადს ხდის ინდივიდის ქცევას. ამ ცოდნას იგი მიმართავს ორგანიზაციის ეფექტიანი მართვისა და შრომის პროცესის ინტენსივობის მართვისაკენ. შედარებით მენეჯმენტში ეს არის თანამშრომელთა პროფესიული და კომუნიკაციური უნარების აქტივაცია, რომელიც განისაზღვრება კულტურათაშორისო ურთიერთობების სინერგიული ეფექტით.

1 ნორთჰაუსი პიტერ გ., „ლიდერობა”, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, 2010;

საქართველო საბაზრო ეკონომიკის ახალგაზრდა ქვეყანაა. მოტივაციის ყველა ფაქტორის გამოყენებისა და მართვის პროცესების გასაძლიერებლად ბევრი მუშაობა მოუწევს ქართველ მენეჯერებსაც და ამ თემაზე მომუშავე მკვლევარებსაც. ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა თაობის დიდი ძალისხმევით, უფროსი თაობის მეცნიერთა გამოკვლევების გათვალისწინებით და პრაქტიკაში დანერგვით 10-15 წელიწადში მაინც მიიღწევა სასურველი შედეგი, რათა აღმოიფხვრას ხელისშემშლელი და უარყოფითად მოქმედი კულტურული თავისებურებები და გაძლიერდეს ორგანიზაციის მართვის პროცესზე დადებითად მოქმედი პოზიტიური ფაქტორები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კატუკია ა. „მოტივაციის პარადიგმები შედარებით მენეჯმენტში“ ჟ. „მაცნე“#7, 2014;

2. ბარათაშვილი ე. ჩეჩელაშვილი მ. მარიდაშვილი მ. მახარაშვილი ნ. და სხვ. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია თბ. 2015წ.

3. ლომაია ც. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბ. 2012;

4. ლომაია ც. მხეიძე ნ. „ლიდერობა, როგორც ორგანიზაციული კულტურის ტექნოლოგია“ ჟ. მაცნე #8, 2015;

5. ნორთჰაუზი პიტერ გ., „ლიდერობა“, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, 2010;

6. Салмон Р. Будущее менеджмента (Пер. с Англ.). Питер, 2004.

7. გ. ჰოფსტედე, გ.ი. ჰოფსტედე „კულტურები და ორგანიზაციები“,გონების პროგრამული უზრუნველყოფა თარგმანი ინგლისურიდან,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2011წ.

REFERENCES:

1. A. Katukia "Motivation Paradigms in Comparative Management" Mag.MATSNE #7, 2014y. (In Georgian Language);
2. E. Baratashvili, M.Chechelashvili, M. Maridashvili, N. Makharashvili, J. Zarandia – Comparative Management and Clusters – Tbilisi, 2015y.
3. Ts. Lomaia – "Human Resource Management" – Tbilisi, 2012y. (In Georgian Language);
4. Ts. Lomaia, N. Mkheidze – "Leadership as Technology of Organizational Culture" Mag. Heralds #8, 2015y (In Georgian Language);
5. Peter. G. Northouse "Leadership" West Michigan University, 2010y.
6. R. Salmon "Future of Management" (Translated into English), Peter, 2014y.
7. Geert Hofstede and Gert Jan Hofstede, Cultures and Organizations, Software of the Mind. Ilia State University Press. Tbilisi 2011 year (In Georgian Language).

MOTIVATION DIVERSITY IN COMPARATIVE MANAGEMENT

Ana Katukia,
Business Administration PhD Student
of Caucasus International University

RESUME

The paper sets out the impact of cultural differences on motivation and choosing the principles of appropriate motivation forms by a manager considering the cultural differences.

The paper describes the necessary components for management in the world of increased globalization and cross-cultural environment. There are the various dimensions which serve as a tool for comparing different cultures. Afterwards, considering the distinctive or similar characteristics

of the cultures, correct and effective management is set out (Motivation). According to the studies carried out in 62 countries, the listed cultural dimensions serve as the database of the study, which shows the manager's approach changes in different countries. On the basis of these factors the paper deals with those important cultural characteristics which have an impact on Georgian business culture and an organizational management method. Being aware of these dimensions and taking them into consideration is essential in order to highlight proper points and motivate staff in a relevant manner. In the era of Globalization the efficient strategy of any company has to combine the applying national ones at a maximum capacity and international – where it is applicable.

Key Words: Cultural Differences, Motivation, Cross-Cultural Environment, Ethnocentrism.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარკეტინგული ასპექტები

ანა წულაია
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი კომპანია პასუხისმგებელია ყველა დაინტერესებული ჯგუფის მიმართ და მას გარდა მოგების მიღებისა უნდა ჰქონდეს სხვა მიზნებიც, ამიტომ იგი უნდა ითვალისწინებდეს თავისი ოპერირების სოციალურ და ეკოლოგიურ შედეგებს, აერთიანებდეს მდგრადობის იდეას მოქმედებაში, ანუ ჰქონდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. კონცეფცია გულისხმობს მძლავრი სოციალური მექანიზმების ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესისა და საზოგადოების მოთხოვნების ინტერესთა ერთიანობას, მომხმარებელთა კეთილდღეობის მისაღწევად.

სტატიაში მოყვანილია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის საზღვარგარეთული მოდელები და მათი დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე დახასიათებულია რამოდენიმე ქართული კომპანია, რომლებიც უფრთხილდება გარემოს და საზოგადოების კეთილდღეობისათვის სოციალურ ინვესტიციებს, ქველმოქმედებას და სხვადასხვა სოციალურ პროექტებს ახორციელებენ.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული, ევროპული და ბრიტანული მოდელი. სოციალური მარკეტინგი.

შესავალი

კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის თანახმადაც კორპორაცია ნებაყოფილებით და შეგნებულად სცდება მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქ-

ციას და დადებით ზეგავლენას ახდენს მის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. როგორც აკადემიურ, ისე ბიზნეს წრეებში სულ უფრო მეტად ბატონდება აზრი, რომ კომპანია პასუხისმგებელია ყველა დაინტერესებული ჯგუფის მიმართ და უნდა ჰქონდეს სხვა მიზნებიც, გარდა მოგებისა, ამიტომ იგი უნდა ითვალისწინებდეს თავისი ოპერირების სოციალურ და ეკოლოგიურ შედეგებს, აერთიანებდეს მდგრადობის იდეას მოქმედებაში, ანუ ჰქონდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

ძირითადი ტექსტი

სოციალური მარკეტინგი ეს არის საზოგადოებრივი პრობლემების მიმართ ისეთი მიდგომა, რომელშიც ერთდროულად გამოიყენება ინოვაციური და ტრადიციული მარკეტინგული დაგეგმვის, მარკეტინგული სტრატეგიის, მარკეტინგული ანალიზისა და მარკეტინგული მენეჯმენტის ტაქტიკა, როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ასამაღლებლად[1]. სოციალური მარკეტინგი არის მთლიანი ბიზნესი, დანახული მომხმარებლის (კლიენტის) თვალთახედვით"[2].

სოციალური მარკეტინგის კვლევის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ქსელის როლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის ინტერაქტიულია, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ეკონტაქტოს სასურველ კომპანიას, დაუსვას მას კითხვები და იქვე მიიღოს პასუხები. ეს თავად კომპანიისთვისაც ეფექტიანია, რადგან ეცნობა მომხმარებელთა მოსაზრებებს მიწოდებული პროდუქციის შესახებ და შეუძლია მოახდინოს მათზე სწორი რეაგირება.

შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგი არის მთავარი ბიზნეს დისციპლინა, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს ფირმისა და გარემოს კავშირებზე, ანუ ყურადღებას მიაპყრობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრალურ ასპექტს.

თეორიტიკოსები და პრაქტიკოსები სწავლობენ და ითვალ-

1 WWW.USAID.com

2 Друкер ф. П. Энциклопедия Мереджмента; Москва-Санкт-петербург-Киев 2004 გვ.128

ისწინებენ ეთიკური მარკეტინგის, და სოციალური მარკეტინგის საკითხებს, აგრეთვე მის გავლენას მომხმარებლებზე, აქციონერებზე, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებზე და კომპანიის ფინანსურ ეფექტიანობაზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა უკვე აღარაა მხოლოდ დიდი კორპორაციების კუთვნილება. კერძო ბიზნესი, რომელიც ეთიკური ბიზნესის პრაქტიკას სწრაფად და ეფექტიანად ითვისებს – გადარჩება, ხოლო ისინი ვინც ვერ ახერხებენ იმოქმედონ დღეს, გაურკვეველი მომავლის პირისპირ აღმოჩნდებიან. სოციალური პასუხისმგებლობა არჩევანი როდია, არამედ აუცილებლობაა ნებისმიერი მოქმედი ფირმისათვის, მათ შორის ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის საკითხით თანდათან ინტერესდებიან.

განასხვავებენ სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკულ, ბრიტანულ და ევროპულ მოდელს. ჟურნალ Forbes ის 2014 წლის ივნისის მონაცემებით სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების ¾ ევროპულია და ¼ კი ამერიკული.

სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული მოდელი[1] - ემყარება ბიზნესის სრულ დამოუკიდებლობას. ფირმები თავად ირჩევენ სოციალური პასუხისმგებლობის ფორმას. სახელმწიფოს დაწესებული აქვს საგადასახადო შეღავათები სოციალური ღონისძიებების განხორციელებაზე და შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის კონტროლი მინიმალურია. ამერიკაში შემუშავებულია ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაში მონაწილეობის არაერთი მიმზიდველი მექანიზმი, როგორიცაა:

- კორპორატიული ფონდები - რომლის მიზანია, ბიზნეს კორპორაციების მეშვეობით, გარკვეული ხასიათის სოციალური პრობლემის მოგვარება;

- კერძო სექტორის მიერ საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება;

---

1 International Business & Economics journal – july 2013 - Corporate Social Responsibility In The United States And Europe: How Important Is It? The Future Of Corporate Social Responsibility Almerinda Forte, St. John's University, USA

- ნებაყოფილებითი შენატანი სხვადასხვა საპენსიო და სადაზღვევო ფონდებში;

- ფინანსური დახმარების გაწევა სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის და სხვ.

ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესი-საზოგადოების ურთიერთობაში მინიმალური ჩარევა.

სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული მოდელი[1] - ესაა გარკვეულწილად სახელმწიფო რეგულირება. სადაც, კორპორატიული საქმიანობა რეგულირდება ნორმებით, სტანდარტებით და კანონებით და დაყოფილია საერთო ნაციონალურ, რეგიონულ და საწარმოო დონემდე. ამერიკული მოდელისაგან განსხვავებით:

- ეკონომიკური პასუხისმგებლობა ძირითადად ფოკუსირებულია მოგებაზე და მოიცავს პასუხისმგებლობას აქციონერების წინაშე. ევროპელები ურთიერთობის ამ ჯგუფში ასევე იღებენ პასუხისმგებლობას კომპანიის თანამშრომლების და ადგილობრივი საზოგადოების წინაშე;

- იურიდიული პასუხისმგებლობა - ნებისმიერი ევროპული ფირმის პასუხისმგებლობაა. ევროპული ბიზნესი სახელმწიფოს განიხილავს ინსტიტუტს, რომელსაც აღსრულებაში მოჰყავს მოქმედების წესები. მაშინ როდესაც ამერიკაში სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა აღიქმება, როგორც პირად თავისუფლებაში უხეში ჩარევა.

- ევროპული ფირმების სოციალური პასუხისმგებლობა უფრო ეთიკური ხასიათისაა. საერთოდ ევროპელები ნაკლებად ენდობიან კერძო საკუთრებას, რაც არის ერთერთი იმის მიზეზი, რომ საზოგადოების მხრიდან ბიზნესისადმი ინტერესი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში.

ქველმოქმედება არაა ისე პოპულარული ევროპაში, როგორც ამერიკაში. ეს განპირობებულია ამერიკაში შედარებით შემსუბუქებული საგადასახადო ტვირთით. კვლევებმა აჩვენა, რომ ევრო-

1 IESE Business school University of Navara. "Ia Caixa" Chair of Corporate social Responsibility and Corporate Governance. Workong Paper WP-834 November, 2009. Antonio Argandona, Heidi vonWeltzein Hoivik. PAGE 4.

პული კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ მიიღონ მონაწილეობა იურიდიულად გამყარებულ ფილანტროპიულ აქციებში.

ბრიტანული მოდელი - მოიცავს როგორც ამერიკული, ასევე კონტინენტალური ევროპის მოდელის შტრიხებს. მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისაკენ და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისაკენ. ბრიტანეთში კარგადაა ორგანიზებული ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა. მისთვის დამახასიათებელია:

- დამოუკიდებელი კონსალტინგის სექტორის განვითარება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დარგში;

- საფინანსო სექტორის მხრიდან სოციალურ კორპორატიულ პასუხისმგებლობის პროექტებზე განსაკუთრებული ყურადღება (სოციალურ პროექტებში ინვესტიციის ზრდა);

- კომპანიების რეიტინგის სიაში სასურველ ადგილას მოხვედრის სურვილი;

- სახელმწიფოს მონაწილეობის მიღება, რაც გამოიხატება: საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსებით, საგადასახადო შეღავათებით, ნაციონალურ სტანდარტების შესაბამისი საზღვარგარეთული გამოცდილების დამუშავება.

- და ბოლოს ბრიტანეთში სოციალური პასუხისმგებლობის შემსწავლელი სპეციალური კურსების არსებობა. ბრიტანულ მოდელს ახასიათებს მუდმივი ზრდა.

დღესდღეობით საქართველოში ბევრი ბიზნეს კომპანიები, თავის შესაძლობლებებთან შეფარდებით, საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ ქველმოქმედებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობებზე.

აქვე მოვიყვან საქართველოში მოქმედ რამოდენიმე ფირმას, რომლებიც აქტიურად ცდილობენ წარმატებული ბიზნეს საქმიანობით საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მშენებლობაში. კომპანიები, რომლებიც უფრთხილდება გარემოს და საზოგადოების კეთილდღეობისათვის სოციალურ ინვესტიციებს, ქველმოქმედებას და სხვადასხვა სოციალურ პროექტებს ახორციელებენ:

SILKNET-მა – შემოიღო შეღავათიანი სისტემა: სოციალურად

დაუცველი პირებისათვის, კერძოდ, 50%-ით შემცირდა ბინის ტელეფონის სააბონენტო გადასახდი. სპეციალური პაკეტები შემუშავდა უნარშეზღუდული ადამიანებისათვის, რომლებიც არავითარ ფინანსურ მხარდაჭერას არ იღებენ ოჯახისაგან ან სხვა პირებისაგან (100 უფასო წუთი) და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისათვის (400 უფასო წუთი). სილქნეთმა ამ გაერთიანებას მნიშვნელოვანი შიდა შესაძლებლობები შესძინა და ამ პოზიტიური გამოცდილების საფუძველზე გეგმავს მომავალშიც სოციალური პასუხისმგებლობით განაგრძოს მარკეტინგული საქმიანობა[1]

Geocell – მა სოციალური პასუხისმგებლობა აიღო სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ, რაც მიზნად ისახავს სმენადაქვეითებული ადამიანების ხალშეწყობას ისარგებლონ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, და ამით მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ პროგრამის ფარგლებში, სმენადაქვეითებულმა ადამიანებმა და მათი ოჯახის წევრებმა მიიღეს სპეციალური ტარიფები **sms** შეტყობინებებზე, რაც მათ მარტივი და იაფი კომუნიკაციის შესაძლებლობას აძლევდა. ამასთან, კომპანიამ ამ ადამიანებისათვის სპეციალურად აღჭურვა კომპიუტერული ცენტრი და მათ ერთმანეთთან და სამყაროსთან კავშირის შესაძლებლობა მისცა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს სმენადაქვეითებულთა კავშირთან ერთად და ამ ეტაპზე 2000 ადამიანს მოიცავს.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის 85 წლისთავთან დაკავშირებით ჯეოსელმა ორი საგამოფენო სივრცის რესტავრირებაში მიიღო მონაწილეობა"; იმოგზაურე ჯეოსელთან ერთად" - ამ სლოგანის ქვეშ ბევრმა მზრუნველობა მოკლებულმა ბავშვმა და მოზარდმა შეძლო ემოგზაურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; ტრადიციული "მზის ფესტივალი", ჯეოსელთან ერთად, რომელიც ემსახურება ყველა ბავშვის გაერთიანებას მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა.[2]

„ვისოლ ჯგუფის" — მიზანია საქართველოს ნებისმიერ

1 **http://www.silknet.com/**

2 **http://geocell.ge/**

წერტილში კომპანიის საქმიანობა სასარგებლო იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, უზრუნველყოს ცხოვრების დონის ამაღლება; დაიცვას ბიზნეს ეთიკის პრინციპები. ჯგუფის საქმიანობა დადებით ზეგავლენას უნდა ახდენდეს საზოგადოებაზე; ურთიერთობა მომხმარებლებთან და პარტნიორებთან უნდა წარმოებდეს პატიოსნად და გამჭვირვალედ; „ვისოლ ჯგუფი“ პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე. „ვისოლ ჯგუფის“ აღებული აქვს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის სწორი აქცენტები, როგორიცაა: ბაზარი და მომხმარებელი, თანამშრომლები, საზოგადოება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, ბიზნეს პარტნიორები, მართვა და ფინანსები. აქვე წარმოგიდგენთ მის მიერ განხორციელებული პროექტების მცირე ჩამონათვალს „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“, „სტუდენტური დასაქმების ფორუმი“, „ქართული სპორტის მხარდასაჭერად“ და სხვები[1].

მეცნიერების განმარტებით, სოციალური მარკეტინგული პროგრამის წარმატება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგრამ, როგორც კვლევები გვიჩვენებს, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- სოციალური პრობლემა ქართველი მომხმარებლებისთვის უნდა იყოს გასაგები და მნიშვნელოვანი;
- სოციალური პრობლემის დაძლევასა და შესაბამისი მარკეტინგული პროგრამის მხარდაჭერისათვის აუცილებელია სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაცია;
- სოციალური მარკეტინგული პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა სწორი პარტნიორის შერჩევა (მათ შორის არაკომერციული ორგანიზაციების შემთხვევაშიც);
- კონკრეტული სოციალური პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა მიზნობრივი ჯგუფების შერჩევა, მომხმარებელთა სტიმულირება სოციალური იდეების მისაღებად, სოციალური ცვლილებების კამპანიის შემუშავებისა და მისი განხორციელებისთვის.

მიმაჩნია, რომ მარკეტინგული კუთხით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმოებულ

1 http://www.cso.ge/

პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია. განსაკუთრებით, თუკი საქმე ეხება დასავლეთის მომხმარებლებს და შესაბამისად გამსაღებელ კომპანიებს, რადგან მათ აინტერესებთ არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხი, არამედ მისი წარმოების პროცესის სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები, რაც სწორედ CSR (Corporate Social Responsibility) მეშვეობით რეგულირდება, რაც მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტის ევროპულ და ამერიკის ბაზრებზე გასასვლელად. საქართველოს და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედებისათვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში CSR-ის განვითარება ჩვენს ქვეყანაში. ხშირად საქართველოში სოციალურ ღონისძიებებში ჩართვა უსისტემო და სპონტანურ ხასიათს ატარებს. თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება უფრო სისტემურ, სტრატეგიულ მიდგომებზე და გრძელვადიანი, მდგრადი შედეგების მქონე დაგეგმილ საქმიანობაზე გადასვლის ტენდენცია. წარმატების მისაღწევად და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ქართულმა კომპანიებმა იხელმძღვანელონ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით და აწარმოონ საზოგადოების წინაშე ანგარიშგება.

ინფორმაციულ საუკუნეს თან ახლავს მეტი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა სხვადასხვა აქტორების მიმართ, რომლებიც ქმნიან გლობალურ, ელექტრონულად ურთიერთდაკავშირებულ სამოქალაქო საზოგადოებას. ახლა უკვე სამპოლუსიან სისტემაში ვცხოვრობთ, რომელიც შედგება დიდი ბიზნესების, ძლევამოსილი მთავრობების და გლობალური სამოქალაქო საზოგადოებისაგან. ამიტომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიდერებს აქვთ ორი არჩევანი: ან გაითვალისწინონ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნები — რასაც მოაქვს მდგრადი განვითარება, ან უგულვებელყონ გლობალური საზოგადოების ინტერესები, რაც მარცხის რისკის ტოლფასია საზოგადოების კვლევა და მათ საჭიროებაზე რეაგირება კი მარკეტინგის მოვალეობაა.

მარკეტოლოგებს სჭირდებათ კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის/ მომსახურების შესახებ მომხმარებელთა ამჟამინდ-

ელი და მომავალი მოთხოვნილების შესახებ ინფორმაცია, რათა შემდგომში ეფექტიანად დაგეგმონ და განახორციელონ მარკეტინგული სტრატეგიები გრძელვადინი წარმატების მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანია საუბარი ეთიკის და სოციალური პასუხისმგებლობის დადებით ზეგავლენაზე, როგორც ორგანიზაციის წარმატებაზე, რადგან მომხმარებელი მსჯელობს ეთიკურად, რაც დიდი ალბათობით მის ყიდვებზე ახდენს გავლენას. მომხმარებლები დროთა განმავლობაში გამოხატავენ მოწონებას იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ცდილობენ, ჰქონდეთ პასუხსმგებლობა სხვადასხვა ეთიკური და სოციალური ფაქტორებისადმი ბაზარზე. შესაბამისად, ეთიკური და სოციალური საკითხების გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარკეტოლოგებისათვის. თუმცა კულტურათშორისი განსხვავებები განაპირობებს მარკეტინგის სპეციალისტების განსხვავებულ ეთიკურ ქცევას და დამოკიდებულებას. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოქმნის ნდობას, ხოლო ნდობა გარდაიქმნება მომხმარებელთა განზრახვად — იყიდონ პროდუქტები, ანუ ზრდის ბრენდის ლოიალურობას, ამდენად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება გახდეს ბრენდიგის ინსტრუმენტიც.

ამრიგად, ნებისმიერი კომპანიისთვის მომხმარებელთან კეთილგანწყობილი გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება მით უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია, რაც უფრო მეტად ეხმარება მისი პროდუქტი სოციალური პრობლემის გადაჭრას.

დასკვნა

დღეს სოციალური პასუხისმგებლობა თავისებურ ბიზნესად იქცა და მარკეტინგის და ბაზარზე პოზიციონირების თავისებური ტექნოლოგიაა, რადგან, მართალია, სოციალურ და ფილანტროპიულ პროექტებში ჩართვით, ბიზნესმენი ამცირებს მიმდინარე შემოსავალს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას და თავადაც ქმნის მყარ რეპუტაციასა და იმიჯს, დამაჯერებელ რეკლამას და იღებს დივი-

დენდებს ამ საქმიანობიდან. შესაბამისად, მთელს ცივილიზებულ სამყაროში სოციალური პასუხისმგებლობა დიდი ხანია წმინდა ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება. საბოლოო ჯამში კი ფილანტროპია ფულის ეკონომიასაც უწყობს ხელს და ქართული ბიზნესიც, თუ უნდა, რომ ცივილიზებული ეკონომიკის ნაწილი გახდეს, აუცილებლად დაამკვიდრებს თავის არსენალში სოციალურ, კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

ლიტერატურა:

1. „თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“, საქართველოს სტრატეგიული განვითრების ფონდი. თბილისი 2007

2. Друкер ф. П. Энциклопедия Мереджмента; Москва-Санкт-петербург-Киев 2004 გვ.128

3. Котлер Ф. Маркетинг от А до Я Пер. с англ. 5-е издание М., 2013. გვ 93

4. Archie B. Carroll “Corporate Responsibility: The american Experience” 2012 გვ 117; 202

5. David Crowther & Guler Aras “Corporate Social Responsibility” 2008 გვ. 17

6. Howard Rothmann Bowen ‘’Social Responsibilities of the Businessman”. გვ. 348.

REFERENCES:

1. “Large Businesses in Tbilisi And Corporation Social Responsibility-Attitudes And Practices” The center for strategic research and development of Georgi. Tbilisi 2007 (In Georgian language).P

2. PETER DRUKER The Essential Drucker Selection from the Menejment Works of Peter F. Druker. Moscow Publeshed by Viliams 2004. Page 128 (in Russian Language).

3. Philip Kotler “Marketing from A to W” 2013 Moscow page 93 (in Russian Language).

4. Archie B. Carroll “Corporate Responsibility: The american Experience” 2012. Page 117;202; (in English Language).

5. David Crowther & Guler Aras "Corporate Social Responsibility" 2008. Page 17 (in English Language).

6 Howard Rothmann Bowen ''Social Responsibilities of the Businessman". Page 348 (in English Language).

Web Resources:

WWW.USAID.com

http://www.lantosfoundation.org

www. Hjournal.ru 2013 ვ3. 124

http://library.iliauni.edu.ge

THE MARKETING ASPECTS OF CORPORATION SOCIAL RESPONSIBILITY

ANN TSULAIA,
PhD Student of CIU

RESUME

The article includes the corporate social responsibility concept. According to this concept, any company is responsible for all interested groups. In addition to making a profit he should have the other goals as well therefore, it must take into account the social and environmental consequences of its operation, comprising the idea of sustainability in action, or have the corporate social responsibility. The concept involves a powerful social mechanism of the formation of which satisfies the business and community.

The article provides the corporate social responsibility of foreign models and their characteristics, as well as several Georgian companies which protect the environment,invest in the social welfare of society and implement the various social projects.

Keywords: Corporation Social Responsibility, Corporate social responsibility of the American, British and European Models, Social Marketing Establishing.

სამეწარმეო რისკის პრევენცია როგორც სამეწარმეო საქმიანობის განვითარების გზა

ზურაბ ჯორბენაძე
სტუ-ს პროფესორი
არჩილ გოგრიჭიანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონომიკური რისკის საერთო არეალში სამეწარმეო რისკის კატეგორიის წარმოშობის წანამძღვრები და განვითარების ასპექტები. სამეწარმეო რისკის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გაანალიზებით იგი განიხილება სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებად; ამ მიმართებით ძირითადი აქცენტი გადატანილია იმ აზრზე, რომ სამეწარმეო რისკი დამატებითი მოგების წყაროა. ამ კონტექსტში წარმოდგენილია სამეწარმეო რისკის პრევენციის საკითხი, როგორც რისკების მართვის პროცესის ძირითადი არსი. აღნიშნული მოცემულობის ფონზე კი განიხილება სამეწარმო რისკის მიმართ მეწარმეთა დამოკიდებულების აუცილებელი ზოგადი პრინციპები (მოთხოვნები) და ის რეალობა, რაც საქართველოში არსებობს.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო საქმიანობა, სამეწარმეო რისკი, იდენტიფიცირება, მოგება, ფაქტორები, პრევენცია, რისკ-მენეჯმენტი,

ძირითადი ტექსტი

სამეწარმეო საქმიანობას მთელი სიგრძე-სიგანით გასდევს სამეწარმეო რისკი. დღეს, თავისი განვითარების კვალობაზე სამეწარმეო საქმიანობა სულ უფრო მეტად "გაეხვია" რისკის ალგორითმში, თვით სამეწარმეო რისკის კატეგორიამ კი ეკონომიკური რისკების საერთო სივრცეში უდიდესი პრაქტიკული დატვირთვა შეიძინა.

ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულია, რომ რისკის იდენტიფიცირება და შეფასება უნდა მოხდეს მისი გენეზისისა და განვითარების მექანიზმის მიხედვით. სამეწარმეო რისკის კატეგორია სამეწარმეო საქმიანობის განვითარების საფუძველზე წარმოშობილი კატეგორიაა; თუ წინათ ბიზნესის წარმატება მარტივი იყო, დღეს სამეწარმეო საქმიანობაში სულ უფრო იზრდება მეწარმეთა სიმჭიდროვე და მოგების თვითოეული პროცენტისათვის ბრძოლა სულ უფრო გამწვავდა; სამეწარმეო საქმიანობა დაიტვირთა "განუსაზღვრელობის" სინდრომით, ანუ სამეწარმეო რისკით.

სამეწარმეო საქმიანობა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. დამოუკიდებლობის, მრავალჯერადობის და განმეორადების კატეგორიები თავისთავში მოიცავს "განსაზღვრულობის პირობებს"; ამ ფაქტორს სამეწარმეო საქმიანობაში წარმატებისა და მარცხის ალგორითმი საკმაოდ მაღალ ნიშნულზე აჰყავს. მეწარმისათვის წარმატებისა და მარცხის საკითხი კი სამეწარმეო სფეროში მისი ყოფნა-არყოფნის ტოლფასოვანი გახდა, ხოლო მოგებასა და ზარალს შორის თანაფარდობისა და ექვივალენტობის დარღვევის წერტილი მთვარი ორიენტირი. ამ უკანასკნელს ბიზნესში "Break-Even Point" ცნებით აღნიშნავენ და მას ზარალსა და მოგებას შორის გარდატეხის მომენტის წერტილად, შანსების თანაბრობის წერტილად მოიხსენიებენ.

ჩვეულებრივი ობივატელის აზროვნებაში სამეწარმეო რისკი მეურნეობრიობის მხოლოდ არასასურველ ეკონომიკურ შედეგებთან ასოცირდება; და თუ რისკი მხოლოდ უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული, მაშინ კანონზომიერია კითხვა: რატომ მიდის მეწარმე რისკზე? პასუხი მარტივია: მეწარმე გულუბრყვილო მატერიალისტი არაა და ის თავის საქმიანობის წამოწყების, და შემდგომ პერიოდშიც სრულად აცნობიერებს: გაურისკავ პირობებში შეუძლებელია მოგების მიღება, და რომ ასევე შესაძლებელია მნიშვნელოვანი დანაკარგები დარჩეს.

დღეს მოგების მიღების ტრადიციული მეთოდებმა თავისი

თავი ამოწურეს, ხოლო ხარჯების მოთოკვა შესაძლებელი გახდა და მეწარმეც შეგნებულად გადაერთო რისკზე. ამ ფონზე გაჩნდა ახალი ეკონომიკურ კატეგორია - "სამეწარმეო რისკი", მეწარმე ნებსით თუ უნებლიედ ახალი სახის მოცემულობის წინაშე დადგა: შემოსავლიანობასა და რისკს შორის პირდაპირი კავშირი გაიხსნა და მათ შორის ბალანსის მოძიება კი შესაძლებელი გახდა. გამოიკვეთა რისკის სრულიად ახალი, მანამდე უცნობი არსი და ფუნქციონალური დანიშნულება; ამ გარემოებამ დააინტერესა მეცნიერ-ეკონომისტები, რათა მათ დაეწყოთ სამეწარმეო საქმიანობაში "რისკის" რეალიზაციისა და განშლის მექანიზმის კვლევა.

დღეს დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სამეწარმეო რისკი დამატებითი მოგების წყაროა. აღნიშნული სათავეს იღებს იმ აზრიდან, რომ რისკი თავისთავად კაცობრიობის წინსვლის ბერკეტია; ამ მიმართებით აღსანიშნავია ცნობილი ინგლისელის ა. სმიტის ქრესტომატიული ნააზრევი: რისკისადმი ადამიანური მიდრეკილება ხელს უწყობს ეკონომიკურ პროგრესს, მაგრამ თუ იგი გონივრულ ზღვარს გადასცდება, მაშინ საზოგადოება დაზარალდება.

სამეწარმეო რისკი თავისთავად დამატებითი მოგების წყარო არ არის; ის ამ სახით ე.წ. "გონივრული ზღვრში" წარმოსდება. ეს ზღვარი კი რისკის მართვის პროცესით რეალიზდება. სწორედ ამ გზით შესაძლებელია მეწარმის მიზანდასახული სურვილი – რისკის მოთოკვა, მისი გარკვეულ ზომამდე გაუვებელყოფა; იქედან გამომდინარე, რომ სამეწარმეო საქმიანობიდან რისკის გამორიცხვა არარეალური მცდელობაა, ამდენად მეწარმე ყოველთვის რისკის არეალშია, ის ზომიერად რისკულობს, თავის გაბედულ გადაწყვეტილებას მისი შესაძლებლობის ფარგლებში საღი გონებით ნიღბავს, პოტენციური პარტნიორების გონივრულ გამოყენებას ახერხებს. ეს ყოველივე საბოლოო ჯამში მეწარმისათვის ახალ რეალობას - რისკების მართვის პროცესს წარმოადგენს.

სამეწარმეო საქმიანობაში რისკების მართვა თავისი შინაარსით სამეწარმეო რისკის პრევენციისკენ სწრაფვის პროცესს წარმოადგენს. მისი მიზანია სამეწარმეო რისკის მინიმალიზაცია როგორც ვერტიკალში, ასევე ჰორიზონტალში. აღნიშნული ამოცანის

გადაწყვეტით სამეწარმეო საქმიანობაში რისკი აღარა რაღაც უცხო სხეული, პირიქით იგი ამ საქმიანობის სტიმულიატორად და დამატებითი ენერგიის წყაროდ გამოდის.

სამეწარმეო რისკი თავის ასპარეზზე შესაბამისი ფაქტორებით გამოდის და რეალიზდება. ეკონომიკურ ლიტერატურაში ანსხავებენ რისკის ფაქტორთა ორ ჯგუფს — ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების სახით წარმოადგენენ.

რისკის ობიექტური ფაქტორებია – "სიტუაციის ხარისხი" და "აქტიური რესურსების ხარისხი". "აქტიური რესურსების ხარისხი" უშუალოდ მეწარმის გავლენის სფეროშია მოქცეული, ის ირჩევს საკუთარ და მოზიდულ ფინანსურ-ეკონომიკურ და მატერიალურ რესურსებს. ყველა სხვა დანარჩენი - ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა "სიტუაციის ხარისხის" კატეგორიაშია მოქცეული, ისინი მას არ ემორჩილება, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე მათი გავლენა არსებითია.

რისკის ე.წ. სუბიექტური ფაქტორები კი უშუალოდ მეწარმიდან იღებს სათავეს; იგი მის აქტიურ რესურსებს (პერსონალს, ფინანსებს, მატერიალურ საშუალებებს), და ასევე მეწარმეობის მნიშვნელოვან ელემენტებს — დროს, ადგილს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ ნორმებს და შეზღუდვებს აანალიზებს და აფასებს.

სამეწარმეო საქმიანობაში მოქმედი რისკის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები სისტემურ დუეტში მოქმედებენ. სამეწარმეო რისკის პრევენცია რისკის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები გონივრულ "არააგრესიული" პოლიტიკის ფარგლებში მოქცევას გულისხმობს. ამ დროს რისკი დეტერმინირებული ხდება, მეწარმის სტრატეგია კი "შესაძლებლობისა" და "გაურკვევლობის" სივრცეში გაიშლება.

ამრიგად, სამეწარმეო რისკის პრევენცია რისკების მართვის მთავარი არსი არის; მისი რესურსებისა და აქტივებიდან გამოდინარე მეწარმე უბრალოდ მოლოდინის რეჟიმში ვერ იქნება, ის მოვალეა მოიძიოს მოსალოდნელი რისკის პრევენციის გზები. აქ არსებითია რისკების მართვის მეთოდების შერჩევა, რომლის დახ-

მარებით რისკის გენეზისის, იდენტიფიცირების, განვითარების მექანიზმის შეფასება უნდა მოხდეს.

საქართველოში ეკონომიკური რისკის მართვა, ანუ რისკის მენეჯმენტი გარკვეული სახით "უცხო ხილს" წარმოადგენს: ჩვენთან რისკის პრევენცია ე.წ. მდარე ხარისხით ან მეტწილად საერთოდ არ ხორციელდება(!). ჩვენთან მეწარმის ყურადღება გადატანილია რისკის ობიექტური ფაქტორის "სიტუაციის ხარისხზე" როგორიც არის მაგ. ეროვნული ვალუტის კურსი, რეგიონის მასშტაბით პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაცია, ამ დროს კი რისკის ობიექტური ფაქტორის მნიშვნელოვან მიმართულებას - "აქტიური რესურსების ხარისხს" ყურადღებას არ აქცევს. ამ სახის რეალობას კი ადექვატური ახსნა აქვს და სიტუაციურ რეალობას ასახავს: მეწარმე სუბიექტების "გადარჩენის", მათი ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნების მიზანი, თვით არსებული სამეწარმეო გარემო მას ამ სახის ქმედებისაკენ თითქოს-და აქეზებს(?!). ეკონომიკის განვითარების დონე, კონკურენციის სუსტი დონე, მორალურ-ეკონომიკური პოზიციიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიცია სამეწარმეო რისკს უმნიშვნელო ფაქტორად აქცევს, და მეწარმის ყურადღებაც კი რისკის სუბიექტურ ფაქტორებზე ხდება აქცენტრირებული; აღნიშნული სახეზეა ეკონომიკის ზოგიერთ დარგებში — მშენებლობაში, სამედიცინო და ფარმაცეფტულ სფეროში, ნავთობპროდუქტების ვაჭრობაში და ა.შ. აქ მოგების მარჟა ხომ იმდენად მაღალია, რომ მეწარმე სუბიექტებს არც აინტერესებთ სამეწარმეო რისკი. მათთვის სამეწარმეო რისკის პრევენცია კი რაღაც ზედმეტ ტვირთად წარმოისახება.

ეკონომიკური თეორიისა და სამეწარმეო პრაქტიკის გადასახადიდან სამეწარმეო რისკის კატეგორიის მიმართ "გაუცხოებულ" და ინდეფერენტული დამოკიდებულებას ადექვატური შედეგი მოაქვს: სამეწარმეო საქმიანობა საშიშროების და გაურკვევლობის რელსებზე წარიმართება; მაგრამ თუ დაძლეული და შეცნობილი იქნება აღნიშნული პარადიგმები, სხვა შემთხვევაში, როგორც ეს დასავლეთშია, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების დამატებითი ვექტორი გვექნება სახეზე.

საქართველოში ეკონომიკური რისკების თეორია საკმაოდ მწირედაა შესწავლილი, სამეწარმეო რისკის საკითხი კი ყურადღების გარეშეა დარჩენილი, ქართულ ენაზე თანამედროვეობის ადექვატური ლიტერატურა უბრალოდ არ გვხვდება; საზოგადოებამ უბრალოდ ვერ გაითავისა რისკ-მენეჯმენტის სპეციალისტის აუცილობელობა, უმაღლეს სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე ბაკალავრიტის დონეზე ცალკე კურსის სახით სამეწარმეო რისკი არ ისწავლება, არადა პრაქტიკა სულ უფრო მოითხოვს კვალიფიციურ სპეციალისტს. ეს ყოველივე კი სამეწარმეო პრაქტიკაში არასასურველ სიტუაციას აყალიბებს და შედეგიც არ აყოვნებს. სამეწარმეო რისკების გაუთვალისწინებლობისა და ადექვატური მენეჯმენტის არ არსებობის მიზეზია ის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში 2014 წელს რეგისტრირებული იქნა 1940 საჩივარი, რომელთა 48%-ის წარმომდგენი იყო შპს, 4% -ის სააქციო საზოგადოება, ინდ.მეწარმე კი - 38%; საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო 2550 საქმეზე, სრულად ან ნაწილობრივად დაკმაყოფილა საჩივრების მხოლოდ 42%, ხოლო 41% არ დააკმაყოფილდა(9). აღნიშნული გარკვეულ წილად ჩვენთან სამეწარმეო რისკისადმი დამოკიდებულების რეალობის ამსახველია: მაკონტოლებელი ორგანო — შემოსავლების სამსახური კანონმდებლობის ხარვეზების ფონზე(!) თავის საქმეს აკეთებს, მეწარმე კი ფაქტის წინაშე დადგა: მან საბოლოო ჯამში სამეწარმეო რისკის მენეჯმენტი ან არ /ან ვერ წარმართა, რისკის პრევენცია უბრალოდ არ განახორციელა. მეწარმესთან სამეწარმეო რისკმა თავისი შედეგი დადო. ამიტომ **დასკვნის** სახით უნდა მივანიშნით, რომ სამეწარმეო საქმიანობის წარმატების ვექტორი სწორედ სამეწარმეო რისკის სრულად შეცნობის გზით მის თანამედროვე და ცივილიზირებულ პრევენციაზე გადის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ". www. forms.ge.
2. ლაზვიაშვილი ნ. რისკ-მენეჯმენტი, თბ.; 2010. 222
3. Балдин К.В., Воробьев С.Н. Управление рисками в предпринимательстве. Дашков и К. 2013 .
4. www.taxdisputes.gow.ge.

REFERENCES:

1. The Law of "Entrepreneurs". www. forms.ge.
2. Lazviashili N. "Risk Management", Tb.; 2010. 222
3 Baldin K.B. Vorobiov C.N. Risk Management in Enterprises. Dashkov K. 2013.
4. www.taxdisputes.gow.ge.

BUSINESS RISK PREVENTION, AS THE WAY OF DEVELOPMENT OF BUSINESS ACTIVITIES

Zurab Jorbenadze, Professor of GTU
Archil Gogritchiani PhD student of GTU

RESUME

The article discusses the economic risk of the common area of the business premises and the risk category of the origin of the development aspects. The entrepreneurial risk analysis of the objective and subjective factors is considered as an important direction for the development of entrepreneurship; in this respect, the main accent is on the opinion that the business risk is a source of additional income. In this context there is presented the issue of business risk prevention, as the main essence of risk management process. On this background there are considered the necessary general principles of the entrepreneurial risk attitudes and the reality that exists in Georgia.

Keywords: Entrepreneurial Activity, Entrepreneurial Risk, Identify Profit, Factors, Prevention, Risk Management.

გადაწყვეტილების მიღება როგორც პროცესი

ირმა მახარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგება და გაუმჯობესება.ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებული იქნა სხვადასხვა მიდგომები. „გადაწყვეტილების“ ეტაპებიდან გამოყოფენ გადაწყვეტილების მომზადებას, მიღებასა და რეალიზაციას. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც მმართველის ან მენეჯერთა ჯგუფის მიერ მოქმედების უკეთესი ვარიანტის შერჩევის (არჩევის) აქტის განხორციელება.სტატიაში მოცემულია გადაწვეტილების მიღებისადმი მიდგომის სამი ვარიანტი (სახე), ესენია: ინტუიცია, განსჯა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. განხილულია გადაწყვეტილების მიღების სამი მოდელი: ავტორიტარული, საყოველთაო თანხმობაზე დაფუძნებული, შერეული. მოცემულია გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიდგომები და პარადიგმები.

ალტერნატიული ვარიანტების არჩევის მიზნით გამოყენებულია ეფექტურობის შეფასების სტრატეგიები: 1. ვალდის კრიტერიუმი (მაქსიმინი); 2. მაქსიმაქსი; 3. გურვიჩის კრიტერიუმი (ოპტიმიზმ-პესიმიზმი); 4. სვიჯ-ნიგანის კრიტერიუმი; 5. ლაპლასის კრიტერიუმი; 6. კრელლეს კრიტერიუმი.

გამოყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძირითადი ეტაპები.მოცემულია მართვისა და შრომის ორგანიზაციის იაპონური და ამერიკული მოდელების სპეციფიკური თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილების მიღება, ალტერნატიული ვარიანტები,

პარადიგმები, ინტუიცია, განსჯა, რაციონალური გადაწყვეტილება, კრიტერიუმი.

შესავალი

თანამედროვე პირობებში საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის საფუძველია, ერთი მხრივ, მიკროპოლიტიკური პროცესის თეორია, მეორე მხრივ კი, ფუნქციონალურ-ფაზური მუშაობისა და მმართველობით პროცესში მონაწილე პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების მიერ „პრობლემის გადაწყვეტის“ ევრისტიკული მოდელები. გასათვალისწინებელია, რომ ამავე კონცეფციაში მოხდა როგორც სისტემურ-ფუნქციური (შესწავლა, გამოსვლა, რეზულტატი და სხვა), ისე კოგნიტურ-შემეცნებითი (პრობლემის განსაზღვრა, ალტერნატივების შემუშავება, შედეგების შეფასება) მიდგომისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სამეცნიერო-ლექსიკური აპარატის გაერთიანება და დანერგვა. პოლიტიკურ-მმართველობითი ციკლის მოდელები ემყარება ადამიანის მოღვაწეობის რაციონალური მოწესრიგებისა და ევრისტიკული შემეცნების პრინციპს, რომელიც სხვადასხვა ლოგიკური პროცედურებისა და ოპერაციების დახმარებით ხორციელდება.

ძირითადი ტექსტი

გადაწყვეტილების მიღების პროცესი დევს ეკონომიკის, პოლიტიკის, ტექნიკის, სოციალური სფეროს ნებისმიერ მიზანმიმართულ საქმიანობაში.

მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგება და გაუმჯობესება . ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებული იქნა სხვადასხვა მიდგომები. მათ შორის ძირითადია „დაყავი და იბატონე“. ეს სტრატეგია ცნობილია „დეკომპოზიციის პრობლების“ სახელწოდებით, დაკავშირებული დიდი პრობლემების გადაწყვეტის დანაწილებით მცირე ნაწილებად. პირველად, დეკომპოზიციის სტრატეგია აღწერა ბენჯამინ ფრაკლინმა. თეორიულად დასაბუთებული მიდგომა წარმოდგენილი იქნა საიმონის (1957) ანგარიშში, „შეზღუდული რაციონალობა“. ამ კონცეფციით ნათქვამია, რომ კოგნიტიური პროცესების შეზღუდვა, ხალხს უტოვეს მცირე არჩევანს, მაგრამ ამარტივებს მსოფლიოს მენტალური მოდელის აგებას.

„გადაწყვეტილება“, როგორც პროცესი, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება დროის განსაზღვრულ პერიოდში. ამ ეტაპებიდან გამოყოფენ გადაწყვეტილების მომზადებას, მიღებასა და რეალიზაციას. გადაწყვეტილების მიღების ეტაპი შეიძლება განვიხილოთ როგორც მმართველის ან მენეჯერთა ჯგუფის მიერ მოქმედების უკეთესი ვარიანტის შერჩევის (არჩევის) აქტის განხორციელება.

გადაწყვეტილების მიღება შემოქმედებითი პროცესია, რომელიც მოითხოვს შთაგონებას და ცხადია, ცოდნით განმტკიცებულ ფანტაზიას. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს ობიექტური სინამდვილის შეცნობაა, სინამდვილისა, რომელიც სხვადასხვა სახით აისახება. ინფორმაცია კი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

მენეჯერთა შრომის პროფესიულ-კვალიფიციური და ტექნოლოგიური დანაწილება ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების სახეებსა და სირთულეს. ამ კრიტერიუმებით ორგანიზაციის მართვის აპარატში გამოყოფენ სამი კატეგორიის მუშაკებს: ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მომსახურეებს. თუ განვიხილავთ მათ შრომის მართვის პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელმძღვანელთა ამოცანაა გადაწყვეტილების მიღება და მათი პრაქტიკული რეალიზაციის ორგანიზაცია; სპეციალისტები ამუშავებენ გადაწყვეტილებათა ვარიანტებს, ხოლო მოსამსახურეები უზრუნველყოფენ (ძირითადად ინფორმაციულად) მთელი ამ პროცესის მიმდინარეობას.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ვარიანტი: პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება ძნელი და რთულია, იგი მაინც შედარებით მსუბუქად უნდა მივიღოთ. მეორე მომენტისას, კი უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანთა ქცევა ყოვლეთვის ლოგიკური არ არის: მას ზოგჯერ გონება წარმართავს, ზოგჯერ -გრძნობა. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად გა-

მოყენებული ქმდებებები ან სპონტანური (გრძნობასაყოლილი) იყოს, ან უმაღლესად ლოგიკური (გონებით გადაწყვეტილი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემადგენელი ელემენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მართლაც ასეა. იგი პრობლემების იდენტიფიკაციით იწყება, შემდეგ მოდის პრობლემაზე ზემოქმედი კრიტერიუმების განსაზღვრა, იდენტიფიკაცია, კრიტერიუმების განაწილება მნიშვნელოვანი ხარისხის მიხედვით, გადაწყვეტილების ვარიანტის განსაზღვრა, ვარიანტის ანალიზი, ოპტიმალური ვარიანტის არჩევა, არჩეული ვარიანტის რეალიზაცია და მთავრდება გადაწყვეტილების ეფექტიანობის შეფასებით.

ჩვეულებრივ, გადაწვეტილების მიღებისას არსებობს მისდამი მიდგომის სამი ვარიანტი (სახე), ესენია: ინტუიცია, განსჯა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. სადაც:

- ინტუიციური გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანები ეყრდნობიან საკუთარ შეგრძნებას, რასაც ადამიანის „მეექვსე გრძნობას“ უწოდებენ;
- განსჯაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება ბუნებრივია მოიცავს ინტუიციურ გადაწყვეტილებას, მაგრამ ინტუიციური გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, მას საფუძვლად უდევს ასევე ცოდნა და წარსულის გააზრებული გამოცდილება;
- რაციონალური გადაწყვეტილება კი აერთიანებს განსჯაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს და ამიტომ, ბუნებრივია, მოიცავს ასევე ინტუიციურ გადაწყვეტილებასაც.

გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაცია. ინფორმაცია ინფორმაციულ პროცესებში წარმოადგენს შრომის საგანს , რომელიც ჩვეულებრივი შრომის საგნისგან იმით განსხვავდება, რომ გადამუშავებისას არ კარგავს თავის ღირებულებას, არ წარმოებს მისი ფიზიკური მოხმარება, არამედ ხდება მისი შენახვა და მრავალჯერადი გამოყენება. ინფორმაცია ნებისმიერი მართვის ობიექტისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს, რომლის ბაზაზეც სრულდება: დაგეგმვა, მარკეტინგი, კონტროლი, გადაწყვეტილების მიღება, კავშირები .

ინფორმაციამ, რომ შეასრულოს თავისი დანიშნულება იგი უნდა იყოს ზუსტი და საკმარისი. ხშირად ინფორმაციის ღირებულების შემცირების მიზნით მომხმარებელს მიეწოდება ნაკლები სიზუსტის ინფორმაცია, ვიდრე საჭიროა, რაც იწვევს მიღებული შედეგის სარგებლობის შემცირებას. ინფორმაციის სიზუსტის გაზრდა დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან. ამიტომ საჭიროა დადგინდეს არის თუ არა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის სიზუტის გაზრდა. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს შედარება ინფორმაციის სიზუსტის ამაღლებაზე გაწეული დანახარჯების და სიზუსტის გაზრდით მიღებული შედეგებისა. ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები. რაც უფრო გასაგებია ინფორმაცია მით მაღალია მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად-მენეჯერებს მოუწევთ დიდი დროის ხარჯვა მოწოდებული ანგარიშების გარკვევისას თუ ეს ანგარიშები ცუდად არის შედგენილი. ინფორმაცია გასაგები უნდა იყოს იმ ფიზიკური პირისთვის, რომელიც არის ამ ინფორმაციის მომხმარებელი. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი ფორმით, როგორსაც მომხმარებელი მოითხოვს.

ხშირად საჭირო ხდება ინფორმაციის ნაკადიდან ამორჩეული იქნეს მხოლოდ ის, რომელიც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ანუ უნდა მოხდეს ინფორმაციის გაფილტვრა. საჭირო ინფორმაცია არის ახალი და აუცილებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ადრესატს, ვისთვისაც განკუთვნილია ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას და დარჩება რეაგირების გარეშე. ინფორმაციის გადაცემა შეიძლება ფოსტით, ფაქსით. ინტერნეტით და აშ. ნებისმიერი ინფორმაციის განხილვა შესაძლებელია სამი ასპექტით: სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებით.

ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება მეტ-ნაკლებად რთული საკითხის თაობაზე დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, კერძოდ: საჭიროა დადგინდეს საკითხთან დაკავში-

რებული ცნებები, პარამეტრები, საზომი ერთეულები; დაზუსტდეს კავშირები და უახლოესი მიზნები; შეფასდეს არასასურველ შედეგთა მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ხელმძღვანელს უხდება გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისი ინფორმირებულობისას, კონკრეტული გარემო ფაქტორები განაპირობებენ სიტუაციას, ოპტიმალური შეიძლება გახდეს სხვადასხვა ალტერნატიული წინადადება. ალტერნატიული ვარიანტების არჩევის მიზნით უნდა ვიხელმძღვანელოთ ეფექტურობის შეფასების სტრატეგიებით:

1. ვალდის კრიტერიუმი (მაქსიმინი);
2. მაქსიმაქსი;
3. გურვიჩის კრიტერიუმი (ოპტიმიზმ-პესიმიზმი);
4. სვიჯ-ნიგანის კრიტერიუმი;
5. ლაპლასის კრიტერიუმი;
6. კრელლეს კრიტერიუმი.

ხაზგასასმელია, რომ მენეჯერის გადაწყვეტილების მიღების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია არსებული ინფორმაციის ხარისხთან. ამიტომ მენეჯერები მუდმივად ხელს უწყობენ გარემოს, რომელიც ხარისხიან და სიცოცხლისუნარიან ინფორმაციას გენერირებს. ამგვარად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი მნიშვნელოვანი ასპექტია, როგორც რეგიონული და კორპორაციული სტრუქტურებისათვის, ისე ინდივიდუალური პირებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანად არიან დამოკიდებულნი ამ გადაწყვეტილებაზე, კონკურენტუნარიანობის არენაზე .

გადაწყვეტილების მიღების პროცესი გვხვდება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში (ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის ჩათვლით). მმართველური გადაწყვეტილება განსაკუთრებით საპასუხისმგებლო პროცესია, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქმიანი ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირება მასში დასაქმებულ ადამიანთა ინტერესების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიღება გონებრივი პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვასა და

მიღწევის ხერხების (გზების) შემუშავებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ეტაპები:

- **გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის დადგენა.**;
- **წარმოქმნილი პრობლემებისა და შესაძლებლობების ანალიზი და განსაზღვრა.**
- **შესაძლებელი ალტერნატივების შესწავლა.**
- **სასურველი ალტერნატივის არჩევა.**
- **არჩეული გადაწყვეტილების შესრულება. მიღებული შედეგების შეფასება.**

გადაწყვეტილებს დიდი ნაწილის მიღება გარკვეულ დროს მოითხოვს, დროის გასვლასთან ერთად იცვლება მთელი რიგი მოცემულობებისა. სახელმწიფოს დონეზე კი შესაძლებელია ღირებულებათა გადაფასებაც კი მოხდეს:

მნიშვნელოვანია განხორციელდეს თანამედროვე მსოფლიოს ორგანიზაციული პროცესების მართვის წარმატებული მოდელების შესწავლა, ბიზნესში დამკვიდრებული სხვადასხვა ორგანიზაციული სისტემებიდან ყველაზე უფრო ქმედითი კომპონენტების გამოკვეთა, ორგანიზაციის მართვის, ორგანიზაციული ქცევის და შრომის ორგანიზაციის აპრობირებული ეფექტიანი პრაქტიკებიდან ძირითადი მიმართულებების წარმოჩენა, საქართველოს კულტურისთვის ადეკვატური კომპონენტების სელექცია და შემდეგ მათი იმპლემენტირება ორგანიზაციებში. მართვისა და შრომის ორგანიზაციის იაპონური და ამერიკული მოდელების სპეციფიკური თავისებურებანი მოცემულია 1.1 ცხრილში.

წარმატებული რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა პროცესის სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებით, აზრთა და გამოცდილებათა გაზიარების და შეჯერების მიზნით. საქართველოში, ჯანდაცვის სამინისტრომ 2010 წლის დეკემბერში ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც რეფორმის განხორციელებაზე ზრუნვა ევალებოდა. ამ ჯგუფში არ იყო ჩართული არცერთი ე.წ. ექს-იუზერი, რაც საერთაშორისო პრაქ-

ცხრილი 1.1

იაპონია	აშშ
მმართველური გადაწყვეტილებების მიღება ხდება კოლექტიურად ერთსულოვნების საფუძველზე	გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური ხასიათი
კოლექტიური პასუხისმგებლობა	ინივიდუალური პასუიხსმგებლობა
მართვის მოქნილი სისტემა (მოცემული ორგანიზაციისთვის ინდივიდუალური)	მკაცრად ფორმალიზებული მართვის სტრუქტურა
კონტროლის არაფორმალური ორგანიზაცია	კონტროლის მკვეთრად ფორმალიზებული სტრუქტურა
კოლექტიური კონტროლი	ხელმძღვანელობის ინდივიდუალური კონტროლი
მომუშავის შრომის შენელებული შეფასება და სამსახურებრივი დაწინაურება	შრომის შედეგების სწრაფი შეფასება და დაჩქარებული სამსახურებრივი დაწინაურება
ხელმძღვანელის ძირითადი თვისება - მოქმედებათა კოორდინაციის და კონტროლის განხორციელების უნარი	ხელმძღვანელის ძირითადი თვისება - პროფესიონალიზმი და ინიციატივა
ჯგუფზე ორიენტირებული მართვა	პიროვნებაზე ორიენტირებული მართვა
მართვის შეფასება-კოლექტივში ჰარმონიის მიღწევით და კოლექტიური შედეგით	მართვის შეფასება - ინდივიდუალური შედეგის მიხედვით
დაქვემდებარებულებთან არაფორმალური ურთიერთობები	დაქვემდებარებულებთან ფორმალური ურთიერთობები
სამსახურებრივი დაწინაურება უფროსობის და მუშაობის სტაჟის მიხედვით	სამსახურებრივი დაწინაურება განისაზღვრება ინდივიდუალური შედეგებით
უნივერსალური ტიპის ხელმძღვანელების მომზადება	ვიწროდ სპეციალიზირებული ხელმძღვანელების მომზადება
შრომის ანაზრაურება ჯგუფის მუშაობის მაჩვენებლების და სამუშაო სტაჟის მიხედვით	შრომის ანაზღაურება ინდივიდუალური მიღწევების მიხედით
ორგანიზაციაში ხელმძღვანელის და მომუშავეების გრძელვადიანი დასაქმება	სამუშაოზე დაქირავება მცირე ვადით

ტიკით აღიარებული ნორმაა; ასევე, ჯგუფის მიერ არ იქნა შემუშავებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, ამიტომ ხანგრძლივი დებატები ხშირად არ აისახებოდა შეჯერებულ გადაწყვეტილებებში. ასევე, ხშირად, მიღებული გადაწყვეტილებები იცვლებოდა ჯგუფთან შეუთანხმებლად. სამუშაო ჯგუფის ეფექტურობის ასამაღლებლად აუცილებელია მისი შემადგენლობის გადახედვა, მუშაობის „წესებზე" შეთანხმება და, რაც მთავარია, რეფორმის პროცესში ჯგუფის მონაწილეობის ზრდა.

დასკვნა

დღეისათვის შემუშავებულია საჯარო პოლიტიკურ-მმართველობითი პროცესის საკმაოდ დიდი რაოდენობის სახეობები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფაზების რაოდენობით, ისე სტადიებს შორის არსებული კავშირებითა და ამ კავშირების ხასიათით. პოლიტიკურ-მმართველობითი ფაზების რაოდენობა ხუთიდან (ანდერსონი) 18-მდე (დრორი) მერყეობს, თუმცა, აქ მხოლოდ დეტალიზების ხარისხზეა საუბარი და არა მათ შორის არსებულ შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებაზე.

საქართველოში ელექტრონული ჩართულობის ოთხი მთავარი სფეროა განსაზღვრული: უკუკავშირი ელექტრონულ სერვისებთან მიმართებაში, ელექტრონული სერვისების შემუშავებაში ჩართულობა, ღია მონაცემები, გამჭვირვალობა, ღია მმართველობა და ბოლოს, გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის შემუშავება. მთავრობის მიმართ ნდობის ამაღლების და კარგი მმართველობისა და დემოკრატიის გაძლიერების მიზნით, მთლიან საზოგადოებას (მოქალაქეები, საზოგადოებრივი ჯგუფები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნესი) უნდა შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს საჯარო გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკის შემუშავებაში. თავად მთავრობას არ აქვს მონოპოლია ცოდნასა და გონივრულობაზე, რათა შეიმუშაოს საუკეთესო (ე.ი. ყველაზე ეფექტური, ეფექტიანი და დაბალანსებული) პოლიტიკა ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გვთავაზობს ბევრ ახალ შესაძლებლობას საჯარო პოლიტიკის ხარისხის და გავლენის გასაუმჯობესებლად და ასევე გადაწყვეტილებების მისაღებად. ასეთ შესაძლებლობებს წარმოადგენს: ონლაინ დიალოგი, ბლოგები, სოციალური მედია და მოხალისეების გამოყენება სხვადასხვა აქტივობებში, რაც იძლევა მონაწილეთა უფრო ფართო სპექტრის ჩართვისა და „დიდი მონაცემების» მიღების საშუალებას, ამასთანავე, უზრუნველყოფს კარგად დასაბუთებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Shanteau, J. , Encyclopedia of Psychology and Behavioral Science (3rd ed). Craighead, W. E., & Nemeroff, C. B. (Eds). NY: Wiley. 2001pp. 913-915.

2. აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის საკადრო პოლიტიკის განხორციელების სახელმძღვანელო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის დახმარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემისა და შესაძლებლობების განვითარებაში . არასამთავრობო ორგანიზაცია „სმარტ კონსალტინგი“. თბილისი, ოქტომბერი,2013. http://goodgovernance.ge/_G3/file/GoARA%20project/GoARA%20HR%20Manual.pdf

3. გოროშიძე გ.ორგანიზაციული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასპექტები და ქართულ კულტურაში ორგანიზაციული ქცევის ეფექტიანი მოდელის ფორმირება . GESJ: Education Science and Psychology, No.2(21) 2012.

4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ . 2012 წელი . www.ombudsman.ge

5. მაჭარაშვილი ნ. პოლიტიკის ანალიზი. სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის.

6. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, - თბილისი, 2006.

7. ციფრული საქართველო. ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018.

8. საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო. საქარ-

თველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა. თბილისი, მაისი, 2010.

9. ჩინჩალაძე მ., მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისა და ფუნქციონირების მათემატიკური მოდელირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012.

10. http://www.gfma.ge/documents/nursing%20management.pdf.

11. ქობლიანიძე თ., კოჭლამაზაშვილი ლ., რიჟამაძე ქ. სტრატეგიული მენეჯმენტის თეორიული ასპექტები სასტუმრო ბიზნესში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე = Grigol Robakidze University. Academic Bulletin. - თბილისი, 2013. გვ.17-24; 137-143.

12. Institute for the Future. Rapid Decision Making for Complex Issues: How Technologies of Cooperation Can help. August, 2005.

13. http://www.rheingold.com/cooperation/decisionmaking.pdf.

14. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2008. https://hbr.org/2006/01/a-brief-history-of-decision-making.

15. Barnard C. The Functions of the executive. Cambridge. 1938. p.216.

16. Fülöp J, Introduction to Decision Making Methods. http://www.evergreen.edu/bdei/documents/decisionmakingmethods.pdf

17. Голубков е.п. какое принять решение? практикум хозяйственника. м.: экономика. 1990. с.189

18. Ларичев о.и. теория и методы принятия решение, а также хроника событий в волшебных странах. м.: логос, 2002. с.392.

19. Тронин ю.н. управленческие решения. м.: юнити-дана. 2004. с.310

20. Балдин к.в. управленческие решения: теория и технология принятия. м.: проект, 2004. с.304

21. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011. გვ. 453-455

22. ხომერიკი თ. მენეჯმენტი. გამომცემლობა „ინოვაცია». თბილისი, 2006. გვ. 81

23. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საჩინო», თბილისი. 2013. გვ. 232-239

REFERENCES:

1. Shanteau, J., Encyclopedia of Psychology and Behavioral Science (3rd ed). Craighead, W. E., & Nemeroff, C. B. (Eds). NY: Wiley. 2001pp. 913-915.

2. The Government of Autonomous Republic of Adjara Office, personnel policy manual, the Office of the Government of the Autonomous Republic of Adjara to help human resource management systems and capacities. NGO "Smart Consulting". Tbilisi, October, 2013, http://goodgovernance.ge/_G3/file/GoARA%20project/GoARA%20HR%20Manual.pdf.

3. Goroshidze G., Organizational Psychology International Aspects and the Formation of an Effective Model of Organizational Behavior in Georgian Culture/in Georgian, GESJ: Education Science and Psychology, No.2 (21) 2012.

4. The Annual Report on the Human Rights Situation in Georgia. 2012. www.ombudsman.ge

5. Macharashvili M., Policy Analysis, Social Course, Science. Master's degree, CSS, - Tbilisi, 2006.Digital Georgia. E-Georgia strategy and action plan for 2014-2018.

6. Transparency International Georgia. A review of the tax system. Tbilisi, May, 2010.

7. Chinchladze M., Governing the Formation and Operation of the Mathematical Modeling of Decision Problems and their Solutions. Dissertation, Technical University, 2012., http://www.gfma.ge/documents/

nursing%20management.pdf

8. Koblianidze h., Kochlamazashvili l., Rizhamadze st. Strategic management of the theoretical aspects of the hotel business. University: Academic messenger = Grigol Robakidze University. Academic Bulletin. - Tbilisi, 2013. gv.17-24; 137-143

9. Institute for the Future. Rapid Decision Making for Complex Issues: How Technologies of Cooperation Can help. August, 2005.

10. http://www.rheingold.com/cooperation/decisionmaking.pdf

11. Shubladze c., Mgebrishvili b., Tsotskolauri u. Management. Guide, published by "Universal", Tbilisi. 2008, https://hbr.org/2006/01/a-brief-history-of-decision-making

12. Barnard C. The Functions of the executive. Cambridge. 1938. p.216

13. Fülöp J, Introduction to Decision Making Methods., http://www.evergreen.edu/bdei/documents/decisionmakingmethods.pdf

14. Golubkov E.P., How to Decide? Business Executive Workshop, The Economy. 1990. p.189

15. Larichev O.I., Theory and Methods of Decision-making, as well as a Chronicle of Events in a Magical Land. M .: Logos, 2002. s.392.

16. Tronin Y.N., Management Solutions., m .: Unity-given. 2004. s.310

17. Baldin K.V., Management Solutions: Theory and Technology Adoption., in Georgian, Project, 2004. s.304

18. Baratashvili E., Takalandze L., Management and Administration., in Georgian, Tbilisi State University Press., 2011. p. 453-455

19. The expert added. Management., Publishing House "Innovation". Tbilisi, 2006. p. 81

20. Kharkheli M., Keshelashvili C. Management., in Georgian, Publishing "Conspicuous", Tbilisi. 2013. p. 232-239.

DECISION-MAKING AS A PROCESS

Irma Makharashvili,
PhD student of Caucasus International University

RESUME

Management is one of the main concerns in the decision-making process and to improve the understanding of the various approaches have been proposed by psychologists; "Decision" to single out the stages of preparation, adoption and implementation, It can be considered as the manager or managers of the group by the action of a better option selection (election) of the Act implementation. The decision to approach the Adoption of the three options (face), such as intuition, judgment and rational decision-making is analyzed in the article, also there is discussed the decision of the three models: authoritarian, consensus-based, mixed; the decision-making process, approaches and paradigms: Management theory, the Carnegie model, managerial decision incrementing process model, "Trash Model", decision-making models of Wrum and Yelton; Choosing the purpose of evaluating the effectiveness of alternative strategies: 1. Valdi Criteria (maxi-mini); 2. Maxi-max; 3. Gurvich Criteria (optimism-pessimism); 4. Svij-Nigan Criteria; 5. Laplace Criterion; 6. Krelle Criteria.

Moreover, the author separated from the main stages of the decision-making process. The article gives the management and organization of Japanese and American models for specific features.

Key words: Decision, Alternatives, Paradigms, Intuition, Judgment, Rational Decision Criteria.

სტრატეგიული მიმართულებები და სახელმწიფოს როლი საწარმოთა ანტიკრიზისულ მართვაში

ინგა გიგაური
სტუ დოქტორანტი, უფროსი მასწავლებელი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გაკოტრებული საწარმოების მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები, რამაც გამოკვეთა მათი კრიზისულ ვითარებაში შესვლის მაპროვოცირებელი მიკრო და მაკრო ფაქტორები.ამიტომ ნეგატიური მოვლენების კომპენსირება მოითხოვს ბიზნეს–პროცესების ახალ მიდგომებს და გამოყენებას, კერძოდ: რეინჟირინგს.აუცილებელია საწარმოს პროფილისა და სტრუქტურის გათვალისწინებით გატარდეს ანტიკრიზისული მართვის შესაბამისი სტრატეგია. საწარმოთა კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის ასპექტში აქტიურად უნდა ჩაებას სახელმწიფო მართვის ორგანოები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გაკოტრების სისტემის არა მარტო ორგანიზაციული, არამედ სოციალური სისტემის ფუნქციონირებაც.მიზანშეწონილია ასეთი რეგულაციები განხორციელდეს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მართვა, რესტრუქტურიზაცია, რეინჟირინგი, მატრიცული და პორტფელური რესურსული სტრატეგია, სანაცია.

შესავალი

ბოლო პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიური პროცესები პირდაპირპროპორციულად აისახა საწარმოთა საქმიანობის შედეგებზე, რასაც ადასტურებს ექსპორტის შემცირება, ფინანსური ბაზრის დესტაბილიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება.ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კრიზისში ჩავარდნილი საწარმოებ-

ისათვის სახელმწიფო პროგრამებით განხორციელების უზრუნველყოფაზე. მათი ინტერესის საგანი უნდა გახდეს ასეთი საწარმოებისათვის გამჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავება, როგორიცაა: ზარალის ლიკვიდაცია, რეზერვების გამოვლინება, გადასახადების განვადება, რესტრუქტურიზაცია, სანაცია და ა.შ.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკის არასტაბილური მდგომარეობა, წარმოების მოცულობის და პროდუქციის გასაღების მერყეობა ქმნის წარმოების კრიზისულ სიტუაციას. თანამედროვე პირობებში საწარმოთა კრიზისულ ველში მოხვედრის მაპროვოცირებელი ფაქტორებია: მართვის სისტემის არაეფექტიანობა, რაც განპირობებულია, – ფირმის საქმიანობაში სტრატეგიის არარსებობით და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტაციით; – ბაზრის კონიუნქტურის არასაკმარისი ცოდნით; – ფინანსური მენეჯმენტისა და წარმოების ხარჯების არაეფექტიანობით. როდესაც საწარმოს ფინანსური უზრუნველყოფისათვის დროულად არ ტარდება ანტიკრიზისული ღონისძიებები, იქმნება გაკოტრების შესაძლებლობა.კონკურენციის მკაცრი კანონების მოთხოვნის საპასუხოდ საწარმოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი დამცავი ღონისძიებები, სისტემატურად აფასებდეს შიგა და გარე გარემოს წონასწორობას და იცავდეს მათი უარყოფითი მოქმედებისგან. ჩვენი ქვეყნის საწარმოთა დიდი ნაწილი უკანასკნელი წლების განმავლობაში იმყოფება ფარული გაკოტრების მდგომარეობაში. ასეთ საწარმოებში განსაკუთრებით, არასტაბილურ პირობებში აუცილებელია გატარდეს ანტიკრიზისული მართვის შესაბამისი სტრატეგია, რომლის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ბაზრის კონიუნქტურის, ნორმატიულ–სამართლებრივი აქტების კომპლექსური ანალიზის ჩატარება და საგადასახადო პოლიტიკის გადახედვა.ამასთანავე სტრატეგიის პრინციპების დამუშავება მოითხოვს დარგის კონკურენციის მდგომარეობის და რესურსების დასაბუთებულ შეფასებას. მხოლოდ კონკურენტული სიტუაცია გვიჩვენებს, თუ რომელ სტრატეგიას მივანიჭოთ უპირატესობა, საბაზროს

თუ რესურსულს.კრიზისული მდგომარეობის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია, შევიმუშაოთ საწარმოს რეანიმაციული პროცესებიდან გამოსვლის 4 ტიპის სტრატეგია: 1) კონცენტრირებული ზრდის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს საწარმოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, ან ახალ ბაზარზე შესვლას; 2) ინტეგრირებული ზრდის სტრატეგია; 3) დივერსიფიცირებული ზრდის სტრატეგია; 4) წარმოების შემცირების ან ლიკვიდაციის სტრატეგია; საწარმოს მისი ორგანიზაციულ–საწარმოო სტრუქტურიდან გამომდინარე,შეუძლია აირჩიოს რესურსების ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული მართვა, ანდა მათი ჰიბრიდი, რომლის სახესხვაობასაც წარმოადგენს მატრიცული და პორტფელური რესურსული სტრატეგია.პირველი ხორციელდება მსხვილი ფირმის დაყოფით რამდენიმე ერთ ტიპიურ სამეურნეო ცენტრად.თითოეულ მათგანს შეუმუშავდება რესურსულ–საწარმოო სტრატეგია და შესაძლებელია ერთმანეთსაც გაუწიონ კონკურენცია. მეორე გულისხმობს იმ ფირმის აქციების შესყიდვას, რომელიც კრიზისში მყოფ ფირმასთან მიმართებაში მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების მომწოდებლის როლში გამოდის.ეს კრიზისში მყოფი ფირმის სტაბილურობას უზრუნველყოფს. საწარმოს მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას ჩამოვაყალიბოთ ანტიკრიზისული მართვის ძირითადი ამოცანა: ეს არის მდგომარეობის 1–2–3–1 თანმიმდევრული ცვლის სტაბილური პროცესის ორგანიზება, სადაც მდგომარეობა 1–აქტიური განვითარება: ბაზრის ახალ სექტორში ბრძოლა ადგილის მოსაპოვებლად; მდგომარეობა 2 –სტაბილური განვითარება: მდგრადი მდგომარეობა ბაზარზე, განვითარების სტრატეგია შეთანწყობილია შეკვეცის სტრატეგიასთან, ე.ი მაღალრენტაბელური წარმოების გაფართოება მიმდინარეობს დაბალრენტაბელური წარმოებების შეკვეცის პარალელურად. მდგომარეობა 3 –რესტრუქტურიზაცია : ფინანსური, მატერიალური, ტექნიკური, და მმართველობითი რესურსების გადაჯგუფება, მათი კონცენტრირება პერსპექტიულ ბაზრებზე. მდგომარეობა 4 –გაკოტრება: ბაზარზე პოზიციების დაკარგვის უმართავი პროცესები. საწარმოთა განვითარების

ერთ–ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია პრივატიზაციის დროს არსებული დარღვევები.პრივატიზაციის დაუხვეწავი პროცესების დროს ბევრი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოები მიეყიდათ ისეთ კომპანიებს, რომელთა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი ფინანსური გადახდისუნარიანობა ძალზე დაბალია, ან ასეთი კომპანიები საერთოდ არ არიან რეგისტრირებულნი ქვეყნის საჯარო რეესტრში. კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი საწარმოებისათვის სახელმწიფო რეგულაციები უპრიანია განხორციელდეს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. კერძოდ გავიზიაროთ აშშ–ს სამართლებრივი საფუძვლები. აშშ–ს კანონმდებლობა რეორგანიზაცია(გაკოტრების შესახებ ვალდებულია დაიცვას როგორც კრედიტორების, ისე მევალეების ინტერესები. ნორმატიული ბაზა ვალებისაგან განთავისუფლების გზას უხსნის იმ კეთილსინდისიერ მევალეებს, რომლებიც მართლაც საჭიროებენ ,,ახალ სტარტს" კონკურენციის პირობებში. კანონმდებლობის ლოგიკა დაიყვანება იმ პრინციპამდე, რომ კრედიტორებისაგან დაცვა შეუძლიათ პრაქტიკულად აშშ–ს ყველა საწარმოსა და მოქალაქეს. მაგ: თუ მცირე მეწარმის მიერ სესხი არ აღემატება 750 ათას დოლარს,მეწარმის გადახდისუუნაროდ შექმნის შემთხვევაში, სახელმწიფო კრედიტის 75%–ს ფარავს, ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება, გარანტია 80%–ზე გაიცემა. საფრანგეთში მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე 50–მდე ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორის ,,მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი". დღეისათვის ეს ბანკი სრულიად უპროცენტო სესხებს გასცემს, ხოლო 30 ათასი ევროს ფარგლებში კი სუბსიდიები გაიცემა.ბანკს აფინანსებს ერთი მხრივ, სახელმწიფო, ხოლო დარჩენილ ნაწილს ნახევრად სახელმწიფოებრივი დეპოზიდებისა და აქტივების მართვის სალარო თავის თავზე იღებს.

დასკვნა

გაკოტრებული საწარმოების მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა სახელმწიფოს მხრიდან ასეთ ზარალიან საწარმოებზე მორგებული საკრედიტო პოლიტიკის განხორ-

ციელების აუცილებლობა. კრიზისული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში საწარმოებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იაფ კრედიტებზე და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასეთი ფირმების დავალიანებათა რესტრუქტურიზაციაზე, რაც ხელს შეუწყობს ჯერ კიდევ არსებული საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას. უნდა განხორციელდეს საინვესტიციო კლიმატის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკანონმდებლო დონეზე სტიმულირება; საწარმოთა ფინანსური პრობლემების მოგვარების მიზნით განხილულ იქნას ძველი საბიუჯეტო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პირობების ოპტიმიზაციისა და ლიბერალიზაციის საკითხები; შეიქმნას ბიზნეს– რისკების დაზღვევის და გადაზღვევის სისტემა, შეიქმნას ფასიანი ქაღალდების ბაზარი (საფონდო ბირჟები) და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. ხარებავა, ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები, სახელმძღვანელო,თბ. 2012 წ.
2. Юданов А.Ю. Конкуренция, теория и практика. Учебно–практическое пособие. М . 2001
3. Баринов В. А Антикризисное управление. М.: ФБК– ПРЕСС 2002. -520 с
4. Mall, John R. In The Jews of a Crisis//Director& Boards, Summer 1991 pg.99.
5. Р .Афатхутдинов Производственный менеджмент 5-е издание М.2006.

REFERENCES:

1.R. Kharebava, The firm’s economic strategies, guidelines, Tb. 2012.(In Georgian Language).

2. A.Y Yudanov Compet, The Theory and Practice. Educational and practical guide. M. 2001(in Russian language)

3. Barinov V.A Anti-Crisis Management. M .: FBK- PRESS 2002. -520 pg. (in Russian language)

4. Mall, John R. In The Jews of a Crisis//Director& Boards, Summer 1991 pg.99.

5. P .A Fatkhutdinov Industrial Management 5th Edition M.2006. (in Russian language).

STRATEGIC DIRECTIONS AND THE ROLE OF THE GOVERNMENT IN THE ANTI-CRISIS MANAGEMENT OF THE ENTERPRISES

Inga Gigauri,
PHD Student of GTU, Head Teacher

RESUME

In the Article were considered the research results performed on the example of bankrupt businesses, which led to the provoking of micro and macro factors emerging into the crisis circumstances. That is why the compensation of the negative effects requires the new approaches and the use of business processes, in particular: reengineering. It is necessary in compliance with the enterprise profile and structure to carry out an appropriate strategy for the Anti-Crisis Management. In the aspects of the overcoming the crisis situation of the enterprises it should be actively involved the State Management Authorities, which should provide the functioning of the organizational as well as the social system of the bankrupting system. It is recommended such regulations to be performed on the example of the developed countries.

Keywords: Anti-Crisis Management, Restructuration, Reengineering, Matrix and Portfolio Resource Strategy.

პირატული ბაზრის პრობლემა მუსიკალურ ინ-დუსტრიაში

მედეა შენგელია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ზოგადად საქართველოში მუსიკალური პროდუქციის ძალიან მცირე გაყიდვებია, რადგან ადამიანის ბუნებრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს რაღაც უფასოდ, რატომ გადაიხდის თანხას იგივე პროდუქტში. ძალიან ცოტაა საზოგადოების წევრები, ვინც დიდ ყურადღებას აქცევენ ხარისხს, შეფუთვას, ჟღერადობას, სიახლეს და ა.შ. ამ პრობლემის გადაჭრა თანაბარ წილად ეხება სახელმწიფოს და მის სტრუქტურულ ერთეულს- ახლად შექმნილ კონკურენციის საგენტოს. არ შეიძლება ერთი და იგივე მუსიკალური ნაწამოები ერთგან იყიდებოდეს და მეორეგან ხელმისაწვდომი იყოს უფასოდ. პირველ რიგში ეს არის არაკეთილსინდისიერი ბიზნეს ქმედება. პირდაპირ რომ ვთქვათ, ადამიანები იპარავენ სხვის პროდუქტს. აღნიშნულ პრობლემას არ ვაწყდებით სამედიცინო მომსახურებაში, უძრავი ნივთების ყიდვა-გაყიდვაში, მშენებლობაზე და აშ. არადა, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ძალიან უჭირთ. კომპოზიტორები, ტექსტის ავტორები, არანჟირების ავტორები, თავიანთი გაწეული შრომის შესაბამის შემოსავალს ვერ იღებენ. ᲔᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ეს გამოწვეულია მუისიკალურ ინდუსტრიაში ქართული პირატული (მეკობრული) ბაზრით.

საკვანძო სიტყვები: პირატული ბაზარი, მუსიკალური ინდუსტრია, მუსიკალური ალბომი, არალეგალური ბაზარი, ლეგალური ბაზარი.

შესავალი

პირატული ბაზარი მუსიკალურ ინდუსტრიაში არის ნებართვის გარეშე მუსიკალური ნაწარმოებების ასლების დამზადება და მათი გავრცელება გასხვისების ნებიმიერი ფორმით, მათ შორის

ყიდვა-გაყიდვის ფორმითაც. დღესდღეობით აღნიშნული მოქმედება უკონტროლო სივრცეა საქართველოში. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას საქართველო ამ მიმართულებით მსოფლიოში მოწინავე ქვეყნად ითვლება.

ქართველი კომპოზიტორები (ავტორები), მხოლოდ თავიანთ სფეროში მოღვაწეობით თუ ახერხებენ თავის გატანას — ზოგადად მათ მუსიკალურ ნაწარმოებებზე მოთხოვნა არის და, ბუნებრივია, რომ უნდა იყოს კიდევაც. მუსიკა - გართობის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელზეც, იყო, არის და იქნება მოთხოვნილება. სხვა საქმეა რა გზით უნდა მიაწოდონ მათ ეს პროდუქტი. ამ შემთხვევაში, ეს არის უფასოდ, არალეგიტიმურად, რომელიც ამ მუსიკოსების და მუსიკის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების ხარჯზე ხორიცელდება, აი ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. აქედან გამოდმინარე, მათი მაქსიმალური პერსპექტივა, რეალურად არის ის, რომ ნაწარმოები შესრულდეს კაფეებში, ბარებში, რესტორნებში, კორპორატიულ საღამოებზე და ა.შ. ამაში სათაკილო არაფერია, მაგრამ თუ მუსიკალური ნაწარმოების გავრცელებაში თანხას გადაიხდიან, ამით ავტორების შემოსავალი გაიზრდება. ავტორისათვის (კომპოზიტორისათვის) შემოქმედება შემოსავლის წყაროა და თუ მან ეს ვერ მიიღო, პრობლემაა და ყველას ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე დაფიქრება გვმართებს.

ძირითადი ტექსტი

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების პირატობა, ანუ ქურდობა ეს არის საქართველოს ნომერ პირველი პრობლემა. ეს არის საკითხი, რომელიც ჩვენგან განსხვავებით განვითარებულ ქვეყნებში კანონით გვარდება. „პირატული“ ანუ უკანონოდ და ავტორთან შეუთანხმებლად გადაწერილი ალბომები ძირითადად ბაზრობებზე და რაიონებში მიმავალ გზებზე იყიდება, ორიგინალები კი, დიდ ქსელებში - აეროპორტში და კინოთეატრებში იყიდება.

საქართველოში პირატები მუსიკალური ნაწარმოებს, რომელიც დამზადებულია საავტორო უფლებების დარღვევით, ყიდიან დაბალ ფასად, მაშინ როდესაც ორიგინალის თვითღირე-

ბულება ოთხჯერ და ხუთჯერ დიდია ვიდრე გასაყიდი ღირებულება. ამითი იჩაგრება ავტორი და კეთილსიდისიერი ბიზნესი. ასეთი ბიზნესის წარმომადგენლები პირატებთან საბრძოლველად ხშირად ასეთ გზას მიმართავენ: მუსიკას თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად ყიდიან, რათა პირატების პროდუქტის ღირებულებას გაუთანაბრონ. თუმცა მიუხედავად ამისა, პირატებმა გამოსავალი მაინც იპოვეს, გააერთიანეს რამოდენიმე მუიკალური ნაწარმოების ალბომები ერთ დისკად და ფასი კვლავ დაბლა დააგდეს. კეთილსინდისიერ ბიზნეს სუბიექტებს ისღა დარჩენიათ, რომ იარ**ონ** პირატების კვალდაკვალ. რადიოში გავა თუ არა მუსიკალური ნაწარმოები, ხდება მისი კუსტარულად ჩაწერა და გადატანა დისკზე, რაც ლილოსა და ვაგზლის მიმდებარე ბაზრობებზე ფართოდ არის წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში აზრს კარგავს ალბომის გამოშვება და მისი გაყიდვა. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთ პირობებში მოტივაცია ეკარგება **ავტორს** - შექმნას ახალი ნაწარმოები, ხოლო **ბიზნესს**- ამ სფეროში განვითარდეს და ინვესტიცია მოიზიდოს.

დღევანდელ პირობებში მუსიკალური ინდუსტრია მკვდარია და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი - მეკობრეობაა ქვეყანაში, რომელმაც აბსოლუტურად ყველა რეკორდი მოხსნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონმდებლობის დაცვა და იმპლემენტაციის ვალდებულება აღებული იყო, ერთი მხრივ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს და, მეორე მხრივ, სულ ახლახანს, ევროკავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების პერიოდში.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ნაწარმოების ავტორობის მითვისებას ან თანაავტორობაზე იძულებას, ასევე, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების უკანონო რეპროდუქცირებას, კონტრაფაქციული ასლების შეძენას, იმპორტს, შენახვას, გაყიდვას, გაქირავებას, ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელის უფლების სხვა სახით ხელყოფას [1]. თუმცა ამ მუხლით პასუხიმგებლობა რომ დადგეს, აუცილებელია დადგინდეს

მიყენებული ზიანის დიდი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს 5 000 ლარზე მეტი.

ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობაა „დიდი ოდენობით ზარალი", რამაც, რეალურად, უნდა გამოიწვიოს სასჯელის შეფარდება ბრალდებულისათვის. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში და, მათ შორის საქართველოშიც, სადავო შეიძლება იყოს ამ "განსაკუთრებით დიდი ოდენობის" განსაზღვრის წესი. ეს საშუალებას იძლევა, რომ რეალურად პირატული პროდუქციით ვაჭრობა დაუსჯელად მოხდეს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით ჩადენილად ითვლება, თუ მფლობელის მიერ მისაღები შემოსავალი აღემატება ხუთი ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით — თუ ზემოაღნიშნული ღირებულება ან შემოსავალი აღემატება ათი ათას ლარს. ასეთი ჩანაწერის საშუალებით, მაგალითად, წვრილ მოვაჭრეებს, რომლებიც ბაზარზე პირატული და ფალსიფიცირებული საქონლით ვაჭრობენ, პრაქტიკულად დაუსჯელად დარჩენის საშუალება ეძლევათ. ეს კი ხელს უწყობს უფრო მსხვილი დამნაშავეების ბიზნესის განვითარებასაც. ხშირ შემთხვევაში პირატები რომლებიც ყალბი დისკებით ვაჭრობენ, ცდილობენ თავი აარიდონ კანონდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ისინი არა მარტო საავტორო უფლებას არღვევენ, არამედ ასევე გადასახდებს უმალავენ სახელმწიფოსაც. ჩგამომდინარე აქედან, ძალიან ძნელია რომელიმე ასეთ პირატ მოვაჭრეს დაუთვალო თუნდაც 5000 ლარის ზიანი რომ მიაყენა რომელიმე კონკრეტულ ავტორს. საბოლო ჯამში ვიღებთ იმას, რომ მუხლი მუხლად რჩება, პირატობა დაუსჯელია და ახალისებს კვლავ და კვლავ ახალი პირატი სუბიქტების გაჩენას, უკანონო ბიზნეს საქმიანობას.

ამ პრობლემის გადასაჭრელად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ცვლილება განხორციელედეს სისიხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლში და მოიხსნას ზიანის ოდენობის განმსზღვრელი პირობები, დანაშაულად ჩაითვალოს სხვისი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ნებართვის გარეშე რეპრო-

დუცირება-გავრცელება.

გარდა ამისა, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს და მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს უფლებების დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურება და უფლების აღიარება მოითხოვოს[2]. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ სამოქალაქო პასუხიმგებლობის ამოქმედება ვერ ალაგმავს კარგად ჩამოყალიბებულ პირატულ ბაზარს.

როგორც უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩნებეს, ასევე მნიშვნელვანია შემუშავდეს სპეციალური დამცავი მექანიზმები, რათა ადვილად არ მოხერხდეს ასლების დამზადება, ასევე ადვილად მოხდეს კონტრაფაქციული დისკების იდენტიფიცირება [3]

მუსიკალურ ნაწარმოების პირატული ბაზრისაგან დაცულობის მიზნით აუცილებელია სწორად გაანალიზდეს არსებული პრობლემები, კერძოდ:

• საავტორო ჰონორარის გადხდის განაკვეთებთან დაკავშირებული ერთიანი, გამჭვირვალე პოლიტიკის შემუშავება;

• საავტორო უფლებათა აღსრულების გაძლიერება, მათ შორის, სახელმწიფო იძულების მექანიზმების შესაძლო გამოყენებით;

• საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი დავების გამარტივებულად და მოკლე ვადებში გადაწყვეტის მექანიზმის ამოქმედება; აუცილებელია შეიქმნას საავტორო უფლებების სფეროში სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ ასეთი საქმეებით იქნებიან დაკავებულები და უმოკლეს დროში მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს;

• ავტორთა, სამართლის პროფესიონალთა, კერძო ბიზნესისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საავტორო უფლებათა სამართლის დარგში;

• საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება ნაწარმოებთა „მეკობრეობასთან“ ბრძოლისა და საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში;

- ასევე, უნდა განხორციელდეს ქვეყანაში სპეციალური პოლიციური რეიდები, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პირატობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფოს ნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ძალიან ბევრ ქვეყანაში ასეთი რეიდების საშუალებით საჯაროდ მომხდარა კონტრაფაციული ასლების განადგურება.
- ასევე შესამუშავებელია სპეციალური დამცავი მექანიზმები CD DVD-ი პროდუქციის მიმართ, რათა ადვილად ვერ მოხდეს მუსიკალური ნაწარმებების კოპირება

დასკვნა

საქართველოში პირატული ბაზრის ალაგმვა პირდაპირ კავშირშია ახალი ჯანსაღი ბიზნესის განვითარებასთან. ამით, ერთი მხრივ, წავახალისებთ ინტელექტუალურ შემოქმედებას, შეიქმნება მეტი და მეტი ქართული მუსიკალური ნაწარმოებები, მოხდება მათი რეალიზაცია შესაბამის ფასად. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ავტომა მიიღოს შემოსავალი, მეორე მხრივ, განვითარდეს მუსიკალური ინდუსტრია (მუსიკალური ბიზნესი) და მეტი შემოსავალი მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტმაც, რომელიც დღესდღეობით ამ მიმართულებით რამოდენიმე Mმილიონს კარგავს ყოველწლიურად სახელმწიფო გადასახადების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის კოდექსი, 22 ივლისი, 1999 წ.პარლამენტი,№2112 კანონი.

2. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი. 22 ივლისი, 1999 წ. პარლამენტი, №2287.

3. “against copying and illegal distribution”, published by star force (http://www.star-force.com/solutions/optical-disc-protection) .

REFERENCES :

1. Georgian law "copyright and neighboring right",22 July 1999 y, parliament N2112 act. (In Georgian Language).

2. Georgian criminal code - 22 July 1999 y, parliament N2287 act. (In Georgian Language)

2. "against copying and illegal distribution" published star force (http://www.star-force.com/solutions/optical-disc-protection)

PIRATED MARKET'S PROBLEMS IN MUSICAL INDUSTRY

Medea Shengelia
PHD Student of GTU

RESUME

In general, Music production in Georgia is of very small sales. It's derived from the natural human psychology. When there is something for free, why pay for the same product. There are very few community members, who pay a great attention to the quality, packaging, sound, news, etc. This problem concerns the extent of the structural unit of the newly formed Competition Agency. As there it is not possible the same product to have one price and then sometimes to be free. First of all it is a dishonest business conduct. To put it bluntly, people steal someone's product. The problem was not seen in the medical services, real estate business and so on. However, these actors are very poor. The composers, text authors, authors of arraigned work do not get the revenue from their work. All of this is caused by the Georgian pirated market of musical industry.

Kay words: Pirated Market, Musical Industry, Legal and illegal market, Musical albums.

ორგანიზაციაში ტოპ-მენეჯერების გუნდით მმართველობის მოდელი

მანია გოგიძე
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ტოპ-მენეჯერების გუნდის ფორმირება მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიებს: მომზადება და ჩამოყალიბება, ახალი გუნდის ან უკვე არსებულის რეფორმირება. ტოპ-მენეჯერების გუნდის ფუნქციონირების პროცესი იყოფა ორ დონედ: კონცეპტუალურ და საშემსრულებლო დონედ. კონცეპტუალურ დონეზე ხდება საწარმოების და ორგანიზაციების მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სტრატეგიის შერჩევა, მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბება, გუნდის საქმიანობისათვის საჭირო ტექნოლოგიების შერჩევა და ორგანიზაციული კულტურის განვითარება. საშემსრულებლო დონეზე წარმოდგენილია მიმდინარე პრობლემების გამოვლენის ტექნოლოგიები, ალტერნატივების ძიება და შერჩევა, მმართველობითი მიღების კრიტერიუმების განსაზღვრა.

ტოპ-მენეჯერები არიან ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მთლიანი ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, მისთვის გეგმებისა და მიზნების შემუშავებასა და განხორციელებაზე. გუნდისათვის კარგი ლიდერი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კარგი იდეა ან დავალება, რომელიც ზრდის კოლექტიურ პასუხისმგებლობას. ტოპ-მენეჯერისათვის დამახასიათებელია ის აუცილებელი ნიშან-თვისებები, როგორებიცაა: კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა, სიახლეების შეგრძნება, რისკიანობა, მაღალი შრომისუნარიანობა და ა.შ. ტოპ-მენეჯერი ტექნოკრატი არ უნდა იყოს, მას კარგად უნდა ესმოდეს თავისი საქმიანობის სოციალური მნიშვნელობა. რაც უფრო მსხვილი და მასშტაბურია წარმოება, მით უფრო მნიშვნელოვანია მეწარმის სოციალური გავლენა. კორპორაციები უნდა იმართე-

ბოდეს არა მარტო პრაგმატული წესების ნაკრებით, არამედ ფილოსოფიური ცნებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, ტექნოლოგია, გუნდი, ალტერნატივა, კრიტერიუმი, გადაწყვეტილება, შეფასება, სუსტი რგოლი, ანალიზი, მაჩვენებლები, კონცეპტუალიზმი.

შესავალი

მენეჯერთა გუნდი არის განსხვავებული განათლების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იქმნება კომპანიის სხვადასხვა განყოფილებებიდან მოსული წევრებისაგან და მუშაობს კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. „ჯგუფების ფორმირებას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ასეთი შეიძლება იყოს უსაფრთხოება, სტატუსი, საკუთარი თავის პატივისცემა, აფილაცია, ძალაუფლებისა და მიზნის მიღწევის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.“[11]

მენეჯერთა გუნდი გლობალური ბიზნესგარემოს რეალობად იქცა. კომპანიები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ სხვადასხვა დავალებებსა და პროექტებს უკეთესად ართმევენ თავს გუნდები, ვიდრე ცალკეული ინდივიდები.

საერთო მიზანი საწარმოს პერსონალს და მენეჯერთა გუნდს აერთიანებს და წარმოადგენს ინტერესთა ერთიანობას, რის გარშემოც ერთიანდება ადამიანთა შრომა. საერთო პასუხისმგებლობა ერთიანდება სამეწარმეო მიზნის მიღწევაში, ერთობლივ შრომაში.

ძირითადი ტექსტი

ტოპ-მენეჯერების გუნდის ფორმირება მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიებს: მომზადება და ჩამოყალიბება, ახალი გუნდის ან უკვე არსებულის რეფორმირება. „ტოპ-მენეჯერების გუნდის საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი უნდა დავიწყოთ თვით საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შეფასებით. ამისათვის უნდა მოვახდინოთ: საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების თავმოყრა, საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლების შეფასების მეთოდების შერჩევა, მაჩვენებლების

მნიშვნელობების განსაზღვრა, შემოწმების ჩატარება, დასკვნების გაკეთება, შესაბამისი კორექტირების გაკეთება.“[2]

ორგანიზაციაში ტოპმენეჯერების საქმიანობის შეფასების ტექნოლოგია შედგება ოთხი ბლოკისაგან:

- გუნდის ლიდერის საქმიანობის პირადი ეფექტურობის მონიტორინგი;
- გუნდის თითოეული წევრის საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგი;
- ერთიანობაში გუნდის საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგი;
- გუნდის ეფექტურობის მაჩვენებლების ანალიზის შედეგების დამუშავება;
- ლოგიკურად ნებისმიერი შეფასების ან ანალიზის დასრულებისას ხდება კორექტირების მექანიზმის შემუშავება. ჩვენ შემთხვევაში ესაა გუნდის განვითარების ბლოკი, სადაც წარმოდგენილია შემდეგი ელემენტები: მმართველობითი გუნდის წევრების კვალიფიკაციის ამაღლება, მმართველობითი გუნდის რეფორმირება, სუსტი რგოლების გამოფენა.
- ტოპ-მენეჯერის გუნდის კომპეტენციების განვითარების ციკლი მუდმივად მოძრაობაშია და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
- შედეგების დაგეგმვა (კომპეტენციის პროფილის განსაზღვრა და ა.შ. კომპეტენციების მქონე ადამიანების დანიშვნა დაგეგმილი შედეგების მისაღწევად).

• ქოუჩინგი (ინდივიდუალური მმართველობა და უკუკავშირი)
• ატესტაცია (საქმიანობის შეფასება, შედეგების ანალიზი)
• პროფესიული კომპეტენციების განვითარება (სწავლება სამუშაო ადგილზე) და ა.შ.
• მმართველობითი გუნდის სუსტი რგოლის გამოვლენა ეყრდნობა

დიაგნოსტიკურ სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

• საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კანდიდატების დიდი სიფრთხილით

შერჩევა, განსაკუთრებით თუ ხდება ამა თუ იმ პიროვნების ხელახლა დანიშვნა.

• უკვე ფორმირებულ მმართველობით გუნდში არაეფექტური თანამშრომლების გამოვლენა და მისი გუნდში დატოვება-არ დატოვებაზე გადაწყვეტილების მიღება.

• ტოპმენეჯერების გუნდის საქმიანობის ანალიზისას ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საბოლოო შედეგზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს გუნდის წევრების კონსტრუქციული ურთიერთდამოკიდებულება, გუნდის თითოეული წევრის მაღალი პროფესიონალიზმი და წარმატებებზე ორიენტირება.

არის შემთხვევები, როდესაც საუკეთესოდ შერჩეული ტოპმენეჯერების გუნდის საქმიანობაც კი მთავრდება უარყოფითი შედეგით. ამ დროს დაისმის შეკითხვები:

- რისთვის ავირჩიე ტოპმენეჯერების გუნდი?

- რამდენად გასაგები და მიღწევადი იყო დასმული მიზანი და ამოცანები?

- გაკეთდა თუ არა ყველაფერი გუნდის ნორმალური ფუნქციონირებისაგან?

- ხომ არ არის გადაჭარბებული მოთხოვნები და გუნდის მუშაობის შეფასების კრიტერიუმები?

- სწორად შეირჩა თუ არა სპეციალისტები გუნდში?

- სწორად განაწილდა თუ არა რგოლები გუნდში?

- თუ დასმულ შეკითხვებზე ნეგატიური პასუხები მივიღეთ გუნდი უნდა დაიშალოს. ეს არაპოპულარული და არასასურველი გადაწყვეტილებაა ორგანიზაციისათვის, მისი იმიჯისათვის.

„არსებობს ტოპ-მენეჯერების გუნდის შექმნის უამრავი მიდგომა. მმართველობითი გუნდის ჩამოყალიბების საწყისი სტადია უდიდეს პასუხისმგებლობას უკავშირდება, რადგან სწორად იგი განსაზღვრავს გუნდის შექმნის შესაძლებლობას, აუცილებლობას, მზაობას, რიცხოვნობას, მუშაობის პრინციპებს და ა.შ.“[4]

გუნდის ფორმირება ხდება ორი მიმართულებით -გუნდის ფორმირება ნულოვანი პოზიციებიდან ან აქვე არსებულის რეფორმირება. ტოპ-მენეჯერთა გუნდის ფორმირება ნულოვანი პოზიციებიდან წარმოადგენს შედარებით იოლ მეთოდს, რადგან შეირჩევა მმართველობითი გუნდის ლიდერი და შემდეგ განისაზ-

ღვრება დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ვაკანსიების რაოდენობა, არსებული ვაკანსიების მიხედვით შეირჩევა სპეციალისტები შესაბამისის ტესტირებით, გასაუბრებით და ა.შ. მიიღება გადაწყვეტილება გუნდში მიღება-არმიღების შესახებ.

ტოპ-მენეჯერების გუნდის ფუნქციონირების პროცესი იყოფა ორ დონედ: კონცეპტუალურ და საშემსრულებლო დონედ. კონცეპტუალურ დონეზე შემოთავაზებული საწარმოს მიზნების და ამოცანების განსაზღვრის ტექნოლოგიები. როდესაც მმართველობითი გუნდი ემზადება გადაწყვეტილების მისაღებად, რომელზეც შესაძლოა დამოკიდებული იყოს ორგანიზაციის ასეულობით თანამშრომლობის ბედი, მან ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი მიზანი, არა როგორც მისთვის ყველაზე სასურველი მდგომარეობა, არამედ მტკიცედ ნისაღწევი საბოლოო შედეგი. რაც უფრო ზუსტი და მკაფიოა ტოპმენეჯერებისათვის მისაღწევი მიზანი, მით იოლია ამისათვის საჭირო საშუალებების შერჩევა. საწინააღმდეგო შემთხვევაში იქნება აზრთა სხვადასხვაობის დიდი ალბათობა გუნდის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მათი საქმიანობაც იქნება ნაკლებად ეფექტური. საშუალებები და შედეგები ურთიერთგამომდინარე გააზრებებია, ამიტომ ყველანაირი შედეგი ზუსტად საშუალებაა უფრო მეტის მიღწევისათვის.

კონცეპტუალურ დონეზე გუნდის მმართველობით მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კორპორაციულ კულტურას, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობების, ქცევის ნორმების და ღირებულებების თავმოყრის, იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე. კორპორაციული კულტურა ყალიბდება ორგანიზაციის პირველი პირების მიერ, რომელიც აერთიანებს საწარმოს ღირებულებებს, ეს ერთგვარი არაფორმალური სისტემაა, რომელსაც ხშირად არ იზიარებენ ორგანიზაციის ქვედა რგოლები.

ყველა წარმატებული ლიდერი თავის ჯგუფებში რიგ საერთო ფუნქციებს ასრულებს. კერძოდ:

- წარმატებული ჯგუფის ლიდერი განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედების ძირითად მიმართულებას. მუდმივად ახსენებს ჯგუ-

ფის წევრებს, თუ რა არის მათ საქმეში უმნიშვნელოვანესი და რა არის ის განსაკუთრებული, რომელიც ამ ჯგუფს ანალოგიური ჯგუფებისგან განასხვავებს;

- ამკვიდრებენ და აძლიერებენ რწმენას იდეისადმი. რწმენა და ლიდერობა არის ის ძირითადი ძალა, რომელიც ეხმარება ჯგუფის წევრებს დაძლიონ წინააღმდეგობები, საწინააღმდეგო შეხედულებები, შეუთანხმლობა და სხვა უარყოფითი ემოციები, ისე, რომ არ შეფერხდეს ჯგუფური მუშაობის პროცესი;

- ავლენენ მუშაობისადმი ფავორიტიზმს, ინტერესს, რისკისადმი უშიშროებას, ენთუზიაზმს. ენთუზიასტური სწრაფვა, გადალახო რისკი საუკეთესო შედეგის მოსაპოვებლად-ყოველი დიდი ლიდერის უმნიშვნელოვანესი თვისებაა;

- ეფექტური ჯგუფის ლიდერი იყენებს ყოველგვარ კონკრეტულ და სიმბოლურ საშუალებებს, რათა წარმოაჩინოს, რომ ჯგუფს შეუძლია ყველა წინააღმდეგობის გადალახვა და რომ ეს ჯგუფი განსაკუთრებულია;

„არ არის მკაცრად დადგენილი წესები, თუ როგორ უნდა განავითარონ ჯგუფის წევრებმა ლიდერის თვისებები. ლიდერობა უფრო ხელოვნებაა, მაგრამ შესაძლებელია, დავიწყოთ ფიქრით იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჯგუფის წევრებს შორის ჯანმრთელი თანამშრომლობა, როგორ დავიწყოთ ასეთი თანამაშრომლობა, რას გვინდა მივაღწიოთ ამით და როგორ შეიძლება შევცვალოთ არსებული უკეთესისკენ.“[6] აუცილებელია ფოკუსირება, როგორც მთელი ჯგუფის ლიდერობაზე, ასევე, პერსონალური ლიდერული თვისებების განვითარებაზე. კარგი იქნება, თუ ამ პროცესში ჩავრთავთ საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებს. მსოფლიოს უნივერსიტეტებში იშვიათად ანიჭებენ დოქტორის ხარისხს, ან აძლევენ რაიმე სხვა ჯილდოს კოლექტიური ავტორობისთვის. უნივერსიტეტები და კორპორაციები, ძირითადად, აჯილდოვებენ ცალკეულ პიროვნებებს და არა ჯგუფურ მიღწევებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჯგუფის ლიდერი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ჯგუფის ერთობლივ მუშაობას ან სამუშაოს პარტნიორულ ხასიათს.

„როდესაც ვსაუბრობთ ტოპ-მენეჯერების გუნდის საქმიანო-

ბის განვითრებაზე აქცენტს ვაკეთებთ გუნდის წევრების შესაძლებლობების და უნარების განვითარებაზე, რაც დაეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში. შედეგების, ქოუჩინგის(აშშ-ში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქოუჩინგი აღნიშნავს პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს. მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი საკუთარი თანამშრომლების ქოუჩი იყოს, თავიდან გასაღების სფეროში ჩამოყალიბდა და შემდგომ სხვა სფეროებზეც გავრცელდა), თანამშრომლების შეფასების და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების დაგეგმვის სტადიები მუდმივად მეორდება და ატარებს ციკლურ ხასიათს."[10]

შედეგების დაგეგმვა ეს არის ტოპ-მენეჯერების გუნდის განვითარების ციკლის პირველი ფაზა, ამ ფაზაში ხდება მოცემული კოკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კომპეტენციების პროფილის შემუშავება. პრაქტიკაში გამოიყენება „კომპეტენციის" სამი განსხვავებული გააზრება.

I - კომპეტენცია ეს არის ორგანიზაციის უნიკალური მახასიათებელი, რომელიც გამომდინარეობს ცოდნიდან, ტექნოლოგიებიდან და იმ პროცესებიდან, რომელიც შეგვიძლია შევქმნათ და განვავითაროთ. ასეთი კომპეტენციები იწოდებიან ძირითად კომპეტენციებად.

II - კომპეტენცია ეს არის ტოპ-მენეჯერების გუნდის ცოდნა, გამოცდილება, ღირებულებები, ნორმები, გუნდის წევრების ქცევის მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული წევრის პირად წარმატებას. ასეთი კომპეტენციები იწოდებიან ინდივიდუალურ კომპეტენციებად.

III - კომპეტენცია ეს არის ცოდნის, გამოცდილების, მიღწევების, ღირებულებების, ნორმების, ქცევის მოდელების თავმოყრა კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად და მას პროფესიონალური კომპეტენცია ეწოდება.

დასკვნა

რამდენად კარგი მენჯმენტი ეყოლება ორგანიზაციას, ამას განსაზღვრავენ ისინი, ვინც ამ მენეჯმენტის გუნდში მოიაზრებიან, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რამდენნი არიან ისინი და როგორ ინაწილებენ ერთმანეთში როლებს და პასუხისმგებლობებს, როგორ ურთიერთობენ ისინი ერთმანეთთან ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორი ვარსკვლავურიც არ უნდა იყოს გუნდი, თუ ის სწორად ორგანიზებული არ იქნება, მის დამარცხებას ადვილად შეძლებს თუნდაც უცნობი, საშუალო უნარების და შესაძლებლობების, მაგრამ კარგად შეკრული და ორგანიზებული მმართველი გუნდი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კამერონ ჰეროლდი. ორმაგი დუბლი. როგორ გააორმაგოთ შემოსავალი და მოგება სამ წელიწადში ან უფრო ადრე. 2 აპრილი, 2011წ.

2. ჯონ ედისონი. რეალური ლიდერობა. 9 სრულყოფილი პრაქტიკა ლიდერობისთვის და მიზნის მისაღწევად. 8 მარტი, 2016წ.

3. ლეონ შაპირო. პერსონების ძალაუფლება: ლიდერობის როგორ ბერკეტებს ფლობს თქვენი კომპანია, ზრდა და წარმატება. 22 მარტი, 2016წ.

4. დევიდ ბურკუსი. ახალი მენეჯმენტი: როგორ აწარმოებენ ლიდერი ორგანიზაციები მათ ბიზესს ჩვეულებისამებტ. 15 მარტი, 2016წ.

5. პატრიკ ლენსიონი. იდეალური გუნდის მოთამაშე: როგორ ამოვიცნოთ და გამოვიყენოთ სამი აუცილებელი ღირსება. 26 აპრილი, 2015წ

6. ვიჯაი გოვინდარაიან. სამი ყუთის გადაწყვეტა: სტრატეგია ლიდერობის ინოვაციისთვის. 26 აპრილი, 2016წ.

7. მარკ შვარცი. ბიზნეს ფასეულობების ხელოვნება. 7 აპრილი, 2015წ

8. ბილ ტრესურერი. ლიდერების ღია კარი: რადიკალურად სრულყოფილი ლიდერობის მიდგომა, მოგება და პერფორმანსი. 8 მარტი, 2013წ.

9. დე ან ტარნენი. ეს ჩემი სიამოვნებაა-არაორდინალური ტალანტის გავლენა და მყარი კულტურა. 3 ნოემბერი, 2015წ.

10. სკოტ მილერი, დევიდ მორეი. ლიდერობის კამპანია: 10 პოლიტიკური სტრატეგია კარიერაში წარმატებისთვის და თქვენი ბიზნესის წინსვლისათვის. 25 აპრილი, 2015წ.

REFERENCES:

1. Cameron Herold. Double-Double. How to Double Your Revenue and Profit in 3 Years or Less. April 2, 2011

2. Jon Addison. Real Leadership: 9 Simple Practices for Leading and Living with Purpose. March 8, 2016

3. Leon Shapiro. The Power of Peers: How the Company You Keep Drives Leadership, Growth, and Success. March 22, 2016

4. Davis Burkus. Under New Management: How Leading Organizations Are Upending Business as Usual. March 15, 2016

5. Patrick M.Lencioni. The Ideal Team Player: How to Recognize and Cultivate The Three Essential Virtues. April 26, 2015

6. Vijay Govindarajan. The Three-Box Solution: A Strategy for Leading Innovation. April 26, 2015

7. Mark Schwartz. The Art of Business Value. April 7, 2015

8. Bill Treasurer. Leaders Open Doors: A Radically Simple Leadership Approach to Lift People, Profits, and Performance. March 8, 2013

9. Dee Ann Turnen. It's My Pleasure: The Impact of Extraordinary Talent and a Compelling Culture. November 3, 2015

10. Scott Miller, David Morey. The Leadership Campaign: 10 Political Strategies to Win at Your Career and Propel Your Business to Victory. April 25, 2015y.

THE TOP-MANAGEMENT-TEAM MODEL IN THE ORGANIZATION

Mania Gogidze,PhD student of Caucasus International University

RESUME

The top-managers are the people, who are responsible for the decisions of the whole organization. They develop the plans and goals of the organization and provide their implementation. The good leader for team is as important as the good idea or the assignment, which increases the collective responsibility. The top-managers necessarily are characterized by the following features: competence, high sense of responsibility, news sensation, volatility, high ability to work, etc. the top-manager shouldn't be a technocrat, he should be well aware of social value of his activities. The more large and scale and manufacturing, the more important is the impact of the social entrepreneurs. As the manufacturing is larger and scale, the more important is the social impact of the entrepreneur. Corporations should be managed by not only the pragmatic set of rules, but considering of the philosophical concepts.

Keywords: Strategy, Technology, Team, Alternative, Criterion, Decision, Rating, a Weak link, Analysis, Highlights, Conceptual.

მმართველობითი გადაწყვეტილება, როგორც ინდივიდუალური და სოციალური ჯგუფის ქცევის უნივერსალური ფორმა

ირმა მახარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

გადაწყვეტილება წარმოდგენს ქცევის უნივერსალურ ფორმას, რომელიც აიხსნება ადამიანის საქმიანობის გათვიცნობიერებისა და მიზანმიმართული მახასიათებლებით. მაგრამ, უნივერსალური გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, მისი აღქმა ორგანიზაციის მართვის პროცესში არსებითად განსხვავდება იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელიც კერძო ცხოვრებაში მიიღება. ნაშრომში მოცემულია განმასხვავებელი 4 ნიშანი: მიზანი, შედეგები, შრომის დანაწილება, პროფესიონალიზმი.

გადაწყვეტილების მიღებისას გამოყოფილია მენეჯერული მიდგომების სამი ტიპი: კლასიკური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური.

მენეჯერების მიერ მცდარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობის შემცირებისა და პირიქით, საუკეთესოს შემუშავებისთვის ხელის შესაწყობად საჭიროა: სიტუაციის ყოველმხრივი შეცნობა; ალტერნატივების ფართო ნაკრების შექმნა; მათი ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი.

მოყვანილია მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარის ჰენრი მინცბერგის ნაშრომიდან „მენეჯერული შრომის ბუნება“ ხელმძღვანელის როლის განსაზღვრა, რომლის მიხედვით ორგანიზაციაში მენეჯერთა როლი იყოფა სამ ჯგუფად: პიროვნებათაშორისი,ინფორმაციული და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული.

მენეჯერის მიერ ორგანიზაციაში შესრულებული როლები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მოცემულია ამ როლების კლასიფიკაცია.

მენეჯერის საქმიანობის შესრულების უნარი გაერთიანებულია სამ ჯგუფში: კონცეპტუალური, ადამიანებთან ურთიერთობის და ტექნიკური უნარები.

მოცემულია იაპონური მენეჯმენტის და ორგანიზაციული კულტურის მკვეთრი განსხვავება ამერიკულისგან. ყურადღება გამახვილებულია აშშ-ში გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმის მრავალსაფეხურიანობასა და ავტორიტარულობაზე, ხოლო იაპონიაში იერარქიის საფეხურების რაოდენობის ნაკლებობასა და გადაწყვეტილებები მიიღების კოლექტიურობაზე.

საკვანძო სიტყვები: მენეჯერი, მიზანი, შედეგები, შრომის დანაწილება, პროფესიონალიზმი.

ძირითადი ტექსტი

გადაწყვეტილება წარმოდგენს ქცევის უნივერსალურ ფორმას, რომელიც აიხსნება ადამიანის საქმიანობის გათვიცნობიერებისა და მიზანმიმართული მახასიათებლებით. მაგრამ, უნივერსალური გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, მისი აღქმა ორგანიზაციის მართვის პროცესში არსებითად განსხვავდება იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელიც კერძო ცხოვრებაში მიიღება. ასეთი განსხვავება შეიძლება ნაჩვენები იქნას 4 ნიშნით:

- **მიზანი.** სუბიექტი, გადაწყვეტილების მიღებისას გამოდის არა საკუთარი საჭიროებებიდან, არამედ კონკრეტული ორგანიზაციის პრობლემის გადაწყვეტის მიზნებიდან;
- **შედეგები.** მაღალი რანგის მენეჯერი, მოქმედების მიმართულებას ირჩევს არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთლიანად ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლებისათვის, შესაბამისად მისი გადაწყვეტილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ხალხის ცხოვრებაზე. თუ ორგანიზაცია დიდი და გავლენიანია, მისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილება არსებითად აისახება რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციაზეც. რაც შეეხება ინდივიდუალური პირის არჩევანს, მისი გადაწყვეტილება გამომდინარეობს საკუთარი ცხოვრებიდან და შეიძლება გავლენა

იქონიოს მხოლოდ მისი მეტნაკლებად ახლო ადამიანებზე;

- **შრომის დანაწილება.** როდესაც ადამიანი კერძო ცხოვრებაში იღებს გადაწყვეტილებას, როგორც წესი მას თვითონ ასრულებს. ორგანიზაციაში არსებობს შრომის განსაზღვრული დანაწილება: ერთი მუშაკი (მენეჯერი), წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტითა და გადაწყვეტილების მიღებით არის დაკავებული, მეორე (შემსრულებელი) - მიღებული გადაწყვეტილების რეალიზებით;
- **პროფესიონალიზმი.** კერძო ცხოვრებაში თითოეული ადამიანი, თავისი ინტელექტის ძალისხმევისა და გამოცდილების ფარგლებში გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. ორგანიზაციის მართვისას, გადაწყვეტილების მიღება - გაცილებით რთული, საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც მოითხოვს პროფესიულ მომზადებას. ორგანიზაციაში, თითოეულ თანამშრომელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დამოუკიდებლად მიიღოს განსაზღვრული გადაწყვეტილება. როგორც წესი, უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მართველობითი გადაწყვეტილება, დელეგირებულია იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ფლობენ განსაზღვრულ პროფესიულ ჩვევებსა და უნარებს.

გადაწყვეტილების მიღებისას, გამოყოფენ მენეჯერული მიდგომების სამ ტიპს: **კლასიკურს** (ნორმატიული ხასიათის მოდელია, რომელიც ეფუძნება შემდეგ დაშვებას: მენეჯერს შეუძლია აუცილებელ ინფორმაციასთან წვდომა, რომლის გადაწყვეტილება წარმოადგენს შესაძლო ვარიანტიდან საუკეთესოს შერჩევის შედეგს; **ადმინისტრაციულსა** (მკაფიო არ არის მიზნები და პრობლემები) და **პოლიტიკურს** ადექვატურია პროგრამირებადი გადაწყვეტილებებისათვის).

გადაწყვეტილება მმართველობითი პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გადაწყვეტილების მიღების გარეშე არც ერთი საქმიანობა არ განხორციელდება. მენეჯერთა სამუშაო დროის ძირითადი ნაწილი იხარჯება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე და სწორად მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა და რაოდენობა განსაზღვრავს

ორგანიზაციული მიზნების ეფექტიანად მიღწევის შესაძლებლობებს. გადაწყვეტილების მიღება არის პროცესი, რომლის დროსაც შეირჩევა არსებული ვარიანტებიდან და ალტერნატივებიდან ყველაზე მისაღები. გადაწყვეტილებათა მიღებით ორგანიზაციის წევრები ადგენენ პრობლემებს და გამოვლენილ შესაძლებლობებზე რეაგირებისთვის საჭირო ქმედებათა თანმიმდევრობას.

მენეჯერები ხშირად მიიჩნევიან გადაწყვეტილების მიმღებებად. ყველა ორგანიზაციის წარმატება თუ მარცხი დამოკიდებულია მისი მენეჯერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაზე. ბევრი მენეჯერული გადაწყვეტილება არის სტრატეგიული. მაგალითად, ააშენონ თუ არა ქარხანა, წამოიწყონ ახალი ბიზნესი, ან გააცალკევონ სხვადასხვა საქმიანობები. თუმცა, მენეჯერები ორგანიზაციასთან დაკავშირებულ კიდევ არაერთ საქმიანობაზე იღებენ გადაწყვეტილებას, მაგალითად ისეთზე, როგორიც არის ორგანიზაციული სტრუქტურა, კონტროლის სისტემები, გარემოს გამომწვევი და ადამიანური რესურსების მართვა. მენეჯერები განჭვრეტენ პრობლემებს, იღებენ გადაწყვეტილებებს მის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით და აკვირდებიან შედეგებს, რათა გააცნობიერონ, არის თუ არა საჭირო დამატებითი ღონისძიებების ჩატარება. სწორი გადაწყვეტილებების მიღება წარმატებული მენეჯმენტის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მომტანია. იმიტომ, რომ გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, როგორ წყვეტს ორგანიზაცია პრობლემებს, განათავსებს რესურსებს და ისახავს მიზნებს. გადაწყვეტილების მიღება არ არის ადვილი, რადგან გარემო ფაქტორები მუდმივად ცვალებადია, ინფორმაცია არაცხადი და კონფლიქტური სიტუაციებიც ხშირად წარმოიშობა.

ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, ან ნაკლებად მნიშვნელოვანი. ყოველდღიურად ადამიანი იღებს ძალიან ბევრ უმნიშვნელო გადაწყვეტილებებს, სერიოზული მოფიქრების გარეშე, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები კი მიიღება მხოლოდ ჯერო-

ვანი გააზრების საფუძველზე. უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებას დღეები, თვეები და ზოგჯერ წლებიც კი სჭირდება. თუმცა ისეც ხდება, რომ ადამიანი ნაკლებად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ძნელად, უმნიშვნელოვანესს კი ყოველგვარი მოფიქრების გარეშე, იმპულსურად.

გადაწყვეტილების მიღებისათვის განხორციელებული ქმედებები დაიყვანება მოქმედების მიმართულების შერჩევაზე. საერთოდ, ძნელია კარგი გადაწყვეტილების მიღება. ზოგჯერ ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს რიგი ფსიქოლოგიური ფაქტორები, კერძოდ, სოციალური წეს-ჩვეულებები, დაგროვილი გამოცდილება, პიროვნული ფასეულობები.

კონკრეტული ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოქმედებს პირველ რიგში მის პირად ცხოვრებაზე და ნაკლებად უკავშირდება სხვა ადამიანებს. მენეჯერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე კი დამოკიდებულია სხვა ადამიანების ბედი. მენეჯერი ირჩევს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ თავისთვის, არამედ მთელი ორგანიზაციისთვისაც. ამიტომ, ის დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს გადაწყვეტილების მიღების საკითხს. მისი არჩევანი ხომ დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანების ცხოვრებაზე. მძიმე მორალური ტვირთია მენეჯერისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მართვის უმაღლეს დონეზე. მაგალითად, თუ მენეჯერი შეცდა და სამსახურიდან გაათავისუფლა კარგი მუშაკი, დაზარალდება ორგანიზაციაც და თვითონ მუშაკიც, მაგრამ, თუ ცუდი მუშაკისაგან არ განთავისუფლდა ორგანიზაცია, ის შეიძლება ძალიან დაზარალდეს.

გადაწყვეტილება არის არჩევანი ყველა შესაძლო ალტერნატივიდან. ბევრი ადამიანი თვლის, რომ არჩევანის გაკეთება არის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ნაწილი, მაგრამ ეს ასე არ არის.

გადაწყვეტილების მიღება არის პრობლემების იდენტიფიკაციის, შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი გადაწყვეტის პროცესი. იგი აერთიანებს გადაწყვეტილების მიღებამდე და

მიღების შემდგომ პროცესებს. მენეჯერული გადაწყვეტილებები ჯგუფდება ორ კატეგორიად: პროგრამირებული და არაპროგრამირებული გადაწყვეტილებები.

პროგრამული გადაწყვეტილებები მოიცავს სიტუაციას, რომელიც იმდენად ხშირად მეორდება, რომ შესაძლებელია გარკვეული წესების დადგენა, რომელსაც შეგვიძლია მივდიოთ მომავალში. პროგრამული გადაწყვეტილებები უკავშირდება ორგანიზაციული პრობლემების წარმოქმნას. მაგალითად, როცა საოფისე ინვენტარი ჩამოსცდება საჭირო დონეს, ამ დროს საქმე პროგრამული გადაწყვეტილების მიღებასთან გვაქვს. აგრეთვე შეიძლება აღინიშნოს ხარჯების პროცენტის დადგენა. მას შემდეგ, რაც მენეჯერი ერთხელ მიიღებს პროგრამულ გადაწყვეტილებებს და დაადგენს წესებს, ამის შემდეგ, სხვა უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ მიიღონ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება, რათა მენეჯერს უფრო მეტი დრო დარჩეს უფრო მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებისთვის.

მენეჯერების მიერ მცდარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობის შემცირებისა და პირიქით, საუკეთესოს შემუშავებისთვის ხელის შესაწყობად საჭიროა: სიტუაციის ყოველმხრივი შეცნობა; ალტერნატივების ფართო ნაკრების შექმნა; მათი ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი.

გლობალიზაციის პირობებში მენეჯერის საქმიანობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი, რთული და მასშტაბური ხდება. თანამედროვე მსოფლიოში შეიცვალა, არა მხოლოდ პერსონალთან დამოკიდებულება, არამედ სამუშაო ადგილებთან დამოკიდებულებაც, რაც მენეჯერის მხრიდან კიდევ უფრო მეტ ცოდნას, გამოცდილებას და კვალიფიკაციას მოითხოვს.

ძველი სამუშაო ადგილები ხასიათდებოდა რუტინული დავალებებით და კონტროლის სტანდარტული პროცედურებით. მშრომელები ასრულებდნენ სამუშაოს მხოლოდ ერთ კომპანიაში, რომელიც იმართებოდა ვერტიკალური იერარქიით და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ზევიდან ქვევით.

თანამედროვე სამუშაო ადგილას შრომა უფრო მოქნილია. სტრუქტურა უფრო ბრტყელია, დაბალი დონის თანამშრომ-

ლები თავად იღებენ გადაწყვეტილებებს დიდი მოცულობის ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, რომელიც შესაბამისია ორგანიზაციის მისიის და ღირებულებების. თანამშრომლები ერთმანეთს ცოდნას უნაწილებენ. ეს ადამიანები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში იმის ნაცვლად, რომ დასაქმებულნი იყვნენ მხოლოდ ერთ სამუშაო ადგილას. ურთიერთობები მყარდება ინტერნეტით და სამუშაოც ხშირად ვირტუალურია, ანუ მენეჯერებს უწევთ იმ ადამიანების მართვა, რომლებიც ფაქტობრივად არასოდეს „მოდიან სამსახურში“.

ეს საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მოიზიდოს კვალიფიციური ადამიანები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. თუმცა, ამ დროს მენეჯერისათვის რთულია მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ალბათ ცხადია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მენეჯერის როლებისა და შესაბამისი უნარების გამოვლენის საჭიროებას, რათა ორგანიზაციის საქმიანობა იყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და წარმატებული.

მართვის მეცნიერების თანამედროვე მკვლევარი ჰენრი მინცბერგი, ნაშრომში“მენეჯერული შრომის ბუნება“, ორგანიზაციაში მენეჯერთა როლს ჰყოფს სამ ჯგუფად:

- პიროვნებათაშორისი (მთავარი ხელმძღვანელის როლი, ლიდერის როლი, დამაკავშირებელი რგოლის როლი);
- ინფორმაციული (ინფორმაციის მიმღების როლი, ინფორმაციის გამავრცელებლის როლი, ინფორმაციის წარმდგენის როლი);
- გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული (მეწარმის როლი, დარღვევების გამომსწორებლის როლი, რესურსების გამანაწილებლის როლი და მოლაპარაკებების მწარმოებლის როლი).

ამრიგად, შეიძლება **დავასკვნათ,** რომ მართვის სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესს ცენტრალური ადგილი უკავია. გადაწყვეტილების მიმღები პირი, სტრატეგიული დაგეგმვის, პროგნოზირების, რესურსების განაწილებისა და ალტერნატიული გადაწყვეტილების ფორმირებისას (სინთეზისას)

ყოველთვის რთული გამოწვევების წინაშეა. ასეთი ამოცანების გადაწყვეტა წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე საუკეთესო ვარიანტიდან ალტერნატივის არჩევას, როგორც წესი რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით. ასეთი არჩევის განხორციელება საჭიროებს გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ მიზნების მკაფიო აღქმას, რომლის მიღწევასაც უნდა ემსახურებოდეს არჩეული ალტერნატივა. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მნიშვნელობის სიტუაციისათვის, ყველა არსებული ალტერნატივების რანჟირების კრიტერიუმს წარმოადგენს, მეტნაკლები სახით მიზნის მიღწევა, ასევე, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად დადებითი ეფექტის მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кулагин о.а. принятие решений в организациях: учеб. пособие. СПБ.: изд. дом „сентябрь». 2001. с.148
2. http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Tavi%2011.html
3. გოროშიძე გ.ორგანიზაციული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასპექტები და ქართულ კულტურაში ორგანიზაციული ქცევის ეფექტიანი მოდელის ფორმირება. GESJ: Education Science and Psychology, No.2(21) 2012.
4. დოლონაძე შ. ადმინისტრაციული მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „ცის ნამი“. თბილისი, 2009.
5. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011. გვ. 453-455

REFERENCES:

1. Baratashvili E., Takalandze L. Management and Administration/ the tutorial in Georgian/ Tbilisi State University Press. 2011. p. 453-455
2. Goroshidze G., Organizational Psychology International Aspects and the Formation of an Effective Model of Organizational Behavior in Georgian Culture/in Georgian, GESJ: Education Science and Psychology, No.2 (21) 2012.
3. Doghonadze y. Administrative Management. Publishing "the dew of heaven." Tbilisi, 2009.
4. Kulagin O.A, Decision making in organizations /tutorial in georgian/ St.Petersburg.: Publishing House "September". 2001. p.148

http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Tavi%2011.html

MANAGERIAL DECISION AS THE UNIVERSAL FORM OF BEHAVIOR OF INDIVIDUAL AND SOCIAL GROUP

Irma Makharashvili,
PhD Student of Caucasus
International University

RESUME

The decision represents an universal form of behavior, which is due to human activity and awareness in targeted characteristics. But, despite the universal decision-making, the perception of the organization's management process is essentially different from the decision, which was taken in private life. The article presents the following distinctive signs: the goal, the results of the division of labor, professionalism.

There are three types of managerial approach in decision-making, it is: classic, administrative and political.

Manager solutions are divided into two categories: the programmed

and non-programmed decisions.

To reduce the probability of accepting a false manager solution (and - vice versa), you must: comprehensively examine the situation, create a large set of alternatives and carry out a deep comprehensive analysis.

The article shows the definition of a manager, which gives the famous explorer Henry Mintzberg, namely: "This is a set of certain rules of conduct, which correspond to a particular organization and the specific positions." In his work "The nature of managerial work" Henry Mintzberg divides the roles of managers in three groups: interpersonal, informational and decision-making.

The roles performed by the group manager, are closely related to each other. The author gives a classification of these roles. Operating manager skills are combined into three groups: the conceptual, technical and human relationships.

The author gives an overview of the differences between American and Japanese management and organizational culture. The author draws the attention to the authoritarian and multi-layered decision-making in the US management and a small number of hierarchical levels and the collective nature of Japanese management.

Keywords: Manager, Objective Result, the Division of Labor, Professionalism.

ახალი მიდგომები ლიდეროგისადმი და ორგანიზაციული კულტურებისადმი გლობალიზაციის პირობებში ქსელური მართვის კონტექსტში

ნინო მხეიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი
ციალა ლომაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ლიდერის როლი და მნიშვნელობა ბიზნეს - პროცესებში, განხილულია ქსელური მართვის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ასევე, შესწავლილი გვაქვს, ლიდერის მართვის თავისებურებები იერარქიულ და ქსელურ მართვაში, ხოლო ცხრილის სახით წარმოდგენილი გვაქვს ქსელურ სტრუქტურაში მომუშავე ლიდერის სარეკომენდაციო კონტაქტები და პოროვნული სახე.

გლობალიზაციის გაღრმავებამ, ბიზნეს - პროცესის გამრავალფეროვნებამ და აგრესიულობაში გადასულმა კონკურენტულმა აქტივობამ მენეჯმენტი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დააყენა.

კომპანიების წარმატებაში, ადამიანის როლისა და მნიშვნელობის ცვლილებებთან ერთად, იცვლება მენეჯმენტის სტილიც. მენეჯერებს, რომელთა ფუნქცია დღემდე ძირითადად დაქვემდებარებულთა საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია იყო, უჭირთ ახალ ამოცანებთან გამკლავება. დღითიდღე აქტუალური ხდება მენეჯმენტის ახალი სტილი, რომელიც ლიდერობაზე, ადამიანის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარზეა დაფუძნებული. მენეჯერები იცვლებიან ლიდერებით. ეს პროცესი დაწყებულია ყველგან, ყველა ქვეყანაში და მისი საწყისი სიმპტომები გაჩნდა საქართველოშიც.

საკვანძო სიტვები: გლობალიზაცია, ლიდერი, მენეჯმენტი, ქსელური მართვა, ქსელური სტრუქტურა, ხაზობრივი მოდელი.

შესავალი

კომპანიების წარმატებაში, ადამიანის როლისა და მნიშვნელობის ცვლილებებთან ერთად, იცვლება მენეჯმენტის სტილიც. მენეჯერებს, რომელთა ფუნქცია დღემდე ძირითადად დაქვემდებარებულთა საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია იყო, უჭირთ ახალ ამოცანებთან გამკლავება. დღითიდღე აქტუალური ხდება მენეჯმენტის ახალი სტილი, რომელიც ლიდერობაზე, ადამიანის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარზეა დაფუძნებული. მენეჯერები იცვლებიან ლიდერებით. ეს პროცესი დაწყებულია ყველგან, ყველა ქვეყანაში და მისი საწყისი სიმპტომები გაჩნდა საქართველოშიც. ამას მეტყველებს ქართველ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა დაინტერესება ლიდერის და ლიდერობის საკითხებით, რომელიც მათ სხვადასხვა შრომებში გაჟღერდა.

ძირითადი ტექსტი

ლიდერსა და ლიდერობაზე ქართველ მეცნიერებს აქვთ შექმნილი ნაშრომები. მათ შორის დავასახელებთ: ნ. ხარაძეს,[1] ა. ქიტიაშვილ - კვაჭანტირაძეს,[2] ა. ასათიანს,[3] ი. ჟვანიას,[4] გ. კიკნაძეს და სხვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კომპანიებშიც დადგა მენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის ახლებურად ხედვის აუცილებლობა, მასში ლიდერის (და საერთოდ ლიდერობის) ადგილის და როლის განსაზღვრა.

არსებობს ლიდერობის თვისებათა მრავალმხრივი კლასიფიკაცია, რომლებიც მათ ყოფენ რბილ და მკაცრ, ფორმალურ და არაფორმალურ, ემოციონალურ, საქმიან, შთამაგონებელ ლიდერებად და ა. შ. ჩვენი აზრით, ლიდერის ყველაზე საუკეთესო დახასიათება მოგვცა მეცნიერმა ა. მენეგეტიმ,[5] რომელმაც იგი განმარტა პიროვნებად, რომელიც "დაისახავს მიზანს, პოულობს სახსრებს და ქმნის კოლექტივს მიზნის შესასრულებლად".

1 ხარაძე ნ., ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება, თბ., 2009.
2 ქიტიაშვილი ა., ლიდერობა და გუნდის მართვა, თბ., 2013.
3 ასათიანი ა., ლიდერობა და პერსონალის კაუჩინგი, თბ., 2011.
4 ჟვანია ი., კიკნაძე გ., ლიდერი და ლიდერობა, თბ., 2009.
5 Менегетти А., Практика лидерства, М., 2008, გვ. 83.

რაც უფრო მეტი დრო გადის, ადამიანი უფრო და უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება კომპანიაში. დასაქმებულთა ინტელექტი, შემოქმედებითი უნარი, ინფორმაციის გადამუშავების და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა ხდება ის მთავარი სიმდიდრე, რაც თითქმის ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებას განაპირობებს. შესაბამისად, სწორედ ის კომპანიები, რომლებიც ახერხებენ მაქსიმალურად გამოიყენონ ადამიანებში არსებული ეს უნარი - აღწევენ წარმატებას.

ჩვენთვის ცნობილია ნაშრომები, რომელიც ეძღვნება ლიდერის და ლიდერობის ფენომენს ვერტიკალური მართვის ფორმატში, ანუ მართვას ოფიციალურად ზევიდან - ქვევით, არაოფიციალურად - ქვევიდან - ზევით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ორგანიზაციების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობის მართვის სტრუქტურაში ცვლილებები ხდება, კერძოდ, მთელი რიგი კომპანიები იწყებენ ვერტიკალური მართვის პარალელურად ჰორიზონტალურ ურთიერთობებს, ერთ სიბრტყეზე მართვას, ქსელურ მართვას. ასეთ დროს, ის რაც ვიცით ლიდერზე ვერტიკალური მართვისას, არ გამოგვადება ჰორიზონტალურ ანუ ქსელურ მართვაში. ასეთი ე. წ. "ბრტყელი" მართვისას ფუნქციებიდან და პროცესებიდან ყურადღება ქსელის კვანძებში ურთიერთდამოკიდებულ შესაძლებლობებზე უნდა გადავიტანოთ.

დავსვათ კითხვა: როგორ წარმოგვიდგება ქსელური მართვა?

ქსელური მართვის სტრუქტურაში გამაერთიანებელ როლს თამაშობს ცენტრალური რგოლი, რომელიც ელექტრონული კავშირებით ახერხებს კომპანიის დანარჩენ ქვედანაყოფებთან დაკავშირებასა და ინფორმაციის მიღებას. ეს განყოფილებები სრულიად დამოუკიდებელი არიან და ცენტრალურ რგოლს მოგებიდან მომსახურების საფასურსაც კი უხდიან. მართვის ქსელური სტრუქტურის ფორმა ქვემოთ მოტანილ №1 ნახაზზე გვაქვს წარმოდგენილი.

ქსელურ სტერუქტურას საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ კომპანია თავის თავზე იღებს მხოლოდ იმ სამუშაოს

შესრულებას, რომელიც მან ყველაზე კარგად იცის, დანარჩენ სამუშაოებს კი შესასრულებლად გადასცემს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სხვა ფირმებს.

კომპანიის ქსელურ სტრუქტურას უპირატესობებიც აქვს და ნაკლოვანებებიც. უპირატესობების რიცხვშია მოქნილობა და ადმინისტრაციული ხარჯების სიმცირე, ნაკლოვანებებს კი მიეკუთვნება ქსელის კვანძებზე და რგოლებზე კონტროლის არქონა და დასაქმებულთა ნაკლები ლოიალობა კომპანიისადმი,[1] ასეა თუ ისე, რადგან მართვის ქსელური სტრუქტურები კომპანიებში თანდათან ვრცელდება, მას უნდა მოეძებნოს ზოგადად მენეჯმენტის და კერძოდ, ლიდერის და ლიდერობის მისთვის შესაბამისი ფორმა. ჩვენს ნაშრომში ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ მისი ჩვენეული ხედვა.

ნახაზი 1. კომპანის ქსელური სტრუქტურა[2]

მანამდე შევეცდებით ერთმანეთს შევადაროთ მენეჯმენტის თვითრეგულირებადი, ქსელური მოდელი და ხაზობრივი ანუ ვერტიკალურ (იერარქიულ) მართვაზე დაფუძნებული მოდელი, აგრეთვე მათში განხორციელებული ბიზნეს - პროცესები (ცხრილი 1).

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ქსელური მენეჯმენტის სტრუქტურა მენეჯმენტის ხაზობრივი სტრუქტურის ანტიპოდია. ეს უკანასკნელი ფუნქციონალურად გაწონასწორებული მოდელია, რადგან მასში მეფობს რეგულირება, სტრა-

1 Дафт Р. Л., Менеджмент, М., 2008, გვ. 388.

2 ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2013, გვ. 91.

ცხრილი 1

ხაზობრივ - ფუნქციონალური და ქსელური მენეჯმენტის მახასიათებლების ურთიერთშედარება

ხაზობრივი, ფუნქციონალურად გაწონასწორებული მოდელი	თვითრეგულირებადი (თვითორგანიზებადი) ქსელური მოდელი
➢ სტაბილურობა	➢ ცვლილებები
➢ ინტეგრაცია (ბიზნეს-პროცესებში მონაწილეობაში)	➢ ორგანიზაციული და ინოვაციური ხასიათის კონფლიქტები
➢ დაქვემდებარებულობა	➢ ქსელური ურთიერთქმედება დროებითი კონსესუსის პირობებში
➢ რეგულირება	➢ ფუნქციონალური კოორდინაცია
➢ ცვლილებებზე უარი	➢ ინტერვენცია, როგორც წინსწრება
➢ სტრატეგიული დაგეგმვა	➢ საფრთხეები
➢ ორგანიზაციული სტრუქტურების გეგმური ცვლილებები	➢ რეინჟინერინგი, როგორც ნებისმიერ ცვლილებაზე უწყვეტი რეაგირება
➢ ადმინისტრირების ხაზით ლიდერობა	➢ ფაქტიური ლიდერობა

ტეგიული დაგეგმვა, ინტეგრაცია. ეს ყველაფერი იწვევს კომპანიაში სტაბილურობას.

რაც შეეხება კომპანიის მენეჯმენტის ქსელურ სტრუქტურას, აქ მუდმივად ცვლილებებია, რაც იწვევს ორგანიზაციული და ინოვაციური ხასიათის კონფლიქტებს და ამის გამო კონსესუსები დროებითია. აქ სიახლე, გარღვევა წინსწრებად და კონკურენტულ უპირატესობად ითვლება. კოორდინაცია მხოლოდ ფუნქციონალური ხასიათისაა. აქ არ არის სტრატეგიული დაგეგმვა, აქ - საშიშროებებია. შეიძლება ითქვას, რომ ქსელურ მართვაზე გადასვლა კომპანიაში წარმოადგენს მენეჯმენტის ხაზობრივ - ფუნქციონალურ ევოლუციას, რომელიც ეფუძნება საბოლოო პროდუქტის სტრატეგიულ პროგნოზს, რასაც ცვლის ნახტომისებური ევოლუცია, რომლის შედეგები უცნობია. რა თქმა უნდა, ასეთი არსებითი განსხვავებების გამო ლიდერის და ლიდერობის ადგილი და როლი ერთნაირი ვერ იქნება კომპანიების მართვის ხაზობრივ - ფუნქციონალურ და ქსელურ მოდელებში. ჰორიზონტალური მართვის სტრუქტურებში ჩვენი აზრით, აქტიურობას იძენს არა თანამდებობრივი ფუნქციები, არამედ რესურსმფლობელი (ფორმალური და არაფორმალური) პირები, ანუ ისინი, ვისაც ხელი მიუწვდება რესურსებზე კონფლიქტების და საშიშროებების დროს მათი მანიპულირე-

ბის მიზნით. ისინი აყალიბებენ ქსელურ ურთიერთობებს მათ ხელთ არსებული რესურსული შესაძლებლობების ფარგლებში.

გლობალიზაციის გაღრმავება და ბიზნეს - პროცესის გამრავალფეროვნებამ და აგრესიულობაში გადასულმა კონკურენტულმა აქტივობამ მენეჯმენტი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დააყენა. ერთ - ერთი ამოცანაა ლიდერის როლი და მნიშვნელობა ბიზნეს - პროცესში, ლიდერობის, როგორც კოორდინირების პროცესის სისტემაწარმომქმნელის შინაარსი და მასშტაბი.

მოცემული პრობლემის სირთულე მნიშვნელოვნად იზრდება (მარტივდება) სხვადასხვა მომიჯნავე ტენდენციების გავლენით, რომელთა შორისაა ბიზნესში საგნობრივი სფეროს განვითარების მიმართულებათა ვექტორების ცვლილება, ურთიერთობათა არასტაბილურობა და მოკლევადიანობა. ლიდერის და ლიდერობის განუსაზღვრელობას და გაურკვევლობას კიდევ მეტად ასაბუთებს მენეჯმენტის თემატიკაზე დაწერილი ნაშრომების უმრავლესობა, რომელთა ავტორები სხვადასხვა პოზიციებით უდგებიან ლიდერობას და სხვადასხვა ინტერპრეტაციით მოიხსენიებენ მას. ქართულ ენაზე შექმნილ ნაშრომებში (ა. ქიტაშვილი, ა. ასათიანი და სხვები)[1] ყველგან ლიდერი წარმოდგენილია წინამძღოლად, რომელსაც სხვებზე გავლენის მოხდენით შეუძლია განსაზღვრული მიზნის მიღწევა. რაც შეეხება ლიდერობას, იგივე მეცნიერების და აგრეთვე ზოგიერთი სხვა მეცნიერების (მ. მესკონის, მ. ალბერტის და ა. ხედოურის) აზრით, "ლიდერობა არის ცალკეულ ინდივიდებსა და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა... იგი ეფუძნება ყველაზე ეფექტიან გზას მასების საერთო მიზნისკენ გასაერთიანებლად". თითქმის იგივე აზრი აქვთ ა. ფილლის, პ. ჰაუსის, ლ. ედინგერს, ბ. კაცის და სხვებს.

თუმცა ასე არ არის ბევრი სხვა სპეციალისტების ნაშრომებში. მაგალითად, საკმაოდ კაპიტალური ნაშრომის "ლიდერობის გაკვეთილები" ავტორს ი. დაფტს[2] და აგრეთვე ვ. კოტილკოს

1 ქიტაშვილი ა., ლიდერობა და გუნდის მართვა, თბ., 2013, გვ. 15-16; ასათიანი ა., ლიდერობა და პერსონალის კაუჩინგი, თბ., 2011, გვ. 77.

2 Дафт Р., Уроки лидерства (пер. с. англ.), М., 2007, გვ. 107.

ლიდერობა დაყავთ მხოლოდ სამუშაო პროცესის მოტივაციის მიმართულებით ხელმძღვანელობაზე. ისინი იგნორირებას უკეთებენ თვითორგანიზაციას და ხაზს უსვამენ ქსელურ მენეჯმენტში მის განსაკუთრებულ გავლენას ჰორიზონტალურ სტრუქტურებზე, რაც კარგ პირობებს უქმნის ლიდერს, ლიდერობას და ამცირებს ადმინისტრაციულ ძალმომრეობას.

მაშასადამე, ჩვენს ეპოქაში, როცა გლობალიზაციამ დაიწყო გაშლა - გაფართოება, მენეჯმენტი და ლიდერობა ერთმანეთს უფრო აშკარად, შეიძლება ითქვას "მტრულად" დაუპირისპირდა. ბიზნეს - პროცესების გლობალიზაციამ, არასტაბილურობის, კონკურენციის და საფრთხეების გამწვავებამ, მათი ცვლილების დინამიკის დაჩქარებამ და ა. შ., მართვის ტრადიციული პარადიგმები ეჭვქვეშ დააყენა, რომელიც განსაკუთრებით ეხება ურთიერთობებს. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ურთიერთობების ახალ - ახალი თვისებები თვითნებურად ყალიბდება. მათი ხანგრძლივობა, სტაბილურობის და რაოდენობის განჭვრეტა შეუძლებელია. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ის მეთოდები და ხერხები, რომლებითაც ტრადიციულად არსებული მენეჯმენტით, თუ ლიდერობით ვმართავდეთ კოლექტივს, აღარ არის ისეთი ეფექტური, როგორც იყო აქამდე. მოხდა თვითორგანიზების თვითნებური ფენომენის წინა პლანზე წამოწევა. ამის მაგალითია ქსელური სტრუქტურები და მათში თვითნებურად (უნებლიედ) წარმოქმნილი ურთიერთობები, კონკრეტულ ბაზრობებზე დაუგეგმავად წარმოქმნილი ტრანზაციები და სხვა.

ამ პრობლემას, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს, თავისი გამოხმაურება მოჰყვა მეცნიერებთან. ეს გამოხმაურებები ახალია და შეიძლება ითქვას შექმნილია 2005 წლის შემდეგ. ამ გამოწვევას გამოეხმაურა ტ. ფრიდმანი, რომელმაც დაწერა ნაშრომი - "სოციალურ - ეკონომიკური პროცესების კლასიფიკაცია: ფორმატი - "გლობალიზაცია 1,0"; ფორმატი - "გლობალიზაცია 2,0" და ფორმატი - "გლობალიზაცია 3,0"; მართვის და ლიდერობის კონცეპტუალიზაციაზე - "მენეჯმენტი 2,0" ნაშრომი შექმნა გ. ხემელმა, რომელმაც მასში ჩამოაყალიბა 25 პრინცი-

პი და უარი თქვა მართვაში ხისტ იერარქიაზე; ასევე, ამ მიმართულებით ნაშრომები შექმნეს ფ. კოტლერმა, ი. აპელომ, კ. გალომ და სხვებმა.[1]

საბოლოო ჯამში ყველა ამ ნაშრომებმა გლობალიზაციის კონტექსტში ლიდერობის მიმართ ოთხი ზოგადი მიდგომა გამოამჟღავნა:

1. ანგლო-საქსური კოგნიტური მიდგომა, რომელიც მართვასაც და ლიდერობასაც სამართლიანად უდევს საფუძვლად;

2. შრომითი რესურსული მიდგომა, რომლის მიხედვით, როგორც იერარქიულ, ისე ქსელურ მენეჯმენტშიც და ლიდერობაშიც ბიზნეს - პროცესის მონაწილენი აირჩევიან და გამოიყენებიან არა მართვის ფუნქციების, არამედ, ბიზნეს - პროცესის ამოცანების მიხედვით;

3. თვითორგანიზებადი მიდგომა, როცა ერთი ადამიანის გადაწყვეტილება მთელ ორგანიზაციას მართავს. ამასთან, ლიდერები ადამიანებს კი არ მართავენ, არამედ მათი შესაძლებლობები მიჰყავთ საბოლოო შედეგებამდე;

4. ტრანზაქციური მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს ბიზნეს - პროცესის კლიენტებთან დროში და სივრცეში გაშლილ ურთიერთობებზე.

უკანასკნელ 10 წელიწადში მსოფლიოში მოხდა ცვლილებები, რომლებმაც შეცვალეს არა მარტო მსოფლიოს სახე, არამედ სოციალურ - ეკონომიკური განვითარების მიმართულება და იმ ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც ამ განვითარებას აპირობებენ.

ერთ - ერთი ამ ფაქტორთაგანი დაკავშირებულია კომპიუტერიზაციასა და ინფორმატიზაციასთან და აქედან გამომდინარე, იმ სერიოზულ შედეგებთან, რასაც იგი მოუტანს საზოგადოებას. ამ ძვრებს პ. დრუკერი ინფორმაციულ ძვრებს უწოდებს. მან დასაბამი მისცა ინფორმაციულ საზოგადოებას. ეს რევოლუცია იწყება ტელევიზიის შექმნით და გავრცელებით

1 Филипп А.,Виртултзация как возможный путь развития управления, ж. "Роблемы управления", №5, 1990, გვ. 97.

და მთავრდება ინტერნეტის მსოფლიო ქსელური სისტემის აგებით.[1]

ერთიანი ინფორმაციული ქსელის შექმნამ გამოიწვია ინფორმაციული სფეროს შექმნა (ზოგიერთი მეცნიერი მას კიბერსფეროს უწოდებს) და მთელ მსოფლიოში მივიღეთ შემდეგი შედეგები:

1. გლობალურ - ინფორმაციული სისტემის ფორმირებამ პლანეტის ყველა წერტილი დააკავშირა ერთმანეთთან, რითაც გარკვეულად შეკუმშა პლანეტის ბიზნეს სივრცე;

2. წარმოიქმნა განსაკუთრებული ინფორმაციული ტექნოლოგიები;

3. მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ცოდნა, კომპეტენტურობა.

ერას, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით პოსტინდუსტრიული ერა ეწოდება. ეს არის საზოგადოების ციფრების ერა. მასში ყველა ინფორმაცია იღებს ელექტრონულ - ციფრულ ენას და სინათლის სხივის სისწრაფით ვრცელდება კომპიუტერის მეშვეობით.

ეს არის ეპოქა, როცა კორპორაციები ნაწევრდება მცირე ორგანიზაციებად, უფრო ზუსტად "მოლეკულებად" და ეს მოლეკულები როგორც დ. ტაპსკოტი ამბობს, - შეიძლება იყვნენ ადამიანთა გუნდები, ანდა უბრალოდ ლიდერები,[2] კორპორაციის ეს ცალკეული "მოლეკულები" მოქმედებებსა და ფასეულობების შექმნაში თავისუფალი არიან.

კორპორაციების ასეთმა დაქსელვამ მოითხოვა მენეჯმენტში ლიდერობის ახლებური გაგება. წინა პლანზე წამოიწია ინტელექტუალურმა კაპიტალმა ანუ არამატერიალურმა რესურსმა. იგი გახდა ნებისმიერი ბიზნეს - ორგანიზაციის საფუძველი.

საქართველოს სინამდვილეში ასე წვრილ "მოლეკულებად" დაშლილი და მთელ მსოფლიოში მოფენილი კომპანიები არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს მცირე და საშუალო სიდიდის საწარმო-

1 Социология Основы общей теории, М., 2008, გვ. 694.

2 Топскотт Д., Электронно-цифровое общество, М., 1999, გვ. 82.

ებად დაშლილი კომპანიები, რომელთაც ეს "ქალიშვილი" და "შვილიშვილი" საწარმოები სხვადასხვა ქვეყნებში აქვთ გატანილი. ერთ-ერთი ასეთია სამშენებლო კომპანია "მედპროექტმშენი", რომელსაც უკრაინაში, აზერბაიჯანში და სომხეთში აქვს ასეთი საწარმოები და ქსელური მართვით მუშაობს. ასეთივეა გერმანელების მიერ თბილისში დაფუძნებული "პროკრედიტბანკი", რომელიც თვითონ წარმოადგენს გერმანიის ბანკის "ქალიშვილ" ბანკს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მართალია, დღეს საქართველოში მსხვილი კორპორაციები არა გვაქვს, მაგრამ მომავალში ისინი გაჩნდებიან და რაც მოხდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ის მოხდება ჩვენთანაც. ანუ მოხდება ასეთი კორპორაციების დანაწევრება - დაქსელვა ცალკეულ ორგანიზაციებად. ესენი შეიძლება იყონ "ქალიშვილი" ორგანიზაციები, ფილიალები და სხვები, რომლებიც შეიძლება ერთ ქვეყანაშიც არ იყვნენ განთავსებული. ასეთ შემთხვევაში კორპორაციები იმუშავებენ ქსელური მართვის სტრუქტურით.

ჩვენი აზრით, ქსელური მართვის პირობებში ლიდერის თვისებები განსხვავებული იქნება ვერტიკალური ხაზობრივ-ფუნქციონალური მართვის პირობებში მომუშავე ლიდერისგან (იხ. ცხრილი 2). ქსელური მართვის პირობებში ლიდერი გლობალურად აზროვნებს, რადგან კორპორაციის ცალკეული საწარმოები (უცხოელი მეცნიერები მათ "მოლეკულებს" უწოდებენ) სხვადასხვა ქვეყნებში არიან განლაგებულნი და მუშაობენ საერთაშორისო ბაზარზე. ქსელური სტრუქტურის ლიდერს მოეთხოვება იცოდეს ყველა იმ ქვეყნის კულტურა და ანგარიშს უწევდეს მათ. ამის გარეშე ლიდერი წარმატებებს ვერ მიაღწევს.

ცხრილში მოცემული გვაქვს ქსელური სტრუქტურის ლიდერის და ვერტიკალური იერარქიის მქონე კორპორაციის ხელმძღვანელის თვისებების შედარება. ასეთი შედარებები მრავალ ქართულ და არაქართულ სახელმძღვანელოებშიც არის მოცემული, მაგრამ იქ ავტოკრატულ ხელმძღვანელს უდარდება არა ქსელური სტრუქტურის ლიდერი, არამედ ჩვეულებრივი ვერტიკალური იერარქიის მქონე ხაზობრივ - ფუნქციონალ-

ური სტრუქტურის ლიდერი. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი არის ერთი და იგივე მართვის სტრუქტურის მენეჯერის და ლიდერის შედარება. ჩვენს მიერ მოტანილ შედარებაში კი ისინი მართვის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები არიან.

ცხრილი 2

ლიდერობა იერარქიულ და ქსელურ მართვაში

ხელმძღვანელი იერარქიულ (ვერტიკალურ) მართვაში[1]	ლიდერი ქსელურ მართვაში[2]
ინიშნება მუდმივად ან დროებით	თავის თავზე იღებს ხელმძღვანელობას
ღებულობს და იერარქიაში ინარჩუნებს თავის სტატუსს	უპირისპირდება ხელმძღვანელს გლობალურ დონეზე არსებულ კლიენტებთან ურთიერთობაში
იღვწის ხაზობრივ-ფუნქციონალურ წესრიგისკენ კომპანიაში	იღვწის გლობალურ დონეზე კლიენტების შედგენილობაში და მასთან ურთიერთობაში ცვლილებებისთვის
მოქმედებს კორპორაციაში წესების, რეგლამენტების და პროცედურების ჩარჩოში	მოქმედებს გლობალურ დონეზე მიღებული წესებით, პროცედურებით და რეგლამენტებით
გაურბის რისკებს	შთააგონებს კლიენტებს კომპრომისს
ამუშავებს და ადგენს კორპორაციაში მართვის წესრიგს, მოქმედებების ეტაპებს და პერსონალის მიერ მათი შესრულების ვადებს	ტრანზაქციურ ხარჯებში არსებული შეზღუდვების მხედველობაში მიღებით მიდის რისკზეც
აქცენტს აკეთებს სტრატეგიის და ტაქტიკის მნიშვნელობაზე, სტრუქტურის სტაბილურობაზე	ამუშავებს კონცეფციებს და ჰიპოთეზებს, სამუშაო მეთოდიკებს და ახდენს გუნდთან ერთად მათ რეალიზაციას გლობალური მასშტაბით
მუშაობს დასახული მიზნით	თვითონ ისახავს გლობალურ მიზანს
დაგეგმილ საქმეებს აკეთებს სწორად	მხოლოდ სწორ საქმეებს აკეთებს
რაზმავს პერსონალს სამუშაოდ	ხიბლავს პერსონალს თავისი ქმედებებით და მათ ჩართავს საქმეში
ინტერესდება შრომის მწარმოებლურობის ზრდით	➢ აქცენტს აკეთებს მსოფლიო დონის ფუნდამენტალურ ფასეულობებზე, პრინციპებზე, თამაშის წესებზე; ➢ დაინტერესებულია კლიენტებთან ქსელური და ქსელთაშორისი ურთიერთობების ეფექტურობით; ➢ ახდენს თანამოაზრეებთან გუნდის შეკვრას გლობალური მასშტაბით.

მოცემულ ცხრილში იერარქიულ სტრუქტურაში მომუშავე ხელმძღვანელის თვისებები სხვადასხვა ნაშრომებიდან არის ამოკრეფილი, ქსელურ სტრუქტურაში მომუშავე ლიდერის თვისებები კი, ჩვენი კონცეპტუალური მოსაზრებებია, რასაც საფუძვლად უდევს სწორედ ამ ლიდერის მიერ ბიზნეს - პროცესების გლობალური ხედვა.

ქსელურ სტრუქტურაში მომუშავე ლიდერი, რომელსაც სწო-

რედ ამ ქსელის წყალობით მთელ მსოფლიოსთან აქვს კავშირი, ჩვენი აზრით, უნდა ამყარებდეს და აფართოებდეს, როგორც პროფესიულ, ისე პირად კავშირებს. ამ კონტაქტების ფორმები და თვით ლიდერის სახე ამ კონტაქტებში ქართული კომპანიებ-ის ლიდერებისთვის გლობალურ დონეზე ასე წარმოგვიდგენია (ცხრილი 3).

ცხრილი 3

ქსელურ სტრტუქტურაში მომუშავე ლიდერის სარეკომენდაციო კონტაქტები და პიროვნული სახე[1]

დასახელება	პროფესიული კონტაქტები	პიროვნული კონტაქტე-ბი	ქსელური კონტაქტები
ამოცანები	ეფექტურად და პროფესიო-ნალურად ასრულებდეს სა-მუშაოს და კოლეგებს თავს აცნობდეს მაღალპროფესი-ონალად	ეკონტაქტებოდეს ისეთ ადამიანებს, ვისგანაც მუმდივად რაღაცას ის-წავლის და განვითარდე-ბა	პრიორიტეტების და პრობლემების გამოკ-ვეთა
ურთიერთობები	კონტაქტს ამყარებდეს სა-მუშაოს პრობლემური ამ-ოცანის ირგვლივ	ეკონტაქტებოდეს საერ-თო ინტერესების მქონე ადამიანებს	ვერტიკალური და ჰო-რიზონტალური კონ-ტაქტები
მეკავშირეები	მეკავშირეებად აირჩიოს საქმიანობით კოლეგა	მეკავშირედ აირჩიოს პი-რადი სიმპათიის მიხედ-ვით	-
კავშირის არჩე-ვანი	კონკრეტული საქმე (ბიზ-ნეს-პროცესი, მენეჯმენტის ტექნოლოგია)	პირადი ინტერესი, პირადი სიმპათია	-

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ჩვენ ვთვლით, რომ ქსელურ სტრუქტურაში მომუშავე ლიდერი თავისი კავშირებით უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს გლობალურ დონეზე. მისი ზრდა - განვითარება გარე გარემოსთან ინტენსიური კავშირით უნდა მოხდეს - ნახოს, მოისმინოს, დაიმახსოვროს და გამოიყ-ენოს.

1 ჩვენი კონცეპტუალური მოსაზრებები.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება შემდეგი დასკვნები:

• ლიდერი სიახლის ინიციატორია და იგი შთააგონებს ორგანიზაციის კოლექტივს ამ სიახლის რეალიზაციის აუცილებლობას;

• შთაგონება მხოლოდ და მხოლოდ ლიდერისადმი კოლექტივის ნდობით ხორციელდება;

• ადამიანი თანამედროვე მენეჯმენტში უფრო და უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება კომპანიაში;

• დღითიდღე აქტუალური ხდება მენეჯმენტის ახალი სტილი, რომელიც ლიდერობაზე ადამიანის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების უნარზეა დაფუძნებული;

• მენეჯერები იცვლებიან ლიდერებით თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და მისი საწყისი სიმპტომებიც გაჩნდა საქართველოში;

• გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ბიზნეს პროცესის გამრავალფეროვნებამ და აგრესიულობაში გადასულმა კონკურენტულმა აქტივობამ მენეჯმენტი და ლიდერობა ერთმანეთს უფრო აშკარად დაუპირისპირა;

• შეიძლება ითქვას, მოხდა მენეჯმენტში თვითორგანიზების თვითნებური ფენომენის წინა პლანზე წამოწევა. ამის მაგალითია ქსელურ სტრუქტურებში და მათში თვითნებურად (უნებლიედ) წარმოქმნილი ურთიერთობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნორთჰაუზი პ., „ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2010;

2. ჟვანია ი., კიკნაძე გ., ლიდერი და ლიდერობა, თბ., 2009;

3. ქიტაშვილი ა., ლიდერობა და გუნდის მართვა, თბ., 2013;

4. ხარაძე ნ., ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება, თბ., 2009;

5. Дафт Р. Л., Менеджмент, М., 2008;

6. Топскотт Д., Электронно-цифровое общество, М., 1999;

7. Филипп А.,Виртуализация как возможный путь развития управления, ж. “Роблемы управления”, №5, 1990;

8. C.Arguris Personality and Organization.-New York: Harper & Row. 1957;

9. I.K. Adizes „Leading the leaders” 2004;

10. J. Kotter. Interview - http://managementconsultingnews.com/interview-john-kotter;

11. R. Tannenbaum and W. Schmidt “ How to Choose Lender – Ship Patter”, Harvard Business Revieew, May-June, 1973.

REFERENCES:

1. A. Fillip “Virtualization as a possible way of managing”, “Management difficulties”, №5, 1990;

2. A. Kitiashvili, “Leadership and Team Management”, Tbilisi, 2013;

3. C. Arguris Personality and Organization.-New York: Harper & Row. 1957;

4. D. Topskott “Electronic Digital Society”, 1999;

5. I. Jvania, I. Kiknadze “Leader and Leadership” Tbilisi, 2009;

6. I.K. Adizes „Leading the leaders” 2004;

7. J. Kotter. Interview - http://managementconsultingnews.com/interview-john-kotter;

8. L.R. Daft “Management”, 2008;

9. N. Kharadze, “Lidership and Art of People Management”, Tbilisi 2009;

10. Peter G. Northouse “Leadership: Theory and Practice”;

11. R.Tannenbaum and W.Schmidt “ How to Choose Lender – Ship Patter”, Harvard Business Revieew, May-June, 1973.

THE NEW APPROACHES TO LEADERSHIP AND ORGANIZATIONAL CULTURES IN THE CONDITION OF GLOBALIZATION IN THE CONTEXT OF NETWORK MANAGEMENT

Nino Mkheidze,
PhD Student of Caucasus International
University, Tsiala Lomaia , PhD, Professor

RESUME

The paper sets out the role of a leader in business processes as well as the advantages and disadvantages of the network management.

We have also studied the features of a leader in hierarchical and network management. We are presenting some recommendation contacts and individual face of a leader working in the network structure in the form of a table.

Deepening globalization, the diverse business processes and competitive activities turned into the aggression that pose the serious tasks to the management.

In the success process of a company not only the human role and importance is changed but the management style alters as well. Managers, whose function mostly was planning and coordination of staff up to now, find it difficult to cope with the new tasks.

The new style of management is gradually becoming actual, which is based on leadership and better utilization of human skills. Managers are changed by leaders. This process has started everywhere, in every country throughout the world, and its initial symptoms appeared in Georgia as well.

KeyWords*:* Globalization, Leader, Management, Network Management, Network Structure, Linear Model.

გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითარებადი აზიის ასწლეული

გურამ ჯოლია
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ბოლო პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: მოწინავე ეკონომიკებმა პოზიციები მნიშვნელოვნად დათმეს, სანაცვლოდ გაძლიერდა განვითარებადი ქვეყნები, განსაკუთრებით კი, სამხრეთ აზიის რეგიონის ფინანსური და ეკონომიკურ-ტექნიკური პოტენციალი.

საყოველთაო გლობალიზაციამ მისი მეორე მხარე წარმოაჩინა, რაც ფრაგმენტაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციების გაძლიერებაში აისახა.

იმავდროულად შეინიშნება გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია. „ვაშინგტონის კონსენსუსი“, რომელიც მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთადერთ მისაღებ მოდელად ითვლებოდა, თანდათან „პეკინის კონსენსუსით“ იცვლება – სამხრეთ აზიის ქვეყნები, სადაც უდიდესი რაოდენობის ადამიანისეული და ფინანსური რესურსებია კონცენტრირებული, განვითარების საკუთარ გზას ირჩევენ. სამყარო ერთპოლარულის ნაცვლად, პოლიცენტრული ხდება.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩინეთის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური აღმასვლა. იგი „მსოფლიო ფაბრიკიდან“, „მსოფლიო ლაბორატორიად“, სუბრეგიონის თავისებურ ლოკომოტივად ფორმირდება. ძლიერდება ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი (იქმნება „ტვინის ცენტრები“) და მსოფლიო სატრანსპორტო („ახალი აბრეშუმის გზა“) და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურებში ჩართვის მასშტაბები. პეკინში დაფუძნდა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიის ბანკი. დაისახა ჩინეთის საგარეო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი პრიორიტეტები, რომლის რეალიზაციაში განსაკუთრებით გამოიკვეთა „გონებრივი ძალის“ ფაქტორი. მუშავდება „აზიაში უსაფრთხოების ახალი კონცეფცია“.

ჩინეთმა წამოაყენა ეკონომიკური განვითარების ახალი პროექტი ე.წ. „ახალი ნორმები“, რომელიც ითვალისწინებს გეგმური მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპების შენელებას (დაახლოებით, 5-6%-მდე), ასევე ინოვაციურ და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე გადასვლას.

ჩინეთი გამოდის ინიციატორად უარი ვთქვათ მშპ-ის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ მაჩვენებელზე. სანაცვლოდ გვთავაზობს მოსახლეობის ცხოვრების შეფასების ხარისხობრივ ორიენტირებს, ინოვაციების ათვისების დონეს, „მწვანე და ცისფერი (სუფთა წყალი) ეკონომიკების“ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, კონსენსუსი, ექსპანსია, ფრაგმენტაცია, ლოკალიზაცია, ალტერნატივა, მოდერნიზაცია, ცივილიზაცია, რელატივიზმი, დემოკრატია, ავტორიტარიზმი, ევროატლანტიკური, პოლიცენტრული, ლიბერალიზმი, ესკალაცია, ფუნდამენტალიზმი, ტრაიბალიზმი, რადიკალიზმი, პილარი, ინფრასტრუქტურა, კონცეფცია.

1. **„ვაშინგტონის კონსენსუსიდან“ „პეკინის კონსენსუსისაკენ“**

XXI საუკუნის განვლილი პერიოდი მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებებით გამოირჩევა. მოწინავე ეკონომიკური ცენტრები პოზიციებს კარგავენ, ხოლო „პერიფერიის“ ზოგიერთი ქვეყნები, პირიქით, ეკონომიკურად უფრო ძლიერდებიან. მეცნიერთა აზრით, ასეთი პროცესები არსებითად ეპოქათა ცვლილებას ნიშნავს, რაც, უდავოა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე რეალურად აისახება.

ჩგლობალიზაცია გახდა მსოფლიოში დასავლეთის ექსპანსიის ხარისხობრივად ახალი ეტაპი, რომელმაც თანამედროვე ოიკუმენი[1] ახალ პირობებში ერთ მთლიანობაში გააერთიანა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე გლობალიზაციის იდეოლოგიური საფუძვლები ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსით“[2] შეიქმნა. მასში ცენტრალური ადგილი უკავია თეზისს გლობალიზაციის ახალი ერის დადგომის შესახებ, რომელიც მოწოდებულია გახდეს თავისუფალი ბაზრის ტრიუმფი, მკვეთრად შეამციროს ეკონომიკაში სახელმწიფოს

1 ძვ. ბერძ. οἰκουμένη – მსოფლიო, დასახლებული სამყარო.

2 რეკომენდაციები, რომელიც 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევისთანავე შეიმუშავა ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორმა ჯონ უილიამსონმა.

ჩარევის ხარისხი და, რაც მთავარია, მოხდეს ყველა იმ ბარიერის სრული დემონტაჟი, რომლებიც ხელს უშლის საქონლის, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას მთელ მსოფლიოში.[1]

„ვაშინგტონის კონსენსუსი", როგორც სტრატეგიული პროგრამა, თავდაპირველად დამუშავდა ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ამერიკის ბანკების დიდი დავალიანება ჰქონდათ. ეს პროგრამა მათი ეკონომიკების სტრუქტურულ გარდაქმნას ითვალისწინებდა. თუმცა, მან კრახი განიცადა, რადგან, როგორც ნობელიანტი **ჯოზეფ სტიგლიცი** მიიჩნევს, ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის თავისებურებებზე იქნება დაფუძნებული. შეუძლებელია ერთიანი, უნივერსალური პოლიტიკა ყოველი რეფორმირებადი ქვეყნისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა და ტენდენციებმა ამ პროგრამაში არსებითი კორექტივები შეიტანა. თავისებური წყალგამყოფი აღმოჩნდა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2007 წელს აშშ-ის იპოთეკური ბაზრიდან დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა. უდავოა, რომ ამ კრიზისს სისტემური ხასიათი აქვს და ტექტონიკურ (სიღრმისეულ) ძვრებს იწვევს არა მარტო ეკონომიკის ფუძემდებლურ ფასეულობებში, პრინციპებსა და მითითებებში, არამედ მთლიანად მსოფლწესრიგში. კრიზისი გახდა იმ დიდი აისბერგის ხილული მწვერვალი, რომლის უმეტესი და, თანაც, უხილავი ნაწილი თანამედროვე საზოგადოების ღრმა ფენებშია დამალული.

მიმდინარე ტრანსფორმაციის არსი მდგომარეობს ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრების შეღწევადობის უპრეცედენტო გადიდებაში, რაც იწვევს საკუთრების, სიმდიდრის, ცოდნის, მეცნიერების, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გაშორიშორებას, და შედეგად, ხალხებს, სახელმწიფოებსა და რეგიონებს შორის გეოპოლიტიკური ძლიერებისა და ენერგიის დიფუზიასა და ძალთა გადანაწილებას. ეს პროცესები განაპირობებს საზოგადოებაში მიღებული „თამაშის წესების", სოციოკულტურული ფასეულობების, ქცევის სტერეოტიპებისა და სხვათა ეროზიას, რომლის კონტროლი მსოფლიოს რომელიმე ერთი ცენტრიდან, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება.

ამ მსჯელობის საფუძვლიანობას რეალურად ასახავს მსოფლიო

1 Гаджиев К. С. (2015). Об инверсии Вектора и функциий глобализации. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №7, С. 16-28.

ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე მოვლენები. მაგ., თუ გასული საუკუნის 90-ან წლებში 20 უმსხვილესი ნავთობაიროვანი კონცერნიდან თითქმის ნახევარი ამერიკული იყო, ხოლო დანარჩენი – ევროპული, 2000-ანი წლების შუა პერიოდში სრულიად სხვა სურათი ჩამოყალიბდა: მსოფლიო ენერგეტიკაში ამერიკის წილი 30%-მდე შემცირდა, ხოლო აქტივების 35% რუსეთზე, ინდოეთზე, ჩინეთსა და ბრაზილიაზე გადავიდა.[1]

დღეისთვის 20 უმსხვილესი ეკონომიკიდან, 10 განვითარებადი ბაზარია. ჰიპოთეზურად ჩამოყალიბდა ახალი „დიდი შვიდეული“ – G7 (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, რუსეთი, მექსიკა, ინდონეზია და თურქეთი), რომლის ერთობლივი მშპ-ის მოცულობა 37,8 ტრილიონი დოლარია, ხოლო ძველი „დიდი შვიდეულის“ – G7-სა (აშშ, იაპონია, ჩგერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა) – 34,5 ტრილიონი დოლარი.[2]

რა თქმა უნდა, შეიძლება ეს ციფრები პირობითად მივიჩნიოთ, მაგრამ მსოფლიო სიმდიდრის, ძალის, ძალაუფლებისა და გავლენის გადანაწილებაში რეალურ ძვრებს ასახავს.

რამ განაპირობა ყოველივე?

უმთავრესად, გლობალიზაციამ და ინფორმაციულ-კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა, რომლებმაც შექმნეს სწრაფი აღორძინების პირობები ჯერ „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში“, შემდეგ კი – მთლიანად განვითარებად სამყაროში, უპირველესად, ჩინეთში, ინდოეთში, სიგაპურში, ბრაზილიაში... საუბარია დასავლურ ტექნოლოგიებსა და ეკონომიკის მოდერნიზაციის გამოცდილებაზე.

დღეს დასავლეთი ფაქტობრივად კარგავს უახლეს ტექნოლოგიებზე კონტროლს, რომლებსაც საკუთარი ინტერესებისთვის კარგად იყენებს განვითარებადი ქვეყნები. უფრო მეტიც, შესაძლოა დასავლეთში შექმნილი ნოვაციები მომავალში მათ საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული.[3]

წინა საუკუნეებში დასავლეთის მრავალ ცნობილ მოღვაწეს (მაგ.,

1 Канаев П. Америка теряет энергию. [Available at: http://www.vz.ru/economy]

2 Financial Timnes: в мире возникла новая «Большая семерка» экономик. [Availadle at: http://ria.ru/economy/20141008/1027482357.html]

3 Гаджиев К. С. (2015). Об инверсии Вектора и функциий глобализации. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №7, С. 16-17.

გერმანელ ფილოსოფოსს **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს**, გერმანელ სოციოლოგსა და ფილოსოფოსს, **მაქს ვებერს**, ფრანგ სოციოლოგსა და ფსიქოლოგს, **გუსტავ ლებონს**) მიაჩნდათ, რომ სოციალური, ტექნოლოგიური და პროგრესის სხვა ფორმების მიმართ აღმოსავლეთის ხალხი პასიურები, ზარმაცები, უუნაროები და სიტუაციის შემგუებლები არიან. მათთვის უცხოა აქტიურობა და მაძიებლობა. ისინი აზიელებს, ევროპელებთან შედარებით, დაბალი დონის არსებებად თვლიდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, ჩამორჩენილობას მათივე ტრადიციული ისტორიული წარსულით ხსნიდნენ და ტრანსფორმაციისთვის ჩინური ცივილიზაციის მზადყოფნას მცირე შესაძლებლობად განიხილავდნენ.[1]

ასეთი იდეოლოგია ფორმულირებდა პოსტულატით – **„თეთრი ადამიანის ტვირთი“**, რომელსაც მსოფლიო მისია ეკისრებოდა – უმეცრების სამყაროდან აზიისა და აფრიკის ხალხთა გამოყვანა და გადარჩენა.

ერთ-ერთი უძველესი ჩინური იდეოლოგია – კონფუციანელობა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნიდან მომდინარეობს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოდერნიზაციის გზაზე მთავარ დაბრკოლებად მიაჩნდათ. დასავლეთში აზია განიხილებოდა, როგორც ყვითელი რასის საყოველთაო მუქარა, დესპოტიზმისა და მორჩილების სიმბოლო, ევროპული თავისუფლებისა და თანასწორობის საპირისპირო. ამიტომ იგულისხმებოდა, რომ აღმოსავლეთს არა აქვს განვითარების სხვა ალტერნატივა და მხოლოდ დასავლეთის მიერ შეთავაზებულ ერთადერთ მოდელს უნდა იყენებდეს.

ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, გერმანელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, **კარლ იასპერსი** ამტკიცებდა, რომ ცივილიზაციის წინა ეპოქებისგან განსხვავებით, მიმდინარე ეტაპზე მთელმა კაცობრიობამ დასავლეთის მიერ მოწონებული გზით უნდა იცხოვროს.[2]

შესაძლოა ამგვარ იდეებს, რომლებიც ევროცენტრისტული

1 Вебер М., (1990). Избранные произведения. М., Прогресс. 804 с.; Лебон Г. (1898). Психология народов и масс. М., 300 с.// Гаджиев К. С. (2015). Об инверсии Вектора и функциий глобализации. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №7, С. 16-17.

2 Ясперс К. (1994). Смысл и назначение Азии. Япония о себе и мире. М., С.10.

მსოფლიო წესრიგის ბატონობის პერიოდში (XVIII–XX სს.) ჩამოყალიბდა, იმ დროის შესაბამისი წონადი არგუმენტები ჰქონდა, მაგრამ დღეს, მსოფლიოს ახალი რეალობებიდან გამომდინარე, როცა ოიკუმენი პოლიცენტული ხდება (ან უკვე გახდა), ისინი, უსათუოდ, ისტორიის არქივს უნდა ჩაბარდეს. თუმცა, ამის გაცნობიერება დასავლეთში მრავალს უჭირს ან არ უნდა.

ნიშანდობლივია, რომ „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში", ე.წ. „აზიურ ვეფხვებში", მოდერნიზაციის პროცესებისა და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური განვითარების ტემპების დაჩქარება კონფუციანელობის გავლენის რენესანსითა და დიდი პოპულარობით მოხდა. ამ უძველესმა ჩინურმა სიბრძნემ, როგორც ფილოსოფია-იდეოლოგიამ, ახალი იმპულსი შეიძინა და ქვეყნის მძლავრი ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი გახდა. აღმოსავლურ-აზიური თანამედროვე კონფუციანელობა, როგორც განახლებული იდეოლოგიური ფენომენი, დასავლური კაპიტალიზმისა და ევროპული სოციალიზმის გვერდით საზოგადოების ფუნდამენტური განვითარების პიედესტალზე ღირსეულად და თანაბრად დადგა.

სწორედ ამ ლოგიკით, კონფუციანელობამ, რომელიც ქადაგებს საყოველთაო დისციპლინასა და მომჭირნეობას, ასევე XX საუკუნის 70-ანი წლების დასაწყისიდან კომუნისტური რეჟიმის მაოსტურ იდეოლოგიაზე უარის თქმამ, არსებითად, ჩინეთის ეკონომიკური აღმასვლა განაპირობა.

აღმოსავლეთ აზიაში სოციალური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარღვევების პარალელურად, კულტუროლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური რევოლუციაც მოხდა. ამ რეგიონის ხალხმა, დასავლეთთან მიმართებაში, თითქმის გადალახა დამკვიდრებული არასრულყოფილების კომპლექსი და საკუთარი იდეების, ფასეულობებისა და პრინციპების ისეთი ორგანული ერთობლიობა ჩამოაყალიბა, რომელიც რეგიონული განვითარების, ე.წ. „აზიური მოდელის" საფუძველი გახდა.

რაში მდგომარეობს განვითარების აზიური მოდელის მთავარი განმასხვავებელი თავისებურებები?

დღევანდელი აზიური ფასეულობები წინააღდეგობაშია დასავლურ ლიბერალიზმთან და სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებთან. დასავლეთის თანამედროვე საზოგადოებას გამუდმებით კონფლიქტი

აქვს კოლექტიურ და კერძო საწყისებს შორის, მაშინ, როცა „აზიური იდეა“ ერთიან სისტემაში მათ ჰარმონიულად შერწყმასა და ინტეგრირებას ცდილობს.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ადამიანის უფლებების საყოველთაო ხასიათი. კერძოდ, „ბანკოკის დეკლარაციაში“, რომელიც აზიის სახელმწიფოებმა 1993 წელს მიიღეს, ხაზგასმულია, რომ წევრი-ქვეყნები თავიანთ ერთგულებას ადასტურებენ გაეროს წესდებითა და 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ აღიარებული პრინციპებისადმი და მიზანშეწონილად მიაჩნიათ მათი მთელ მსოფლიოში გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებს უნივერსალური და განუყოფელი ხასიათი აქვს, აზიის სახელმწიფოთა აზრით, ისინი განხილული უნდა იქნან რელატივიზმის (ფარდობითობის) ასპექტში, ანუ საერთაშორისო ნორმაშემოქმედებითი, დინამიური და განვითარებადი პროცესების კონტექსტში, ნაციონალური და რეგიონული თავისებურებებისა და სხვადასხვა ისტორიული, კულტურული და რელიგიური ტრადიციების გათვალისწინებით (ბანკოკის დეკლარაციის $8).[1]

დღევანდელი აღმოსავლეთ აზია მსოფლიოს უმსხვილესი პოტენციალის მქონე სუბრეგიონია და მისი როლი უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება. მომავალი კი იმ ხალხთა და კულტურათა საუკუნე იქნება, რომლებიც ინდივიდუალური და კოლექტიური, დასავლური და აღმოსავლური საწყისების ოპტიმალურად შერწყმას შეძლებენ.

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ჩინეთმა ეკონომიკის განვითარების უპრეცედენტო აღმასვლა აჩვენა. იგი სუბრეგიონის თავისებური ლოკომოტივი გახდა, რომელიც უხმაუროდ და სწრაფი ტემპებით აგრძელებს აღმასვლას. მან ცხადად აჩვენა, რომ მსოფლიო კრიზისი – ესაა მასშტაბური დანაკარგებისა და, იმავდროულად, უდიდესი შესაძლებლობების პერიოდი. ნამდვილად, კრიზისის პირობებში იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც მკაფიო და აწონილი ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდათ, ყველაზე ამბიციური გეგმების რეალიზაცია შესძლეს და ამით მსოფლიოს ტრადიციული

1 Всемирная конференция по правам человека: доклад регионального совещания для Азии в рамках всемирной конференции по правам человека. Банкок, 29.03-02.04, 1993 года (Document UN. A/CONF.157/ASRM/8; A/CONF.157/PC/59).

ფინანსური „მმართველები“ გვარიანად შეავიწროვეს.

ამიტომ გასაკვირი არ არის გაზრდილი პოპულარობა, ე.წ. **„პეკინის კონსენსუსისადმი“**.[1] ეს ახალი ტერმინი მოდერნიზაციის ჩინური მოდელია, სადაც წამყვანი როლი ეკუთვნის: ეკონომიკაში სახელმწიფოს, ეროვნულ სუვერენიტეტს კი, – „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პრინციპებთან მიმართებაში.

„პეკინის კონსენსუსის“ მოდელის განმსაზღვრელი მიმართულებები ორ ეტაპად ვითარდება:

პირველი ეტაპი:

1. ერთგულება ინოვაციებისა და ექსპერიმენტებისადმი – ყველა სიტუაციაში ერთადერთი გონივრული და მისაღები გადაწყვეტილება არ არსებობს;

2. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების, როგორც პროგრესისა და სიმდიდრის განაწილების მთავარი მაჩვენებლის, სტატუსის დაქვეითება.

მეორე ეტაპი:

3. ფინანსური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ინკრიმენტალური ანუ რეფორმების თანდათანობით გაფართოება. სახელმწიფო კაპიტალიზმი და არა სოციალისტური დაგეგმვა ან თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმი. ავტორიტარიზმი და არა დემოკრატია ან ავტოკრატია.

ჩინეთის ეკონომიკურ აღმასვლასთან მიმართებაში საყურადღებოა ძველი ჩინელი (ძვ.წ. VI ს.) სამხედრო სტრატეგისა და დიდი მოაზროვნის, ავტორი ტრაქტატისა „ომის ხელოვნება“, **სუნ ძინის** შეხედულება: **უმაღლესი სრულყოფილება მდგომარეობს არა იმაში, რომ იბრძოლო და ყველა ბრძოლაში გაიმარჯვო, არამედ მტრის წინააღმდეგობა უბრძოლველად დასძლიო.**

ამერიკისგან განსხვავებით, რომელიც თავისი მიზნების მიღწევას იარაღის ძალით, სხვადასხვა წინასწარი პირობებითა და სანქციებით ცდილობს, ჩინეთი მსოფლიოზე გავლენას ისეთი საშუალებებით აძლიერებს, როგორიცაა ნაციონალური სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელის რეალიზაცია, წინაპი-

1 მისი ავტორია ინგლისელი პოლიტიკური ექსპერტი, ჟურნალ „თაიმსის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ჯოშუა რამო. მოტივი: ეკონომიკური განვითარების „ვაშინგტონის კონსენსუსის“ მოდელის ალტერნატივა. მიზნობრივი „მომხმარებლები“ – განვითარებადი ქვეყნები.

რობებსა და სანქციებზე უარის თქმა.

თავის დროზე ჩინეთის დიდმა რეფორმატორმა **დენ სიაპინმა** პეკინის საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები მკაფიოდ და ლაკონურად ასე ჩამოაყალიბა: **„დაელოდე ჩრდილში“, „იმოქმედე შეუმჩნევლად“, „არასოდეს განაცხადო ლიდერობის პრეტენზია“.**

მიმდინარე ტენდენციები მოწმობენ, რომ გლობალიზაციის დამწყები პროცესები უკვე აღარ არის თანამედროვე კაცობრიობის ხვალინდელი დღის ერთადერთი გამგებელი. საკითხის არსია ევროატლანტიკური ზონის ნაციონალური ეკონომიკების (მათ შორის, იაპონიის ჩართვით) ძირითად პარამეტრებზე დაფუძნებული, ერთპოლარული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დასრულების ლეგიტიმაცია. შედეგად, მსოფლიო ეკონომიკა საბოლოოდ გადაიქცა პოლიცენტრულ სისტემად, რადგან ევროატლანტიკურ შემადგენელთან ერთად, ოიკუმენის არენაზე მკაფიოდ გამოჩნდა ძლიერი ეკონომიკური ცენტრი ჩინეთისა და „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ სახით.

როგორც ჩანს, გლობალიზაცია, როგორც დასავლეთის თავდაპირველი პროექტი, თანდათან იცვლის ვექტორს, დანიშნულებასა და მიზნებს. იგი თავისებურ ინვერსიას განიცდის, რადგან სწაფაღმავალი აღმოსავლეთის დღევანდელ ინტერესებს უფრო კარგად პასუხობს. თუ წინათ დასავლეთი მხოლოდ უტევდა, თანამედროვე პირობებში დაცვით პოზიციას იკავებს.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ოიკუმენის მთელ სივრცეში დასავლეთის კულტურული სტერეოტიპების ექსპანსია კვლავ გრძელდება, მათ სულ უფრო მეტად უჭირთ საკუთარი სულიერი და მორალურ-ეთიკური ფასეულობებისა და პრინციპების უპირატესობებში სხვა ხალხთა დარწმუნება.

Aადრე ვარაუდობდნენ, რომ გლობალიზაცია ლიბერალიზმის, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებისა და „ვაშინგტონის კონსენსუსის“ საფუძველზე გააერთიანებდა სამყაროს. მართლაც, ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების ინტენსიფიკაციას ხალხებს, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, ასევე ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებას. შეუძლებელია

1 Гаджиев К. С. (2015). Об инверсии Вектора и функциий глобализации. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №7, С. 21.

გვერდი აუაროთ იმ ფაქტსაც, რომ ცივილიზაციებს შორის არსებული ნაპრალები თანდათან შეივსო – დასავლეთი გახდა უფრო აღმოსავლური, ხოლო აღმოსავლეთი – უფრო დასავლური. დაირღვა ათასწლეულების განმავლობაში სახელმწიფოთა საფუძვლად მიჩნეული ტერიტორიულობის მკაცრი იმპერატივი.

ამ რეალიების გათვალისწინებით, ითვლებოდა, რომ გლობალიზაცია არსებითად შეამცირებდა ან საერთოდ გააქრობდა ნაციონალური სახელმწიფოების სუვერენიტეტს. მოხდებოდა ხალხთა დენაციონალიზაცია, რაც, ბუნებრივია, ნაციონალურ იდენტურობას წარსულის ნაშთად აქცევდა.

თუმცა გლობალიზაციამ აშკარად გვიჩვენა მეორე მხარეც – თანამედროვე სამყაროს ზრდადი დივერსიფიკაცია. ადგილი აქვს, ერთი მხრივ, გლობალიზაციის ეკონომიკური და ტექნოლოგიური, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკური რეალიების ვექტორთა დაუმთხვევლობას. სხვა სიტყვებით, ეკონომიკა, რომელიც არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს, გლობალური გახდა, პოლიტიკური სფერო კი ამ პროცესს ვერ შეეგუა, რადგან თავის საწყისად იყენებს ეროვნულ სოციოკულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებს. შედეგად, როგორც თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული პოლიტოლოგი **ჰენრი კისინჯერი** აღნიშნავს, საერთაშორისო წესრიგი პარადოქსის წინაშე აღმოჩნდა: მისი აყვავება გლობალიზაციის წარმატებაზეა დამოკიდებული, გლობალიზაციის პროცესი კი, ხშირად, ისეთ პოლიტიკურ რეაქციებს ბადებს, რომლებიც მის საწინააღმდეგო მისწრაფებებზეა ორიენტირებული.[1]

ამ აზრით, გლობალიზაცია დღევანდელი სამყაროს დეკონსტრუქციისა და ფრაგმენტაციის ფაქტორი გახდა. გლობალიზაციამ და პოლიტიკურმა დემოკრატიამ საერთაშორისო სტაბილურობის ნაცვლად, კონფლიქტების, არეულობებისა და ომების ფართომასშტაბიანი ესკალაცია გამოიწვია.

გლობალიზაციასთან ერთად, გააქტიურდა საპირისპირო ტენდენციაც – მრავალეროვნულ სახელმწიფოთა ნგრევა, მათი ფრაგმენტაცია და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობა (მაგ., საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დაშლა). ბოლო

1 Henry Kissinger on the Assemble of a New World Order. The Wall Street Journal, 29.08.2014. Available at: [http://www.wsj.com/articles/henry-kissinger-on-the-assem-bly-of-a-new-world-order-1409328075]

პერიოდში საყურადღებო ცვლილებები ხდება ევროკავშირის სივრცეშიც (შოტლანდიის, კატალონიის, ბასკეთისა და ფლამანდიის საკითხი). „აჩრდილი დადის ევროპაში“, აჩრდილი ნაციონალიზმისა და სეპარატიზმისა. ძალას იკრებს ანტისემიტური და ანტიინტეგრაციული ტენდენციები და პროცესები.

რა თქმა უნდა, გლობალიზაცია არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც თანამედროვე სამყაროს ტრადიციული შემადგენლების სრული რღვევა, ნაციონალური ენების, კულტურების, სარწმუნოებებისა და სხვათა ელიმინაცია (განდევნა). ამ თეზისის რეალობას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ გლობალიზაციის განუყოფელი ნაწილი გახდა ფრაგმენტაცია, ტრადიციულ და ახლადწარმოშობილ ისეთ ფენომენთა აღორძინება, როგორიცაა ფუნდამენტალიზმი[1], ტრაიბალიზმი[2], რადიკალური ნაციონალიზმი და სხვ.

გლობალიზაცია და „ტერიტორიზაცია“ ურთიერთდაკავშირებულია, ერთიანი პროცესის ორი სხვადასხვა მხარეა. ამიტომ უფრო გონივრულად მიგვაჩნია „გლოკალიზაციის“ ტერმინის გავრცელება, რომელიც, შინაარსობრივად, ერთიან სისტემაში გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გამაერთიანებელია.

სამყაროში უცვლელი არაფერია, მუდმივი ცვალებადობის გარდა. უცვლელობის, მარადიულობის განცდა დამღუპველია. ასე დაემართა თვით ძველი რომის იმპერიას, რომელიც „ნარცისიზმის“ თავისებური სინდრომით დაავადდა, რადგან თავის მოქალაქეებს გამუდმებით ჩააგონებდა მის მარადისობას, მსოფლიოზე ბატონობას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს იმპერიის მიღმა არსებობდა ჩინეთისა და ინდოეთის დიდი ცივილიზაციები. სამყაროზე საუბრისას რომაელებს მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ Orbis terrarum, ანუ ხმელთაშუა ზღვის მსოფლიო, – იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები და ხალხები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რომის იმპერიის დაკნინების პერიოდში იმპერატორად კურთხევისას გავრცელდა ეპითეტი „თქვენო მარადისობავ“. სწორედ მაშინ უწოდეს რომს „მარადიული ქალაქი“,

1 რელიგიური პოზიცია, რომელიც მოცემული რელიგიის ბაზისური მცნებების უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს და მათ პირდაპირ რეალიზაციას ისახავს მიზნად.

2 კუთხურობის გამოვლენა სახელმწიფოებრივ დონეზე, როცა საკუთარი კუთხის (რეგიონის) წარმომადგენლებს სხვებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ.

რაშიც, დღევანდელი გადასახედიდან, იმპერიის მესვეურთა უცნაური ჰალუცინაციები უფრო იკვეთება.

თუ ისტორიის ანალოგს მოვიშველიებთ, რაციონალური მარცვალია ფრანგი ფილოსოფოსის **პოლ ვალერის** შეხედულებაში, რომელიც ამბობდა, რომ დასავლეთ ევროპა უდიდესი ევრაზიული კონტინენტის მხოლოდ უკიდურესი ნაწილია. მთელი ევროატლანტიკური რეგიონი აშშ-თან ერთად, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის სახელით გამოდის, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 1/7-ია, რაც მარტო ჩინეთზე გაცილებით ნაკლებია.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სამყაროში ძალთა ბალანსი და მასთან ერთად, განვითარების ვექტორი რეალურად იცვლება. თუმცა ვერავითარი მოქმედება, რომელიც მომავალ ათწლეულებში გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული, ამ პროცესს უკან ვერ დააბრუნებს. გლობალური მასშტაბით კარჩაკეტილობა, იზოლირება გამორიცხულია. მაგრამ ამ გარდაუვალ და შეუქცევად პროცესში აზია (განსაკუთრებით მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ასევე ჩინეთი და კორეის რესპუბლიკა) მსოფლიო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდება.

გლობალიზაცია მსოფლიო ბაზრების ინტეგრაციული პროცესია. მისი ინსტრუმენტებია როგორც ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც სატრანსპორტო და კომუნიკაციურ ხარჯებს ამცირებს, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ხელს უწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას, განსაზღვრავს მიმზიდველ ინვესტიციურ კლიმატს, ამარტივებს მიგრაციულ პროცესებს. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, გლობალიზაცია არის ბაზრების გაფართოება ნაციონალური სახელმწიფო საზღვრებს მიღმა.

მაგრამ გლობალიზაცია ეხება არა მარტო ეკონომიკურ პროცესებს. იმავდროულად, იგი „სახელმწიფო საზღვრებისა“ და „გეოგრაფიული მანძილის“ მნიშვნელობის შემცირებასაც ნიშნავს. შედეგად, ისინი ვეღარ ზღუდავენ არა მარტო ადამიანების, საქონლის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების, არამედ იდეისა და კულტურის სულიერი ფასეულობების მობილობას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ტენდენცია გახდა. თუმცა, იგი არაა უპრეცედენტო. 1870-

1914 წლებში საერთაშორისო ვაჭრობა საკმაოდ თავისუფალი იყო. ტრანსპორტისა და კომუნიკაციის განვითარებამ ხელი შეუწყო XX საუკუნემდე მიმდინარე გლობალიზაციას. საკმარისია გავიხსენოთ რკინიგზები, ორთქლის ძრავები, ტელეგრაფი, რადიო და ა.შ. გლობალიზაციის იმ „ოქროს დროს“ მობილობა, მათ შორის ადამიანების მიგრაცია, უფრო ნაკლებად იყო შეზღუდული, ვიდრე დღეს. პირველი მსოფლიო ომის შედეგად მოქმედი გლობალური სისტემა ძლიერ მოიშალა: საერთაშორისო ბაზრების მუშაობის მექანიზმი დაირღვა, ტექნიკური პროგრესი შეფერხდა და ინოვაციების განვითარება შეჩერდა.

ეს პროცესი 1945 წლამდე გაგრძელდა. არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა დაქვეითებამ ჰიპერინფლაცია, დიდი დეპრესია და ოქროს სტანდარტის ეპოქის დასასრული გამოიწვია. მსოფლიო ეკონომიკა 1945 წლისთვის უფრო ფრაგმენტული აღმოჩნდა, ვიდრე 1914 წლამდე იყო. 1945 წელს საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, 1913 წლის დონესთან შედარებით, 40%-ით შემცირდა, ხოლო მსოფლიო მშპ-ში უცხოური აქტივების წილი 1914 წლის 17%-დან, 1945 წელს 5%-მდე დაეცა. ამ მაჩვენებლის 1914 წლის დონესთან დაბრუნება მსოფლიო ეკონომიკამ 1980 წელს, ხოლო მშპ-ში საქონლის გლობალური ექსპორტის მოცულობის წილით – 1970 წელს შეძლო.

და მხოლოდ 1990 წლის შემდეგ ურთიერთვაჭრობა მნიშვნელოვნად დაჩქარდა. 1990 წლის დასაწყისიდან მსოფლიო ექსპორტის მოცულობა 3-ჯერ გაიზარდა და მსოფლიო მშპ-ის ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ასეთი შედეგი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: აზიის ქვეყნებში აქტიურმა ინდუსტრიალიზაციამ, ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, განვითარებად ბაზრებს შორის („სამხრეთი-სამხრეთი“) ვაჭრობის გაფართოებამ და სხვ.

აღნიშნულთან ერთად, პოლიტიკურ არენაზეც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: დაინგრა კომუნიზმის იდეოლოგია, შრომის ნაყოფიერების ზრდაში აშშ-მა განვითარების პიკს მიუხლოვდა, ტექნოლოგიური რევოლუცია ძალიან გააქტიურდა.

ნიშნავს თუ არა ყოველივე, რომ გლობალიზაციამ თავისი განვითარების აპოგეას მიაღწია?

რა თქმა უნდა, არა.

გლობალური ინტეგრაციის მრავალი მაჩვენებელი დღეს საკმაოდ დაბალ დონეზეა. მაგ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი

ინვესტიციების მხოლოდ 10%-ია, ეროვნული ქვეყნის ფარგლებს გარეთ სტუდენტთა 2% სწავლობს, ადამიანების მხოლოდ 3% ცხოვრობს საზღვარგარეთ. ემიგრაციის დღევანდელი დონე გაცილებით მცირეა ასი წლის დონესთან შედარებით.

და ეს ნახევრად გლობალური სამყარო, რაც უკანასკნელ ათწლეულებში ჩამოყალიბდა, 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საგრძნობლად დააზარალა: შეამცირა საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის მოცულობა. სიტუაციის გამოცოცხლება მხოლოდ 2010 წლიდან დაიწყო.

სხვადასხვა პროგნოზებით, გლობალური მშპ-ის მოცულობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 3,5-%-ის ფარგლებში იქნება, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, – 3%.

მომავალ ათწლეულებში (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ-ის მოცულობის მიხედვით) ყველაზე სწრაფადზრდადი რეგიონი განვითარებადი აზია გახდება, შემდეგ – შავი აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა. ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ ევროპა სხვა განვითარებად ქვეყნებს რამდენადმე ჩამორჩება, ხოლო ამჟამინდელი მდიდარი რეგიონების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შენელდება.[1]

განსაკუთრებით დიდი ძვრებია მოსალოდნელი აზიის განვითარებად ქვეყნებში (იხ. ცხრილი 1).

მიმდინარე საუკუნე აზიის საუკუნე იქნება. თუ 1950 წელს განვითარებული სამყაროს წილი გლობალურ მშპ-ში 60% იყო, 1990 წლისთვის მისი დონე, მცირედ, მხოლოდ 5%-ით შემცირდა. თუმცა, უკანასკნელ ორ ათწლეულში განვითარებადი ბაზრები მკვეთრად განვითარდა და 2010 წლისთვის აზიის რეგიონის ქვეყნების წილი მსოფლიო მშპ-ში 28%-მდე გაიზარდა (1970 წელს იყო 9%, 1990 წელს კი, – 14%).

ეკონომიკური ძლიერების გადანაწილების თვალსაზრისით, მომავალ ათწლეულებში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააქტიურდება და გლობალური მშპ-ის მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს. აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის წილი მსოფლიო მშპ-ში 2010 წლის 40%-დან 2050 წელს 21%-მდე შემცირდება, მაშინ, როცა განვითარებადი აზიისა, – თითქმის, გაორმაგდება (იხ. ცხრილი 2). განსაკუთრებით გაძლიერდება ჩინეთი, რომლის წილი 2010 წლის 13,6%-იდან 2050 წელს 20%-მდე გაიზრდება.

1 Мир в 2050 году. (2012). Под ред. Дэниела Франклина и Джона Эндрюса. ЭКСМО, М., С. 144.

ცხრილი 1. განსხვავება განვითარების ტემპებში, %[1]

რეგიონები	მშპ			მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით		
	2011-2030	2031-2050	2011-2050	2011-2030	2031-2050	2011-2050
მსოფლიო	3,7	3,8	3,7	3,2	3,4	3,3
მდიდარი ქვეყნები						
ჩრდილოეთი ამერიკა	2,5	2,1	2,3	2,0	1,8	1,9
იაპონია	1,0	0,9	0,9	1,1	1,2	1,1
დასავლეთი ევროპა	1,8	1,9	1,8	1,7	1,9	1,8
განვითარებადი ქვეყნები						
აზიის განვითარებადი ქვეყნები	5,5	4,8	5,2	5,0	4,5	4,7
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	4,7	4,7	4,7	3,9	4,0	3,9
აღმოსავლეთი ევროპა	3,3	3,1	3,2	3,3	3,2	3,2
ლათინური ამერიკა	3,6	3,7	3,7	3,1	3,4	3,3
აფრიკის ქვეყნები საჰარას სამხრეთით	5,5	5,5	5,5	4,3	4,5	4,4

1 Economist intelligente unit.

ცხრილი 2. ნახევრადაზიური სამყარო (წილი მსოფლიო მშპ-ში, %)[1]

რეგიონები	2010	2030	2050
აზიის განვითარებადი ქვეყნები	27,9	39,5	48,1
ჩრდილოეთი ამერიკა	21,5	16,9	12,3
დასავლეთი ევროპა	18,7	12,8	8,9
ლათინური ამერიკა	8,7	8,5	8,5
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	4,8	5,8	6,9
აღმოსავლეთი ევროპა	7,0	6,5	5,6
აფრიკის ქვეყნები საჰარას სამხრეთით	2,6	3,6	5,1
იაპონია	5,8	3,4	1,9



ნახ. 1. აზიის რეგიონის ახალი აღზევება (წილი მსოფლიო მშპ-ში, %)[2]

1 იქვე.

2 Мир в 2050 году. (2012). Под ред. Дэниела Франклина и Джона Эндрюса. ЭКСМО, М., С. 148.

2. მთვლემარე გიგანტი „იღვიძებს“

არსებობს ლეგენდა, თითქოს საფრანგეთის იმპერატორს, **ნაპოლეონ ბონაპარტს,** ჩინეთის შესახებ უთქვამს: **„იქ წევს გიგანტი. დაე იძინოს! როცა გაიღვიძებს, მსოფლიოს შეაზანზარებს“.**

ჩინეთი უკვე „იღვიძებს“, ანუ სწრაფად ვითარდება და თანამედროვე პოლიცენტრული მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი მძლავრი პილარი ხდება.

ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ჩინეთის, როგორც განვითარებადი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკის, სტატუსში ახალი არაფერია. თითქმის XIX საუკუნემდე ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში უმსხვილესად ითვლებოდა. მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა მსოფლიო პარამეტრის 20-30% იყო. სწორედ ჩინეთი, ინდოეთთან ერთად, ორი ათასწლეულის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკაში მკაფიოდ დომინირებდა. 2050 წლისთვის მათ (მხედველობაშია ჩინეთი და ინდოეთი) შეეძლებათ წინანდელი მოწინავე პოზიციების დაბრუნება. თუ წარმოდგენილი პროგნოზი ნაწილობრივ მაინც გამართლდება, მიმდინარე ასწლეულის შუალედში მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევრის მწარმოებელი განვითარებადი აზიის რეგიონი იქნება.[1]

ამ მოსაზრებას მრავალი ფაქტორი აძლიერებს. კერძოდ, უკანასკნელ წლებში ჩინეთის ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 8-10% იყო, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის კი, – 12-15%. ქვეყანაში უდიდესი უცხოური კაპიტალია დაბანდებული, რომლის ოდენობამ მხოლოდ 2014 წელს 129, ხოლო ჰონკონგთან ერთად, – 232 მილიარდი დოლარი შეადგინა.[2]

ჩინეთს გააჩნია მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობის, დაახლოებით, 4 ტრილიონი დოლარის ოქრო-სავალუტო რეზერვები. სწორედ ამიტომ გახდა ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი ძალა. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩინეთის ეკონომიკის საშუალო შეფარდებითი მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან შორსაა განვითარებული ქვეყნების დონისგან: ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, 2015 წლის მსოფლიო რეიტინგის ნუსხაში ქვეყნის მშპ-ის მოცულობას მხოლოდ 74-ე პოზიცია უკავია და 8 280 დოლარს შეადგენს, რაც აშშ-ის, იაპონიისა და ევროკავშირის დონის, შესაბამისად, 14,8, 25,5 და 25,9%-

1 იქვე.

2 Доклад о мировых инвестициях 2015. ЮНКТАД. 2015 год. С.4.

ია. მნიშვნელოვანია შემოსავლების უთანაბრობა ქვეყნის ცალკეულ პროვინციებს, ქალაქებსა და სოფლებს შორის, დარღვეულია ეკოლოგიური დისბალანსი, მაღალია კორუფციის დონე, ნაკლებად მტკიცეა იუანის კურსიც.[1]

ჩინეთის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორებია: დიდი ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსები, კაპიტალი, ტექნოლოგია, დარგობრივი და ინსტიტუციური სტრუქტურა.

ჩინეთი უკვე დაადგა განვითარების ახალ, პროგრესულ გზას – **„მსოფლიო ფაბრიკიდან“, „მსოფლიო ლაბორატორიისაკენ“**, ანუ ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას.[2]

ჩინეთის კრეატიული (შემოქმედებითი) ინდუსტრიის პროდუქციის წილი მსოფლიო ექსპორტში ყველაზე მაღალია და 31,91%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მნიშვნელოვნად უსწრებს აშშ-ს (7,99%), გერმანიას (6,06%), ინდოეთს (5,46%), დიდ ბრიტანეთს (4,87%), საფრანგეთსა (4,17%) და შვეიცარიას (2,76%).[3]

დღეს ჩინეთის უმაღლესი სასწავლებლები 4-ჯერ მეტ ინჟინრებს ამზადებენ, ვიდრე აშშ-ის უნივერსიტეტები.[4]

ქვეყნის ეკონომიკის მკვლევარი, ჩინელი მეცნიერი **ლინ იფუ** თავის მონოგრაფიაში[5] განსაკუთრებით გამოჰყოფს ტექნოლოგიას. სწორედ ტექნიკურ პროგრესსა და ახალ ტექნოლოგიებს ძალუძს მაღალი უკუგებით კაპიტალის დაგროვება, ინდუსტრიის მოდერნიზაცია. დაწევადი განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნებიდან ტექნოლოგიების იმპორტი – მიიჩნევს იგი.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკის, რომელიც ასწლეულების განმავლობაში მსოფლიოში დომინირებულ როლს ას-

1 Потапов М. А. (2015). Использование сравнительных преимуществ и частный сектор в экономике Китая. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4, С. 118.

2 Андреева Е.Л., Ратнер А.В. (2015). Потенциал БРИКС и ШОС. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4, С. 114.

3 Лавриненко А.С. (2015). Государственная поддержка творческих тндустрий в Москве. Ж., «Кретивная экономика», Т. 9(8), С. 936//Global databank on world trade in creative product//UNCNADstat website.

4 Китай: особенности противодействия глобальному кризису. (2009). Бюллетень иностранной коммерческой информации. М., №100, С. 2-3.

5 Йифу Лин Джастин. (2013). Демистификация китайской экономики. Пер. с англ. М., 235 С.

რულებდა, წინა საუკუნეებში შემცირება?

ლინ იფუს აზრით, XVIII საუკუნიდან ჩინეთის ეკონომიკის თანდათანობითი დაქვეითება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

პირველი, XIX საუკუნეში მსოფლიოში მიმდინარე სამრეწველო რევოლუციის კვალდაკვალ ქვეყანაში სამეცნიერო რევოლუცია არ მოხდა, ჩინეთის ეკონომიკა ძველი მიდგომით, ე.წ. პრაქტიკული გამოცდილებით იმართებოდა და არა თანამედროვე, უფრო პროგრესული სამეცნიერო-ექსპერიმენტული მეთოდით;

მეორე, XX საუკუნის შუა ნახევრიდან აგრარულ ჩინეთში გეგმური განვითარების საბჭოური მოდელი დომინირებდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკა ღირსეულად ვერ განავითარა. მართალია სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე შეიქმნა მრეწველობის საბაზო დარგები, კოსმოსში გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრი, გამოსცადეს ატომური ბომბიც, მაგრამ გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლომდე ცხოვრების დონე კვლავ ძალიან დაბალი რჩებოდა.[1]

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ქვეყანაში დიდი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, რომლის იდეოლოგი და სულისჩამდგმელი იყო ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე **დენ სიაოპინი** (1904-1997). სწორედ მან შეიმუშავა ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური პრინციპი – **„სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით“**, დანერგა ახალი აზროვნება და ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი გახადა.

განხორციელებულმა რეფორმებმა, სახელდობრ, სახელწიფოს გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ჩინეთის მშპ-ის მოცულობა მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც, ძირითადად, კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ინტენსიური დაგროვებით და არა უდიდესი რაოდენობის ადგილობრივი ადამიანისეული რესურსების ეფექტური გამოყენებით მოხდა.[2]

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ჩინეთის მცოდნე **ნიკოლას ლარდი** მიიჩნევს, რომ 1978 წლიდან ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებაში სახელმწიფოს დომინირებული როლი თანდათან შემცირდა და, მათ ნაცვლად, კერძო საწარმოების საქმიანობა გააქტიურდა, რამაც

1 Потапов М. А. (2015). Использование сравнительных преимуществ и частный сектор в экономике Китая. Ж., Мировая экономика и международные отношения. №4, С. 118.

2 Лапердина В. В. (2011). Экономический рост КНР. Изменение модели развития (1993-2009 гг.). М., Институт экономики РАН, С. 222.

ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარება განაპირობა.[1]

1978-2011 წლებში სახელმწიფო კომპანიების წილმა მრეწველობაში 78%-დან 26%-მდე დაიკლო. ინდუსტრიის სფეროში მხოლოდ 6 დარგი დარჩა (თამბაქოს მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა და თბომომარაგება, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, წყალმომარაგება, ნავთობგადამუშავება, ქვანახშირისა და ატომის მრეწველობა). დღეს ამ დარგებში სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია.

სახელმწიფო დომინირებს მომსახურების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბანკები და ფინანსები, დაზღვევა, აქტივების მართვა, ფასიანი ქაღალდები, ტელეკომუნიკაცია, საავიაციო, სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვები. სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს სოციალურ სექტორს: განათლებას, ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას. ეკონომიკური განვითარების მთავარი წყარო ბაზარი გახდა.[2]

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დღემდე არსებულ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც სახელმწიფოს მიერ საბაზრო რეგულირების პრინციპებით იმართება, იზრდება და ვითარდება. იმ ქვეყნებში კი, სადაც **ადამ სმითის** „უხილავი ხელისა“ და დასავლეთის „ვაშინგტონის კონსენსუსის“ იდეოლოგია დომინირებს, ნაციონალური ეკონომიკები ღრმა პერტურბაციაში (მოშლა, არევ-დარევა) არიან და სერიოზულ კატაკლიზმებს განიცდიან.

განხილულ კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩინეთისა და „აზიის ვეფხვების“ ეკონომიკური აღორძინება ეროვნული ეკონომიკების აქტიურად მხარდამჭერი ავტორიტარული მმართველობის პირობებში მოხდა. ჩინეთში ტრანსფორმაციის პროცესს დღესაც სახელმწიფო მეთაურობს და არა კერძო სექტორი. ჩინურ საბანკო სისტემაში „ლომის წილი“ სახელმწიფო ბანკებს აქვს და ქვეყნის ეკო-

1 კერძო სექტორი დომინირებს გადამმუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, უძრავ ქონებაში, ექსპორტში, სამუშაო ადგილების შექმნაში, შიდა მოხმარებაში. შეიცვალა ექსპორტის საწარმოო სტრუქტურა: გადამუშავებისა და აწყობის წილი შემცირდა, ხოლო დამატებითი ღირებულებისა – გაიზარდა. კერძო სექტორი გააქტიურდა კაპიტალის გატანაშიც (აქტივების შეძენა უცხოეთში). ჩინური კერძო კაპიტალის აკუმულირების ძირითადი მიმართულებებია აშშ (40%) და ევროპა (30%).

2 Lard Nicholas. (2014). Markets Over Mao. The Rise of Private Business in China. Washington. II, p. 2.

ნომიკაში კაპიტალი მოძრაობს არა ბრმა „უხილავი ხელით“, არამედ, ეროვნული ინტერესებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ.

„მესამე სამყაროს“ (ექსსოციალისტური ქვეყნები) უმრავლესობისგან განსხვავებით, ჩინეთის წარმატებები განვითარების ექსპორტზე ორიენტირებულმა მოდელმა განაპირობა. აღნიშნულს ხელი შეუწყო იმპორტჩანაცვლებითმა ბაზამ, ქვეყნის შედარებითი უპირატესობის დეტალურმა ანალიზმა, ფინანსური რესურსების მობილიზაციამ, ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამამ, სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნამ, სამეცნიერო-კვლევითი და კვალიფიციური კადრების მომზადების სფეროში გრძელვადიანმა ღონისძიებებმა, სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის გონივრულმა პოლიტიკამ.[1]

ჩინეთის ეკონომიკური განვითარების დაწევადი სტრატეგია სრულიად ბუნებრივია, რადგან ქვეყანა ცდილობს დასძლიოს არსებული ეკონომიკური ჩამორჩენილობა, შეამციროს განვითარებულ ქვეყნებთან გარღვევა, აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე და ხარისხი.

სწორედ ამიტომ ჩინეთის თანამედროვე ეკონომიკა და საგარეო პოლიტიკა ღრმა ევოლუციას განიცდის. მისი ფუნდამენტური საფუძვლები ე.წ. ჩინურ დავოსში – **ბოაოს ფორუმზე**[2] განმტკიცდა. აქვე ჩამოყალიბდა მთავარი თეზისიც – **„მომავალ ათწლეულში გლობალური ეკონომიკის განვითარებაზე აქტიური ზემოქმედება“.**

ეტაპური განვითარების თვალსაზრისით, 2015 წლის ბოაოს აზიური ეკონომიკური ფორუმი მეტად მნიშვნელოვანი იყო: დაისახა ჩინეთის საგარეო და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი პრიორიტეტე-

1 Потапов М. А. (2015). Использование сравнительных преимуществ и частный сектор в экономике Китая. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4, С. 120.

2 ქალაქ-პორტი სამხრეთ ჩინეთში, კუნძულ ხაინანზე. ჩინეთის ინიციატივით 2001 წელს დაფუძნდა ბოაოს აზიური ფორუმი, რომლის ყოველწლიურ კონფერენციებში მონაწილეობს არანაკლებ 10 სახელმწიფოსა და 300-მდე გამოჩენილი პოლიტიკოსი და ეკონომისტი, ასევე უმსხვილესი საერთაშორისო და ნაციონალური კომპანიების ტოპ-მენეჯერები. ფორუმთან მუდმივად ფუნქციონირებს კვლევითი ინსტიტუტი. ფორუმი აზიის განვითარებისთვის საჯარო სივრცე და სადისკუსიო მოედანია: განიხილება მსოფლიო ეკონომიკისა და გლობალური პოლიტიკის განვითარების პრობლემატიკა.

ბი, რომლის რეალიზაციაში განსაკუთრებით გამოიკვეთა **„გონებრივი ძალის“** ფაქტორი.

ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინის მიზანია მსოფლიო ლიდერად ჩინეთის გადაქცევა.

ქვეყნის მთავარი საერთაშორისო სტრატეგია ხდება მისი დიდი ამბიციური გეგმები – მომავალ ათწლეულში გლობალური ეკონომიკის განვითარებაზე აქტიური ზემოქმედება, რომელიც განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით:[1]

პირველი – ეკონომიკური განვითარების მსოფლიო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რესტრუქტურიზაცია,[2] რომლის რეალიზაციაში აქტიურ მონაწილეობს აბრეშუმის გზის ახალი სტრატეგია, ანუ სხვა წაკითხვით – **„ერთი გზა, ერთი სარტყელი“,** რითაც ჩინეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა ანუ **„ინფრასტრუქტურული ექსპანსია“** იკვეთება. ამ კონტექსტში შეირჩა ფორუმის მთავარი სლოგანიც – **„აზიის ახალი მომავალი – ნაბიჯი საზოგადოების საერთო ბედისაკენ“.**[3]

ჩინეთის პრეზიდენტის **სი ძინპინის** ინიციატივა არა მარტო ქვეყნებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისია, არამედ სრულიად ახალი პერსპექტივაა რეგიონისა და მთლიანად ევრაზიული კონტინენტისთვის. ამ პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო მარშრუტების ძირეული მოდერნიზაცია და საზღვრის გადაკვეთის პროცედურების მნიშვნელოვანი გამარტივება.

ჩინეთმა წამოაყენა ეკონომიკური განვითარების ახალი პროექტი ე.წ. **„ახალი ნორმები“,** რომელიც ითვალისწინებს გეგმური ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტემპების შენელებას (დაახლოებით, 5-6%-მდე) და ეკოლოგიურად სუფთა ინოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლას. თუმცა, მშპ-ის უდიდესი ფაქტობრივი მოცულობის პირობებში (10 ტრილიონ დოლარზე მეტი 2014 წელს, რაც აშშ-ის მშპ-ის 60%-ია და იაპონიის მშპ-ზე 2-ჯერ მეტია), ზრდის შემცირებული ტემპებითაც კი, მისი აბსოლუტური ოდენობა მაინც კოლოსალურია.

1 Боаоский азиатский форум-2015. [http://russian.people.com.cn/31857/311370/index.html]

2 მნიშვნელოვანი ცვლილება, ახალი კონფიგურაცია.

3 Боаоский азиатский форум-2015. [http://russian.people.com.cn/31857/311370/index.html]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **ჩინეთი გამოდის ინიციატორად უარი ვთქვათ მშპ-ის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარ მაჩვენებელზე. სანაცვლოდ გვთავაზობს ახალ ინდიკატორებს: მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხობრივი ორიენტირები, ინოვაციების ათვისების დონე, „მწვანე და ცისფერი (სუფთა წყლის) ეკონომიკების“ განვითარება.**

აბრეშუმის ახალი გზის პროექტის – **„ერთი სარტყელი, ერთი გზა“** – მიზანია მონაწილე ქვეყნებს შორის **„ინფრასტრუქტურული, საფინანსო და ტელეკომუნიკაციური ურთიერთკავშირის“** შექმნა, ასევე მათ ურთიერთობაში არსებული სავაჭრო ბარიერების დაძლევა.[1]

აბრეშუმის გზის გეოგრაფიული მიმართულება, რომელიც უახლოეს მომავალში ჩინური დიპლომატიის რეგიონული პრიორიტეტი გახდება, რამდენიმე ვარიანტად განიხილება:

- ჩინეთი – ცენტრალური აზია, რუსეთი და ბალტიის ქვეყნები;
- ჩინეთი – ცენტრალური და დასავლეთ აზიის შემდეგ, სპარსეთის ყურისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები;
- ჩინეთი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, სამხრეთი აზია და ინდოეთის ოკეანე;
- ჩინეთი – სამხრეთ ჩინეთის ზღვისა და ინდოეთის ოკეანეს შემდეგ, ევროპა;
- ჩინეთი – ავსტრალია და წყნარი ოკეანეს სამხრეთი ნაწილის ქვეყნები.

დაგეგმილია **„აზიის, ევროპისა და აფრიკის ყველა სუბრეგიონის ერთიანი ინფრასტრუქტურული ქსელის შექმნა“.** ასევე, **რეგიონის ენერგეტიკული სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, ელექტროგადაცემის ერთიანი სატრანსპორტო ხაზის ფორმირება და რეგიონული ელექტროქსელების მოდერნიზაცია“.**

2015 წლის მარტში საქართველო ჩაერთო ჩინეთთან **„აბრეშუმის ახალი გზის – ეკონომიკური სარტყელის“** მშენებლობის პროექტში (გაფორმდა მემორანდუმი). ქართული ბიზნესი დაინტერესებულია ამ შეთანხმებით და პოტენციური თანამშრომლობით. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპისა და ცენტრალური აზიის

1 China Unveils Action Plan on Belt and Road Initiative. [http://news.xinhuanet.com/English/2015-03/28/c_134105372.htm

დამაკავშირებელი დერეფანია, რის გამოც საუკეთესოდ გამოდგება ჩინური კომპანიებისთვის სავაჭრო, სატრანსპორტო და ლოჯისტიკის ჰაბად. ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველო გეგმავს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის მრავალმხრივი მართვის საბჭოს ჩამოყალიბებას, რათა ხელი შეუწყოს რეგიონული სატრანსპორტო მარშრუტის ეფექტურად მართვას.

შენდება საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელი რკინიგზა, რომელიც პეკინიდან მომავალ სატვირთო მატარებლებს საშუალებას მისცემს ევროპაში, დაახლოებით, 20 დღეში ჩავიდნენ, რაც ფულისა და დროის რესურსს დიდად დაზოგავს.

გარდა ამისა, 2015 წლის ოქტომბერში საქართველომ უმასპინძლა **„თბილისი-აბრეშუმის გზის ფორუმს“**, სადაც დამყარდა საქმიანი კონტაქტები და გამოიკვეთა რეგიონული თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროებში. ქვეყნებმა დაასრულეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესაძლო გაფორმებასთან დაკავშირებით. ჩინური კომპანიებისთვის ეს იქნება ახალი შესაძლებლობა საწარმოო კომპონენტების ჩვენს ქვეყანაში ექსპორტირებისთვის, რომელიც შემდეგ, სატარიფო და არასატაროფო ბარიერების გარეშე, გაიყიდება ევროპაში. 2014-15 წლებში ჩინეთი გახდა საქართველოს მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი. ჩინური ინვესტიციები ხორციელდება შავი ზღვის სანაპიროზე ღრმაწყლოვანი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობაში, ასევე ჰიდროენერგეტიკის, ტრანსპორტის, საფინანსო და სოფლის მეურნეობის სფეროებში. ერთ-ერთმა კერძო ჩინურმა მედია-კომპანიამ ჩინური სილამაზის კონკურსი საქართველოში ჩაატარა, რაც ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს საპარტნიორო ფონდმა **„თბილისი აბრეშუმის გზის ფორუმი-2015“**-ის ფარგლებში მემორანდუმი გააფორმა ჩინეთის შანხაის პროვინციასთან, რაც ითვალისწინებს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, აგრობიზნესის, ტურიზმისა და სასტუმროების განვითარების მიმართულებით ორი ქვეყნის კომპანიებს შორის თანამშრომლობის დამყარებას.

მეორე – მსოფლიო სავალუტო-საფინანსო სისტემის ცვლილება და მასში ჩინეთის, როგორც მთავარი მსოფლიო მოთამაშის ჩართვა.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩინეთის ინიციატივით, 2015 წლის 29 ივნისს მსოფლიოს 57 ქვეყანამ დააფუძნა **ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიის ბანკი**[1] (ინგლ. Asian Infrastructure Investment Bank, AIIB), რომელიც 2016 წლის 17 იანვარს გაიხსნა პეკინში. მისი საწესდებო კაპიტალი 150 მილიარდი დოლარია. ბანკის მსხვილი აქციონერებია: ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, კორეის რესპუბლიკა და გერმანია. აშშ და იაპონია ბანკის წევრები არ არიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით გლობალურ საფინანსო სისტემაში ახალი, არაკონტროლირებადი და მძლავრი საინვესტიციო ინსტიტუტი წარმოიშობა.

თავის მხრივ, ჩინეთი ცდილობს ახალი ბანკი მსოფლიოს წარმოუჩინოს, როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი) არა კონკურენტი, არამედ მათი დამატება.

ჩინური ვალუტის გლობალური სტატუსის ასამაღლებლად, პეკინს განზრახული აქვს იუანის გაცვლითი კურსის ლიბერალიზაციის დაჩქარება. მიიჩნევენ, რომ მსოფლიო სარეზერვო ვალუტების „კალათაში“ (რომელშიც შედის დოლარი და ევრო) იუანის მოხვედრის შანსი საკმაოდ მაღალია.

მესამე – ინოვაციური ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბების მცდელობა. ამ მიზნით ჩინეთმა ბოაოში ის პრიორიტეტული სფეროები წარმოაჩინა, რომლებშიც მზადაა ჯერ არა მოწინავე, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და განვითარებად ბაზრებზე ისეთი პროდუქცია გაიტანოს, როგორიცაა:

- **ახალი თაობის ინფორმაციული ტექნოლოგიები;**
- **სისტემა „ინტერნეტ+“;**
- **ავიაკოსმოსური მოწყობილობები;**
- **საინჟინრო ოკეანოლოგია და მაღალტექნოლოგიური ხომალდები;**
- **მოწინავე სარკინიგზო ტექნოლოგიები;**

1 2015 წლის 12 აპრილს საქართველო გახდა ბანკის რეგიონული წევრი. „ახალი აბრეშუმის გზა – ეკონომიკური სარტყლის“ პროგრამაში საქართველოს მეტი ინტეგრაციით შესაძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ვაჭრობა და ტურიზმი.

❖ **ენერგიის ეკონომია და ენერგიის ახალი წყაროებით მკვებავი სატრანსპორტო საშუალებები;**

❖ **ელექტომოწყობილობები;**

❖ **ახალი მასალები;**

❖ **ბიომედიცინა და მაღალეფექტური სამედიცინო მოწყობილობები;**

❖ **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები.**

ბოაოს ფორუმზე ჩინეთმა აბრეშუმის ახალი გზის სტრატეგიის სარეალიზაციოდ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო საინფორმაციო-ტექნოლოგიურ თანამშრომლობაზე. უპირველესად, საუბარია ტრანსსასაზღვრო ოპტიკურბოჭკოვან ხაზზე, თანამგზავრული კავშირის ოპტიმიზაციაზე და მათ საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის ფართო ტრანსრეგიონული სისტემის შექმნაზე.

იმავდროულად, ბოაოს ფორუმმა აჩვენა, რომ ჩინეთის გლობალური სტრატეგიული მიზნები ეკონომიკით არ იზღუდება. ჩინეთმა ფორუმის მონაწილეებს მოუწოდა დამუშავდეს **„აზიაში უსაფრთხოების ახალი კონცეფცია“,** რომლის პილარად მიჩნეული სამი იდეა რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის ძალიან მიმზიდველია:

1. აზიურ სახელმწიფოთა „საერთო ბედი“;
2. „ცივი ომის“ მენტალიზმისადმი სრული განდგომა;[1]
3. „კომპარატივიზმი“[2] და „საყოველთაო უსაფრთხოება“.

და სწორედ აქ აშკარად ვლინდება ჩინეთის ოფიციალური სტრატეგიისა და **„გონიერი და რბილი ძალების“** ფაქტორების ურთიერთგადაკვეთა.

ჩინეთში მსოფლიო დონის 50-100 **„ტვინის ცენტრი“** იმიტომ იქმნება, რომ „ბრძნული“ აღმოსავლური რეცეპტით ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მომავალი მოწყობა, ანუ მისი ინტელექტუალური და პოლიტიკური სივრცე ჯერ – აზიაში, შემდეგ – გლობალურ კონტექსტში.[3]

---

1 უარის თქმა მსოფლიო ლიდერობისა და მათ მოკავშირეთა დაპირისპირებისაგან.

2 ლათ. comparativus — შედარებითი. კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შედარების დახმარებით გამოვლინდეს საერთო და განსაკუთრებული ისტორიული მოვლენები, განვითარების საფეხურები და თავისებურებები. ფართოდ გამოიყენება მეცნიერების მრავალ დარგში.

3 Михеев В.В., Луконин С.А. (2015). Китай после БОАО-2015. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №8, С. 66.

მსოფლიო ლიდერობის ჩინური სტრატეგიის საბაზო წანამძღვრები ასეთია:

პირველი. ჩინეთი ობიექტურად აფასებს თავის ძალას და ჯერჯერობით არ თვლის თავს აშშ-ის ეკონომიკის თანაბრად. აღნიშნულიდან იკვეთება მისი სტრატეგიული ამოცანა – არა ერთპიროვნული ლიდერული უპირატესობა, არამედ მცდელობა მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში დაიკაოს წონადი ადგილი – მინიმუმ აშშ-ის შემდეგ, იაპონიის გასწრებით, მაქსიმუმ – აშშ-ის თანაბრად. თუმცა, პეკინს კარგად ესმის, რომ სამხედრო სფეროში უახლოეს პერსპექტივაში ეს შეუძლებელია;[1]

მეორე. ჩინეთი თავის მიზნად არ ისახავს მსოფლიოს შესთავაზოს განვითარების საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებული მოდელი. საბჭოეთის მსგავსი კომუნისტური მიზნები და საზოგადოების კომუნისტური იდეოლოგია დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა;

მესამე. Dდემოკრატიული რეფორმების საკითხში ჩინეთი არ უარყოფს დემოკრატიის, როგორც ასეთის მნიშვნელობას, მაგრამ მიაჩნია, რომ ამ გზით თავისი ტემპებითა და კურსით იაროს. ამასთან, პეკინის აზრით, არც ერთი ქვეყანა არ არის ვალდებული კოპირებით გამოიყენოს განვითარების დასავლური მოდელი, რაც განვითარებადი ქვეყნებისთვის ძალიან მოსაწონია;

მეოთხე. ჩინეთი გლობალურ ინფრასტრუქტურას თავისი მომავალი ლიდერობისთვის ორი მიმართულებით აძლიერებს: პირველი, აშშ-ისგან განსხვავებით, ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობის თემას შეგნებულად გვერდს უვლის; მეორე, ეკონომიკურ ექსპანსიას მნიშვნელოვნად აფართოებს:

- **ინვესტიციებით მსოფლიო ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში (ახალი აბრეშუმის გზა);**
- **მსოფლიო კორპორატიული ბიზნესის შერწყმითა და შთანთქმით;**
- **საზღვარგარეთ სახელმწიფო და კერძო ბიზნესის დაჩქარებული გადატანით.**

საბოლოო ჯამში ჩინეთი მსოფლიო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებითა და მძლავრი ადამიანისეული რესურსებით თავისი მთავარი უპირატესობის გლობალურ პოზიციონირებას მკვეთრად აძლიერებს.

1 იქვე, გვ. 67.

ჩინეთის ქალაქ დალიანში ყოველწლიურად ტარდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ე.წ. „ზაფხულის დავოსი“, სადაც ექსპერტები, ინოვატორები და მეწარმეები იხილავენ ახალ გამოწვევებს ეკონომიკური ზრდისათვის. გარდა ამისა, ფორუმის მონაწილენი ერთმანეთთან ათანხმებენ გამრღვევ მიმართულებებს მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მათ შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ხელოვნურ ინტელექტში, ბიოტექნოლოგიებში, რობოტოტექნიკასა და ინოვაციურ მედიცინაში. 2015 წელს დალიანის ფორუმი მეცხრედ ჩატარდა. მონაწილეობდა 90-მდე ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

ჩინეთში აქტიურად მიმდინარეობს ეროვნული ინოვაციური სისტემის რეფორმაც. წინა პლანზე გამოდის დაწევითი განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი კადრების შიდა მობილობის გაძლიერება. ტარდება ამბიციური სამეცნიერო-კვლევით პოლიტიკა, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კონკურენტუნარიანობის დონით 2020 წლისთვის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონესთან გათანაბრება, ხოლო შემდეგ – გადასწრება კიდეც.[1]

ამ პროცესში აქტიურად ჩართულია სახელმწიფო. სწორედ ის აძლევს დირექტივას საუნივერსიტეტო და სამეწარმეო სექტორებს თანამშრომლობის გაფართოებაზე და შედეგების კომერციალიზაციის დაჩქარებაზე. შედეგად უკვე თვით უნივერსიტეტები და კორპორაციები იჩენენ ცხოველ ინტერესს სამეცნიერო კადრების შიდა მობილობის სტიმულირებისთვის.

ჩინეთი ცდილობს უნივერსიტეტების რეფორმა ამერიკული მოდელით განახორციელოს: უნივერსიტეტების საქმიანობა როგორც სწავლების, ისე კვლევითი სამუშაოების ხარისხისა და კომერციალიზაციის პარამეტრებით შეაფასოს. მათზეა დამოკიდებული როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსება, ისე სამეწარმეო სექტორიდან ფინანსების მიზიდვა.[2] შესაბამისად, ჩინური უნივერსიტეტები სამეწარმეო სექტორთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, თავიანთ რიგებში ისეთ

1 Кириченко И.В., Онищенко И.С. (2014). Внутренная мобильность исследовательских кадров в Китае и Японии. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №12, С. 40.

2 ტოკიოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 24% კერძო სექტორთან ერთობლივი კვლევისა და პროექტებიდან მიღებული თანხებია, ხოლო სტუდენტებიდან სწავლების გადასახადი მხოლოდ – 8%. წყარო: Захаров А.А. (2015). Предпринимательские трансформации в Токийском университете: уроки для российских вузов. Ж., Креативная Экономика. М., №9, С. 987.

მეცნიერთანამშრომლებს აქტიურად ეძებენ, რომლებსაც კორპორატიულ სექტორში დამატებითი მუშაობის სურვილი, შესაბამისი უნარები და კომპეტენციები გააჩნიათ.

ჩინეთში ფართოდ გავრცელებულია უნივერსიტეტების მიერ საწარმოების შექმნა, სადაც საკუთარი სამეცნიერო კვლევების შედეგების რეალიზაცია ხდება. საუნივერსიტეტო საწარმოებში დასაქმებულია თვით უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტებიც აქ გადიან პრაქტიკას. ამ მხრივ მოწინავეობს ცინხუას უნივერსიტეტი, რომლის სტრუქტურაში 84 საწარმოა.[1]

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები ყველა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამიტომ, საჭიროა მათი გონივრული გააზრება და, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფოს დონეზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიურ-ინოვაციური განვითარების კონცეფციისა და თანამიმდევრული პერსპექტიული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Андреева Е.Л., Ратнер А.В. (2015). Потенциал БРИКС и ШОС. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4.

2. Боаоский азиатский форум-2015. [http://russian.people.com.cn/31857/311370/index.html]

3. Вебер М. (1990). Избранные произведения. М., Прогресс. 804 с.

4. Всемирная конференция по правам человека: доклад регионального совещания для Азии в рамках всемирной конференции по правам человека. Банкок, 29.03-02.04, 1993 года (Document UN. A/CONF.157/ASRM/8; A/CONF.157/PC/59).

5. Гаджиев К. С. (2015). Об инверсии Вектора и функциий глобализации. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №7.

1 Yixin d., Lan X. (2011). University Technology Tranfer and Commercialization in China: Usin Tsinghua University as a Case. Po kam Wong, ed. Academic Entrepreneurship in Asia. 2011, Edward Elgar, Cheltenham, UK-Northamton, USA, pp. 223-253.

6. Доклад о мировых инвестициях 2015. ЮНКТАД. 2015 год.

7. Захаров А.А. (2015). Предпринимательские трансформации в Токийском университете: уроки для российских вузов. Ж., Креативная Экономика. №9.

8. Йифу Лин Джастин. (2013). Демистификация китайской экономики. Пер. с англ. М.

9. Канаев П. Америка теряет энергию. [Available at: http://www.vz.ru/economy]

10. Кириченко И. В., Онищенко И.С. (2014). Внутненная мобильность исследовательских кадров в Китае и Японии. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №12.

11. Китай: особенности противодействия глобальному кризису. (2009). Бюллетень иностранной коммерческой информации. М., №100.

12. Лавриненко А.С. (2015). Государственная поддержка творческих тндустрий в Москве. Ж., «Кретивная экономика», Т. 9(8), С. 936//Global databank on world trade in creative product//UNCNADstat website.

13. Лапердина В. В. (2011). Экономический рост КНР. Изменение модели развития (1993-2009 гг.). М., Институт экономики РАН, С. 222.

14. Лебон Г. (1898). Психология народов и масс. М., 300 с.

15. Мир в 2050 году. (2012). Под ред. Дэниела Франклина и Джона Эндрюса. ЭКСМО, М.

16. Михеев В.В., Луконин С.А. (2015). Китай после БОАО-2015. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №8.

17. Потапов М. А. (2015). Использование сравнительных преимушеств и частный сектор в экономике Китая. Ж., Мировая экономика и международные отношения. М., №4.

18. Ясперс К. (1994). Смысл и назначение Азии. Япония о себе и мире. М.

19. Financial Timnes: в мире возникла новая «Большая семерка» экономик. [Availadle at: http://ria.ru/economy/20141008/1027482357.html]

20. Henry Kissinger on the Assemble of a New World Order. The Wall Street Journal, 29.08.2014. Available at: [http://www.wsj.com/articles/henry-kissinger-on-the-assem-bly-of-a-new-world-order-1409328075]

21. Economist intelligente unit.

22. Lard Nicholas. Markets Over Mao. (2014). The Rise of Private Business

in China. Washington. II, p. 2.

23. China Unveils Action Plan on Belt and Road Initiative. [http://news.xinhuanet.com/English/2015-03/28/c_134105372.htm

24. Yixin d., Lan X. (2011). University Technology Tranfer and Commercialization in China: Usin Tsinghua University as a Case. Po kam Wong, ed. Academic Entrepreneurship in Asia. 2011, Edward Elgar, Cheltenham, UK-Northamton, USA.

REFERENCES:

1. Andreeva E.L, Ratner A.V. (2015). Potential *BRICS and* SCO, J., World Economy and International Relations, M., №4 (In Russian Language)

2. Boao Forum for Asia-2015. [http://russian.people.com.cn/31857/311370/index.html] (In Russian Language)

3. Weber, M. (1990). Selected Works. Moscow, Progress, p. 804. (In Russian Language)

4. World Conference on Human Rights: Report of the regional meeting for Asia of the world conference on human rights. Bangkok, 29.03.1993-2.04.1993 (Document ON. A/CONF.157/ASRM/8; A/CONF.157/PC/59)

5. Gadzhiev, K. S (2015). On Inversion of Globalization Vector and Functions. J., World Economy and International Relations, M., №7 (In Russian Language)

6. World Investment Report 2015, UNCTAD, 2015. (In Russian Language)

7. Zakharov A.A. (2015). Entrepreneurial transformation of the University of Tokyo: Lessons for Russian Universities. J., The Creative Economy. №9. (In Russian Language)

8. Yifu Lin Justin. (2013). Demystifying the Chinese Economy, trans. from English, M. (In Russian Language)

Kanaev P. America loses energy. [Available at: http://www.vz.ru/economy] (In Russian Language)

9. Kirichenko, I.V., Onishchenko I.S. (2014). Internal mobility of research staff in China and Japan. J., World Economy and International Relations. M., №12. (In Russian Language)

10. China: characteristics of the global crisis counteraction. (2009). Bulletin of Foreign Commercial Information. M., №100. (In Russian Language)

11. Lavrinenko A.S. (2015). State support for the creative industries in Moscow. J., The Creative Economy, T. 9 (8), p. 936 // Global databank on world trade

in creative product // UNCNADstat website.

12. Laperdina V.V. (2011). Economic growth in China. Changing the model of development (1993-2009 y.). M., Institute of Economics, Russian Academy of Sciences, p. 222. (In Russian Language)

13. Le Bon G. (1898). The psychology of people and the crowd. M., p. 300. (In Russian Language)

14. The World in 2050. (2012). Edition of Daniel Franklin and John Andrews. EKSMO, M. (In Russian Language)

15. Mikheev V.V., Lukonin S.A. (2015). China after BOAO-2015. J., World Economy and International Relations. M., №8. (In Russian Language)

16. Potapov M.A. (2015). The use of comparative advantages and the private sector in the Chinese economy. J., World Economy and International Relations. M., №4. (In Russian Language)

17. Jaspers K. (1994). The idea and goal of Asia. Japan on itself and the world. M. (In Russian Language)

18. Financial Timnes: в мире возникла новая «Большая семерка» экономик. [Availadle at: http://ria.ru/economy/20141008/1027482357.html]

19. Henry Kissinger on the Assemble of a New World Order. The Wall Street Journal, 29.08.2014. Available at: [http://www.wsj.com/articles/henry-kissinger-on-the-assem-bly-of-a-new-world-order-1409328075]

21.Economist intelligente unit.

22.Lard Nicholas. Markets Over Mao. (2014). The Rise of Private Business in China. Washington. II, p. 2.

23.China Unveils Action Plan on Belt and Road Initiative. [http://news.xinhuanet.com/English/2015-03/28/c_134105372.htm

24.Yixin d., Lan X. (2011). University Technology Tranfer and Commercialization in China: Usin Tsinghua University as a Case. Po kam Wong, ed. Academic Entrepreneurship in Asia. 2011, Edward Elgar, Cheltenham, UK-Northamton, USA.

INVERSION OF GLOBALIZATION VECTOR AND ONE HUNDRED YEARS OF DEVELOPING ASIA

Guram Jolia,
Professor of GTU

RESUME

Recently, the significant changes have occurred in the world economy: the advanced economies have significantly lost their positions, in exchange for strengthened developing countries, especially economic and financial and technical capabilities in the Southeast Asian region.

Universal globalisation showed another side that was reflected in the fragmentation and localization tendencies.

At the same time, there is vital the inversion of globalization vector. „Washington Consensus“, which was considered to be the only acceptable model of economic development of countries in the world is gradually filled with 'Beijing consensus' in South Asia, where the largest number of human and financial resources are concentrated in the development of their own way. The world becomes unipolar instead of becoming polycentric.

Particularly noticeable is China's economic and technological progress. It is formed from „the world's factor“ to „the world's laboratory“, becoming a kind of locomotive of the subregion. The innovative potential ("sets up the centers of the brain") of the country is strengthening and the transport („the New Silk Road“) and energy infrastructures is involving a magnitude. Asia Bank of infrastructure investment had been established in Beijing. China has set a target for the new priorities of foreign policy and foreign economic policy, the realization of which was especially evident the „mental power“ factor. „New security concept in Asia“ is being developed.

China has put forward the economic development of a new project so called „New standards“, which provides for a planned slowdown in macroeconomic growth (about 5-6%), as well as transfering to the innovative and environmentally friendly technologies.

China has come out with an initiative to give up the GDP as the main indicator of the country's economic growth. On the contrary, offers the life of the qualitative guidelines, the level of utilization of innovation, the Green and Blue (fresh water) economies' development.

Keywords: Globalization, Consensus, Expansion, Fragmentation, Localization, Alternative, Modernization, Civilization, Relativism, Democracy, Authoritarianism, EuroAtlantic, Polycentric, Liberalism, Escalation, Fundamentalism, Tribalism, Radicalism, Pilar, Infrastructure, Concept.

გუნდური მმართველობის და გადაწყვეტილების მიღების პოპულარული საერთაშორისო მოდელები

მანია გოგიძე
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში პერსონალის მართვის „გუნდური" მიდგომა წარმატებით გამოიყენება მრავალი წლის განმავლობაში. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მენეჯმენტის ისტორიის ყველაზე საინტერესო ფურცლები დაკავშირებულია იაპონურ გამოცდილებასთან. იაპონელმა სპეციალისტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ამერიკული მენეჯმენტი, გადაიღეს ყველაზე რაციონალური და ააგეს მართვის საკუთარი მოდელი. ამით მათ დაანგრიეს სტერეოტიპი საკუთარი თავის შესახებ, როგორც მიმბაძველებზე და არა როგორც შემოქმედებზე. „მენეჯმენტის დასავლურ და იაპონურ თეორიებს შორის შემდეგი სხვაობაა: პირველ შემთხვევაში დომინირებს ორიენტირება საბოლოო შედეგზე, მეორე შემთხვევაში-ადამიანურ ფაქტორზე. აქცენტი კეთდება მომუშავეების უნარების წახალისებასა და მათი განვითარების სტიმულირებაზე, პარტნიორობასა და ურთიერთ დახმარებაზე, თანამშრომლებში კორპორაციული სულის ფორმირებაზე, ანუ მათში იმ კომპანიის მიმართ პატრიოტიზმის განვითარებაზე, რომელშიც ისინი მუშაობენ, მისი მიზნების მიმართ ერთგულებაზე.

ორგანიზაციების მაქსიმალური ეფექტიანობა მიიღწევა ყველა ზემოხსენებული ფაქტორის მაღალ დონეზე ფუნქციონირების საფუძველზე. ორგანიზაციაში მიმდინარე რთული პროცესების შესწავლა საჭიროებს მთლიანობითი მიდგომის შემუშავებას და გამოყენებას ორგანიზაციაში არსებული ისეთი მოვლენების და მასში მიმდინარე პროცესების კვლევისთვის, როგორებიცაა: ორგანიზაციის დაგეგმარება, შრომითი ჯგუფების ფორმირე-

ბა, ჯგუფთაშორისი ურთიერთობები, ლიდერობა, კომუნიკაცია, შრომითი განწყობები, მომუშავეთა პიროვნული თვისებები, შრომითი მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება, შრომითი კარიერა, შრომის დაგეგმარება, კადრების შერჩევა და ატესტაცია. ყველა ამ მოვლენის და პროცესის კომპლექსური გააზრება ორგანიზაციული ქცევის მოდელის ფარგლებში არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: გუნდური მმართველობა, სტიმულირება, პარტნიორობა, ურთიერთდახმარება, კვალიფიკაცია, ლიდერობა, მრავალსაფეხურიანობა, ავტორიტარულობა.

შესავალი

დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში პერსონალის მართვის „გუნდური" მიდგომა წარმატებით გამოიყენება მრავალი წლის განმავლობაში. ამერიკულ ბიზნესში ეს მეთოდი გასული საუკუნის 60-იან წლებში დაინერგა. საწარმოში პერსონალის მართვის გუნდური მიდგომა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა სამომხმარებლო საქონლის უდიდესმა მწარმოებელმა Prigter & Gamble Gompany. 1980-იან წლებში ეს გამოცდილება არაერთმა ამერიკულმა კომპანიამ გაიზიარა, მათ შორისაა მსოფლიოში ცნობილი კომპანიები: Xerox Corporation, General Electric Company,IBM Corporation, Digital Eguiment Corporation, Golgate-Palmolivi Gompany და სხვები. გასული საუკუნის ბოლოს ტეხასის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა Texas Instruments University of North Texas გადაწყვიტა ჩაეტარებინა მენეჯერთა გუნდის პირველი საერთაშორისო კონფერენცია, მათი სავარაუდო რიცხვი 90-დან 100-მდე მერყეობდა. როდესაც კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ მენეჯერთა გუნდების რაოდენობამ 350-ს გადააჭარბა, შეწყვიტეს რეგისტრაცია.

ძირითადი ტექსტი

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მენეჯმენტის ისტორიის ყველაზე საინტერესო ფურცლები დაკავშირებულია იაპონურ გამოცდილებასთან. იაპონელმა სპეციალისტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ამერიკული მენეჯმენტი, გადაიღეს ყველაზე რაციონალური და ააგეს მართვის საკუთარი მოდელი. ამით მათ

დაანგრიეს სტერეოტიპი საკუთარი თავის შესახებ, როგორც მიმბაძველებზე და არა როგორც შემოქმედებზე. „მენეჯმენტის დასავლურ და იაპონურ თეორიებს შორის შემდეგი სხვაობაა: პირველ შემთხვევაში დომინირებს ორიენტირება საბოლოო შედეგზე, მეორე შემთხვევაში-ადამიანურ ფაქტორზე. იაპონურ მიდგომას საფუძვლად უდევს თვითმმართველობის და თვითკონტროლის იდეა. აქცენტი კეთდება მომუშავეების უნარების წახალისებასა და მათი განვითარების სტიმულირებაზე, პარტნიორობასა და ურთიერთ დახმარებაზე, თანამშრომლებში კორპორაციული სულის ფორმირებაზე, ანუ მათში იმ კომპანიის მიმართ პატრიოტიზმის განვითარებაზე, რომელშიც ისინი მუშაობენ, მისი მიზნების მიმართ ერთგულებაზე. ყურადღების ცენტრშია ზრუნვა თანამშრომელთა მორალურ მდგომარეობაზე. სამუშაოზე მიღებისას ადმინისტრაციას აინტერესებს არა მხოლოდ კვალიფიკაცია, არამედ მომავალი თანამშრომლის მორალურ-ეთიკური თვისებები, მისი უნარი ჩაერთოს ჯგუფურ საქმიანობაში, სურვილი და მზადყოფნა გამოთქვას, თავდაუზოგავად იშრომოს.“[1]

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე მთელ მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის მოცულობით და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებით ლიდერობდა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს უმთავრესად მიეწერებოდა ამერიკული მენეჯმენტის ეფექტიანობას. 70-იანი წლების შემდეგ ამერიკის ნაცვლად მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერად უკვე გვევლინება იაპონია, რომლის მენეჯმენტის თავისებურებამ მიიპყრო მრავალი მეცნიერის ყურადღება. „იაპონური მენეჯმენტი მკვეთრად განსხვავდება ამერიკულისგან და ხშირ შემთხვევაში მისი საპირისპიროც კი არის. მეცნიერები სწორედ იმით დაინტერესდნენ, თუ მენეჯმენტის რა თავისებურებებმა შეაძლებინა იაპონიას რომ გამხდარიყო მსოფლიო ლიდერი“.[6] აშშ-ში გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი გამოირჩევა მრავალსაფეხურიანობით და ავტორიტარულობით, ხოლო იაპონიაში იერარქიის საფეხურების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და გადაწყვეტილებები მიიღება კოლექტიურად, ყველას აზრის გათვალისწინებით ვისაც კი ეხება ისინი. ეს ორი ქვეყანა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ორგანიზაცი-

ული კულტურითაც. აშშ-ს ორგანიზაციული კულტურა მიმართულია თანამშრომელთა კონკურენციაზე, მკაფიო თანამდებობრივ ინსტრუქციებზე, თანამდებობების მკაცრ კლასიფიკაციაზე, სოციალურ სტატუსებს შორის დიდ განსხვავებებზე თანამდებობიდან გამომდინარე. ყოველივე აფერხებს თანამშრომლების ურთიერთდახმარების შესაძლებლობების რეალიზებას და შეუძლებელს ხდის ხელმძღვანელობის კრიტიკას. ორგანიზაციული კულტურა იაპონიაში უმთავრესად გამოირჩევა მუშაობის გუნდური ხასიათით, თანამშრომლობით, არ არის უფლებების და მოვალეობების მკაცრი განაწილება, შრომის ანაზღაურებებს შორის განსხვავებები არ არის დიდი, თანამდებობა არ იძლევა გარკვეულ პრივილეგიებს, განსაკუთრებულ სტატუსს. „იაპონიის ორგანიზაციებში მმართველურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობას ღებულობს თანამშრომელთა 65%, ხოლო აშშ-ში - 12%. იაპონიაში პირადი და ორგანიზაციული ინტერესების თანხვედრა აღინიშნება თანამშრომელთა 93%-ში, ხოლო აშშ-ში თანამშრომელთა 9%-ში.“[7] მთლიანობაში იაპონიის კომპანიებში მართვისა და შრომის ორგანიზაციის სისტემა ორიენტირებულია ადამიანური რესურსებისთვის დასაქმების მაქსიმალური გარანტიების შექმნაზე, შრომაში ჩართულობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაზე, ორგანიზაციისადმი ერთგულების მაღალი მაჩვენებლების მიღწევაზე, თანამშრომლური და დადებითი ორგანიზაციული კლიმატის შექმნაზე, სტატუსური უთანასწორობის მინიმიზაციაზე და შრომითი კმაყოფილების მაჩვენებლის ამაღლებაზე. უახლესი ტექნოლოგიების ათვისების თვალსაზრისით იაპონია მთელ მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანურ ფაქტორს ამ კოლექტივისტურ კულტურაში ძალიან მაღალი პრიორიტეტი აქვს მინიჭებული. მხოლოდ ასეთ პირობებში ხდება შესაძლებელი ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება ორგანიზაციების გაძლიერებისა და განვითარებისთვის. ეს ყოველივე მეტყველებს ადამიანური ფაქტორის დიდი მნიშვნელობის გაცნობიერების სასარგებლოდ. აშშ-ს ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ტექნოლოგიების განვითარებას და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანური

რესურსების პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას. ეს არის მათი მართვის ადმინისტრაციული სტილის თავისებურება. იმის გამო, რომ თანამედროვე განვითარებული ქვეყნები ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით დიდად უკვე აღარ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ეს იყო მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, როდესაც აშშ ლიდერობდა მსოფლიოში, მენეჯმენტის ამერიკული მოდელი თანდათან კარგავს თავის მიმზიდველობას და სულ უფრო მეტი ქვეყნები ცდილობენ, რომ მართვისა და შრომის ორგანიზაციის მოდელებში შეიტანონ იაპონური მოდელის ელემენტები.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის ყველაზე უფრო რეალურს და ადეკვატურს წარმოადგენს ორგანიზაციებში მართვის და შრომის ორგანიზაციის იაპონური მოდელის ელემენტების დანერგვა, რომელიც უკვე არსებული მატერიალური რესუსრსების და ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ორგანიზაციული ქცევის მოდელის ამ ელემენტების სელექციის ფუნქციას ასრულებს ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ასახავს ეროვნული კულტურის თავისებურებებს და მის სპეციფიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს. „ორგანიზაციის ეფექტიანობის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის აგრეთვე მნიშვნელოვანია ორგანიზაციული კლიმატი და შრომითი განწყობები (შრომაში ჩართულობა, ორგანიზაციისადმი ერთგულება და სამუშაოთი კმაყოფილება). ორგანიზაციების მაქსიმალური ეფექტიანობა მიიღწევა ყველა ზემოხსენებული ფაქტორის მაღალ დონეზე ფუნქციონირების საფუძველზე.“[8] ორგანიზაციაში მიმდინარე რთული პროცესების შესწავლა საჭიროებს მთლიანობითი მიდგომის შემუშავებას და გამოყენებას ორგანიზაციაში არსებული ისეთი მოვლენების და მასში მიმდინარე პროცესების კვლევისთვის, როგორებიცაა: ორგანიზაციის დაგეგმარება, შრომითი ჯგუფების ფორმირება, ჯგუფთაშორისი ურთიერთობები, ლიდერობა, კომუნიკაცია, შრომითი განწყობები, მომუშავეთა პიროვნული თვისებები, შრომითი მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება, შრომითი კარიერა, შრომის დაგეგმარება, კადრების შერჩევა

და ატესტაცია. ყველა ამ მოვლენის და პროცესის კომპლექსური გააზრება ორგანიზაციული ქცევის მოდელის ფარგლებში არის შესაძლებელი.

იაპონია	აშშ
მმართველური გადაწყვეტილებების მიღება ხდება კოლექტიურად ერთსულოვნების საფუძველზე	გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური ხასიათი
კოლექტიური პასუხისმგებლობა	ინივიდუალური პასუსმგებლობა
მართვის მოქნილი სისტემა (მოცემული ორგანიზაციისთვის ინდივიდუალური)	მკაცრად ფორმალიზებული მართვის სტრუქტურა
კონტროლის არაფორმალური ორგანიზაცია	კონტროლის მკვეთრად ფორმალიზებული სტრუქტურა
კოლექტიური კონტროლი	ხელმძღვანელობის ინდივიდუალური კონტროლი
მომუშავის შრომის შენელებული შეფასება და სამსახურებრივი დაწინაურება	შრომის შედეგების სწრაფი შეფასება და დაჩქარებული დაწინაურება
ხელმძღვანელის ძირითადი თვისება - მოქმედებათა კოორდინაციის და კონტროლის განხორციელების უნარი	ხელმძღვანელის ძირითადი თვისება - პროფესიონალიზმი და ინიციატივა
ჯგუფზე ორიენტირებული მართვა	პიროვნებაზე ორიენტირებული მართვა
მართვის შეფასება-კოლექტივში ჰარმონიის მიღწევით და კოლექტიური	მართვის შეფასება -ინდივიდუალური შედეგის მიხედვით
შედეგით	დაქვემდებარებულებთან ფორმალური ურთიერთობები
დაქვემდებარებულებთან არაფორმალური ურთიერთობები	სამსახურებრივი დაწინაურება განისაზღვრება ინდივიდუალური შედეგებით
სამსახურებრივი დაწინაურება უფროსობის და მუშაობის სტაჟის მიხედვით	ვიწროდ სპეციალიზირებული ხელმძღვანელების მომზადება
უნივერსალური ტიპის ხელმძღვანელების მომზადება	შრომის ანაზღაურება ინდივიდუალური მიღწევების მიხედით
შრომის ანაზრაურება ჯგუფის მუშაობის მაჩვენებლების და სამუშაო სტაჟის მიხედვით	სამუშაოზე დაქირავება მცირე ვადით

დასკვნა

ორგანიზაციაში მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კონცეფციების და პოსტულატების მატარებლები არიან თანამშრომლები. ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია მენეჯმენტის ტექნოლოგიების თავისებურებებზე. გუნდური მუშაობა ქმნის პირობებს კონკრეტულ საქმეებისა და ღირებულბების გარდაქმნის წარმატებისათვის. ეს არის საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. სწორედ შრომის გუნდური ორგანიზაციით მიიღწევა იერარქიული, ბიუროკრატიული, ავტორიტატული მენეჯმენტით დაშვებული შეცდომების გამოსწორება. გუნდური მუშაობის შედეგები მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდის თითოეული წევრი მკაცრად იცავს დადგენილ წესებს და კანონებს. გუნდისათვის კარგი ლიდერი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კარგი იდეა ან დავალება, რომელიც ზრდის კოლექტიურ პასუხისმგებლობას. გუნდური მუშაობის ეფექტურობა ეს რეალური ფაქტია და არა თეორეტიკოსების შეხედულება. ეს მოდელი წარმატებით მუშაობს ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე, მითუმეტეს, როცა მათი სტრუქტურები იზრდება გლობალური მასშტაბებით და ვრცელდება დიდ ტერიტორიებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იჩაკ კ. ედიზესი, მართვის კორპორაციული სასიცოცხლო ციკლი. ღოგორ იზრდება ორგანიზაციები, ასაკი და სიკვდილი. 2014. გვ.19-21.

2. იჩაკ კ. ედიზესი, ლიდერების მართვა, როგორ გაამდიდროთ მართვის თქვენი სტილი და გაუმკლავდეთ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მართვის თქვენგან განსხვავებული სტილი. 2010. გვ.76-77.

3. იჩაკ კ. ედიზესი, იდეალური აღმასრულებელი. 25 აგვისტო, 2014. გვ. 9-12.

4. გრეგ ლედერმანი. დაკავებული!: კონტურენტის ქცევის მართვა მომხმარებლის შესაძენად. 27 აგვისტო, 2013, გვ. 16-17

5. გრეგ ლედერმანი. ბრენდის მთლიანობის მიღწევა: ათი სი-

მართლე, რომელიც უნდა იცოდეთ, რომ აამაღლოთ თანამშრომელთა შრომისუნარიანობა და გაზარდოთ კომპანიის მოგება.6 ივნისი, 2011წ.გვ. 53-55.

6. ჯეფრი კ. ლაიკერი, დევიდ მეიერი. ტოიოტას განვლილი გზა: მენეჯმენტის 14 პრინციპი მსოფლიოს უდიდესი მწარმოებლისაგან. 7 იანვარი, 2014წ. გვ.14-16

7. ჯეფრი კ. ლაიკერი, დევიდ მეიერი. ტოიოტას განვლილი გზა ლიდერობისათვის. წარმატების მიღწევა და შენარჩუნება ლიდერობის განვითარებაში. 7 ნოემბერი, 2011. გვ. 31-32.

8. ჯეფრი კ. ლაიკერი, დევიდ მეიერი. ლიდერობის განვითარება ყველა საფეხურზე: პრაქტიკული გზამკვლევი. 10 ივლისი, 2015წ, გვ. 27-28

9. ბეგლი ტომასი. ორგანიზაციული კლიმატის აღქმა, ცოდნის გადაცემა და ინოვაცია. ჩინეთზე დამყარებული კვლევა და კომპანიების განვითარება. დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯი. ირლანდია, 2010 წ. გვ. 1-10

10. ფრაუზია ნოორდინი, საფია ომარ, სიაკირაროიან სეჰან, შუკრია იდრუს. ორგანიზაციული კლიმატი და მისი გავლენა ორგანიზაციულ ვალდებულებებზე. საერთაშორისო ბიზნესი&ეკონომიკური კვლევების ჟურნალი.თებერვალი, 2010წ. გვ. 1-10;

11. ჟანგ ი, ბეგლი ტომასი, ორგანიზაციული კლიმატის აღქმა, ცოდნის გადაცემა და ინოვაცია. ჩინეთზე დამყარებული კვლევა და კომპანიების განვითარება. ჰონგ-კონგის ბიზნეს უნივერსიტეტი. ჰონგ-კონგი, 2010წ. გვ. 7-8.

REFERENCES:

1. Dr. Ichak K. Adizes, Ph. D. Managing Corporate Lifecycles. How Organizations Grow, Age and Die. 2014 p.19-21

2. Dr. Ichak K. Adizes, Ph. D. Leading the Leaders: How to Enrich Your Style of Management and Handle People Whose Style is Different From Yours. 2010 p. 76-77

3. Dr. Ichak K. Adizes, Ph. D. The Ideal Executive. August 25, 2014 p. 9-12

4. Gregg Lederman. ENGAGED!: Outbehave Your Competition to Create Customers for Life. August 27, 2013 p. 16-17

5. Gregg Lederman. Achieve Brand Integrity: Ten Truths You Must Know to Enhance Employee Performance and Increase Company Profits. June 6, 2011 p. 53-55

6. Jeffrey K. Liker, David Meier. The Toyota Way: 14 Management Principles from the World's Greatest Manufacturer. January 7, 2014 p. 14-16

7. Jeffrey K. Liker, David Meier. The Toyota Way to Lean Leadership: Achieving and Sustaining Excellence through Leadership Development. November 7, 2011 p. 31-32

8. Jeffrey K. Liker, David Meier. Developing Lean Leaders at all Levels: A Practical Guide. July 10, 2015 p.27-28

9. Begley Thomas M.. Perceived Organizational Climate, Knowledge Transfer, And Innovation. In China-Based Research And Development Companies. University College Dublin. Ireland. 2010. P. 40-41

10. Fauziah Noordin, Safiah Omar, Syakirarohan Sehan, Shukriah Idrus. Organizational Climate And Its Influence On Organizational Commitment. International Business & Economics Research Journal – February 2010 Volume 9, Number 2, p. 1-10.

11. Zhang Yi, Begley Thomas M.. Perceived Organisational Climate, Knowledge Transfer,and Innovation in China-based Research & Development Companies. Hong Kong Institute of Business Studies, Hong Kong, 2010. P. 7-8

THE POPULAR INTERNATIONAL MODELS OF TEAM MANAGEMENT AND DECISION-MAKING

Mania Gogidze
PhD student of Caucasus International University

RESUME

The method of "Team" approach to the personnel management has been successfully used for many years, in the western developed countries. The most interesting papers of the management history in the last decades of the past century, is connected with Japan experience. The Japan specialists fundamentally studied american management, copied the most rational things and created their own management model. Thereby they destroyed the stereotype about themselves as an imitator and not as a creator. There is the next difference between the western and Japan management theories: in the first case, the orientation on the final result is dominant, in the second case the human factor is the most important.

Keywords: Team management, Stimulate, Partnership, Cooperation, Qualification, Leadership, Multistage, Authoritarian.

მცირე და საშუალო ბიზნესი სინგაპურში

მიხეილ კიკნაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სინგაპურის ეკონომიკური კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ქვეყანაში რეგისტრირებული მთლიანი საწარმოების და კომპანიების 99%. -ს შეადგენს, რომლებშიც დასაქმებულია 1. 4 მილიონი ადამიანი, რაც ქვეყნის მთლიანი დასაქმებული მოსახლეობის 62, 3% -ა. სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა სინგაპურში, მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებები , ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მოცემულია სინგაპურის მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელები, ამ კატეგორიის საწარმოების კლასიფიკაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის გამოცდილება, სინგაპურში მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარი მხარდამჭერი ორგანოების საქმიანობა, განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ძირითადი პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მათი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: სინგაპური, მცირე და საშუალო საწარმოები, სექტორი, მეწარმეობა, დასაქმება.

ძირითადი ტექსტი

დამოუკიდებლობის შემდეგ, უკანასკნელ 30 წელიწადში სინგაპურმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, „მესამე სამყაროს“განუვითარებელი ქვეყნიდან ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების პირველ რიგებში გადაინაცვლა. აღსანიშ-

ნავია, რომ სინგაპური ერთ-ერთი უმსხვილესი პორტია და ტვირთბრუნვით მეორე ადგილზეა მსოფლიოში, სინგაპური-სიდიდით მესამე ცენტრია მსოფლიოში (ჰიუსტონის და როტერდამის შემდეგ) ნავთობის გადამუშავების და მეოთხე ნახევარგამტარების გლობალური მწარმოებელია.

სინგაპურის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით მსოფლიო ბანკის მონაცემებით 83 ათას აშშ დოლარზე მეტს შეადგენს. ამ მაჩვენებლით სინგაპურს აზიაში პირველი პოზიცია უკავია. მსოფლიოში კი - მესამე. ქვეყნის მშპ შეადგენს 308 მილიარდ აშშ დოლარს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით სინგაპური მეორე ადგილზეა მსოფლიოში და მხოლოდ ჰონკონგს ჩამოუვარდება. აღსანიშნავია, რომ, სინგაპური-უმსხვილესი ფინანსური ცენტრია აზიაში და ბევრი პარამეტრებით არ ჩამორჩება ჰონკონგსა და ტოკიოს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეკონომისტები სინგაპურს ბიზნესის კეთების იდეალურ ადგილად მიიჩნევენ. ამ პატარა ქვეყანას შესანიშნავი ფინანსური ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური სტაბილურობა და მსოფლიო დონის სამართლებრივი სისტემა გააჩნია.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახელმწიფოში დაიდეს ბინა 3.5 ათასმა მსოფლიოს წარმატებული კომპანიების განყოფილებებმა. 120-ზე მეტ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს თავიანთი წარმომადგენლობები აქვთ აქ გახსნილი.

სინგაპურში მოქმედებს საგადასახადო რეჟიმი წახალისების სისტემით, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვისათვის. მოგების დაუბეგრავი გადარიცხვები და კაპიტალის რეპატრიაცია, კაპიტალდაბანდებების გარანტიები, ქვეყანაში დროებით მცხოვრები უცხოელების საბანკო ანაბრებზე პროცენტის გადასახადიდან და ორმაგი დაბეგვრისგან განთავისუფლება. ყველაფერი კეთდება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვისათვის. რაც მთავარია, სინგაპურის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მრავალფეროვანი მომსახურების გაწევა(სატრანსპორტო, გადაზიდვები,

სასაწყობო, კომუნიკაციური, სავაჭრო, საქონლის გადამუშავებაში მომსახურება და მათი რეექსპორტი, ფინანსური, ტურისტული, რეკრეაციული და სხვა).

მომსახურების სფეროში დაკავებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 70%. ათიათასობით მოქალაქე ასე თუ ისე ჩართულია სამეწარმეო საქმიანობაში. უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპურელების დაახლოებით 75%-სი ფლობს სხვადასხვა საწარმოების და კომპანიების აქციებს.

რამდენიმე წლის წინ (CNN Time Warner Group) გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით სინგაპურს მეხუთე ადგილი უჭირავს მცირე ბიზნესთან კეთილგანწყობის თვალსაზრისით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები გაერთიანებული არიან ერთიან ჯგუფში, მათთვის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 200 დასაქმებულს. ამ კატეგორიის საწარმოები, ფირმები და კომპანიები ჩართული არიან სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში.

თუმცა, რა თქმა უნდა ყველა მცირე და საშუალო საწარმოები განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით შეიძლება დავყოთ ორ ტიპად.

პირველს მიეკუთვნება საწარმოები, ფირმები და კომპანიები, რომლებიც საქმიანობენ მომსახურების სხვადასხვა სფეროებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპური-ერთ-ერთია მსოფლიოში იმ მცირე ქვეყნებიდან, სადაც მომსახურების სფეროში განსაზღვრულია კონკრეტული სტანდარტები. ამასთან, ძალიან მკაცრი სტანდარტები. ისინი ეხება აბსოლუტურად ყველაფერს. მომსახურების სტილს, ინვენტარს, ინსტრუმენტებს, პერსონალის კვალიფიკაციას, შენობების, ოფისების და საწარმოების შენობების კეთილმოწყობას, მის იერ-სახეს და ა. შ. სწორედ სერვისის უმაღლესი დონის, მაღალი კულტურის მიღწევის საფუძველზე სინგაპურს ყოველწლიურად სტუმრობს 10 მილიონამდე ტურისტი, რაც ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას 2 ჯერ აჭარბებს.

მცირე და საშუალო საწარმოების მეორე ტიპს მიეკუთვნება ფირმები და კომპანიები, რომლებიც წარმოებით არიან დაკავებულნი, მ. შ. ისინი, ვინც თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ.

ამ საწარმოების განვითარებაში ძალიან დიდ პოზიტიურ როლს თამაშობს სახელმწიფოს მიერ გატარებული ინტეგრაციის პოლიტიკა. ის ითვალისწინებს ასეთი საწარმოების გაერთიანებას შესაბამის ჯგუფებში და მათ უზრუნველყოფას ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებით. იდეა საკმაოდ მარტივი და ეფექტურია:მარტო მცირე და საშუალო საწარმოებს ხშირ შემთხვევებში არ შეუძლიათ გაუშვან მაღალტექნოლოგიური საწარმოები სათანადო დონეზე. მაგრამ, ასეთი საწარმოების ჯგუფებისთვის გააკეთონ ეს უფრო ადვილი საქმეა. ისინი ერთმანეთთან იყოფენ მთელ საწარმოო ჯაჭვს და საბოლოო ჯამში აღწევენ მაღალ შედეგებს, მ. შ. გენეტიკის, იმუნოლოგიის, ეკოლოგიის, ბიოტექნოლოგიების სფეროებში და ელექტრონული მრეწველობისთვის დასაკომპლექტებელი საქონლის წარმოებაში.

სინგაპურის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით 2005 წელს სინგაპურში ფუნქციონირებდა მცირე და საშუალო ბიზნესის 149 ათასი საწარმო, რაც ქვეყნის მთლიანი საწარმოების 99.4% შეადგენდა. ამ საწარმოებზე მოდიოდა გამოშვებული პროდუქციის დამატებითი ღირებულების 46.3% და სინგაპურის მშპ-ის 30%. ამის გარდა, დასაქმების წლიური 7%-იანი ზრდის ძირითადი წილი მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული იყო 1. 4 მილიონი ადამიანი, რაც ქვეყნის მთლიანი დასაქმებული მოსახლეობის 62,3% იყო. 2014 წლის მონაცემებით სინგაპურში 189,000 მცირე და საშუალო საწარმოა, რაც ქვეყნის მთლიანი საწარმოების 99%, აქედან 84% ადგილობრივ მოქალაქეებს ეკუთვნით, დანარჩენი კი უცხოელებს.

გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფო ყოველმხრივ ხელს უწყობს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავს მცირე და საშუალო საწარმოები კონკურენტუნარიანი გახადოს საერთაშორისო დონეზე. რადგან ამ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ არაკონკურენტუნარიანი მეწარმე მთელ სახელმწიფოს ქმნის არაკონკურენტუნარიანს.

მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობისათვის სინგაპურში მთელი ქვეყნის მასშტაბით შექმნილია ერთიანი სააგენტო, რომელიც ანხორციელებს მეწარმეების დახმარებისათვის 100-ზე მეტ სხვადასხვა პროგრამას.

სააგენტო Spring შედგება 5 სამმართველოსაგან. პირველი-განაგებს მცირე და საშუალო საწარმოების, კომპანიების სამეწარმეო პოტენციალის განვითარებას. მ. შ. ბრენდინგის და მართვის სრულყოფის საკითხებს.

მეორე-მეწარმეების საქმიანობისათვის საჭირო მომსახურების გაწევას. მ. შ. კონსალტინგურ, ბუღალტრულ, ფინანსურ, მონიტორინგულ, მართვის და სხვა მსგავს მომსახურებას.

მესამე სტრუქტურის თანამშრომლები მსს-ის ხელმძღვანელებს ეხმარებიან მათი სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მეოთხე სამმართველო კონცენტრირებულია ხარისხის და სტანდარტიზაციის პრობლემებზე.

მეხუთე-კორპორაციული განვითარების საკითხებზე, მათ რიცხვში საწარმოების სტრუქტურის დახვეწის და კადრების მომზადების პრობლემებზე.

ქვეყანაში განსაკუთრებული შეღავათებია დაწესებული იმ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც მოლოდ ახლა იწყებენ თავიანთ ბიზნესს.

სინგაპურში მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შემუშავებული და დანერგილია შეღავათიანი დაკრედიტების სხვადასხვა პროგრამები.

ეს არის სპეციალური სესხების გაცემა, კრედიტების დაზღვევა და სუბსიდიების განაწილება.

2001 წლიდან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შემცირებულია საპროცენტო განაკვეთები.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 4 წლამდე ვადით კრედიტის მიღების შემთხვევაში, ამჟამად მოქმედებს 5%-იანი წლიური განაკვეთი, მრავალწლიანი კრედიტის აღების პირობებში კი 6%-იანი განაკვეთი. სპეციალური შეღავათებია გათვალისწინებული იმ მიკროფირმებისათვის , რომელთა პერსონალთა რაოდენობა არ აღემატება 10 დასაქმებულს.

სინგაპურის საკრედიტო-საბანკო სისტემაში, რომელშიც წამყვანი როლი სახელმწიფოს აკისრია, აერთიანებს სხვადასხვა საქმიანობის სფეროს 700-ზე მეტ ფინანსურ ორგანიზაციას, მ. შ. 122 კომერციულ ბანკს(მათგან 116 უცხოური ბანკია), 7 ფინანსური და 146 სადაზღვევო კომპანიაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპურს უკვე მრავალი წელია არ გააჩნია საგარეო ვალი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სინგაპურის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო საწარმოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, პერსონალის კვალფიკაციის ამაღლების საქმეს. ეს დახმარება არსებითია, რადგან სწორედ სახელმწიფო ფარავს 90%-მდე ხარჯებს, რომელსაც ხარჯავენ მცირე და საშუალო საწარმოები პერსონალის სწავლებისა და გადამზადებისათვის.

ქვეყანაში, ამ მიზნით არსებობს სახელმწიფო და კერძო სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. უფრო მეტიც, მცირე საწარმოებს დამოუკიდებლად შეუძლიათ პერსონალის სწავლებისთვის მოიწვიონ შესაბამისი სფეროს სპეციალისტი(მ. შ. უცხოეთიდან) და შემდეგ მომსახურების ხარჯები, ანაზღაურებისათვის წარუდგინოს სახელმწიფოს. რაღა თქმა უნდა, ასეთი სპეციალისტის მოწვევა საწარმოში დასაბუთებული უნდა იყოს და მომსახურებაში გონივრული თანხა უნდა გადაიხადონ.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურში აქტიურად მოქმედებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ASME (Asso-ciation of Small&Medium Enterprises), , რომელიც როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აერთიანებს მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებს.

ASME -სახელმწიფო სტრუქტურებთან აწარმოებს მოლაპა-

რაკებებს, მეწარმეებისათვის ქმნის ბიზნეს კლუბებს, აწყობს შეხვედრებს, ტრენინგებს, კონსულტაციებს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად ახორციელებს ეკონომიკის ამ სფეროს კონტროლს 2 მიმართულებით.

პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურები ატარებენ მონიტორინგს იმ მიზნით, რომ გამოავლინონ რომელ საწარმოებს ესაჭიროებათ განახლება, გადაიარაღება, ახალი ტექნოლოგიები, რომელ საწარმოებს კომპიუტერული მომსახურების განახლება, რომელს-პერსონალის გადამზადება და სხვა. სპეციალური კომისიები ავლენენ მეწარმეების საჭიროებებს და ოპერატიულად თავაზობენ მათ დახმარებას.

მეორე მხრივ, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლები მუდმივად აკვირდებიან მცირე და საშუალო საწარმოებში სფეროების მიხედვით კონკრეტული ნორმების და წესების დაცვას.

სინგაპურში ასევე, ყველა პირობაა მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითარებისათვის, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. კერძოდ, ქვეყანაში მცირე ბიზნესთან მიმართებაში მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. მრავალი ადამიანი ეწევა ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას. მსოფლიო ბანკის გამოკვლევების შედეგად სინგაპური ზედიზედ 12 წელია ითვლება ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ადგილად.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურში გატარებული იქნა თანმიმდევრული რეფორმები, რომელიც მიმართული იყო ბიზნესის კეთების პირობების გაუმჯობესებისაკენ.

გარდა ამისა, სინგაპურს მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“გლობალური კონკურენტუნარიანობის“ რეიტინგში.

სინგაპურს ასევე, დადებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის, საინვესტიციო გარანტიების

შესახებ. მრავალ განვითარებულ ქვეყანასთან გაფორმებულია ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე საწარმოები შემდგომი გაფართოებისთვის იღებენ უნიკალურ შესაძლებლობებს და გარკვეულ უპირატესობას საერთაშორისო ბაზრებზე სწრაფად გასვლისათვის.

ძირითადი დასკვნები სინგაპურში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკასთან მიმართებაში.

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის სინგაპურის პრაქტიკაში იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

• სინგაპურის მთავრობა მცირე დ საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკას განიხილავს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის საფუძველს და , ყოველწლიურად ახორციელებს მრავალმილიარდიან სახელმწიფო პროგრამებს;

• ხელშეწყობის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს ფინანსური და ინფრასტრუქტურული პროგრამები, ასევე, კონსალტინგი, ინფორმაციული მხარდაჭერა, ექსპორტის და ინოვაციური წარმოების ხელშეწყობა;

• მსს-ის ხელშეწყობის პროგრამების ძირითად მიზნებს წარმოადგენს ახალი საწარმოების შექმნა, ინოვაციების მხარდაჭერა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ცალკეული ბიზნესის სფეროების განვითარება;

• მრავალ ქვეყანაში კანონმდებლობა მიმართულია ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებაზე, სინგაპურში სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება უპირატესად კანონებში გაწერილი პირდაპირი მოქმედების ნორმების და არა კანონქვემდებარე აქტებისმეშვეობით;

• სინგაპურში ტარდება აქტიური ანტიმონოპოლური პოლიტიკა, მცირე საწარმოებთან მიმართებაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით;

• მთელ რიგ ქვეყნებში ტარდება მცირე, საშუალო და მსხვი-

ლი საწარმოების კოოპერირების პრინციპი, ამასთან ისინი ავსებენ ერთმანეთს, განსაკუთრებით ცალკეული საწარმოების სპეციალიზაციის სფეროში და ინოვაციურ გამოგონებებში.

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სინგაპურის პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილება დიდ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან და მოითხოვს სპეციალურ კვლევას ქართული ეკონომიკის პირობებში მათი ადაბტაციისათვის.

გამოყენებული წყაროები:

1. სინგაპურის სტატისტიკის დეპარტამენტი(DOS)-https://www. singstat. gov. sg/

2. https://www. ida. gov. sg/Programmes-Partnership/Small-and-Medium-Enterprises .

3. http://www. iras. gov. sg/irashome/PIcredit. aspx .

4. https://www. singstat. gov. sg/docs/default-source/default-document-library/statistics/visualising_data/profile-of-enterprises-2014. pdf

5. “Guide for Business Management in Singapore“

6. http://www. asme. org. sg/index. php/home

7. Singapore International Chamber of Commerce http://www. sicc. com. sg

8. British Chamber of Commerce http://www. britcham. org. sg

9. Singapore Chinese Chamber of Commerce & Industry http://english. sccci. org. sg

10. საერთაშორისო სავაჭრო პალატა სინგაპურში http://www. sicc. com. sg

11. დიდი ბრიტანეთის სავაჭრო პალატა სინგაპურში-http://www. britcham. org. sg

12. JETRO (2003), „Dispute Arbitration System in Asian Countries“ 13. http://www. mofa. go. jp/mofaj/area/singapore/kyotei/index. html 14. http://www. spring. gov. sg/Content/HomePage. aspx 15. http://www. edb. gov. sg/edb/sg/en_uk/index. html

SMALL AND MEDIUM BUSINESS (SMES) IN SINGAPORE

Kiknadze Mikheil,
PHD Student of GTU

RESUME

Singapore's economic prosperity is inextricably linked with the development of small and medium enterprise (SME) sector. It is worth noting that SME represent over 99% of the formal enterprises in SINGAPORE . In this sense, the article provides an overview of the Singaporean small and medium business, investigates the importance of the SME sector size measured by the share of the SME employment in total employment, and the level of human capital in the SME sector. Furthermore, it reviews the experience of state support of small and medium business in SINGAPORE , the advantages and disadvantages are identified, and some suggestions are given for the possible improvement of the sector.

Key words: SINGAPORE , Small and Medium Enterprises; Sector; Employment;

გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები

ქეთევან შენგელია
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

გლობალიზაციის პირობებში, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე გლობალური ბიზნესის გავლენით. საქართველოს შესაძლებლობები, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა სატრანზიტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას – ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები.

საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას. ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება.

ხოლო მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

საკვანძო სიტყვები: გლობალური კომპანიები, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

თანამედროვე პერიოდში, როდესაც ასე ღრმად გაიდგა ფესვები გლობალიზაციის პროცესებმა, საზღვრები უფრო გამჭვირვალე ხდება არა იმდენად პოლიტიკოსთა სურვილის გამო, რამდენადაც თანამედროვე გლობალური ბიზნესის გავლენით.

საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა.

ამჟამად, საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ, ასევე, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესების კუთხით შთამბეჭდავი წინსვლა შეიმჩნევა. 2015 წლის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში 8%-ს აღწევს.

ძირითადი ნაწილი

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც ქვეყნების მდგომარეობას აფ-

ასებს 0-100 ქულიანი სკალით, სადაც ქულა 100 შეესაბამება თავისუფლების ყველაზე მაღალ დონეს, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ქულა არის 73.0. მისი საერთო ქულა გაიზარდა 0.4-ით გასულ წელთან შედარებით. პირველ რიგში იგი ასახავს გაუმჯობესებას თავისუფლების, კორუფციის, მონეტარული პოლიტიკის და სამთავრობო მართვის საკითხებში. Heritage Foundation –აქვეყნებს 2015 წლის საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების შემდეგ მაჩვენებლებს:[1]

ბიზნესის თავისუფლება – 88,6;
მონეტარული თავისუფლება - 82,7;
ფისკალური თავისუფლება - 87,2;
საინვესტიციო თავისუფლება – 80.0;
შრომის ბაზრის თავისუფლება – 79,9;
მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში – 73,8
სავაჭრო თავისუფლება – 88.6
ფინანსური თავისუფლება– 60.0.

აქვე აღნიშნულია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა. მაგრამ საქართველო კვლავ ერთგული რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და იმედოვნებს, რომ მალე გახდება ნატოს წევრი. 2014 წლის ივნისში კი ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებებს ევროკავშირთან.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ქვეყანათა რეიტინგში ქვეყნები დაყოფილია თავისუფალ, ძირითადად თავისუფალ, ზომიერად თავისუფალ, ძირითადად არათავისუფალ, რეპრესირებულ ქვეყნებად:[2]

თავისუფალი ქვეყნები, რომელთა ინდექსი მერყეობს 100-80 ფარგლებში - შედის 5 ქვეყანა: ჰონ–კონგი – 89,6; სინგაპური – 89,4; ახალი ზელანდია – 82,1; ავსტრალია – 81,4; შვეიცარია –80,5.

ძირითადად თავისუფალი ქვეყნები (80-70). აქ შედის 29 ქვეყანა. მათ შორისაა: კანადა – 79,1; ესტონეთი – 76,8; გერმანია – 76,3; იაპონია – 73,3; ლუქსემბურგი– 73,2. **საქართველო აქ 22–ე ადგილზეა მაჩვენებლით – 73,0.**

ზომიერად თავისუფალი ქვეყნები (70-60). აქ შედის 54 ქვეყანა. მათ შორისაა ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი,

1 **http://www.heritage.org/index/country/georgia**
2 **http://www.heritage.org/index/ranking**

ალბანეთი, ყაზახეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სლოვენია, სერბეთი და ა.შ.

ძირითადად არათავისუფალი ქვეყნები (60-50). აქ შედის 61 ქვეყანა. მათ შორისაა: უგანდა, ნამიბია, ლიბანი, ზამბია, გაბონი, ნიგერია, ინდოეთი, საბერძნეთი, ჩინეთი, რუსეთი და ა.შ.

რეპრესირებული ქვეყნები (50-40). ამ ჯგუფში შედის 25 ქვეყანა. მათ შორისაა: ბელარუსია, უზბეკეთი, უკრაინა, თურქმენეთი, ვენესუელა, კუბა, ჩრდილოეთ კორეა.

კატეგორიის გარეშეა (not ranked) 8 ქვეყანა: ავღანეთი, ერაყი, კოსოვო, ლიბია, სომალი, სუდანი, სირია, ლიხტენშტეინი.

ორგანიზაცია Global Policy[1] გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგში მოცემულ 62 ქვეყანას შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და, მათ შორის, საქართველო არ ფიგურირებენ, რაც მიგვანიშნებს, რომ გლობალურ ეკონომიკასთან ამ ქვეყნების ინტეგრირების ხარისხს არ მიუღწევია იმ სიდიდისთვის, რომ ანგარიშგასაწევს წარმოადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის ღიაობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა. ძლიერ ლიბერალურია ქვეყნის საგარეო სავაჭრო რეჟიმი, ასევე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი (საკანონმდებლო წესით) უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლისთვის.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა დღეს არ არის გამოცალკევებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და სხვა ღონისძიებებთან. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოვებას, მისი საერთაშორისო კონ-

1 https://www.globalpolicy.org/globalization.html

კურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას. საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი საგარეო სავაჭრო კავშირების დივერსიფიკაციაზეა ორიენტირებული. ვაჭრობის სფეროში მისი განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის წევრობა ვმო-ში, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ინსტიტუტს და ქმნის ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე დაფუძნებულ სავაჭრო სისტემას. მის ფარგლებში მსოფლიო ვაჭრობის 95% წარიმართება. ფაქტობრივად, ვმო-ს შეთანხმება ქმნის ჩარჩოს, რომლითაც განისაზღვრება ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ხასიათი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა იზრდება და 2014 წელს შეადგინა 11454 მლნ. აშშ. დოლარი, თუმცა საგარეო ვაჭრობის სალდო დეფიციტურია და შეადგინა -5733 მლნ. აშშ. დოლარი.[1]

გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ასევე პირდაპირი ინვესტიციების მარაგი და მათი თანაფარდობა მშპ-სთან. პუი საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა. 2014 წლისათვის მისმა მოცულობამ შეადგინა 1 272.5 მლნ აშშ. დოლარი.[2]

ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოლო წლებში ქართული პროდუქცია ყველაზე მეტი რაოდენობით გატანილ იქნა ბულგარეთში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში და ა.შ. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, საქართველოს ექსპორტის მოცულობა შედარებით მაღალი იყო აშშ-ში, კანადაში, თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

საქართველოს შესაძლებლობები შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართვე-

1 http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo
2 http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

ლოს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში აუცილებელია, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. გრძელვადიან პერიოდში, სატრანსპორტო კორიდორის გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას – ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. სატრანზიტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობის დინამიკურ სექტორებში.

საინტერესოა UNCTAD-ის შეფასება, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (United Nations Conference on Trade and Development, UNCTAD) - გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანო, მისი შეფასების თანახმად, მსოფლიოში დინამიკურ სექტორებს მიეკუთვნება ის სექტორები, რომლებიც 1995 წლის შემდგომ 5-ჯერ მაინც გაიზარდა. ეს სექტორები ხასიათდება მოთხოვნის მდგრადი ზრდითა და ტექნოლოგიური და კვალიფიკაციის განვითარებით. მათში შედის სასმელები, საზღვაო პროდუქტები, ენერგეტიკული პროდუქტები (მაგალითად, ბიოსაწვავი), სამრეწველო საქონლიდან - ელექტრონიკა, საავტომობილო ნაწილები, საფეიქრო და ტანსაცმლის წარმოება, მომსახურება (საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამშენებლო, სატრანსპორტო, მოგზაურობანი, ტელეკომუნიკაციები, ფინანსური და პროფესიული, კომერციული). განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი დარგები, რომლებიც 2000 წლის შემდგომ საშუალოდ წლიურად 7%-ით იზრდება და მისი მსოფლიო ბაზრის მოცულობა 1,3 ტრლნ დოლარს აღწევს.

გლობალური კომპანიების გავლენისა და განვითარების პროცესში მათი როლის შესახებ მრავალი მეცნიერული კვლევაა მოცემული. მკვლევარები აღიარებენ, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის (ტნკ)-სულ უფრო მიმზიდველნი ხდებიან. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიერ ახალი საწარმოების მშენებლობაში მოზიდული ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, ჩინეთი და ინდოეთი იღებენ ახალ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციების უდიდეს რაოდენობას, რაც განვითარებადი ქვეყნების მთლიანი მაჩვენებლის თითქმის ნახევარს შეადგენს. ამას ხელს უწყობს ინდოეთში მიმდინარე ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკა, ასევე, ის ფაქტი, რომ ჩინეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა.

გამოკითხული ტნკ-ების მიხედვით გლობალური ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე მიმზიდველ გარემოს წარმოადგენენ შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი (ტნკ-ების 87%), ინდოეთი (51%), აშშ (51%), რუსეთის ფედერაცია (33%), ბრაზილია (20%), მექსიკა (16%), გერმანია (13%), დიდი ბრიტანეთი (13%), ტაილანდი (11%), კანადა (10%)[1].

ერთ-ერთი ფაქტორი ქვეყნის მიმზიდველობისა უცხოური კაპიტალისათვის არის ბაზრის მასშტაბი. საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია ევროპა (მოსახლეობა 495 მილიონი), შავი ზღვის აუზის ქვეყნები (მოსახლეობა 243 მილიონი), თურქეთი (მოსახლეობა 73 მილიონი), კავკასიის რეგიონი (16 მილიონი). უცხოურ კომპანიებს საქართველოში ინვესტირებით შეუძლიათ მოემსახურონ რეგიონის ბაზრებს და განიმტკიცონ პოზიციები.

1 www.unctad.org/fdiprospects

საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდა მრავალი საერთაშორისო კომპანია. დიდი ბრიტანეთის კომპანიებმა შეიძინეს მანგანუმის საბადოები და ბათუმის პორტი. ჩეხურმა კომპანიებმა ინვესტიციები განახორციელეს ელექტროგამანაწილებელ ქსელსა და ჰიდროელექტორსადგურებში; ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში; არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში; უდიდეს საზღვარგარეთულ საბანკო კომპანიებს ფილიალები აქვთ საქათველოში და გეგმავენ ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას; ინდური ინვესტიციები ხორციელდება ენერგეტიკის სფეროში.

საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობები აქვთ ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა Microsoft, ფრანგული სატელეკომუნიკაციო კომპანია Alcatel. კომპანია Microsoft საქართველოში პარტნიორული ქსელის განვითარებას, შემკვეთებთან მუშაობას, ასევე, თავისი გადაწყვეტილებებისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაციას ახორციელებს. კომპანიები Sun Microsystem და Sony საქართველოში პარტნიორული ქსელის გაფართოებას გეგმავენ. კომპანია Sun Microsystems საქმიანობა რუსეთსა და დსთ-ს რეგიონში 2006 წლის განმავლობაში 40%-ით გაიზარდა. იგი საქართველოში იმ კომპანიების მხარდაჭერას გეგმავს, რომლებიც მისი ბიზნესით იქნებიან დაინტერესებულნი. იუ–ჯი–თი საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ლიდერი კომპანიაა. მისი სტრატეგიული პარტნიორები და მომწოდებლები არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მსოფლიოს ლიდერი კომპანიები, ისეთები როგორიცაა Microsoft, SAP, HP, Cisco, IBM, Sun Microsystem, Oracle და სხვა. საქართველოში წარმომადგენლობა აქვს, ასევე, კომპანია Sumsung-ს.

საკმაოდ მაღალია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური კომპანიების აქტივობა საქართველოს საბანკო სექტორში. 18 კომერციული ბანკიდან უცხოური კაპიტალი წარმოდგენილია 11 ბანკში. საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციები და საკრედიტო ხაზები განხორციელებული აქვთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საერთაშორისო საფინანსო კორპორა-

ციას, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიას, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, სს «პროკრედიტ ჰოლდინგს“, გერმანულ «კომერცბანკს“, ავსტრიულ ბანკ «ავსტრია კრედიტანშტალს“, ბრიტანულ «London International Bank“-ს, ფრანგული «Sosiete Generale“ ბანკ რესპუბლიკის აქციათა 60%-ს ფლობს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა შვილობილის ბანკი «აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი _ საქართველო“ დააფუძნა, უკრაინულმა «Private Bank“-მა «ტაობ-ანკის“ აქციების 75% შეიძინა, ხოლო 25% შვეიცარიულ ფირმა Zurifin AG-ს ეკუთვნის[1].

ასე, რომ საქართველოს ბაზრით მსოფლიოში ცნობილი კომპანიების დაინტერესება სულ უფრო იზრდება. მიუხედავად ამისა, სრულყოფილი მონაცემები საქართველოში წარმოდგენილი ტნკ-ების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ არ არსებობს. UNCTAD-ის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი უცხოური ტნკ-ების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის «Doing Business 2015“ ანგარიშის თანახმად, საქართველოს უკავია მე-15 ადგილი 189 ქვეყანას შორის ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობების მაჩვენებლის მიხედვით[2]. ამ მაჩვენებლით 1–ლ ათეულშია შემდეგი ქვეყნები: სინგაპური, ახალი ზელანდია, ჰონგ- კონგი, გერმანია, კორეა, ნორვეგია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ავსტრალია. ასევე, საქართველომ დაიკავა მეორე ადგილი 12 ყველაზე სწრაფად რეფორმირებად ქვეყანას შორის გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემოს თვალსაზრისით.

ცალკეული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრისათვის ფართოდაა ცნობილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. ეს ინდექსი განისაზღვრება ტექნოლოგიების განვითარების დონით, საზოგადოებრივი ინსტიტუტებითა და მაკროეკონომიკური კლიმატით. ცალკე განი-

1 http://www.newsgeorgia.ge/economy/

2 World Bank Group. http://www.doingbusiness.org/rankings

საზღვრება ბიზნესის კონკურენტ–უნარიანობის ინდექსი, რომლის კომპონენტებია კომპანიების ოპერაციები და სტრატეგიები და ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა 77-ე ადგილიდან 72-ზე (4,15-იანი ქულით) გადმოინაცვლა.[1] გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა - ხორვატია (75-ე ადგილი), რუმინეთი (76-ე ადგილი), სომხეთი (79-ე ადგილი), უკრაინა (84-ე ადგილი), მოლდოვა (89-ე ადგილი), და ა.შ. აღნიშნულ რეიტინგში პირველი ადგილი შვეიცარიას, ხოლო უკანასკნელი ჩადის უკავია. მიმდინარე წლის მოხსენება 148 ქვეყანას მოიცავს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიურად მზადდება. აღნიშნული მოხსენება იკვლევს ფაქტორებს, რომელებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფენ. მიმდინარე წლის მოხსენებაში 100 ქვე-ინდექსია გამოკვლეული, რომლებიც 12 მაჩვენებელსა და საბოლოო ჯამში, 3 ფაქტორში ერთიანდება. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გამოკვლეულია შემდეგი მაჩვენებლები: ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიები, ბაზრის სიდიდე, ბიზნესი და ინოვაციები.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ **ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს.**

ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობაში უმთავრეს როლს მათი ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების დონე ასრულებს. ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ ამ სფეროში წარმატების მიღწევას, ჩამორჩებიან კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

1 http://economy.ge/ge/media/news/globaluri-konkurentunarianobis-indeqsi

დასკვნა

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონკურენტ–უნარიანობის დონე არც თუ ისე სახარბიელოა, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე, ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხის მიხედვით. სამუშაო ძალის შედარებით დაბალი ღირებულების შეხამება მაღალტექნოლოგიურ და ცოდნასთან დაკავშირებულ უპირატესობებთან მნიშვნელოვანი დეტერმინანტია კონკურენტუნარიანობისა. გლობალური ბაზარი საჭიროებს გლობალური პროდუქტებით მომსახურებას. გლობალური ეკონომიკის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლებიც ახერხებენ ტექნოლოგიასა და კაპიტალს შორის სინერგიული ეფექტის მიღწევას. საქართველომ უნდა გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ დარგებში მიზანშეწონილი იქნებოდა გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა.

გლობალიზაციის და ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენებით, ქვეყნები უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებლიანობას ნახულობენ, ვიდრე აწყდებიან სირთულეებს. ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა, მიაღწიეს ეკონომიკურ ზრდას და ამ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ამასთან, მაღალი ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციისგან მოწყვეტით ვითარდებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

http://www.heritage.org/index/country/georgia
https://www.globalpolicy.org/globalization.html
www.unctad.org/fdiprospects
http://www.newsgeorgia.ge/economy/
http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

THE INFLUENCE OF GLOBAL COMPANIES AND THE PERSPECTIVES FOR GEORGIA

Ketevan Shengelia, Doctor of Economics,
Associate Professor

RESUME

The borders become more transparent under the conditions of globalization not so much due to the wish of politicians but due to the influence of the modern global business. The ability of Georgia to play the role of a transit country attracts the attention of international community and its geopolitical and geo-economic position is of international interest. Although, only the transit function of the country is not a satisfactory condition to fully participate in the global economy. The proper functioning of the transport corridor requires the development of other branches – telecommunication, energy, hotels, industrial and agricultural production and service sectors.

Georgian market volume is very small and the degree of attractiveness of Georgia for the investors oriented on the market volume is not so high. Despite of that the interest of foreign companies towards Georgia is growing, because the country, due to its location, is a kind of a bridge, which connects the most important regions. Through investing in Georgia the foreign companies can serve the regional markets and strengthen their positions.

Countries rather benefit economically than face the difficulties through using the opportunities connected with the globalization and integration. According to the recent researches the countries which could successfully involve into the process of globalization could achieve economic growth. The poverty rates decrease in such countries. High inflation rates, unemployment, poverty, economical stagnation is characterized for the countries developing isolated from the world economic development.

Keywords: Global companies, Competitiveness.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.03.2016წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2016 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,5